



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ფ/
1978/2

(60)

ფილოსოფიის,
ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

3.1978



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის,
ეკონომიკისა და სამართლის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ,
ЭКОНОМИКИ И ПРАВА

26.136



თბილისი
ТБИЛИСИ

3.1978

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სა რ ე ლ ა კ ც ი ო კ ო ლ ე ბ ი ა: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В.,
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ამღვნივა პართული მფიგნობრობის 1500 წლისთავს

3. ბაბაშვილი, „შუშანიის წამება“ როგორც წყარო	5
3. ჩანტლაძე, იაკობ ცურთაველი და ქართული ეკონომიკური ტერმინების სათავეები მის თხზულებაში	17

ფილოსოფია

ა. ციციშვილი, ფილოსოფია, მისი საგანი და პრობლემატიკა	28
მ. დოლიძე, დიალექტიკის პრინციპის ზოგიერთი ფილოსოფიური ასპექტი	47
ნ. კიკვაძე, არისტოტელეს ლოგიკის სისტემის წინა-მოსამზადებელი პერიოდი	54
ბ. ბანძილაძე, იმ მტკიცების მცდარობის შესახებ, თითქმის ძველ ბერძნებს არ გააჩნდათ სინდისი	67
ბ. რამიშვილი, ენის საშემეცნებო ფუნქცია	81
ი. კუბლაძე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მომავალი	86

ფსიქოლოგია

ტ. კუჭინა, ვ. კორჭაჭინსკაია, ი. შიბრაძე, ტვინის უმაღლესი ფუნქციების დარღვევის სტრუქტურის ანალიზი შუამდებარე ნაპრაღის მენინგიომის დროს	94
---	----

ეკონომიკა

მ. თომშაშვილი, სოციალიზმის წარმოებით ურთიერთობათა სისტემის საფუძვლის ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი	104
დ. შინგაძე, საქართველოს სსრ მეხილეობის მატერიალური ბაზის განვითარების ზოგიერთი საკითხი	114
ზ. რევიშვილი, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა დაახლოების პრობლემის შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები	127
3. შარიაძე, მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მოდელთან ინტეგრირებული კომპლექსის დამუშავების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხები	134
ი. მისია, გაფართოებული აღწარმოების მოდელირების მეთოდოლოგიის საკითხები და მისი რეგიონალური ასპექტები	145
ა. მარტოვი, პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხები	158
ლ. სხირტლაძე, ზ. შარაშიანი, დაჭყდურების მეთოდის გამოყენება საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ანალიზისათვის	171
ბ. ბაზაშვილი, რეგიონალური ბაზის შესწავლა, როგორც საფუძველი ფართო მოხმარების საქონლას რელიეზაციის ეკონომიური ეფექტიანობა	175

სამართალი

ბ. ნაღარაშვილი, რატომ ეწოდებოდა მოსამართლეს „ბეე“ ფეოდალურ საქართველოში?	182
3. შვანია, პროფესორ ლეონ პეტრაუციკის სახელმწიფოსა და სამართლის ფსიქოლოგიური თეორია და მისი ქართველი კრიტიკოსები	186

კრიტიკა და პიბლიოგრაფია

ა. სხირტლაძე, ნ. შარაშვილი, გამოკვლევა თანამედროვე ოჯახის ფორმირების საკითხებზე	204
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

Посвящается 1500-летию грузинской литературы

В. Н. ГАБАШВИЛИ. «Мученичество Шушаник» как исторический источник	5
В. ЧАНТЛАДЗЕ. Иакоб Цуртавели и истоки грузинских экономических терминов в его сочинении	17

ФИЛОСОФИЯ

А. Б. ЦИМИНТИА. Философия, ее предмет и проблематика	28
М. Г. ДОЛИДЗЕ. Некоторые философские аспекты принципа дополнительности	47
Н. П. КИКВАДЗЕ. Исторические предпосылки системы логики Аристотеля	54
Г. Д. БАНДЗЕЛАДЗЕ. Об одной ошибке в утверждении об отсутствии совести у древних греков	67
Г. РАМИШВИЛИ. Познавательная функция языка	81
Я. Ш. КУТУБИДЗЕ. Научно-техническая революция и будущее общественного разделения труда	86

ПСИХОЛОГИЯ

Т. В. КУЗЬМИНА, В. И. КОРЧАЖИНСКАЯ, Е. Я. ЩЕРБАКОВА. Анализ структуры нарушений высших мозговых функций при менингиомах сре- динной щели	94
--	----

ЭКОНОМИКА

М. Д. ТОКМАЗИШВИЛИ. Некоторые методологические вопросы — основа си- стемы производительных отношений социализма	104
Д. Л. ШЕНГЕЛИА. Некоторые вопросы развития материальной базы плодотво- дства Грузинской ССР	114
З. Ш. РЕВИШВИЛИ. Методологические вопросы изучения проблемы сближения уровней жизни городского и сельского населения	127
В. А. ШАРИКАДЗЕ. Некоторые методологические вопросы разработки интегри- рованного комплекса моделей развития народного хозяйства союзной республики	134
Я. И. МЕСХИЯ. Вопросы методологии моделирования расширенного воспроиз- водства и его региональные аспекты	145
А. Е. ВАРДАНИЯ. Некоторые методологические вопросы определения качества продукции	158
Л. А. СХИРТЛАДЗЕ, З. Г. ШАРАШЕНИДЗЕ. Использование метода группиро- вания для анализа работы автомобильного транспорта	171
Г. В. ГАЗАШВИЛИ. Изучение регионального рынка как основы экономической эффективности реализации потребительских товаров	175

ПРАВО

Г. Н. НАДАРЕИШВИЛИ. Почему в феодальной Грузии судью звали «бче» (ბჭე)	182
В. Г. ЖВАНИЯ. Психологическая теория государства и право профессора Леона Петражицкого и его грузинские критики	186

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. С. СХИРТЛАДЗЕ, Н. С. КРУАШВИЛИ. Исследование вопросов формирова- ния современной семьи	204
--	-----

მძღვნება ქართული მწიგნობრობის 1500 წლისთავს ПОСВЯЩАЕТСЯ 1500 ЛЕТИЮ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

ვალერიან გაბაშვილი

„შუშანიკის წამება“ როგორც წყარო

ქართული მწერლობის უძველეს ძეგლში „შუშანიკის წამებაში“ მკაფიოდაა აღბეჭდილი V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ისტორიული ვითარება.

„შუშანიკის წამება“ ჩვენს ყურადღებას იქცევს უწინარეს ყოვლისა სოციალური ტერმინოლოგიით („ახნაურნი“, „ახნაურნი დიდ-დიდნი“, „ზეპურნი დედანი“, „მსახურნი“, „საკუთარნი“, „მონა-მხველანი“ „უაზნონი“ და სხვ.), რაც უშუალოდ და ორგანულად იყო დაკავშირებული ფეოდალური ურთიერთობის დადგომისა და ჩამოყალიბების პროცესთან. ძეგლში ფართოდაა ასახული პოლიტიკური ხასიათის ფაქტები (ირან-საქართველოს ურთიერთობა, ირანის რელიგიური პოლიტიკა ქართლის მიმართ, ჰევთალელ ჰუნთა წინააღმდეგ ომში ქართველების მონაწილეობა...), ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების დეტალები, ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ხასიათის ცნობები.

„შუშანიკის წამების“ დამახასიათებელი რეალებით შეიძლება გავითვალისწინოთ ქართლის საპიტაქსოს პოლიტიკური ორგანიზაციის თავისებურებანი და პიტაქსოს უფლებრივი მდგომარეობა V ს-ის მეორე ნახევარში. ვარსკენ პიტაქსში თავის საპიტაქსოში ძლიერ ხელისუფლად გვევლინება მაგრაბ, როგორც ჩანს, ქართლის საპიტაქსოში მოქმედებდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც ვარსკენს (უკეთ-მის პოლიტიკას) უპირისპირდებოდნენ, პიტაქსის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ვინ არიან ისინი — ქართლის მეფის მომხრენი, ირანის პოლიტიკური და რელიგიური ღონისძიებების წინააღმდეგნი? ამგვარი ძალების არსებობა ქართლის საპიტაქსოში სათანადოდ აქვს გათვალისწინებული ს. ჯანაშიას და უშუალოდ უკავშირებს მათ მოქმედებას ფეოდალურ ურთიერთობათა ევოლუციას! ამავ დროს ირკვევა, რომ თვითონ შუშანიკის კონფლიქტი ქმართან აღმოცენებული უნდა ყოფილიყო არა სარწმუნოებრივ, არამედ პოლიტიკურ ნიადაგზე. ამას ხაზგასმით აღნიშნავს „შუშანიკის წამების“ თითქმის უკლებლივ ყველა მკვლევარი.

ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: „თუ მკითხველი იაკობ ხუცესის მოთხრობაში აღწერილს საქმის მთელ გარემოებას ჩაუყვირდება, ადვილად დაინახავს, რომ ქმრის მრისხანება შუშანიკისადმი და სასჯელიც სარწმუნოებრივი ლეგენის შედეგი არ ყოფილა, არამედ გამოწვეული იყო შუშანიკის წასვლით ქმრის ოჯახითგან, რაც ვარსკენს თავის თავისა და სახლობის შერცხვენად მიუჩნევია“². ვარსკენი, ჩანს, მოქმედებდა არა მარტო როგორც დესპოტი ქმარი, არამედ

¹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 292; II, გვ. 226—232.

² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ძველი ქართული მწერლობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 59.

როგორც პიტიახშიც. ოჯახური კონფლიქტი საზოგადოებრივ წინააღმდეგობებშიც ვლინდებოდა.

ილ. აბულაძის აზრითაც, იაკობ ცურტაველის მიერ აღწერილი კონფლიქტის „მიზეზი უფრო ღრმა უნდა ყოფილიყო და იგი შედეგი უნდა ყოფილიყო მართლაც მაშინდელი პოლიტიკური ვითარებისა“. ილ. აბულაძე რამდენჯერმე იმეორებს იმ აზრს, რომ „შუშანიკი არ გამხდარა ქმრის ქცევითა და ორიენტაციის გამზიარებელი; გვგონია, რომ უფრო ვარსკენის პოლიტიკური და საზოგადოდ ორიენტაციად აღებული გზა უნდა ყოფილიყო მათ შორის აშლისა და მდგომარეობის გამწვავების მიზეზი, ვიდრე ვარსკენის შეურაცყოფა პალატის დატყვევებით“³. ამ აზრს ილ. აბულაძე იმითაც ასაბუთებს, რომ „რჯულის გამოცემა არაჩვეულებრივი არ იყო არც მის მხალხობლებში. მისი ბიძაშვილი ვაჰანი და თუნდ მამათილი არშუშა, ხომ უარისმყოფელნი იყვნენ“⁴. ამას გარდა, ხაზგასმით აღნიშნავდა ილ. აბულაძე, „სასანიანთა ირანის მცდელობა დღიდან ამ დინასტიის აღმოცენებისა ნიადაგ ის იყო, რომ ჰეგემონი ყოფილიყო ამიერკავკასიაში“⁵. ასე უკავშირებდა იგი სარწმუნოებრივ საკითხს ირანის პოლიტიკურ ღონისძიებებს.

კიდევ უფრო კატეგორიული მოსაზრებები აქვს გამოთქმული ვარსკენისა და შუშანიკის ურთიერთდამოკიდებულების გამო ნ. ჭანაშვიას. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ ვარსკენმა „სიხარულით მიიღო სამღვდლოება („და ხვალისა დღე ვითარ აღდგა პიტიახში, გვწოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით, და სიხარულით შეგვმოხვნა და გურტუა ჩუენ: „აჲ ნურას მერიდებით მე და ნუცალა გბავ“). ამას ნ. ჭანაშვია დასძენს: „ვარსკენის ეს თითქოსდა გაუგებარი მოქმედება, უეჭველია, იხსნება იმით, რომ მისთვის ქრისტიანობის უარყოფა, ეტყობა, იყო მხოლოდ აქტი, პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი მიზნით ნაკარნახევი“. კიდევ მეთქვამს: „მაგრამ, რაც მთავარია, მოტანილი ადგილი გვიჩვენებს, რომ ვარსკენი სრულებით არ ყოფილა ქრისტიანობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი“.

ნ. ჭანაშვიას შენიშნული აქვს მეტად საყურადღებო დეტალი შუშანიკის მიერ საღვდლო სამკაულის დაბრუნებასთან დაკავშირებით: „და, აი, ყოველივე ამის შემდეგ შუშანიკი მაინც ეკითხება იაკობს, დაუბრუნოს თუ არა ვარსკენს საღვდლო სამკაული, ხოლო როდესაც იაკობი პასუხობს რა გეჩქარებაო, ადვილად თანხმდება და იტოვებს მას. გამოდის რომ შუშანიკის ადრინდელი განცხადებები არცთუ-ისე მტკიცე ყოფილა, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი ვარსკენთან ურთიერთობის გაწყვეტა“⁷.

რა თქმა უნდა, ქრისტიანობისადმი ერთგულებას განსაკუთრებული მნიშვნე-

³ იაკობ ცურტაველი. „მარტოლობა შუშანიკისი“ (ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და სამიუბლები დაურთო ილია აბულაძემ), თბ., 1938, გვ. 048. ილ. აბულაძის აზრით: „ქრისტიანობის ღალატს გარდა რომ სხვა უფრო ღრმა მიზეზი უნდა იყოს ვარსკენისა და შუშანიკის დაცილებისა, ეს ერთგვარად ხუცესისა და შუშანიკის პირველ საუბარშივე უნდა განისმოდეს“. იქვე, გვ. 049.

⁴ ილ. აბულაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 047.

⁵ იქვე, გვ. 048. ილ. აბულაძეს სინამდვილესთან ახლო მდგომარეობაშია ნ. ჰეტერისისებური „ახსნა იმისა, რომ ვარსკენის გამაზღვრების მიზეზი მართო რელიგიის შეცვლითი არ არის გამოწვეული, არამედ მნიშვნელოვანი სოც.-პოლიტიკური მდგომარეობით“. იქვე, გვ. 050.

⁶ ნიკოლოზ ჭანაშვია. „შუშანიკის წიგნების“ ანტონისეული რედაქცია, „მრავალთავი“, V, თბ., 1935, გვ. 89, 90.

⁷ ნიკოლოზ ჭანაშვია. დასახ. ნაშრ., გვ. 95.

ნელობა ენიჭებოდა⁸, მაგრამ „შუშანიკის წამებაში“ სარწმუნოებრივი მომენტით აშკარად ეხმაურება პოლიტიკურს. უკეთ რომ ვთქვათ პოლიტიკური საკითხი სარწმუნოებრივ ელფერს იღებდა.

ქრისტიანობა და ქრისტიანობასთან დამოკიდებულების საკითხი მრავალნაირად უკავშირდება საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციას (სომხეთში, ალბანეთში, ქართლში). ქრისტიანების დევნა სასანურ ირანში იმ მომენტში დაიწყო, როცა მის მეტოქე რომში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. III—IV საუკუნეებში ქრისტიანები ირანში საკმაო რაოდენობით იყვნენ (განსაკუთრებით ქალაქებში, სადაც ვაჭრებისა და ხელოსნების უმრავლესობა ქრისტიანულ სარწმუნოებას მისდევდა). ირანელ ქრისტიანებს სასანური ირანის მთავრობა რომის (და შემდეგ ბიზანტიის) ბუნებრივ მოკავშირეებად მიიჩნევდა. დაიწყო ქრისტიანთა დევნა მთელს ირანში. ქრისტიანთა დევნა განსაკუთრებით გაძლიერდა შაბურ II (309—379), ბაპრამ V (420—438) და იეზდიგერ II (435—457) მეფობაში: ბაპრამ V და იეზდიგერ II დროს ქართლში ხორციელდება ქრისტიანთა დევნისა და მზღდებლობის შემოღების ღონისძიებანი. მათი პოლიტიკის გამგრძელებელი იყო პეროზი, რომლის მეფობის დროსაც ადგილი ჰქონდა ვარსკენის გამაზღვრებას და შუშანიკის მარტვილობას.

გამაზღვრება ირანული ორიენტაციის გაძლიერებას ნიშნავდა, ქრისტიანობა კი ბიზანტიის სასარგებლო ორიენტაციას, მაგრამ ამას გარდა ამათუიმ რელიგიისადმი მიდრეკილება უფრო ღრმა და სერიოზული ხასიათის სოციალურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობებს უკავშირდებოდა.

ს. ჯანაშიამ კარგად შენიშნა, რომ ვარსკენი და მისი მომხრენი ირანულ ორიენტაციას სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს უკავშირდებდნენ — ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას და ცენტრდიდანული ძალების გაძლიერებას⁹. ასეთივე მდგომარეობა იყო საკუთრივ ირანში, სადაც ბაპრამ V და იეზდიგერ II იძულებულნი იყვნენ ბევრი რამ დაეთმოთ აღზევებულ და გაძლიერებულ ირანელ წარჩინებულთათვის.

ჩვენ არ ვიცით რა ნიადაგზე აღმოცენდა კონფლიქტი ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალსა და ვარსკენ პიტიახშს შორის. ეს უკანასკნელი ვახტანგმა მოაკვლევინა. მაგრამ არაფრით არ ჩანს ამ აქტის კავშირი შუშანიკის წამებასთან. თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარაბეცის ცნობის მიხედვით ვარსკენი მოუკლავთ პეროზის (459—484) მეფობის მეოცდახუთე ინდიქტიონს, ე. ი. 484 წელს (ნ. ჯანაშია ამ ამბავს 482 წლით ათარიღებს), შუშანიკის წამებას კი ადგილი ჰქონდა 468—476 წლებში. მასასადამე ვახტანგ გორგასალი არ შეიძლება გამოსულიყო შურისმგებლის როლში შუშანიკის წამების გამო და, საზოგადოდ, ემოქმედნა სარწმუნოებრივი მოტივებით.

თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ნამდვილად საქმის ვითარება, უეჭველია, სხვანაირი უნდა ყოფილიყო და ვახტანგს ამ შემთხვევაში, როგორც ეტყობა, სარწმუნოებრივი მოსაზრებით არ უხელმძღვანელოა“¹⁰.

ვახტანგი და ვარსკენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი იყვნენ: ერთი ირანს ებრძოდა, „სპარსთა მძლავრობის“ დათრგუნვას ცდილობდა, მეორე ირანს ერთგულობდა და ირანის გავლენის განმტკიცებისათვის იღწვოდა. მაგ-

⁸ კ. კე ქ ე ლ ი ძ ე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 108.
⁹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, „შრომები, II, გვ. 226—232.
¹⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1960, გვ. 287.

რამ ირანოფილური პოლიტიკა მას წარჩინებულთა პოზიციის განმტკიცებისათვის სჭირდებოდა. ვარსკენის გარდა ქართლში სხვა მთავრებიც იყვნენ. დიდი გავლენით სარგებლობდნენ „აზნაურნი დიდ-დიდნიც“. სწორედ მათი კლასობრივი ინტერესების გამოხატველი ჩანს ვარსკენ პიტიახში, ვახტანგ გორგასალი კი, პირიქით, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მზრუნველად და მებრძოლად გვევლინება (მის ამგვარ მიზანთან არის დაკავშირებული კერძოდ საეკლესიო რეფორმა, კათალიკოსობის დაწესება).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ შუშანიკი ვახტანგ მეფის პოლიტიკას თანაუგრძნობდა და მიუღებლად თვლიდა ყოველგვარ ისეთ ღონისძიებას (რელიგიურს თუ პოლიტიკურს), რომელიც სპარსთა ბატონობის გაძლიერებას გამოიწვევდა. იმდროინდელ ქართლში ირანს მხარს უჭერდნენ არა მარტო საერო-წარჩინებულები, არამედ ქრისტიანული ეკლესიის ბევრი წარმომადგენელიც¹¹. ორსავე შემთხვევაში წარჩინებულნი თავიანთი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას ცდილობდნენ. საერონიც და სასულიერონიც ქართლის მეფის ხელისუფლების დასუსტებას ისახავდნენ მიზნად, რადგან მხოლოდ ამის შედეგად იყო შესაძლებელი მათი კიდევ უფრო მეტად აღზევება და გაძლიერება. სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებაში გამაზღვანებულ წარჩინებულთა და ქრისტიანული ეკლესიის მესვეურთა კლასობრივი ინტერესები ერთმანეთს თანამთხვევოდა. ამიტომ კონფლიქტი ვარსკენსა და შუშანიკს შორის შეიძლებოდა აღმოცენებულიყო არა სარწმუნოებრივ, არამედ პოლიტიკურ ნიადაგზე. ამ თვალსაზრისით „შუშანიკის წამება“ ქართლის ფეოდალიზაციის პროცესის ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს წარმოადგენს.

ამავე დროს, „შუშანიკის წამება“ საყურადღებო ცნობებს იძლევა ირან-საქართველოს ურთიერთობათა თავისებურებების გასათვალისწინებლად. სასანურ ირანს თავისი პოლიტიკა ქართლის (აგრეთვე სომხეთისა და ალბანეთის) მიმართ ორგანულად ჰქონდა დაკავშირებული რელიგიური ხასიათის ღონისძიებებთან. სასანური ირანის რელიგიურმა პოლიტიკამ რამდენიმე საფეხური განვლო: თავდაპირველად ირანის მთავრობა მკაცრი ღონისძიებებით ცდილობდა მახდენანობის გავრცელებას ამიერკავკასიის ქრისტიანულ ქვეყნებში, მაგრამ ყველგან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ირანი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ არც ქართლში, არც სომხეთსა და არც ალბანეთში მას იძულებით არ შეეძლო მახდენანობის გავრცელება. ამიტომ მან ხელი აიღო მახდენანობის ძალად გავრცელების განზრახვაზე და შესწყვიტა ქრისტიანთა დევნა, ოღონდ სასტიკად აკრძალა მახდენანლთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა.

სასანური ირანის რელიგიური პოლიტიკის პირველი საფეხური ასახულია „შუშანიკის წამებაში“ (V ს-ის მეორე ნახევარი), ხოლო მეორე საფეხური „ევსტატე მცხეთელის მარტვილობაში“ (VI ს.).

„შუშანიკის წამებაში“ აღბეჭდილია წარჩინებულის გამაზღვანების ფაქტი, მაგრამ გვიანდელი წყაროებით (მაგალითად, ჯუანშერის ცნობების მიხედვით)¹² ირკვევა, რომ მახდენანდობიდან არა მარტო წარჩინებულთა წრის

¹¹ „შუშანიკის წამების“ მიხედვით ეპისკოპოსი აფოცი ვარსკენის მხარეზე დგას, სამუელ და იონანე ეპისკოპოსები კი შუშანიკს თანაუგრძნობენ. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების მიზნით ირანი, ჩანს, ეყრდნობოდა როგორც ქართლის აზნაურებს, ისე წარჩინებულ საეკლესიო პირებს, მღვდელმთავრებს. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები, II, გვ. 226.

¹² ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 145, 146.

გავლენიანი წარმომადგენლები, არამედ სულ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებიც; მათ შორის თვით ისინიც კი, რომელნიც „წვრილ ერს“ ეკუთვნოდნენ („გარდა წვრილისა ერისაგან მოიქცა მრავალი ცეცხლის მსახურებასა“).

თითოეული საზოგადოებრივი ფენის დამოკიდებულება უცხო ძალასთან შეპირობებული იყო სრულიად გარკვეული კლასობრივი ინტერესებით. ეს ნ. ბერძენიშვილს ნაჩვენები აქვს ვარსკენის და ქართლის სხვა მთავრების პოზიციის მაგალითზე¹³.

„შუშანიკის წამების“ კონტექსტებიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად ძლიერია, როგორც გარკვეული პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულის მთავარი, ვარსკენ პიტიახში (ასევე ძლიერი არიან აშკარად მისი ჩამომავლები VI—VII საუკუნეებში). ვარსკენ პიტიახშს კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ მას ზურგს უმაგრებს ირანის მთავრობა. ასეთ ვითარებაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მის უარისმყოფელობას, გამაზღვანებას. მთავარი იყო მისი სოციალური და პოლიტიკური ინტერესები, რომელთა უზრუნველყოფა ირანთან ურთიერთობითაც იყო შეპირობებული. ერთი სიტყვით, ირანთან დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა (ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია რომ „შუშანიკის წამებაში“ ქართლის მეფე არ იხსენიება) აძლიერებს მას, აფართოებს მის ძალაუფლებას, უპირისპირებს მეფის ხელისუფლებას და, საბოლოო ჯამში, ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის ირანის პოლიტიკური გავლენის განმტკიცებასთან ერთად მავლენიანობის გავრცელებასაც. ამიტომ ვარსკენის პოლიტიკას უნდა დაპირისპირებოდა ყველა, ვინც კი ირანის ბატონობის გაძლიერებას ებრძოდა. ამათ შორის იმყოფებოდა შუშანიკიც. ანტიირანული და ირანოფილური ძალების ურთიერთდაპირისპირებას უნდა გამოეწვია თვითონ „შუშანიკის წამების“ შეთხზვა ისევე, როგორც ერთი საუკუნით გვიან აუცილებელი გახდა „ევესტატე მცხეთელის“ მარტვილობის დაწერა.

ს. ჯანაშიას აზრით „ვარსკენიც ქართლში მეფის შემდეგ პირველი კაცია, როგორც ეს (და სხვა ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიც) ჩანს იაკობ ხუცესის შესანიშნავი თხზულებიდან“. ქართლის ეს პიტიახში „გარკვეულ ტერიტორიაზე ყველას „უფალია“ (-ბატონი) და ასედაც მიმართავენ მას“. ყოველივე ამას მოსდევს დასკვნა: „ასეთი შიშით სავსე დამოკიდებულება ცხადად მოწმობს იმ განუსაზღვრელ უფლებას, რომელიც ჰქონდა მას თავის მოსახლეობის მიმართ“¹⁴. ამიტომევეა, რომ პიტიახშის მეუღლე შუშანიკი იაკობის თხზულებაში დედოფლად იწოდება.

„შუშანიკის წამების“ სათანადო ცნობები შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ პიტიახშის ინსტიტუტის განვითარებას ქართლში. განსაკუთრებული ყურადღება პიტიახშის ინსტიტუტს მიექცა „არმაზის ბილინგვის“ აღმოჩენის შემდეგ. „პიტიახშობის“ წარმოშობის დროსა და პირობებს, ამ ირანული სიტყვის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას, თვითონ თანამედრობის არსს და უფ-

¹³ ნ. ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 21, შენ. 28, ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ ვახტანგ გორგასალს „დალატობე“ და სპარსელთა მხარეზე დგომიან სომეხი და ქართველი ნახარა-პიტიახშ-ერისთავები“ და რომ ამ მხრივ „ვარსკენის ამავე ტიპიურია“.

¹⁴ ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 227, 228.

ლება-მოვალეობას არაერთი მკვლევარი შეეხო (გ. წერეთელი, კ. გრიგოლია, თ. გამსახურდია, ა. ბოგვერაძე...).

თავდაპირველად, როგორც ირკვევა, პიტიახში ირანის შაჰზე უშუალოდ დამოკიდებული მოხელე იყო, პიტიახშებადაც სპარსელები იყვნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში ირანის შაჰებმა შესაძლებლად მიიჩნიეს ამ თანამდებობაზე არა სპარსელების, არამედ ადგილობრივი წარჩინებულების დანიშვნა, ასე გაქართულდა სპარსული წარმოშობის პიტიახშის თანამდებობა. ასეთ პიტიახშებად გვევლინებიან არშუშა და ვარსკენი. მაგრამ ჩანს ისიც, რომ არშუშა-სა და ვარსკენიც გარკვეული დამოკიდებულებით იყვნენ დაკავშირებული ირანის მთავრობასთან. ამით, ალბათ, პიტიახში განსხვავდებოდა ქართლის სხვა მთავრებისაგან. პოლიტიკური დამოკიდებულება საფუძველს უქმნიდა სარწმუნოებრივ ერთიანობას უარისმყოფელობა და გამაზღვანება კიდევ უფრო აძლიერებდა პიტიახშის დამოკიდებულებას ირანზე. ასე ესმოდათ ვარსკენის გამაზღვანება როგორც მის მახლობლებს, ისე სხვებს. ამიტომ მის გამაზღვანებას ენიჭებოდა არა სარწმუნოებრივი, არამედ პოლიტიკური აქტის მნიშვნელობა.

მკვლევარებმა დიდხანია ყურადღება მიაქციეს იმას, რომ „შუშანიკის წამებაში“ ქართლის მეფე არ იხსენიება. ამის მიზეზი, ჩანს, იყო თვითონ საპიტიახშოს განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობა.

ძლიერი ვარსკენ პიტიახში, უნდა ვიფიქროთ, სათავეში ედგა ქართლის ოპოზიციურ ძალებს, ამიტომ იგი უნდა დაპირისპირებოდა ყველას, ვინც კი მეფის ხელისუფლების განმტკიცებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. აუცილებელი და გარდუვალი იყო უწინარეს ყოვლისა მეფისა და პიტიახშის დაპირისპირება. ამ დაპირისპირების ფინალი ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. ვახტანგ გორგასალმა მოაკვლევინა ვარსკენი. მაგრამ მან ვერაფერი მოუხერხა საპიტიახშოს (გაფეოდალებზე მთავრები უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ). მეფე დამარცხდა. წარჩინებულებმა გაიმარჯვეს. ვარსკენის სახლმა შთამომავლობით დაისაკუთრა პიტიახშის უფლება. ანტიირანული აჯანყების დამარცხება, მეფობის გაუქმება ქართლში, საერო და საეკლესიო წარჩინებულების კავშირი ირანის მთავრობასთან უზრუნველყოფს „პიტიახშის უფლების შთამომავლობით დამკვიდრებას ერთ სახლში“¹⁵.

„შუშანიკის წამება“ ჩვენს ყურადღებას სხვა მხრივაც იქცევს. მასში კონტრეტ არაა დაძრული იმის თაობაზე, რომ ქრისტიანობისათვის ვინმეს სდევნიდნენ, პირიქით, ქრისტიანობის მესვეურთ ახლო დამოკიდებულება აქვთ ვარსკენ პიტიახშთან. თვითონ ვარსკენი თავისთან იწვევს სამღვდელეობას და სიტყვით მიმართავს მათ („გვწოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით, და სიხარულით შეგვმითხვნა და გურქუა ჩუენ: „აწ ნურას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ“). მთელს საპიტიახშოში თავისუფლად სრულდება ქრისტიანული წესები. ეს არაა ვასაოცარი, რადგან გარკვეული დროიდან მოყოლებული სასანურ ირანში ქრისტიანთა დევნას აღარ მიმართავდნენ, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით: ქრისტიანი ბიზანტიური ორიენტაციის არ უნდა ყოფილიყო (ე. ი. მართლმადიდებელი). ბიზანტიაში დევნილი იაკობიტები, არიანები, ნესტორიანები თავშესაფარს სასანური ირანის ქალაქებში პოულობდნენ და აქ აგრძელებდნენ თავიანთ მოღვაწეობას. სასანური ირანის მთავრობა განსაკუთრებით

ნესტორიანებს მფარველობდა, ამიტომ საბოლოოდ აღმოსავლეთში ნესტორიანთა ქრისტიანულმა ეკლესიამ გაიმარჯვა.

ირანული და ბიზანტიური რელიგიური პოლიტიკა თავის გამოძახილს აწერკავკასიის ქვეყნებშიც პოულობდა (ქართლი, სომხეთი, ალბანეთი...). აქაც დიოფიზიტობა ბერძნულ-ბიზანტიურ ორიენტაციას ნიშნავდა, მონოფიზიტობა—ირანულ ორიენტაციას. ქრისტიანობის ორივე მიმდინარეობას შორის სასტიკი ბრძოლა იყო გამართული ამ ბრძოლის ანარეკლი „შუშანიკის წამებაში“ არ ჩანს, მაგრამ ასეთი ბრძოლა იმ დროს, როდესაც ეს ნაწარმოები იწერებოდა, უკვე მიმდინარეობდა. გვიანდელი ქართული წყაროები დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების ბრძოლას სწორედ იმ პერიოდს უკავშირებენ, როდესაც „შუშანიკის წამების“ პერსონაჟები მოღვაწეობდნენ და მოქმედებდნენ. ამავე პერიოდით ათარიღებენ ქართული წყაროები ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ განხეთქილებას.

ასე, მაგალითად, არსენი საფარელი (ავტორი „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“) პეროზ მეფეს (459—484) მიაწერს „ასურთა სჯულის (მონოფიზიტური ქრისტიანობის) გამორჩევას და მართლმადიდებლობის („თვნიერ მელქთანას“ — დიოფიზიტური ქრისტიანობის) უარყოფას¹⁶. პეროზის მეფობა მრავალნაირად ეხსაუბრება „შუშანიკის წამების“ დროინდელ პოლიტიკური ხასიათის ფაქტებსა და მოვლენებს. თვითონ შუშანიკის მარტივლობის დასაწყისი კი დათარიღებულია სპარსთა ამ მეფის მერვე ინდიქტიონით. პეროზ მეფეს რამდენჯერმე ახლდა პუნთა წინააღმდეგ ომში ვარსკენს პიტიაში.

არსენი საფარელი ასახელებს აგრეთვე პეროზ მეფის ძეს კავადს (488—531). ჟუანშერიც ორს „ხოსროში“ (მამასა და შვილში), ჩვენი აზრით, გულისხმობს პეროზსა და კავადს¹⁷.

„შუშანიკის წამების“ დროინდელ ქართლის პოლიტიკური და რელიგიური ვითარების შესახებ საგულისხმო ცნობები მოიპოვება სომხურ წყაროებშიც¹⁸. ჩვენ აქ არ ვეხებით იმას, თუ რატომ არის გადატანილი ქართველთა და სომეხთა „განყოფა“ VII ს-ის დასაწყისიდან V ს-ის 70-იან წლებზე. ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ის, რომ ქართული წყაროები ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ბევრ მოვლენას იმ პერიოდს უკავშირებენ, როდესაც „შუშანიკის წამება“ იწერებოდა.

„შუშანიკის წამებაში“ კი, როგორც უკვე ვთქვით, უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათის მოვლენებს ეთმობა ადგილი, ვიდრე სარწმუნოებრივს. აღნიშნული გარემოება საესებით გასაგებია ისეთ ვითარებაში, როდესაც ფეოდალური საზოგადოების ზრდა-განვითარების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, ხოლო ქრისტიანული სარწმუნოება—მის იდეოლოგიად ქცეული.

ქრისტიანულ თუ არაქრისტიანულ სარწმუნოებას მიმართავდა ყველა, ვინც კი კლასობრივ და პოლიტიკურ ბრძოლაში იყო ჩაბმული. საქართველოში ფეოდალური პროცესის დამთავრებისთანავე (VI საუკუნე) ქრისტიანობა საბოლოოდ იქცა გაბატონებული კლასის იდეოლოგიად.

¹⁶ ზ ა ზ ა ლ ე ქ ს ი ძ ე. არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, ტექსტის პუბლიკაცია, ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1973, გვ. 134—135.

¹⁷ ვ. გა ბ ა შ ვ ი ლ ი. „შუშანიკის წამების“ სპარსთა მეფის იდენტიფიკაციისათვის.

¹⁸ ნ ი კ ო ლ ო ზ ჯ ა ნ ა შ ი ა. „შუშანიკის წამების“ სომხური რედაქციების ურთიერთდამოკიდებულებისათვის, მრავალთვი, V, თბ., 1975, გვ. 108—118; მისივე, „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები შუშანიკზე, მრავალთვი, VI, თბ., 1978, გვ. 166—189.

ბუნებრივად ისმის კითხვა: ქრისტიანობის რომელი მიმართულება იყო გაბატონებული V ს-ის მეორე ნახევრის ქართლში? სპარსელთა ბატონობა ამ დროს თავისთავად გვაგულისხმებინებს ირანული ორიენტაციის ქრისტიანობის არსებობას. ამავე დროს ჩანს სპარსელების აშკარა კავშირი ქართლის ეკლესიის წარმომადგენლებთან. ერთდროულად ამგვარი კავშირი გაპირობებული იყო მკაფიოდ გამოხატული სოციალური და ეკონომიური ინტერესებით. ს. ჯანაშია ამის გამო შენიშნავდა: „მამასადამე, სპარსელების მიერ ქართლის ეკლესიასთან კავშირის გაბმა არსებითად ნიშნავდა ადგილობრივი აზნაურების გარკვეულ ფენებთან კავშირის დამყარებას“. ს. ჯანაშია ყურადღებას აქცევდა ისეთ ფაქტსაც, როგორც იყო სპარსეთის ხელისუფლების მიერ მთავარეპისკოპოსის ერისთავად დასმა. ამგვარი ფაქტების გათვალისწინებისა და გაზოგადების შედეგად ს. ჯანაშია დამაჯერებლად ასკვნიდა: „ეკლესიის კავშირი სპარსელებთან არა მარტო პოლიტიკური სახისაა (მთავარეპისკოპოსი—ერისთავად!). სპარსელები ქართლის ქრისტიანულ ეკლესიაში ზურგს უმაგრებენ ისეთ კონფესიონალურ-სარწმუნოებრივ მიმართულებას, რომელიც მტრულადაა განწყობილი ბიზანტიის, „ბერძენთა“, ოფიციალურ ეკლესიაში გაბატონებული დოგმის წინააღმდეგ“¹⁹.

V ს-ის მეორე ნახევრის ქართლში მონოფიზიტობა ალბათ გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე VI—VII საუკუნეში. ამას გვაფიქრებინებს ირანის მოძალების პოლიტიკური და იდეოლოგიური შედეგები.

ივ. ჯავახიშვილი სათანადოდ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, „...რომ სპარსეთის მთავრობა მონოფიზიტობას მფარველობდა უწყვედა, ქალკედონიანობის კი წინააღმდეგი იყო“²⁰. ამავე თვალსაზრისით მას უღარესად საგულისხმო ფაქტად მიაჩნდა ის, „რომ 506 წ. ქართული ეკლესიის 24 მღვდელმთავარმა მონოფიზიტობა ერთადერთ მართლმადიდებელ სარწმუნოებად აღიარა, ქალკედონიანობა კი უარყო“²¹. კიდევ მეტი: ივ. ჯავახიშვილს მონოფიზიტად მიაჩნდა ვახტანგ გორგასალი და ამას შემდეგნაირად ასაბუთებდა: „რაკი მიქაელი (ქართლის მთავარეპისკოპოსი, ვახტანგის მოწინააღმდეგე, ვ. გ.) და მისი თანამოაზრენი ქალკედონიანები ყოფილან, უნდა დაესაყენათ, რომ ვახტანგ გორგასალი და მისი „სპა“ მონოფიზიტობის მიმდევარი ყოფილიყვნენ“²². ს. ჯანაშია, პირიქით, მიქაელ მთავარეპისკოპოსს მონოფიზიტად თვლიდა, ხოლო ვახტანგ გორგასალს დიოფიზიტად. „თვით ეს მიქაელიც, როგორც ჩანს, მონოფიზიტია, ე. ი. ირანის მთავრობის მფარველობის ქვეშ მყოფ ერთ-ერთ ქრისტიანული სექტის მიმდევარი“²³.

ვახტანგ გორგასალის მონოფიზიტობის და დიოფიზიტობის საკითხი, როგორც ჩანს, შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს. გამორიცხული არაა, რომ ირანის მოძალების პირობებში, როცა აშკარა კავშირი იყო დამყარებული ქართლის ეკლესიის წარმომადგენლებსა და ირანის მთავრობას შორის, ვახტანგ გორგასალი ერთხანს მაინც მონოფიზიტი ყოფილიყო, ანტიირანულ

¹⁹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 226.

²⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1966, გვ. 341.

²¹ ი ქ ვ ე, გვ. 341.

²² იქვე, გვ. 342. გვიანდელი წყაროს (ჯუანშერი) მიხედვით მიქაელ მთავარეპისკოპოსმა „დაწვა წერილი ეპისკოპოსად დასმულ მოზიდქნისა, რომელიც იყო ნათესავად სპარსი, და აჩვენებდა მართლმადიდებლობასა“ (ჯუანშერი, გვ. 142). ამ ცნობის მიხედვით მიქაელი დიოფიზიტი ჩანს.

²³ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 292.

ბრძოლას კი გაეძლიერებინა მისი დიოფიზიტობისაცენ მიდრეკილება ჭუან-შერის ცნობის მიხედვით ვახტანგ გორგასალი ბერ რამეს „მძლავრებისაგან სპარსთასა ვერ იკადრებდა გამოცხადებად“²⁴.

ვახტანგი იძულებული იყო სპარსეთში წასულიყო („იძულებით სპარსეთად წარვიდა“) და უკან მობრუნებულს მიქაელ მთავარეპისკოპოსმა მზადანობის ბრალიც კი დასდო („შენ დაგიტყვებიეს ქრისტე და ცეცხლსა ესაჲ“). ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენია ვახტანგ გორგასალის დიოფიზიტობა²⁵.

ივ. ჯავახიშვილი მონოფიზიტობას V ს. და VI ს. დამდევის საქართველოში გაბატონებულ რელიგიურ მიმართულებად სთვლიდა²⁶. ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამდა კ. კეკელიძეც.

ვახტანგ გორგასალი შუშანიისა და ვარსკენის თანამედროვეა. „შუშანიის წამების“ ისტორიული თვალსაზრისით შესწავლისას ანტიირანული თუ ირანოფილური ტენდენციების გამოკვევას სრულიად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ყოველივე ეს, ცხადია, გამოძახილს პოულობდა ქვემო ქართლის საპიტიახშოშიც. ქრისტიანული სარწმუნოების მონოფიზიტური მიმდინარეობა სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ძლიერი. მონოფიზიტობა სპარსოფილური ქრისტიანული სარწმუნოება იყო. ამდენადვე საესებით გასაგები ხდება ვარსკენის შემწყნარებლობითი დამოკიდებულება ქრისტიანებისადმი და ქრისტიანობისადმი, მაგრამ ისევე როგორც ვახტანგ გორგასალის მონოფიზიტობა, არც საპიტიახშოს მოსახლეობის მონოფიზიტობა უნდა გამორიცხავდეს აქ ანტიირანული განწყობილების არსებობას, ამათ შორის უწინარეს ყოვლისა უნდა ვიგულოთ თვითონ შუშანიიკი.

ამგვარი, ერთი შეხედვით, ერთმანეთის საწინააღმდეგო და ერთი მეორის გამომრიცხველი ტენდენციები სავსებით გასაგებია ისეთ ვითარებაში, როდესაც ყველა სარწმუნოებრივი წესების „შეშლას“ უჩიოდა. „ამიტომაა, რომ V საუკუნის ქართლის ეკლესიაში ასე ხშირად იხსენიება „ეპისკოპოსნი შემშლულნი წესთანი“²⁷. ეპისკოპოსი მობილანი, ეროვნებით სპარსელი, მოჩვენებით მართლმადიდებლობდა, ასევე სხვა ეპისკოპოსი ალბათ მოჩვენებით მონოფიზიტობდა. სამწუხაროდ, ამ ცნობების ასეთ გაზოგადებას ხელს უშლის ის, რომ ისინი დამოწმებულია გვიანდელი ავტორის თხზულებაში. ეროი რამ

²⁴ ჭუანშერი, გვ. 146.

²⁵ ყურადღებას იქცევს სხვა გარემოებაც: ვახტანგ გორგასალმა განახორციელა საეკლესიო რეფორმა, დააწესა კათალიკოსობა, მაგრამ კათალიკოსის და სხვა ეპისკოპოსების ხელდასხმა მოხდა არამართლმადიდებლურ კონსტანტინოპოლში, არამედ მონოფიზიტურ ანტიოქურ საპატრიარქოში. ამ ღონისძიებას აშკარად ანტიბიზანტიური ელფერი ვადაჰკრავს. საერთოდ, როგორც უკვე თქვილთ, ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ დროს ირანის მთავარეპისკოპოსი მოეთიზნა ქართლის მეფის დიოფიზიტობა. დიოფიზიტობის საკითხი უნდა დამდგარიყო ირანის წინააღმდეგ ქართველების აჯანყების დროს, როდესაც „მოიქცია ვახტანგ ბერძენთა კერძო“ (ჭუანშერი, გვ. 178). ივ. ჯავახიშვილი ითვლისწინებდა ვახტანგ გორგასალის ანტიირანულ ბრძოლას, როდესაც მის მონოფიზიტობას მოულოდნელად სთვლიდა. ამასთან იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ მისი მონოფიზიტობის ყოველგვარი კვალი თითქმის სულ მთლად წარბოცილი იყო მერპინდელ (X—XI სს.) ავტორთა თხზულებებში (ივ. ჯ ა ე ხ ი შ ე ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 342).

²⁶ ამგვარ მტკიცებას ივ. ჯავახიშვილი დასძენდა: „მაგრამ რასაჯერველია, არც ვახტანგ გორგასალის დროს და არც 506 წ. მონოფიზიტობის საქართველოში გაშარკვებით ქალქდიანინი არ მოსპობილან“. ივ. ჯ ა ე ხ ი შ ე ი ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 346.

²⁷ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები II, გვ. 232.

სავსებით ცხადია: V საუკუნეში მონოფიზიტობას ქართლში ზურგს ირანის მთავრობა უმაგრებდა.

„ეპისტოლეთა წიგნში“ მოიპოება საინტერესო ცნობები შუშანიკის დროინდელ სარწმუნოებრივ ეთარებასთან დაკავშირებით ქართლის საპატრიარქოში.

ცურტავის ეპისკოპოსი მოსე, რომელიც 605—606 წლებს ზამთარში გაიქცა სომხეთში „უჩიოდა კათალიკოს კირონს, რომ მან უღალატა მონოფიზიტობას და მიემხრო დიოფიზიტობას ქართლის მთელ სამღვდელთაგანთან და დიდებულებთან ერთად. სომეხთა კათალიკოსი აბრაამი ქართლის კათალიკოს კირონს წერდა, რომ მან შეცვალა შუშანიკისაგან დადგენილი მსახურება“²⁸. წერილი დაწერილია VII ს-ის დამდეგს. სწორედ ამ დროს, ჩანს, მთელს ქართლში დიოფიზიტობაა მტკიცედ ფეხმოდგმული და გაბატონებული.

VII ს-ის დამდეგისათვის ქართლში პოლიტიკური სიტუაცია მკვეთრად იყო შეცვლილი. ქართლის ეკლესია და აზნაურები, რომლებიც V ს-ის მეორე ნახევარში სოციალური და ეკონომიური ინტერესების გამო სპარსოფილობდნენ VI ს-ის მეორე ნახევარში (70-იან წლებიდან) მკვეთრად უპირისპირდებიან სპარსეთს. მეფობის გაუქმებისა და ირანული ხარკის დამძიმების პირობებში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ანტიირანული განწყობილება ქართლის ფეოდალური საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში. VI ს-ის დამდეგს და VII ს-ის დამდეგს ქართლის პოლიტიკური ვითარება არსებითად განსხვავდებოდა V ს-ის მეორე ნახევრის ვითარებისაგან.

„შუშანიკის წამება“ V ს-ის მეორე ნახევრის ქართლის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-იდეოლოგიური ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის დასმისა და გაშუქების შესაძლებლობას იძლევა. ეს აიხსნება ამ უძველესი ქართული ძეგლის დამახასიათებელი თავისებურებებით.

მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ „შუშანიკის წამებაში“ თითქმის მთლიანად წარბოცილია აგიოგრაფიული ქანარის ნიშან-თვისებები. ამას ჯერ კიდევ ფეოდალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ. ამიტომ იყო, რომ ანტონ ბაგრატიონმა „შუშანიკის წამება“ აგიოგრაფიულ ნაწარმოებად გადააქეთა²⁹.

„შუშანიკის წამება“ უფრო მხატვრული ნაწარმოებია, ვიდრე აგიოგრაფიული თხზულება. მისი პერსონაჟები ცოცხალი ადამიანები არიან არა იმიტომ რომ ისინი ისტორიულ პიროვნებებს წარმოადგენდნენ, არამედ იმიტომ რომ ადამიანური ვნებათა ლეღვით და წინააღმდეგობებით არიან აღსავსენი. აგიოგრაფიული თხზულებების წმინდანების მსგავსად მოწამებრივი ცხოვრება დამახასიათებელი არაა თვით შუშანიკისათვის, პირიქით, ავტორი ავიწერს მისი ხასიათის უარყოფით თვისებებს, ჰირვეულობას, თავშეუკავებლობას, რძლისადმი უხეშ დამოკიდებულებას („განყარა კელი და ჭიქა იგი პირსა შეაღწა რძალსა და ღვინოა იგი დაითხა“). მაშინ, როდესაც „შუშანიკის წამების“ სომხურ რედაქციაში მისი თავშეუკავებლობა თითქმის სრულიად

²⁸ ნიკოლოზ ჯანაშია, „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობები შუშანიკზე, მრავალთავი, VI, თბ., 1978, გვ. 166—167.

²⁹ ნიკოლოზ ჯანაშია, „შუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია, მრავალთავი, IV, თბ., 1975, გვ. 73—99.

გამოტოვებულია, სამაგიეროდ აგიოგრაფიული თხზულებების მსგავსად იგი მოწამებრივი შარავანდედი არის შემოსილი³⁰.

„შუშანიკის წამება“ აგრძელებს წინაქრისტიანული ქართული ლიტერატურის ტრადიციებს და, ამავე დროს უკავშირდება ახალ, ქრისტიანულ ლიტერატურას, ამ ლიტერატურის აგიოგრაფიულ ქანრს, მაგრამ იაკობ ცურტაველის მოღვაწეობის დროს აგიოგრაფიულ ქანრი, კომპოზიციურად და შინაარსობრივად, ისევე ჩამოუყალიბებელი იყო, როგორაც ზრდადაუსრულებელი იყო თვითონ ფეოდალური საზოგადოება, ამ თვალსაზრისით „შუშანიკის წამების“ ვრცელი სომხური რედაქცია აშკარად „მერამინდელი გადაწყვეტები“³¹ ჩანს. ამ თხზულების ყველა ცნობა (სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურულ-იდეოლოგიური...), რომელიც აღწერილი მოვლენების თვითმხილველსა და თანადამხედურს ეკუთვნის, ორგანულად უკავშირდება ფეოდალიზაციის პროცესს, ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებას საქართველოში, მის განმტკიცებას და სწრაფ განვითარებას V—VI საუკუნეებში.

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ განეკუთვნება ანტიკურობიდან (მონათმფლობელობიდან) შუა საუკუნეებში (ფეოდალიზმში) გარდამავალ პერიოდს.

В. Н. ГАБАШВИЛИ

«МУЧЕНИЧЕСТВО ШУШАНИК» КАК ИСТОРИЧЕСКИЙ ИСТОЧНИК

Резюме

«Мученичество Шушаник» — древнейший памятник грузинской литературы, дошедший до нас из глубины веков. Это сочинение было написано во второй половине V века Яковом Цуртавели, сподвижником царицы-мученицы Шушаник. Автор является очевидцем описываемых событий, что увеличивает ценность этого произведения как исторического источника.

В «Мученичестве Шушаник» ярко отражены различные явления социально-политической жизни Грузии V века. Анализ этих явлений дает нам возможность охарактеризовать институт питиахша, политическое устройство его владения в Нижней Картли, правовое положение картлийского питиахша как феодального владельца и его отношение к центральной власти.

В древнейшем памятнике грузинской литературы мы встречаем множество интереснейших деталей и нюансов повседневной жизни. Однако нас интересуют сведения политического, социального и культурно-идеологического характера. В сочинении много места уделено борьбе между сторонниками и противниками иранской ориентации,

³⁰ ამის გამო ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: „სომხურ წამებაში გამოტოვებულია მრავალი იმდროინდელი აზროვნებისა და ცხოვრების მშვენივრად დამახასიათებელი ნიშანდობლივი ცნობები“.

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 63.

³¹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 287.

ა также религиозной полигике сасанидского Ирана как идеологической основе его владычества в Грузии. Совершенно очевидно, что конфликт между Шушаник и ее супругом — питиахшом Варскеном возник, как это не раз отмечалось исследователями, не на религиозной, а на политической почве.

На наш взгляд, основное значение сочинения Якова Цуртавели как исторического источника, состоит в том, что оно является письменным памятником переходного периода от античности к средневековью. В нем ярко отражено становление и развитие феодальных отношений в Грузии.

Произведение Якова Цуртавели продолжает традиции дохристианской грузинской литературы, но, вместе с тем, является первым образцом новой христианской литературы. Христианство, как идеология феодализма, создало агнографический жанр литературы. «Мученичество Шушаник», являясь, несомненно, произведением агнографической литературы, при этом имеет характерные, специфические черты, что и вызвало позднее необходимость его переделки, новой церковной редакции в целях приближения к агнографическому жанру. Грузинская агнография V века была в такой же степени несовершенна, как и само феодальное общество Грузии того периода.

Сказанное позволяет заключить, что «Мученичество Шушаник» — первый дошедший до нас памятник зарождавшейся грузинской феодальной литературы.



ВАСИЛИЙ ЧАНТЛАДЗЕ

**ИАКОБ ЦУРТАВЕЛИ И ИСТОКИ ГРУЗИНСКИХ
ЭКОНОМИЧЕСКИХ ТЕРМИНОВ В ЕГО СОЧИНЕНИИ**

Посвящается 1500-летию древнейшего памятника грузинской литературы — «Мученичество святой нарицы Шушаник»

Известно, что «Мученичество Шушаник» Иакоба Цуртавели — замечательный литературный памятник, оригинальное художественно-историческое произведение, написанное на грузинском языке в Грузии в начальный период раннего феодализма, приблизительно через 150 лет после фазисской академии и признания христианства государственной религией в Картли. Его автор — личность в высшей степени образованная и прогрессивно мыслящая. Цуртавели по всему мировоззрению — сторонник централистического правления, считавшегося прогрессивным для того времени, т. к. в тех условиях только централистическая власть могла способствовать национальной консолидации и независимости Картли.

Отступничество князей от царя ослабляло центральное правление феодального государства, язычество мешало объединению грузинского народа, т. к. разные регионы гор и низменностей поклонялись разным богам. А христианство проповедовало служение одному богу и с этой точки зрения способствовало объединению страны. Поэтому признание христианства государственной религией было мощным средством против грозившей тогда Грузии иранизации, а впоследствии против арабизации. Именно это содействовало ослаблению политического и идеологического влияния Ирана на Грузию и укреплению ее независимости.

Вместе с тем христианство способствовало развитию в Грузии литературы, грамоты и усвоению элементов византийской культуры на родном языке. Развитие переводной и оригинальной литературы ослабляло политическое влияние Византии на Грузию и служило сохранению государственности в стране.

Принятие христианства способствовало созданию феодальной государственности и ликвидации пережитков предшествующих экономических формаций. Хотя христианство впоследствии (в особенности после объявления его государственной религией) стало защитой интересов господствующих классов, оправдывало феодальную общественную систему, утверждая феодальное общественное угнетение и изменив многие из своих проповедей, касавшиеся заступничества за немощных и защиты равноправия людей, однако и предшествующая христианству религия тоже санкционировала классовое угнетение. Таким образом, отказ от старой религии был явлением прогрессивным в той же степени, в какой феодальная социально-экономическая формация была прогрессивной в сравнении с рабовладельческой.

Христианство кроме язычества боролось также против распространенного в то же время в Картли огнепоклонства — маданзма, являющегося господствующей религией еще древней Мидии.

2. „მაცნე“, ფილოსოფიის... სტრია, 1978, № 3

16 136

ქართული ენციკლოპედია
საბჭოთავო საქართველო



Описанная Иакобом Цуртавели борьба между Варскеном и Шушаник — не только борьба между супругами, возникшая по причине противопоставления религиозных убеждений и демонстративного ухода жены из дома мужа, она преследовала более высокие цели, чем религиозный фанатизм ее участников. Эта религиозная борьба по существу носит социально-экономический и политический характер и является средством осуществления более высоких идей. Это подтверждается симпатиями и сочувствием народа к Шушаник, восстанием против Варскена и приходом представителей всех слоев общества к Шушаник, чтобы проститься и получить благословление.

Религиозный фанатизм не является самоцелью мученичества Шушаник и об этом свидетельствуют следующие обстоятельства: неравноправие в семейных взаимоотношениях, основанное на подчинении женщины мужчине, вызывая сетования Шушаник. Это неравноправие мужчины и женщины, которое Шушаник объявляет несправедливостью, было признано Библией и санкционировано христианством. В девятой заповеди Моисея женщина упомянута наряду с вещами и домашними животными: «не желай дома ближнего твоего, не желай жены ближнего твоего, (ни поля его), ни раба его, ни рабыни его, ни вола его, ни осла его (ни всякого скота его), ничего у ближнего твоего»¹.

Женщина, согласно христианскому учению, искусительница, совратившая Адама и свергшая мир в грех. Христианством женщина признана объектом частной собственности. Апостол Павел советовал женщинам быть бессловесно покорными своим мужьям. Апостол Петр призывал их: «Вы, жены, повинуйтесь своим мужьям»². На основе этого принципа христианства Шушаник должна была подчиниться мужу, но она этого не делает. Своей жалобой на неравноправие мужчины и женщины она объективно выступает против христианства. Но своим мученичеством она защищает христианство и делается это для достижения более высоких целей. Иакоб Цуртавели выступает против измены Варскена, против маздаизма и тем самым — против иранизации. Он поддерживает политику Вахтанга Горгасали, борющегося за могущество и независимость Грузии.

Цуртавели понимает, что равенства между мужчиной и женщиной нет и в то время не могло быть. Но этот вопрос он оставляет на будущее, придав ему завуалированную форму. Главная героиня его произведения Шушаник видит, что в мирской жизни существует социальное различие между мужчиной и женщиной, но верит, что в загробной жизни, перед богом все равны и там Варскен должен ответить за совершенные им бесчинства: «Меня и питахша Варскена рассудят там, где нет лицепрятия перед судьей судей и господом господ, где нет различия между мужчиной и женщиной, где я и он одинаково будем держать речь перед господом нашим Иисусом Христом»³.

Иакоб Цуртавели, как образованный и весьма просвещенный в вопросах религии, не мог не знать учения манихейства, которое оказало большое влияние на учение маздаизма. Как известно, в IV веке от распространенной в Иране религии — зороастризма — отделилась секта, которая впоследствии приняла название по имени Маздака.

Из-за создавшихся в ту пору осложнений во внутренней и внеш-

¹ «Ветхий Завет», II книга Моисея «Исход», 20—17.

² «Новый Завет», I послание Петра, 3, 1.

³ И а к о б Ц у р т а в е л и. Мученичество святой царицы Шушаник (XVI^{вв}), перевод Корнели Кекелидзе. Этюды из истории древней грузинской литературы, XII. 1974, с. 101.



ней политике, правительство Ирана первоначально не смогло принять соответствующих мер для пресечения деятельности этой секты. На Иран напали эфталиты, победили и пленили царя Пероса. Впоследствии, испугавшись внутренних восстаний, царь Кавад назначил своим советником вождя этой секты — Маздака.

Это философско-религиозное учение в V—VI веках широко распространилось в Иране. Оно проповедовало, что на основе смешения трех основных элементов природы — воды, огня и земли получаются положительные и отрицательные явления и существует постоянная борьба между добрыми или светлыми и злыми или темными силами. Посредством добрых сил люди могут установить свободную и справедливую общественную жизнь.

Это религиозное течение требовало равенства имущества, перераспределения имений и отмены частной собственности на женщин. Следовательно, оно требовало равноправия мужчин и женщин в земной жизни, а не в загробной, перед богом.

Цуртавели, несомненно, знал это, но главная героиня его произведения все же выступает против маздаизма, т. к. последний угрожал независимости страны. По мнению Цуртавели, единство и независимость Картли могли быть сохранены только при христианстве, и Шушаник героически приносит себя в жертву последнему.

Таким образом, Цуртавели использовал религиозную борьбу как средство для достижения политических целей.

Так же не религиозным фанатизмом обусловлены поступки другого героя Цуртавели — Варскена. Для него принятие маздаизма было средством борьбы против Вахтаंगा Горгасали, т. е. центральной власти Восточной Грузии, для захвата власти в свои руки.

По произведению Цуртавели, простолюдины Картли выражали моральную поддержку Шушанику, как противнице маздаизма и защитнице христианства. Простым людям было известно, что маздаизм и господство Ирана не освободило бы их от бремени социального гнета, а наоборот, добавило бы к нему и бремя национального угнетения со стороны захватчиков.

Хотя христианство, с одной стороны, защищало население Картли от влияния Ирана, с другой, оно не могло служить защитой от нашествия Византии, которое в не меньшей степени угрожало независимости страны. По утверждению Ив. Джавахишвили, Вахтанг Горгасали осуществивший большую реформу в грузинской церкви, был приверженцем монофизитства⁴. Надо полагать, что Вахтанг Горгасали по сепаратистским соображениям примкнул к секте монофизитов, к одному из течений христианства, которое родилось в Византии в 40-х годах V в. Монофизитство, в противовес православному христианству, признавало не две природы Христа — божественную и человеческую, а одну — божественную. Это течение выражало сепаратизм высших слоев общества и являлось формой протеста масс против византийских властей. Монофизитство широко распространилось в Египте и Сирии. После того как византийские власти стали преследовать монофизитов и несторянцев, в Иране они были признаны легально.

Иакоб Цуртавели, будучи сторонником прогрессивной деятельности Вахтаंगा Горгасали, не только описывает мученичество Шушаник, но и определенным образом направляет ее действия.

⁴ Ив. Дж а в а х и ш в и л и. История грузинского народа. кн. I, 1951, под редакцией С. Каухчишвили (на груз. яз., с. 311—318).



Произведение Иакова Цуртавели, заслуживающее внимание с многих точек зрения, интересно и как исток становления экономических и социальных терминов. Ясно, что в упомянутом памятнике термины не разработаны с лексикологической точки зрения и не перечислены. Сочинение Цуртавели — произведение художественно-историческое, написанное на языке народа, имевшего в ту пору многовековую историю общественно-экономической жизни и прошедшего через первобытно-общинную общественно-экономическую формацию и патриархальное рабство. В этом литературном произведении нашло реалистическое отражение время его создания — период раннего феодализма.

Надо полагать, что жанровая направленность и малый объем произведения не позволили полностью отразить лексическое богатство грузинского языка того периода. Но и содержащиеся в сочинении Цуртавели слова и термины указывают на существование выражений, находящихся с ними в комплексной взаимосвязи. Например, в сочинении употребляются термины «сеять» (тесва), «жать» (мка); ясно, что в то время в языке существовал и термин «пахать» (хвна); Цуртавели употребляет термин «непорабощенный» (арадамонебули); ясно, что в языке был и термин «порабощенный» (дамонебули) и т. д.

В повести «Мученичество Шушаник» дан ряд терминов, которые с соответствующей трансформацией содержания ныне употребляются в той же форме, что и в V веке. Кроме того, произведение содержит запас слов, на основе разработки и переработки которых создано множество терминов для разных отраслей науки. Большинство терминов, употребляемых в сочинении Цуртавели — естественные термины, созданные народом. В результате развития разных отраслей науки эти естественные термины сегодня переработаны в технические, т. е. научные термины путем сведения их многозначности к одному значению, согласованию слов, выражающему определенное научное понятие.

В произведении Цуртавели термины экономико-социального значения встречаются как в простой, так и в сложной форме.

Приведенные нами термины из «Мученичества Шушаник» неоднократно изучены и основательно исследованы в нашей науке с исторической и филологической точек зрения — происхождения слов, тогдашнего их значения, связи с другими языками, исторического развития, в общем, с семантической и этимологической сторон.

Истоки этих терминов мы рассматриваем с точки зрения современной экономической терминологии, т. е. насколько и в каком значении употребляются они в современных экономических и социальных научных дисциплинах.

В «Мученичестве Шушаник» упомянуты экономические термины, характерные для всех общественно-экономических формаций. Например, «ШРОМА» — труд («Митхар ме райта уцходи да агвцери шромай шени», III₂₁). «Шрома» — труд, как «деяние», «работать». Хотя в данном случае Цуртавели употребляет этот термин в переносном значении, но появление этого слова в литературном памятнике V в. есть показатель уровня развития общественно-экономической жизни и соответственно, грузинского языка, имевшего термин «труд» и в прямом значении, без которого не могло быть его употребления и в переносном значении.

Политическая экономия (капитализма и социализма) изучает общественные формы труда и для научно сформулированного понятия

человеческих отношений в общественном труде — применяет термины «труд» и «общественная форма труда».

Цуртавели упоминает термин «труд» и в сложной форме: «**дацхромели шрома**», означающий «неослабный труд», «непрерывный труд»; «**дамашврали шрома**» — «утомительный труд»; «**таназиаши шрома**» — «совместный труд», «соучастный труд», «единый труд», «равный труд».

Политическая экономия пользуется терминами: «неутомимый труд», «непрерывный труд», «соучастный труд», «единый труд», «равный труд».

Весьма знаменательно, что у Цуртавели дан исток одного из основных экономических терминов — «стоимость» — «гиребулеба» — «гир», «гиреба» («кукуету гирс раиме вар», XVIII₇). В данном случае, термин «гирс» — «стоит» автором употребляется в значении «достойный», «достоинство». Но истоки этих терминов, по форме и содержанию восходят от глагольной формы «гир», «гиреба» — «стоять».

«Гиреба» «стоять» как термин, выражающий экономическую, т. е. базисную категорию, предшествовал и обуславливал слово «гирсеба» — «достоинство», как термин, выражающий моральные, т. е. надстроечные категории.

Что в то время означало «гир», «гиреба»? По определению Ильи Абуладзе, «гир» означало «быть должным», «иметь цену». Но по приведенным им в «Словаре древнегрузинского языка» примерам из древнейших оригинальных и переводных памятников грузинского языка, «гир» имеет более широкий спектр значения, чем данное им определение. Например: «**гирда гансаскидад**» — «стоило продать»; (аравитар иги вгирди, мтанджа ме) — «не стоил я тех мучений, которые он мне причинил». («Сквидит мовискидо еге вецхлита, райца гирдес») — «приобрету куплей его ценой серебра, чего стоит».

Из приведенных выше терминов видно, что в языке различались по содержанию, выражаясь современной терминологией, «стоимость» и «цена». Особенно ярким является последний пример, где сказано, что при купле должны платить соответствующую стоимости цену, т. е. покупать по той цене («еге вецхлита») чего стоит, («**райца гирдес**»).

«Гир» глагол в форме третьего лица будет «гир-с» (ис гир-с) — «он стоит». В древнегрузинском языке есть прилагательное «гирс-и», по определению Ильи Абуладзе означающее «достаточный», «соответствующий». Один из приведенных им примеров-цитат привлекает особое внимание: гирс арс мушаки саскидлिसа твисиса, (Лука, 10₁₇) — «работник стоит своей цены, работник достоин своей цены».

В этом случае термины «гирс» — «достойный» и «гирс» — «стоит» совпадают как по форме так и по содержанию: «гирс арс мушаки саскидлिसа твисиса» значит, что «работник достоин своей цены», или же, иначе, — «работник стоит своей цены».

В толковом словаре грузинского языка Сулихан-Саба Орбелиани («Картули лексикони») взаимоотношение стоимости и цены определено следующим образом: «гиреба-пасис дадеба». Эта фраза состоит из трех слов: «гиреба» по русски стоимость, второе — «пасис» — цена, третье — «дадеба». «Дадеба» — по определению самого Орбелиани, в тогдашнем понимании означало заложить основу. Таким образом, по его определению, стоимость есть основа для цены т. е. стоимость определяет цену.

Теперь о термине «гирсеба». По словарю И. Абуладзе, «гирсеба» означает «почет», «достоинство»; «гирсеба» рассматривается в связи не с предметом, который является объектом купли-продажи, т. е. «гиреба» — «стоять», а с человеком, как его черта, характер, степень,



почитаемость и др. Поэтому может показаться, что у «гиреба» и «гирсеба» не должно быть никакой связи. Но по нашему мнению, данные термины связаны между собой.

Известно, что в рабовладельческом и позднее феодальном обществе человек продавался в виде раба и крепостного. В капиталистическом обществе продается рабочая сила, что опять же связано с человеком. Что касается представителей господствующих классов, которые не продавались, то о них надо сказать, что в данных формациях продавалась и продается должность, доход с которой приносил определенный почет, достоинство личности, что принимает характер ренты. Примером этого является предусмотренная законом Вахтанга VI плата разной величины, которая налагалась на убийцу для возмещения ущерба в случае смерти личностей разного сословия и достоинства. Во всех этих случаях «гиреба» «стоять» и «гирсеба» «достоинство», сближаются по смыслу.

По определению С. С. Орбелиани «гирсеба» есть «воздаяние должного». Таким образом, «гирсеба» значит «отдача», «возвращение», «возмещение должного».

В словаре Нико Чубинашвили эти два термина «гирсеба» и «гиреба» даны в еще большей близости. Основываясь на «Вепхисткаосани», автор словаря толкует «гирсеба» как «**мимтхвева гиребиса**»; там же «**мимтхвева**» толкуется как быть достойным, воздать должное. Он же в своем русско-грузинском словаре переводит «достойный» как «гирси», «гиребули», а «гирс вар» переводит как «стою». Следовательно, по Н. Чубинашвили «гирсеба» и «гиреба» выражают идентичные понятия.

Таким же основным экономическим термином является упомянутый в труде Цуртавели термин «**паси**» — «цена» («**витарца харта мхнета даугвлилта зескнелиса мис п а с и с а т а**», XIX₇).

«**Пасебули**» И. Абуладзе толкует как «стоящий». В терминах «**мепасе**», «**сапасе**», «**пасис сацави**» под «**паси**» подразумеваются деньги. «**Мепасе**» толкуется как охранник сокровищницы, «**саудже**» как казна, сокровище, цена, плата, сапасе. «**Сапасе**» со своей стороны толкуется как клад, сокровищница, цена, плата.

Сулхан-Саба Орбелиани толкует «**пасис сацави**» (паси — цена, ценность, сацави — хранилище) как «**тетрис шесакребели**», т. е. место сбора серебрянной монеты, или казна.

Нико Чубинашвили, ссылаясь на «Вепхисткаосани», «паси» объясняет как «стоимость вещей или деньги для их покупки»; «тетри» (белая) означало серебро, деньги. Таким образом, в соответствии с этим толкованием цена есть стоимость вещей, выраженная в деньгах для их покупки. Такое понимание термина «паси» соответствует толкованию «цены» по марксистской политической экономии.

В произведении Цуртавели представлены истоки некоторых экономических терминов, которые, будучи переработаны по содержанию, нашли применение в политической экономии капитализма и социализма, финансовой науке и в других экономических научных дисциплинах. Например, «могеба» — «прибыль». Истоки этого термина в «Мученичестве Шушаник» даны в форме «**гебулад**», «**миагос**» и «**миугос**» — воздать. В тексте читаем: «**агихила да ипова ковели гебулад**» (VII₄₀); «**Миагос мас упалман**» (XVI₃₄); «**ме мнуго мас ситквай**», (XIII₂₈), «**гебулад**» — безличная форма глагола «геб» (причастие страдательного залога); «**миаго**» и «**мнуго**» — личные формы того же глагола, различны по категории версии. Из этого же глагола произведена форма инфинитива «геба».

«Геба» в древнегрузинском языке имело много значений. Илья

Абуладзе в «Словаре древнего грузинского языка» одно из значений «геба» толкует следующим образом; «геба» — приобретать, см. «могеба» — «прибыль», «могебули» — «выигрыш», «момгебели» — «тот, кто выигрывает», «монагеби» — «выгранный», «мосагебели» — «то, что выиграют». С помощью префикса «мо» и основы «геба» получаем термин «могеба».

Префиксы «мо», «ца», «амо», «ми» в грузинском языке указывают направление и имеют словообразующее значение. От основы «геба» получены разные экономические термины: «мо-геба» — прибыль, «ца-геба» — убыток, «амо-геба» — выручка, «ми-геба» — воздать, «ми-са-геб-ел-и» — пошлина и др.

Данные префиксы указывают направление действия «геба»: «мо» — к говорящему, т. е. первому лицу; «ца» — от говорящего, т. е. от первого лица и т. д.

Используя эту характерную черту норм грузинского языка, мы к основе «геба» добавили префикс «уку» («обратный») и получили термин «укугеба», соответствующий русскому термину «отдача» (ср. «фондоотдача» — «понукугеба»)⁵.

Такие же экономические термины содержатся в повести Цуртавели: «гадахда» — уплата («мовида иги цмидиса Шушаникиса мад-лиса — г а р д а х д а д», XI₁₅). «Гадахда» — «уплата» применяется в политэкономии, финансовой науке для выражения возмещения купленного, уплаты налогов, покрытия долгов и др.

Экономические термины «плательщик», «должник» у Цуртавели выражены как «танамдеби». («тквен ковели танамдеб икмнебит», V₂₄).

В произведении Цуртавели употреблены термины, означающие средства производства: орудия труда, предметы труда. Например, «квекана» — земля, страна, мир, село, имение («даварда иги квекана са зеда» II₁₆). В данном случае «квекана» означает «земля». Земля с экономической точки зрения есть «всеобщий предмет человеческого труда» (Маркс).

К терминам, выражающим средства производства, и употребленным в повести Цуртавели, относятся следующие:

«Хари» — «вол», «бык» («витарца харта мхнета даугвлилта», XIX₁₇). До последнего времени вол в сельском хозяйстве представлял основное средство производства, применялся и как транспортное средство.

Определенный элемент средства производства означен термином «угели» (XIX₁) — ярмо — предмет, который клали паре волов или буйволов на шею, когда впрягали их в плуг.

К этой категории терминов относится и упомянутый в повести термин «цхени» — «лошадь», «конь» («цармомарта саднаспаноита цхени та монаи гвиси», II₅). Конь применялся как средство производства (в некоторых земледельческих странах применяется и ныне) и как средство транспорта и связи.

В повести встречаем термин «караули» — «осел» («чорд царгце шен ану карад кар аулит а», XIII₃), который применялся как транспортное средство.

С транспортом связаны и другие термины: «навтсадгури» — «порт» («царгзавнидес навтсадгуриса мис мимарт», XVII₅); «гза» — «дорога», «путь» («царемарта гз а с а мас», XI₁₂).

В V веке в Грузии существовало множество дорог как для внутренних, так и внешних сообщений. В повести мы находим упоминание

⁵ В. Г. Чантладзе. К уточнению некоторых экономических терминов, «Сакართველოს ეკონომისტი», 1966, № 8.

о мосте — «хиди» — «мост» («хидса мас цихисаса», IX₂₁). Опора моста рабовладельческого периода сохранилась на р. Квирила, близ Шопрапанской крепости.

К терминам, связанным с производством сельского хозяйства, относятся упомянутые в повести:

«Тесва», «момка», «сеять» «жать» (вин стеса-моимко», XV₅₀) «венახис мокмеди» — «возделыватель виноградника» («укуету гирс райме вар уканаскнели есе меатертметей мокмеди венახисანი» XVIII₇). «Надироба» — «охота» («твит надиробад царвида», VII₆). Охота в то время представляла собой определенную отрасль хозяйства. В середине века охота имела и военное значение.

Цуртавели упоминает термин «агшенеба» — «строить», «воздвигать», «населять» («мамаман шенман агмартна самартвилени да еслеснани агашенна», IV₂₂).

В тогдашней Грузии термин «строительство» охватывал строительство жилых домов, квартир, селение народов, воздвижение молелен и церквей, крепостей и башен, строительство дворцов и пенатов больших залов, дорог, постоянных дворов и др. Сегодня термин «строить» «строительство» применяется в экономических и технических науках.

В произведении Цуртавели встречаем термины, означающие постройки непроектированных назначений, требующие капиталовложений: «самело кари» — «царский двор» («карад самелод царемарта Варскен Питиахши», I₁); «садедопло сахли» — «дом царицы» («ну царскмед сахлеса амас садедоплоса», V₂₁); «галиаки» («ара дажда иги твисса мас галиакеса», V₃₁) — «место для сидения»; «сенаки» — «келья» (идзна мцире сенаки да мун даескуда», VIII₃) «сахлаки» — «домик», «хижина» («сахлаки ерти мцирей пов», II₂₇); «езо» — «двор» («акуртхна... ковели езой да палати миси», XVI₄₈); «палати» — (XVI₄₈) — «дворец»; «вани» — «дом», «обитель» «царвед сирапид ванад чемада» X₁₆); «тадзари» — «дворец», «молельный дом», «дом для пиршеств» («даутева та дзари твисси», II₂₀); «сапкробиле» — «тюрьма» (сапкробилеса бнелса шеакенон иги да мокудес», VIII₃₂); «цихе» — «крепость» («царикванон цмидаи Шушаник цихед», VIII₃₂).

В произведении Цуртавели содержатся термины, означающие потребительские продукты и действия: «пури» — «хлеб» («ертад пури вчамот», VI₃); «пурис чама» — «трапеза» («иннебес ертад пурис чамай», VI₅); «жами пурисай» — «время трапезы» («витарца монца жами пурисай», VI₆); «чамади» — «еда», «кушанье» («мциред ваидуле мигебис чамადи», VII₂₀); «сазрдели» — «еда» «продовольствие» («моедзгуана цмидаса мас епископосса сазрдели», XII₁₅); «мхали» — «зелень», «цвени» — «отвар» («цвени мхалиса шекмули», XIV₁₅); «шимшили» — «голод» («шимшилита упронс холо мокудебис» X₄₋₅); «сикмили» — голод (сикмилита моклан иги», IX₃₁₋₃₂); «узма» — «натошак», «без еды», «голодный» («иги дени узмаса гардаевлес», VI₁₈); «гемо» — «вкус» (холо гемой ара ихила», VI₉₋₁₀); «гвино» — «вино» («цолман Джоджикисаман миартуа гвиной», VI₁₀); «шесма» — «выпить», «испить» («иги холо шеса» VI₁₁).

Упомянуты термины, обозначающие «мясо» и «скот»: «тариги» — «агнец» («вихиле тариги иги кристейси», X₁₀); «крави» — «ягненок» («витарца крави мгелса гомоуго хелта миста», VI₂₆); названия постели и одежды: «састаули» — подушка («састаула зеда тавиара мидвис» XIV₁₈); «састунели» — «изголовье» («састаули ерти халеннса уци састунелит кердзо», XIV₂₀); «квешагебели» — «постель»

(«квесагеблад ико гирджаки ерти дзуели» XIV₁₉); «сагебели» — «постель» («сагебелса чемса нацари гардаасх», IV₁₈); «дздадза» — грубая ткань из козьей шерсти, «власяница»; «дздадзис самосели» — одежда из власяницы («дздадзис самосели мциреда шегерацха сагумелад», XV₁₂₋₁₃); «килики» — палас шерстяной или волосяной («такванис сацемелад килики ерти мцире кие царудгебис», XIV₁₂₁); «палекарти» — филон («антиокиса полекарти емоса», XV₁₈); «судари» — «саван» («моиго шесаграгнелад судари цмидай», XIX₁₋₂); «мчгари» — «тряпье» — («шевмосет мчварита мит», XIX₅); «чичнаухти» — «шелковая ткань» («Шушаник нацвлад чичнаухтыса сакмиса», XII₁); «самкаули» — «украшение» («миудзгуаноа самкаули есе миси», VII₂₇); «астами» — «совок для угля» («аиго астами есе да ухеткна мас тавса», VI₁₆); «чика» — «стакан» («чика иги пире шеалеца», VI₃); «чурчели» — «украшение», «оружие», «посуда», «имущество» («укаде чурчели ерти самисой», X₈); «сантели» — «свеча», «свет», «светильник» («сантели чеми дашрита», XVI₃₆).

Термины, обозначающие продукты культурного потребления: «цигни» — «написанное», «текст», «буква», «летопись», «документ», «грамота», «грамотность», «ученость», «книга» («циндани иги цигни моцаметани», V₃₆).

В повести упомянуты также термины, связанные по содержанию с «книгой»: «сцавла» — «учить», «учиться» («иги псалмуни даица влна XII₃); «китхва» — «читать» («такуанисцемиа уцкинод да китхвита циггайта моуцкинеблад» X₂₈); «брдзени» — «мудрый», «мудрец», «ученый», «умный», «знающий» («кацо брдзени, тквен кетилад итквит», V₇).

Термины медицинские: «салбуни», «цамали» — «мазь», «лекарство» («салбуни да цамали дагдва», VII₁₆).

Термины для обозначения угнетения и наказания: «боркили» — «кандалы», «цепь для сковывания ног» («убрдзана шекврай миси да боркилта шехмай миси», VI₂₅); «сакврели» — «кандалы» («сакврелта матган ганутева цмидай Шушаник», V₂₇); «джачви» — «цепь» («убрдзана дадебад джачви кедса мисса», VIII₃₀); «махвили» — «меч», «клинок» («чир ехила, арца, шиши, арца махвили», I₁₄).

В произведении Цуртавели представлены статистические и демографические термины. В частности, статистический термин «агцера» — «описание», «перепись» («агвцера шромай шенни», III₂₁). В повести «агцера» применяется в значении описания. В настоящее время слово «агцера» приобрело и другое значение — перепись населения, имущества. В эпоху Цуртавели были известны такие переписи. Например, в V в., по приказу шаха Ездигида II в Закавказье с целью изменения системы налогообложения была проведена перепись населения; раньше это называли «агрицхва», «агтвалва».

Встречаются и многие демографические термины, особенно связанные с семьей, большая часть которых почти в том же виде употребляется в современной демографии, а часть из них трансформирована в соответствии с развитием языка и современного уровня данной научной дисциплины. Сегодняшние грузинские демографические термины по определенным причинам, требует уточнения. Об этом акад. П. В. Гугушвили пишет: «На протяжении веков по причине расстройств грузинского центрального государственного аппарата оказались забытыми соответствующие старые термины»⁶.

⁶ П. В. Гугушвили. О демографической терминологии, 1975; его же, Вопросы воспроизводства населения Грузии, 1972.

Поэтому небезинтересно привести такие термины из сочинения Цуртавели: «**мама**» — «отец» («нашоби мамиса да дедиса кристианетай I₃); «**деда**» — «мать» I₃; «**бунебити цоли**» — «настоящая жена», «законная жена» («ромели иги бунебити цоли арс I₂₂); «**кмари**» — «муж» («укетуребиса мис сахиса кмриса миссисайса, I₇); «**меугле**» — «супруг» («шеаджера угмртоса мас сацутроса меуглеса XVI₂₈); «**асули**» — «дочь» («брдзана цолад миса асули миси, I₂₅); «**швили**» — «дитё», «детище» («швилни игница есreve мовакцине шенса шджулса, I₂₂); «**ушвило**» — «бездетный» («ромелса мисцемда мас кацт-моваре гмерти ушвилота швили») XI₄₋₅; «**дзе**» — «сын» («цинамоегебнен азнаурни да мисни дзени, II₄); «**дзма**» — «брат» («моавлина Джожик, дзмай твиси, V₁); «**да**» — «сестра» («ара дамонебули арс дз май гина дай» III₃₀); «**мазли**» — «деверь», брат мужа (аргара чеми мазли хар, V₁₀); «**дзмис цоли**» — «невестка», жена брата («дзмай твиси да цоли Джоджикиси, дзмис цоли твиси, V₁); «**каци**» — «человек» (холо кацман ман вер икадра ситкуад миса, II₁₂); «**мамакаци**», «**дедакаци**» — «мужчина», «женщина», («укету вниме шевиде миса мамакаци гина дедакаци IX₃₃); «**мохуцебули**» — «старый», «состарившийся» («мохуцебули ара вни арс мат куеканата, XIV₂₇₋₂₈); «**крма**», «**кма**» — «юный юноша» («мовида кмай ерти, VII₃₀); «**сикрме**» — «юность» («иги вткут сикрмитаган твисит I₇); «**дзудзуймтей**» — «молочный брат», «молочная сестра» («питиахшман гомоарча дзудзуйс-мтей миси сакутари, XIII₁₂); «**мама**» — «мдзудзе» — «воспитатель», «наставник», «пестун» («витарца мамаса да мама-мдзудзеса, XVII₃); «**мкудари**» — «мертвый» («витарца мкудари мнетриа, VIII₁₈); «**цоцхали**» — «живой» («цоцхали аргара гамосвлад хар, XI₂₈); «**мквидри**» — «обитатель», «дите», «потомок коренной» («ромлиса мквидрица мис адгилисани савсени сенита, XIV₂₄); «**сдзали**» — «невестка» жена брата («сдзали шемкули сакрвелита матган, X₁₁); «**сахлеули**» — «жена», «семейство», «домочадцы» («сахлеулитурт танакопит иквис мона, XVII₃₋₄); «**тесл-томи**» («родня, происхождение («агинебда Варскен тесл-томса мисса, VI₂₃); «**дге-моклед цховребули**» — «большой недолгих дней» («пирмсивани да дге-моклед цховребули, XIV₂₇).

В произведении описана жизнь раннефеодального общества. Это общество было классовым. Автор повести использует термины, означающие общественные сословия и должности: «**мепе**» — «царь» («царсда иги цинаше спарста меписа, I₁₆); «**дедопали**» — «царица» («шевида цинаше Шушаникиса дедоплиса, II₂); «**питиахши**» — «правитель», «князь» (царемарта Варскен питиахши, I₂); «**спайети**» — «главнокомандующий», «командующий войсками» («асули Варданиси сомехта спайетисай, I₄); «**азнаური**» — «дворянин», «свободный», не раб, представитель правящего сословия («цина моегебнен мас азнаурни, II₃); «**диди азнаური**» — «крупный дворянин» («азнаური дид-дидни да зепурни дедани, азнаური да уззони сопласа картлисани мовидес, XVII₆ «зепурни дедани» — (XVII₆) «дамы царской или княжеской крови»; «**дидеба**» — «слава», «величие», «превосходительство» («дидебай чеми даамдабла, XVI₃₆); «**уаззони**» — (XVII₁₆) «несвободный», представитель угнетенного сословия; «**мсахури**» — «слуга», «раб» («моегебнен мас... мсахури мисни, II₄); «**епископоси**» — «епископ» (опископоси иги сахлиса мис питиахшиса, III₁); «**хуцеси**» — «священник» («хуцеси дедоплиса Шушаникиси, III₃₋₄); «**диакони**» — «дьяк» («моица чунда диакони шинайт, III₅); «**мгвдели**» — «священник», «жрец» («арца мгвделтагани винипова моцкалей, V₃₃); «**ерискаци**» — «светское лицо», «нецерковное лицо», «воин», «всадник»



(«арца ериса каци вин гамочнда шорис ертса амас», V₃₄); «**глахаки**» — «инвалид», «крестьянин», «нищий» («каци цодвили да глахаки есе», XII₃); «**мона**» — «раб», «невольник» («цармомарта садаспанойта цхенита монай твис», II₅); «**мона мхевали**» — «рабыня», «невольница» («мона царикванна цоли да швили да мона мхевалиса мисни», XVI); «**арадамонебули**» — «непорабощенный», «свободный» («арадамонебули арс дзмай» III₃₀); «**мсаджули**» — «судья» («цнаше мсаджулиса мис мжаджултайса», XVI₃₂); «**амбохи**» — «толпа», «народ», «волнение», «восстание», («да мовида цмидиса мис тана амбохи мравали дедибиса да мамебсай», IX₁₁); «**брдзола**» — «борьба», «бой», «война» («мовида питнахши брдзолиса мисган гонтайса», VIII₉); «**дацва**» — «охрана», «защита», «хранение» («дамицев сакмегаган мтерисата», XII₁₁); «**мцвели**» — «сторож», «охранник» («даадгина мцвели мис зеда», IX₁₃₁); «**сенакапани**» — сторож царя или правителя («убрдзана сенакапанса ертса», V₃₁).

Итак, дошедший до нас древнейший памятник грузинской литературы, — сочинение Иакова Цуртавели «Мученичество святой царицы Шушаник» заслуживает внимания с многих точек зрения; достопримечателен он также и как исток грузинских экономических и социальных терминов⁷.

⁷ Кроме литературы, указанной в примечаниях, мы использовали: Ив. Джавახишвили. Соч. т. VIII, 1977, под ред. М. Лорткиландзе, (на груз. языке); Его же. История грузинского народа, 1908, издание Туманишвили; К. Кекелидзе. Раннефеодальная грузинская литература, 1935; Его же перевод на русск. язык сочинения Цуртавели «Мученичество святой царицы Шушаники», Этюды из истории древней грузинской литературы, XII, 1974; А. Барамидзе, 1500-летний памятник, «Литературная Грузия» (на груз. яз.) 16 июля 1976 г.; Яков Цуртавели. Мученичество Шушаники, грузинский и армянский тексты издал и исследованием вариантами, словарем и указаниями снабдил Илья Абуладзе, 1938; Яков Цуртавели. Мученичество... Историческая хрестоматия грузинского языка, памятники X—V веков издал и снабдил табулами и словарем И. Мнашвили, 1953; М. Лорткиландзе. Грузинская историческая литература раннефеодальной эпохи (на груз. яз.). 1966; Н. Джанашиа. Мученичество Шушаник в грузинской исторической литературе, труды ТГУ, 165, 1975, (на груз. яз.); Вахтанг Челидзе. Письма. «Рамки», 1978, (на груз. яз.); Тамаз Чиладзе. Мученичество Шушаник. Яков Цуртавели, журн. «Цискари» № 5, 1977, (на груз. яз.).



ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

აპანი ციზინია

ფილოსოფია, მისი საბანი და პრობლემატიკა

I. სხვადასხვა თვალსაზრისები ფილოსოფიის საგნის შესახებ. 1. ცოდნის ამა თუ იმ დარგის საკვლევი ობიექტის ზუსტი დადგენა საიმედო ორიენტირია მეცნიერული კვლევის პროცესში. მისი ზუსტი მინიშნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფილოსოფიაში. ბევრი გაუგებრობა, რომელთაც ფილოსოფიურ კვლევა-ძიებაში ჰქონდა და დღესაც აქვს ადგილი, უმეტესწილად პირობადებულია იმით, რომ ფილოსოფიის კვლევის ობიექტი ზუსტად არ იყო ან არ არის გამოკვეთილი. ცხადია, ამიტომ ფილოსოფიის საკვლევი ობიექტის, ფილოსოფიის როგორც მეცნიერების ამოცანების, მისი პრობლემატიკის შემოსაზღვრა და ზუსტი მინიშნება განსაკუთრებულ ყურადღებასა და დამუშავებას მოითხოვს¹.

ფილოსოფოსთა დიდი უმრავლესობა უძველესი დროიდან დღემდე ფილოსოფიის *genus proximum*-ად მეცნიერებას თვლის. ამასთან ფილოსოფიის ავტონომიურობის აუცილებელ პირობად მიჩნეულია ფილოსოფიური კვლევის სპეციფიკური ობიექტის არსებობა. მაგრამ, თუ ამ საკითხებში ფილოსოფოსთა დიდ უმრავლესობას შორის აზრთა ერთიანობა არსებობს, სრულიად სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, როცა დაისმება კითხვა ფილოსოფიის კვლევა ობიექტის *differentia specifica*-ს შესახებ. მთავარი საკითხი, ამ შემთხვევაში, ისაა, თუ სად გატარდეს სადემარკაციო ზაზი სინამდვილის ფილოსოფიურ და კონკრეტულ-მეცნიერულ კვლევას შორის.

ცნობილია შემდეგი ფაქტი: ახალ დროში სინამდვილე, როგორც კვლევის ობიექტი, განაწილებული აღმოჩნდა სპეციალურ მეცნიერებებს შორის. ასეთ ვითარებაში სრულიად კანონიერად დაისვა კითხვა იმის შესახებ, თუ რა დარჩა ფილოსოფიის თავის საკვლევ ობიექტად. ფილოსოფიის საკვლევი ობიექტის შესახებ მრავალი სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ერთ-ერთი უძველესი დროიდან გავრცელებული თვალსაზრისი ფილოსოფიის საკვლევ ობიექტად თვლის ყოფიერებასა და მის არსებას. ზოგი ფილოსოფოსი ფილოსოფიის კვლევის ობიექტს გნოსეოლოგიური პრობლემებით შემოსაზღვრავს. ზოგი

¹ როცა ლაპარაკია ფილოსოფიის საკვლევი ობიექტის ძიებაზე, საკითხი უნდა დაისვას კონკრეტულად; ფილოსოფიურ მეცნიერებათა რიგში ჩვეულებრივ იგულისხმება გნოსეოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა და სხვ. როცა ფილოსოფიის საგნის შესახებ დაისმება კითხვა, ცხადია, არ იგულისხმება ამ უკანასკნელთა საგნის ძიება; მათი საკვლევი სფერო, ასე თუ ისე მინიშნებულია. ფილოსოფიის საგნის ძიება არსებითად ნიშნავს მარქსისტული ონტოლოგიის სტატუსისა და მისი საკვლევი ობიექტის შესახებ საკითხის დაყენებას. პრობლემა სწორედ ეს არის. იგი პრობლემად იმიტომ ვახდა, რომ ფილოსოფიის ასეთი დარგის არსებობის შესაძლებლობა, მრავალი სხვადასხვა მოსაზრებით, ეჭვის ქვეშ არის დაყენებული. სინამდვილე სხვადასხვა მეცნიერებებმა განაწილეს. რა დარჩა განაწილებული სინამდვილის მიღმა კიდევ საკვლევ ი? აი, როგორ დგება, საბოლოოდ, საკითხი. გამოვლინოთ რა ამ მოსაზრებიდან, ქვემოთ გამოთქმებს — „ფილოსოფიის საგანი“ და „ონტოლოგიის საგანი“ — ეიხმარტ ერთნაირი მნიშვნელობით (ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულად იხილეთ წინამდებარე სტატიის მე-6 პუნქტი).

ფიქრობს, რომ ფილოსოფიის ამოცანაა მეცნიერების მიერ დადგენილი კანონების შემდგომი განზოგადება. ფილოსოფოსთა ერთი რიგი ფილოსოფიის საკვლევ ამოცანად ღირებულებათა სფეროს მიიჩნევს². ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი ფილოსოფიის მთავარ საკვლევ ობიექტად ადამიანს მიიჩნევს. ფილოსოფოსთა დიდი ნაწილი, როგორც წარსულ, ისე თანამედროვე ფილოსოფიაში, ფილოსოფიის საგნად თვლის სამყაროს როგორც მთელს. ბევრი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ ფილოსოფიის შესწავლის ობიექტი, — განსხვავებით სპეციალური მეცნიერებებისაგან, რომლებიც შეისწავლიან პირობითსა და ბოლოვანს, — არის უპირობო და დაუბლოკვებელი. ზოგიერთი ფილოსოფოსი თვლის, რომ ფილოსოფია შეისწავლის არსისა და აზრის უზოგადეს პრინციპებს. კიდევ მრავალი სხვა თვალსაზრისი შეიძლება დასახელებულ იქნას ფილოსოფიის საგნის შესახებ, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

2. რა შეიძლება საერთოდ ითქვას ამ მოსაზრებათა შესახებ? ზოგიერთი კონცეფციით ფილოსოფიის საკვლევ ობიექტი არაკანონიერად ეწროვდება: — იგი შემოსაზღვრულია გნოსეოლოგიური, აქსიოლოგიური, სიცოცხლისა და ადამიანური ცხოვრების საზრისის³ პრობლემებით. ზოგი, ფილოსოფიურ და სპეციალმეცნიერულ კვლევას შორის ურთიერთობის არასწორი დამყარებით, უგულებელყოფს ფილოსოფიური პრობლემატიკის არსებობას და, მაშასადამე, აუქმებს ფილოსოფიას როგორც ცოდნის ავტონომიურ დარგს. ზოგიც კიდევ რამდენადმე ნათლად ვერ უთითებს ფილოსოფიის საკვლევ ობიექტს და ა. შ. ფილოსოფიის საგნის შესახებ ყველა ამ და სხვა მის მსგავს შეხედულებათა ნაკლოვანებანი აშკარაა. ჩვენ არ შევჩერდებით მათს გარჩევაზე. განვიხილავთ მხოლოდ ზოგიერთ გავრცელებულ თვალსაზრისს ფილოსოფიის საგნის შესახებ.

ა) ფილოსოფოსთა დიდი უმრავლესობა, როგორც აღინიშნა, ფილოსოფიის საგნად მიიჩნევს სამყაროს როგორც მთელს. ეს მოსაზრება ერთი შეხედვით ძლევს ფილოსოფიის საგნის შესახებ ზემოაღნიშნულ თვალსაზრისთა ნაკლოვანებას, მაგრამ მას ახალი სიძნელე და ბუნდოვანება შემოაქვს ფილოსოფიის საკვლევ ობიექტის დადგენაში და, ამიტომ თვითონ შეიცავს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებას. რაში მდგომარეობს ამ შეხედულების დედააზრი? სპეციალური მეცნიერებანი სწავლობენ სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს, სამყაროს, თუ შეიძლება ითქვას, ამათუიმ ნაწილს მამინ, როდესაც ფილოსოფია სწავლობს სამყაროს როგორც მთელს. რამდენად მართებულია ეს მოსაზრება? ამ შემთხვევაში საქმის ვითარება მეტად მარტივად არის წარმოდგენილი: რაღაც მთელის ნაწილებს სპეციალური მეცნიერებანი შეისწავლიან, ხოლო ამ ნაწილთა ერთიანობას — ფილოსოფია. ჩამდვილად კი საქმის ვითა-

² მაგალითად, ვინდლბანდის აზრით, ფილოსოფიამ თავისი „მეტაფიზიკური ენერჯია“ ამოწურა: სციენტოზმისა და პოზიტივიზმის მძლავრი დაწოლის შედეგად იგი გაითქვიფა ბუნებისმეტყველებაში. მისი ვადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ მისი კვლევის ობიექტად ჩავთვლით იდეალებისა და ზოგადსაყოველთაო პრინციპების (ღირებულებათა) სფეროს, რომლებიც არარსებობენ, მაგრამ „მნიშვნელობენ“.

³ ფილოსოფიის საკვლევ ობიექტის შემოსაზღვრა, ექვეთ, სიცოცხლისა და ადამიანური ცხოვრების საზრისის გარკვევით, იწიუებს იმ უეპველ კუმარტიკებას, რომ მათი საზრისის დადგენა შეუძლებელია სამყაროს უნივერსალური კონცეფციის გარეშე, და, რომ, მაშასადამე, სინამდვილის ზოგადი ფილოსოფიური კონცეფცია სიცოცხლისა და ადამიანის რაობის დადგენის აუცილებელი საფუძველია.

რება სრულებითაც არ არის ასე მარტივად. როდესაც ამბობენ, რომ ფიზიკა სწავლობს ფიზიკურ სინამდვილეს ან, ბიოლოგია — სიცოცხლეს, სრულიად გასაგებ დებულებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ექვემოტანულ ფაქტს გამოთქვამს: არსებობს ფიზიკური სინამდვილე ან ორგანული სამყარო როგორც ფაქტები, რომელთა შესახებ, ფიზიკის ან ბიოლოგიის სახით, არსებობს გარკვეული ცოდნა. სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ფილოსოფიის საგნად აცხადებენ სამყაროს როგორც მთელს. არის თუ არა სამყარო როგორც მთელი — ასეთივე ფაქტი? ვინც ოდნავ მაინც იცნობს ფილოსოფიური ცოდნის სპეციფიკას, მას არ შეუძლია ამ კითხვას დადებითად უპასუხოს. ფილოსოფოსი წინასწარ ვერ იტყვის იმას, რომ სამყარო არის მთელი. მან თვით ამ ფაქტს უნდა გამოუძებნოს საფუძველი; ფილოსოფიის დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს. ამასთან, აღნიშნული მოსაზრება ფარულად შეიცავს იმის საშიშროებასაც, რომ ფილოსოფია სამყაროს შესახებ სპეციალურ-მეცნიერულ ცოდნათა ჯამად იქნას წარმოდგენილი: ცნობილია, რომ მთელი არაა ნაწილთა მექანიკური ჯამი და, მაშასადამე ის, რაც ფილოსოფიას აინტერესებს სამყაროს, როგორც მთელის მიმართ არ იქნება მის ნაწილთა სპეციალურ-მეცნიერული კვლევის შედეგების მექანიკური ჯამი, არამედ — რაღაცა მეტი; იგი არ შევა ძალაში, სანამ კონკრეტულად არ იქნება დასახელებული ის „რაღაც მეტი“, რომელიც სამყაროს როგორც მთელის მიმართ ფილოსოფიას აინტერესებს. ამ უკანასკნელ გარემოებას კი, როგორც ჩანს, კვლავ სამყაროს როგორც მთელის საფუძველების მოთხოვნამდე მივყავართ⁴.

ბ) საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ფილოსოფია, განსხვავებით სპეციალური მეცნიერებისაგან, შეისწავლის სინამდვილის უზოგადეს კანონებსა და პრინციპებს. ეს მოსაზრება ყველაზე ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან, მაგრამ მისი არსი, სამწუხაროდ არ არის გაგებული და საქმის ვითარება, ძალზე ხშირად, დამახინჯებულადაა წარმოდგენილი. ზოგადად ეს უკანასკნელი გარემოება იმაში გამოიხატება, რომ ამ თვალსაზრისის მომხრეები ნათლად ვერ ავლებენ სადემარკაციო ხაზს სპეციალურ-მეცნიერული კვლევის ზოგადსა და ფილოსოფიური კვლევისათვის საინტერესო „უზოგადოესს“ შორის. ფილოსოფიისათვის საინტერესო „უზოგადესი“ უმრავლეს შემთხვევაში გაგებულია როგორც სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლევით მიღებული ზოგადის შემდგომი გენერალიზაციის შედეგი. რამდენად სწორია ეს მოსაზრება? სამყაროს სპეციალურ-მეცნიერულ კვლევას თავისი ობიექტი და ინტერესები გააჩნია. ამ კვლევის შედეგების განზოგადებამ, ჩვენი აზრით, არ შეიძლება გამოგვიყვანოს სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლევის ფარგლებიდან, გენერალიზაციის რა ხარისხთანაც უნდა გვქონდეს საქმე. თუ სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლევის ფილოსოფიური განზოგადება ასე იქნება გაგებული, უნდა ითქვას გადაჭრით, რომ ამგვარი მანუშლაციით ფილოსოფია ვერასოდეს მივა თავის საკუთარ მიზანთან. სად არის გამოსავალი? ამ შემთხვევაში, ნათლად უნდა იქნას პასუხი გაცემული შემდეგ კითხვაზე: რჩება თუ არა სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლე-

⁴ * მძიმე მდგომარეობა იქმნება მაშინაც, თუ მთელს ქვეშ ნაგულისხმევი იქნება არა მისი კატეგორიული გარკვეულობა — „სამყარო როგორც მთელი“, არამედ სამყარო როგორც ყველა არ-სებულთა ერთობლიობა — „სამყარო მთლიანად“. კვლევის ასეთი ობიექტი ადამიანური შემეცნებისათვის არ შეიძლება არსებობდეს.

ვის შემდეგ რაიმე ნაშთი, რომელსაც, თავისი სპეციფიკურობის გამო, იგი ვერ წვდება? ერთი სიტყვით, ფილოსოფიამ თავისი კვლევის სფერო და ამოცანები ზუსტად უნდა მიანიშნოს! მხოლოდ ეს უკანასკნელი მისცემს მას შესაძლებლობას გააკეთოს სწორი ორიენტაცია, თუ რა მიმართულებით უნდა აწარმოოს მან სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლევის შედეგების გამოყენება და განზოგადება: მხოლოდ ამ შემთხვევაში შეინარჩუნებს იგი თავის დამოუკიდებლობას ადამიანური ცოდნის სისტემაში. თუ ფილოსოფიამ კონკრეტულად ვერ მიგვანიშნა თავისი საკვლევი ობიექტი, მაშინ მას არა აქვს არავითარი უფლება, პრეტენზია განაცხადოს თავის სუვერენულ არსებობაზე.

გ) ამ სასიცოცხლო ამოცანის გადაწყვეტის მრავალი სხვადასხვა ვარიანტი წამოაყენა მეტაფიზიკურმა ფილოსოფიამ, მათი საერთო გამოსავალი პოზიცია შემდეგში მდგომარეობს: სინამდვილის სპეციალურ-მეცნიერული ცოდნით არ ამოიწურება ადამიანური ცოდნის არსენალი. თუ, მაგალითად, სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლევა ნიშნავს სინამდვილის მრავალსახიან საგნებსა და მოვლენებს შორის ყველა შესაძლებელი კანონზომიერი კავშირების დადგენას, დროსა და სივრცეში გაშლილი ემპირიული სინამდვილის კვლევას მიზნობრიობის პრინციპის საფუძველზე, ფილოსოფია სევამს კითხვას სამყაროს საზრისისა და არსების შესახებ: მას, — განსხვავებით სპეციალური მეცნიერებებისაგან, რომლებიც პირობითსა და ბოლოვადს შეისწავლიან, — აინტერესებს უპირობო და დაუბოლოვებელი⁵. როდესაც მეტაფიზიკური ფილოსოფია თავის ამოცანას ასე სახავს, მას მაშინვე უყენებენ კითხვას: რას ნიშნავს სამყაროს საზრისი და არსება? რას ნიშნავს უპირობო, დაუბოლოვებელი და როგორაა მისი კვლევა შესაძლებელი? რა რჩება კიდევ გამოსაკვლევი გარდა იმისა, რაც სინამდვილის სპეციალურ-მეცნიერულმა კვლევამ სამყაროს შესახებ მოგვცა? როცა მეტაფიზიკურ ფილოსოფიას ასეთი კითხვებით მიმართავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მას თავისი კვლევის ობიექტი ნათლად და, მამასადამე, დამაჯერებლად არა აქვს მითითებული.

მეტაფიზიკური ფილოსოფიის უმთავრესი ნაკლოვანება, რომელიც მას ახასიათებს თავისი საკვლევი ობიექტის შემოსაზღვრისას, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ძალზე აბსტრაქტულად მიანიშნებს მას. როდესაც მეტაფიზიკური ფილოსოფია ლაპარაკობს, რომ მან სამყაროს რაღაც უპირობო და დაუბოლოვებელი არსებობა უნდა იკვლიოს, ეს უკანასკნელი თავისი კონკრეტული შინაარსის უქონლობის გამო, ბუნდოვანი და გაურკვეველია. ამიტომ იგი ხშირად ხდება თავდასხმის ობიექტი. კვლევა-ძიების საგნის ასეთი აბსტრაქტული ფორმით წარმოდგენა დაედო საფუძველად. ალბათ, ფილოსოფიასა და ფილოსოფიური ცოდნის შესახებ იმ შეხედულებასაც, რომლის მიხედვითაც მან თითქმის ყველაფერზე უნდა ვასცეს პასუხი. ამ და სხვა მსგავსი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სამყაროს არსების გაგებაში მან კონკრეტული შინაარსი მოაქციოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფილოსოფიამ კონკრეტულად უნდა მიუთითოს იმ ფაქტებზე, რომელთა გამოკვლევასაც ის თავის მიზნად ხდის. ამ მხრივ სანიშნოა სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლევის

⁵ ფილოსოფიის საგნის შესახებ უკანასკნელი მოსაზრება უთუოდ შეიცავს რაციონალურ მომენტს, რომლის უგულვებლყოფა, ფილოსოფიის საკვლევი ობიექტის დადგენისას, შეუძლებელია; მაგრამ, როგორც ფილოსოფიის ისტორიიდან არის ცნობილი, ძველმა ფილოსოფიამ ვერ მოახერხა შექმნა უპირობო რეალობის ისეთი გაგება, რომ ის ფილოსოფიისა და, საერთოდ, მეცნიერული კვლევის ობიექტი გამხდარიყო.

მრავალგზის ნაცადი გზა: მოცემულია რაღაც ფაქტი, მოვლენა, რომელიც ახსნას საჭიროებს. ამ ჯერ კიდევ საფუძველუცნობი ფაქტის თუ მოვლენის ასახსნელად მიანიშნებენ რაღაც მეორე მოვლენას ან მოვლენათა რიგს (ამხსნელი პრინციპის სახით), რომელიც მის არსებობას აპირობებს და ამრიგად იქნება სპეციალურ-მეცნიერული ცოდნის მთელი სისტემა. საგანთა და მოვლენათა ახსნის ეს გზა საერთო და აუცილებელი უნდა იყოს ცოდნის ყველა სფეროსათვის (იქნება ის სპეციალურ-მეცნიერული თუ ფილოსოფიური ცოდნის სფერო). ერთი სიტყვით, მეცნიერებები ფაქტებს აგვიხსნიან. ფილოსოფიაც, — თუ ის მეცნიერებაა, არ უნდა იყოს გამონაკლისი ამ საერთო წესისაგან: მანაც რაღაც ფაქტები უნდა აგვიხსნას. რა ფაქტებს აგვიხსნის ფილოსოფია?

11. ფაქტები, რომლებსაც ფილოსოფია აგვიხსნის. ვ. ფილოსოფია უხსოვარი დროიდან არსებობს და დღესაც განაგრძობს არსებობას; იარსებებს იგი მომავალშიც, რა შიდაფრიც არ უნდა იყოს მის წინააღმდეგ პოზიტივიზმისა და სციენტინიზმის შეტევები. მის არსებობას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ადამიანის არსებაში. ამჯერად ჩვენი ინტერესის ობიექტს არ წარმოადგენს მისი არსებობის ანთროპოლოგიური ძირების ჩვენება. ჩვენ, ამ შემთხვევაში, ფილოსოფიის არსებობის ობიექტური პირობა გვაინტერესებს. ეს პირობა ისაა, რომ სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლევის შემდეგ რჩება ისეთი ფაქტები, რომელთა შესწავლას მხოლოდ ფილოსოფია კიდებს ხელს. რაში მდგომარეობს ეს ფაქტები?.

ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტი, რომელიც ადამიანს სამყაროსთან თავისი ცხოვრებისეული ურთიერთობისას თვალში ეცემა, არის ამ სამყაროს მრავალსახიანობა. არსებული გაშლილია დროსა და სივრცეში მრავალსახიანი მოვლენებით, საგნებით, პროცესებით და მათ შორის მრავალსახიანი ურთიერთობებით. ყოველ საგანს, მოვლენას, პროცესს, მათ შორის კავშირურთიერთობას თავისი ინდივიდუალობის დალი აზის. ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან თვისებრივად, რაოდენობრივად, შემადგენლობით, ფორმით, შინაარსით, სტრუქტურითა და ა. შ. ცოდნის თითოეული დარგი არსებულის ამა თუ იმ მხარეს, მომენტს, ნაწილს შეისწავლის მაგრამ რომელ მათგანს აინტერესებს თვითონ მრავალსახიანობის ფაქტი? ფიზიკას, მაგალითად, მრავალსახიან ფიზიკურ მოვლენებთან აქვს საქმე. იგი არკვევს საკითხს — რა არის მასა, სიჩქარე და ა. შ. ადგენს მათ შორის კავშირურთიერთობას, სწავლობს ენერჯიის სხვადასხვა სახეებს, ეძებს მათი მიმართების კანონზომიერებებს და ა. შ. იგივე ითქმის ცოდნის სხვა დარგთა შესწავლის ობიექტებზე. მოვლენათა მრავალსახიანობით განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიცოცხლისა და ადამიანური ცხოვრების სფერო. ბიოლოგია ცოცხალ არსებათა ათეულ და ასეულ ათასობით სხვადასხვა სახეობას ითვლის. გასაოცარია მრავალსახიანობა ადამიანთა გვარში: რამდენი მილიარდი ადამიანი დაბადებულა დღემდე, დაიბადება მომავალშიც, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის და არ იქნება სხვისი განმეორება. სამყაროს მრავალსახიანობის ამ გასაოცარი ფაქტის აღნიშვნა შეგვიძლია დავამთავროთ იმ ანეგდოტით, რომელსაც ჰყვებიან საფრანგეთის მეფის ასულის შესახებ. უკანასკნელმა, სამეფო კარზე ლაიბნიცის სტუმრობისას, თავის ხელქვეითებს დაა-

⁶ განსხვავებით სპეციალურ-მეცნიერული კვლევის ფაქტებისაგან, იმ ფაქტებს, რომლებსაც ფილოსოფია იკვლევს, ჩვენ ფუნდამენტურ ფაქტებს ვუწოდებთ. ფილოსოფიის საკვლევი ფაქტები ფუნდამენტური არიან იმიტომ, რომ მათი არსებობის საფუძველს, საბოლოოდ, არსებულის ფუნდამენტური ატრიბუტი — არსებობა წარმოადგენს.

ვალა მოექმნათ ორი სრულიად ერთნაირი ფოთოლი ყვავილნარში. სამეფოს კარის მთელმა შემადგენლობამ მთელი დღე იშრომა იმისათვის, რომ მეფის ასულის სურვილი დაემყარებინათ, მაგრამ ასეთი ორი ერთნაირი ფოთოლი სამეფო ბაღში არ აღმოჩნდა. ამ ანეგდოტისეულ ფაქტში ლაიბნიცმა არსებულისა და აზროვნების ერთ-ერთი მთავარი პრინციპის — „სხვაობის ანუ ერთნაირთა არარსებობის პრინციპის“ ემპირიული დადასტურება დაინახა.

როგორც ითქვა, სპეციალურ-მეცნიერული კვლევის ობიექტი სამყაროს მრავალსახიანი მოვლენებია. მაგრამ არცერთი სპეციალური მეცნიერება არ სვამს კითხვას თვით მრავალსახიანობის საფუძვლის შესახებ. ამ საკითხის დაყენება სამყაროს ფილოსოფიური კვლევა-ძიების დასაბამად უნდა მივიჩნიოთ.

მეორე ფუნდამენტური ფაქტი, რომელსაც ადამიანი სამყაროში ხედავს, — ესაა სინამდვილის მრავალსახიანი მოვლენების, საგნებისა და პროცესების ურთიერთკავშირისა და შორგებულობის ფაქტი; სამყარო ადამიანს წარმოუდგება როგორც წესრიგი და კოსმოსი. სამყაროზე როგორც ერთიან კოსმოსზე წარმოდგენა ჭერ კიდევ აღმოსავლეთის ხალხებში წარმოიშვა. მეცნიერული შეხედულება სამყაროზე, როგორც მოწესრიგებულ სისტემაზე ბერძნულ აზროვნებაში შეიქმნა, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, პერაკლიტე სამყაროს თვლიდა ერთიან, კანონზომიერ პროცესად. ქვეყნიერების კანონზომიერებას იგი ლოგოსს უწოდებდა. შემორჩენილია ფრაგმენტი, რომელიც ადასტურებს პერაკლიტეს შეხედულებას სამყაროზე, როგორც ერთიან, კანონზომიერ პროცესზე: „მზეს არ შეუძლია გადაუხვიოს მისთვის დაწესებულ გზას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას წამოეწვიან დიკეს (სამართლიანობის, წესრიგის ა. ც.) დარაჯები — ერინები და დასჯან მას წესრიგის დარღვევისათვის“ წესრიგი და კანონზომიერება ბატონობს ყველგან: ცაში და მიწაზე, აბორიგანულ და ორგანულ სამყაროში. სამყაროს მრავალსახიანი მოვლენების სიმბოლური ერთიანობა ადამიანის გონებას არასდროს არ გაუხდია საეჭვოდ. ის ვინც მის ობიექტურობას უარყოფს იძულებულია სუბიექტურ საფუძვლებზე დააფუძნოს მისი აუცილებლობა. ვინ უნდა ამოხსნას ამ ფაქტის საიდუმლოება?

სპეციალური მეცნიერებანი თავიანთ მიზნად ისახავენ დაადგინონ აუცილებელი კავშირები საგნებსა და მოვლენებს შორის, რომლებიც მათი კვლევის სფეროში არიან მოქცეულნი. ფიზიკას, მაგალითად, აინტერესებს დაადგინოს მყარი და უცვლელი ხასიათის კავშირთა ერთობანი ფიზიკურ მოვლენებს შორის. იგი არ კითხულობს იმას, თუ რატომ უნდა ახასიათებდეს ფიზიკურ რეალობას წერიგი და ლოგოსი. მზის სისტემის ყველა ცდომილი კეპლერის მიერ აღმოჩენილი კანონების მიხედვით გარემოიქცევიან მზის გარშემო, ასტრონომიას ეს კანონები აინტერესებს, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ემორჩილებიან პლანეტები თავიანთ მოძრაობაში გარკვეულ კანონზომიერებას, არ წარმოადგენს მისი ინტერესის ძირითად ობიექტს. ცხადია, უკანასკნელ შემთხვევაში საქმე ეხება კეპლერის კანონთა არა ფიზიკური მიზეზის ძებნას, რომელიც უთუოდ არსებობს მსოფლიო გრავიტაციის სახით, არამედ საერთოდ ამ მოვლენებს შორის მიზეზობრივი პრინციპის და, მაშასადამე, სამყაროში წესრიგის ფაქტის არსებობის გაპართლებას. თავის მხრივ, მსოფლიო გრავიტაციის კანონის არსებობას თავისი ფიზიკური მიზეზი ექნება და ა. შ. მაგრამ, ამ შემთხვევაში, საქმე ეხება პრობლემის არა ამ მხარეს, არამედ იმ ზოგადი დებუ-

3. „მაინ“ ფილოსოფიის... სერია, 1978, № 3

ლების საფუძველდებას, რომლის მიხედვითაც სპეციალურ-მეცნიერული კვლევა წარმოებს. ეს ზოგადი არის მიზეზობრიობის პრინციპი. უკანასკნელი სამყაროში არსებული ლოგოსისა და წესრიგის ერთ-ერთი გამოვლენაა და, საკითხი. საბოლოოდ, ეხება სამყაროსათვის ამ წესრიგის აუცილებლობის ჩვენებას. ეს პრობლემა კი, სამყაროს სპეციალურ-მეცნიერულ კვლევას განეხილება. და, აი, სწორედ, ფილოსოფია ამ ფუნდამენტურ ფაქტს — სამყაროს ლოგოსისა და კანონზომიერების ფაქტს იხდის თავისი კვლევის ობიექტად.

მესამე ფუნდამენტალური ფაქტი, რომელიც სამყაროსთან ურთიერთობაში ადამიანს თვალში ეცემა, არის ამ სამყაროს მარადიული ქმნადობა. როგორც ცნობილია, ფილოსოფოსები სხვადასხვანაირად აფასებდნენ ამ ფაქტს. ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი სამყაროს ქმნადობას მოჩვენებად აცხადებს. ის, რაც ქმნადობს, რაც მარადიულ ცვალებადობაშია, ის არც არსებობს; ხოლო ის, რაც არსებობს არ შეიძლება ცვალებადი იყოს. ამიტომ ცვალებადობა და ქმნადობა მიჩვენებაა. ეს აზრი ბერძნულ ფილოსოფიაში ასე მიზანშეწონილად პირველად პარმენიდემ გამოთქვა, იგი ფიქრობდა, რომ ნამდვილი არსი უცვლელი და მარადიულია. ბერძნული ფილოსოფიის მეორე დიდი წარმომადგენელი — ჰერაკლიტე სრულად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგა: სამყარო მარადიული ცვალებადობა და ქმნადობაა. მისი მოძღვრება ქვეყნიერების მარადიული ცვალებადობის შესახებ მისმა შემკვიდრებმა (კრატილი და სხვ.) ცალმხრივად განავითარეს და, საბოლოოდ, აბსურდამდე დაიყვანეს. შემდგომ, ფილოსოფიური აზრის განვითარების მაღალ საფეხურზე, ქვეყნიერების ქმნადობის იდეა ლოგიკურად მისაღებ ფორმაში ჩამოყალიბდა: არსებული ერთდროულად ორივე მომენტის — ქმნადისა და მარადიულის — ერთიანობად იქნა გამოცხადებული, როგორ ხსნიდნენ ამ ფაქტს ფილოსოფოსები? სხვა ფუნდამენტურ ფაქტებთან ერთად არსებულის ქმნადობის ფაქტი საფუძველდებას მოითხოვს. რატომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ არსებული დროის გარეშე; სხვანაირად, რომ ვთქვათ, რა აუცილებლობით ახასიათებს მას დროულობის ატრიბუტი? სამყაროს სპეციალურ-მეცნიერულ კვლევას აინტერესებს მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენა, ხოლო საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არსებობს დროული თანმიმდევრობა მოვლენათა შორის, რატომ არის სამყარო დროსა და სივრცეში განფენილი. — ამ კითხვაზე მას პასუხი არა აქვს; მასზე პასუხს მხოლოდ ფილოსოფია იძლევა.

ამრიგად, ჩვენ დავასახელებთ რამდენიმე ფუნდამენტური ფაქტი, რომელიც უთუოდ აქვთ ადგილი სამყაროში და რომელთა ბუნების გამოკვლევა სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლევის გარეთ რჩება. ზემოთ აღნიშნულის გარდა ჩვენ შეგვეძლო კიდევ რამდენიმე ანალოგიური ფაქტის დასახელება, რომლებიც სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლევის გარეთ რჩებიან. მაგრამ ზემოთ აღნიშნული სავსებით საკმარისია ჩვენი მოსაზრების მთავარი მიმართულების მისანიშნებლად. მამასადამე თუ ფილოსოფიის ამოცანას წარმოადგენს სამყაროში არსებული ფუნდამენტური ფაქტების საფუძველდება, მაშინ როგორ შეიძლება განისაზღვროს იგი როგორც მეცნიერება?

4. სანამ ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს, ჩვენ ვფიქრობთ, საქმისათვის სასარგებლო იქნება მოკლედ შევიჩრდეთ შემდგომ ორ საკითხზე: 1. რამდენად კანონიერია ჩვენ მიერ დასახელებული სამყაროს ფუნდამენტურ ნიშანთვისებათა საფუძველდების მოთხოვნა? 2. როგორ წყვეტენ ამ პრობლემას ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში? იქნებ არსებულის ფუნდამენტურ ნიშან-თვის-



სებათა საფუძველდების მოთხოვნა სრულებითაც არაა კორექტული და ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ფილოსოფოსები მიმართავენ ქვეყნიერების არსებზე დაშვებისას. რა გზაზეა ამ შემთხვევაში, ლაპარაკი? ქვეყნიერების არსებზე როცა ლაპარაკობენ ფილოსოფოსები უთუოდ გულისხმობენ მის უსაფუძველობას, და ეს საესებით ბუნებრივია: არხეს საფუძველის ძიება თვით მასვე აუქმებს. გავარჩიოთ საკითხი უფრო კონკრეტულად. როცა მეცნიერებაში ლაპარაკობენ რაიმე ფაქტის ახსნაზე, ჩვეულებრივ გულისხმობენ, რომ არსებობს რაღაც გარკვეული პირობები სხვა ფაქტების სახით, საიდანაც მოცემული მოვლენის არსებობა გამომდინარეობს. როდესაც რაიმე ფაქტის არსებობის ასეთი პირობება მიგნებულის, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული მოვლენა შემეცნებულის, მისი ახსნა განხორციელებულია. შეიძლება თუ არა არსებულის (არხეს) ახსნაზე ასეთივე აზრით ვილაპარაკოთ? როდესაც ლაპარაკია არსებულზე თავისი ფუნდამენტური ნიშან-თვისებით — არსებობით, ჩვენ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ შემთხვევასთან⁷. ერთადერთი „ფაქტი“, რომლის სხვა რაიმესაგან გამოყვანა შეუძლებელია, არის არსებული თავისი არსებობით. უპირობო არსებული არაფერთან არ არის მიმართებაში; მის გარეთ აღარაფერი არსებობს, რაც მისი შემოსაზღვრელი იქნებოდა და, მაშასადამე, მისი განხილვა სხვა ფაქტების კუთხით შეუძლებელია. ამიტომ, მისი ახსნა და საფუძველდება, ზემოაღნიშნული აზრით, ყოველგვარ გონიერულ საფუძველსა მოკლებული. სწორედ ეს არსებითი ხასიათის გარემოება აქვს მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როცა ამტკიცებს, რომ ფილოსოფიური მატერიალიზმი თავის თეორიას შეგნებულად უდებს რწმენას უპირობო რეალობის — მატერიის — არსებობის შესახებ⁸. აქ აღნიშნული ვითარება, ალბათ, სრულიად გასაგებს ზღის იმ პოზიციას, რომელიც სამყაროს ფილოსოფიურმა კვლევამ უნდა დაიჭიროს არსებულის არსებობის საფუძველის მიმართ: ფილოსოფია არ ეძებს არსებულის არსებობის საფუძველს; ფილოსოფიამ უთუოდ არსებულის არსებობის პოსტულაციით უნდა დაიწყოს. ყველაფერი ეს დღესათვის ნათელია. ჩვენთვის საინტერესო პრობლემა ამის შემდეგ დგება. არის თუ არა ფუნდამენტურ ფაქტთა საფუძველდების მოთხოვნა კანონიერი? ამ კითხვაზე ფილოსოფოსთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ ფილოსოფია უნდა დაკმაყოფილდეს სამყაროს ფუნდამენტურ ფაქტთა კონსტატაციით და მან თავისი ამოცანები უნდა შემოსაზღვროს მათი (ამ ფაქტთა) უპირობო აღწერით. ამ შემთხვევაში გარკვეულად არ მიუთითებენ იმ საფუძველს, რომლის ძალითაც ეს ასე უნდა იყოს. ფილოსოფოსთა მეორე ჯგუფის მიერ ფუნდამენტური ფაქტების საფუძველების მოთხოვნა არაკანონიერად არის გამოცხადებული და, ამ შემთხვევაში, გარკვეულ საფუძველსაც მიუთითებენ. ამ მხრივ საინტერესოა კანტისა და პოზიტივისტური ფილოსოფიის თვალსაზრისი. ცდის კანტისეული თეორიის თანახმად, მაგალითად, ისეთი ფუნდამენტური ფაქტები, როგორცაა მოვლენათა მრავალსახიანობა და სამყაროს კანონზომიერი ხასიათი, სრულებითაც არ არის პრობლემატული მიჩნეული. კანტისათვის კითხვა — რატომ არ შეიძლება ბუნება სხვანაირად არსებობდეს — არაკანონიერია. ანალოგიურ თვალსაზრისს იცავს მთელი პოზიტივისტური ფილოსოფია. უკანასკნელის მიხედვით, კითხვა — რატომ არის ემპირიული სამყარო მრავალსახიანი —

⁷ სწორედ ამ განსაკუთრებულობის გამო აცხადებდა კანტი უპირობო რეალობის შემეცნებას შეუძლებლად.

⁸ იხ. ვ. ი. ლენინი. მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თავი I, § 3.

კანონომიერი ან ქმნადი მეტაფიზიკური კითხვაა. კიდევაც რომ დავუშვათ ამგვარ ფაქტთა არსებობა, მათი საფუძვლის ძიებას ემპირიულ სინამდვილეში არავითარი აზრი არა აქვს. ამ მოსაზრებას დიამეტრალურად უპირისპირდება ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას გენერალური ხაზი, რომლის მიხედვითაც ფუნდამენტურ ფაქტთა საფუძველდება საცხებით კანონიერ მოთხოვნად არის მიჩნეული. ამის გარეშე არავითარი ფილოსოფიური ცოდნა სამყაროს შესახებ არ იარსებებდა⁹.

მართლაც, თუ ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ ყოველი ონტოლოგიური სისტემის უმთავრესი მიზანია არსებულის ფუნდამენტურ ნიშანთვისებათა საფუძველი აჩვენოს არხეში. ყოველი პირველსაწყისი ამ მიზნით არის შერჩეული ყველა ონტოლოგიური სისტემაში. მიერ. რატომ არის არსებული მრავალსახიანი, ერთიანი, კანონზომიერი, ქმნადი და ა. შ.? ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დასაბუთდეს ის გარემოება, რომ არსებული არის სიმრავლე და სხვანაირად არ შეიძლება იყოს; რომ იგი, იმავე დროს, არის ერთიანობა და სხვანაირად არ შეიძლება იყოს და ა. შ. ეს პრობლემა კანონიერ პრობლემადაც რომ ითვლებოდა ყველა ონტოლოგიურ სისტემაში, ამას თვით მათი ისტორია ადასტურებს. ფილოსოფიის ისტორიიდან ზოგიერთი ტიპური მაგალითის მოყვანით ჩვენ პასუხს გავცემთ აგრეთვე ამ პუნქტის დასაწყისში დაყენებულ მეორე კითხვასაც: რას გვეუბნება ეს ისტორია?

5. ფილოსოფოსები არსებულისათვის დამახასიათებელი ფუნდამენტურა ნიშანთვისებების ასახსნელად მიმართავდნენ სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთისადაღმის სრულიად საპირისპირო პირველსაწყისებს, მაგრამ მიზანი საცხებით ერთი იყო. ამასთან ყველა ონტოლოგიურ სისტემაში ფუნდამენტურ ფაქტთა აჩსნელ სხვადასხვა პირველსაწყისის ერთი საერთო პირობა უნდა დაეკმაყოფილებინა: პირველსაწყისი უპირობო და, მაშასადამე, ყოველგვარ განსაზღვრულობაზე (სასრულობის) მაღლა უნდა მდგარიყო. სწორედ, აქ დაისმება ყველა ონტოლოგიური სისტემისათვის გვერდაუქცეველი საკითხი: როგორაა შესაძლებელი ქვეყნიერების უპირობო და, მაშასადამე, ყოველგვარ განსაზღვრულობათა მაღლა მდგომი პირველსაწყისიდან სამყაროსათვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ფაქტების გამოყვანა? დღემდე არსებულ ონტოლოგიურ სისტემათა შორის რომელმა მათგანმა შეიღო ამ პრობლემის გადაწყვეტა?

ქვეყნიერების უპირობო საწყისის იდეა ევროპულ ფილოსოფიაში პირველად მიღეთის ნატურფილოსოფიურ სკოლაში დაიბადა. ამ იდეამ თავისი ნათელი გარკვეულობა ელევთა მეტაფიზიკაში, კერძოდ, არისი პარმენიდესეულ იდეაში ჰქოვა. პარმენიდეს არისი არის უპირობო, ერთი, უცვლელი, უძრავი. როგორ უნდა აჩსნას ემპირიული სინამდვილე ამგვარი არისით? ამ იდეამ, სოკრატული სკოლის გავლით, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიაში მიიღო დასრულებული სახე. როგორ წყვეტს პრობლემას თვითონ პლატონი? დიალოგ „პარმენიდეში“, პლატონმა ნათლად მიუთითა განსაზღვრულობათა

⁹ ჩვენ შევეძლო აქ მივეთითებინა იმ ფილოსოფოსთა კიდევ ერთ კატეგორიაზე, რომელთაც ნათლად არა აქვთ გაცნობიერებული საერთოდ ფუნდამენტურ ფაქტთა საფუძველდების სასიცოცხლო მნიშვნელობა სამყაროს შესახებ ფილოსოფიური ცოდნის არსებობის საქმეში და, ბურჟუაზიულ მოდერნიზმში, ბრძანდ მიყვებიან სხვათა ფეხის ხმას ისე, რომ არც კი იციან, თუ რას შეისწავლის ფილოსოფია.

მალა მდგომი აბსოლუტური ერთის შეუძლებლობა. აბსოლუტური ერთი სიმრავლის გარეშე და სიმრავლე ერთის გარეშე შეუძლებელია. რა არის ამით ნათქვამი? ამით, უბრალოდ, იმ ფაქტის კონსტანტაცია მოხდენილი, რომ არსებული არის ერთისა და მრავლის ერთიანობა. მაგრამ თვით ფაქტი აუხსნელი რჩება. პლატონმა თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში იგრძნო ამ ფუნდამენტური ფაქტის ახსნის აუცილებლობა. ნამდვილი არსებობა იდეას (ერთს) აქვს და, თუ ეს ასეა, დაისმება კითხვა: რისთვის ან რატომ ქირდება ნამდვილად არსებულს არანამდვილი არსებობა — სიმრავლე საგნებისა, — ამ კითხვაზე პლატონს არსად მოეძებნა დაამაჯრებელი პასუხი; უფრო მეტი: ამ პრობლემის სიმწელე განსაკუთრებული რელიეფურობით თვით იდეათა სამყაროში გამოიყოფა. იდეები მრავალია. რით და როგორ ავსნათ იდეათა სიმრავლე? იდეათა გამართიანებელ ძალას პლატონი სიკეთის იდეაში¹⁰ ხედავს. იდეათა პირამიდის თავში მდგომი სიკეთის იდეა არის ერთი. აი, სწორედ, ახლადგება მთავარი საკითხი: რა ძალა ულის ამ ერთს მრავალ იდეებად? ამ კითხვაზე პასუხი წარმოუდგენლად ძნელდება¹¹: სიკეთის იდეისადმი დაქვემდებარებული ცალკეული იდეის ემპირიულ სიმრავლედ გამოვლენა ერთგვარად გასაგებია, რამდენადაც უკანასკნელი არის ნაერთი ელემენტა მეტაფიზიკაში მითითებულა ნამდვილი არსისა დაარაარსი. მაგრამ როგორ გაჩნდა არაა „ნამდვილ სინამდვილეში“ — იდეათა სამყაროში? სხვანაირად, რომ ვთქვათ, იდეათა სიმრავლის ფაქტი სრულიად აუხსნელი რჩება პლატონთან. ცხადია, როცა იდეათა სიმრავლის ფაქტი საფუძველდების გარეშე რჩება, ზედმეტია ვილაპარაკოთ იდეათა კავშირის (მასში გაბატონებული წესრიგის) ამხსნელი პრინციპის შესახებ. იმავე ბედს იზიარებენ ამ პრობლემების გადაწყვეტისას არისტოტელე¹², ნეოპლატონიკოსები¹³ და საერთოდ მთელი შუა საუკუნეების თეოლოგიური ფილოსოფია.

საინტერესოა ჰეგელის თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით. ჰეგელი თავისი წინაპრებისაგან იღებს აბსოლუტური პირველწყისის იდეას. ასეთ საწყისად მას სპეკულატიური ცნება მიიჩნია. მთელი სინამდვილე, ჰეგელის აზრით, არის სპეკულატიური ცნების გაშლა. როგორ იშლება ერთი — წმინდა ცნება სიმრავლედ? რა აიძულებს აბსოლუტს დაიშალოს მრავალსახიანობად? ჰეგელი დაბეჭითებით იცავს იმ თვალსაზრისს, რომ აბსოლუტი არის მრავალგანსაზღვრულობათა კონკრეტული ერთიანობა, ერთისა და სიმრავლის ერთიანობა.

¹⁰ აქ ნათლად ჩანს პლატონის მეტაფიზიკური ნაზრცვის ეთიკური ძირი. პლატონი ეთიკურით მიდის მეტაფიზიკურთან. ნაღვრულ კი, პირიქით უნდა იყოს.

¹¹ პლატონის ფილოსოფიის აქ თავისი საკუთარი რესურსები არ ყოფნის და ნოზიზარს პოთაგორელების რიცხვთა მეტაფიზიკას. პოთაგორელებსაგან ნასესხები საზღვრის ცნებთ ცდილობს პლატონი სიკეთის იდეად გამოიყვანოს რდეთა სიმრავლე. აქ კი, უფრო მსტიკისათან გვაქვს საქმე, ვიდრე საკითხის დამაჯრებელ გადაწყვეტასთან.

¹² რომ არადფერი ვთქვათ იმის თთობაზე, რომ კავშირი დორმასა და მატერიას შორის არისტოტელეს ნაზრცეში სრულიად გაუჯღბარ ჩანს, თვით დორმთა სიმრავლე, რომელთაც გარკვეულობა შეაქვთ პირველმატერიასი, ყოველგვარი სდუჯღლდების გარეშე დგას. რატომ იშლება დორმის დორმა სიმრავლედ? ონტოლოგიის ამ ცენტრალურ კითხვაზე არისტოტელეს დამაჯრებელი მეცნიერული პასუხი არ გააჩნია.

¹³ ერთი, ლეთაება, მავალითად, პლტონთან, როგორც აბსოლუტი, ყოველგვარ განსაზღვრულობათა მიღმა დგას. ერთიდან ზდება სამყაროს ემანაცია. რა აუცილებლობა აიძულებს ერთს გამოუშვას თავისი თვისაგან სიმრავლე? რატომ სჭირდება უპრობოს — პრობითი, დმერტს — ემპირიული სინამდვილე? აი, უძნელესი კითხვა, რომელსაც დამაჯრებელი პასუხის გარეშე ტოვებს ნეოპლატონიზმი და მთელი თეოლოგიური ონტოლოგია.

მაგრამ მან კარგად იცის, რომ ამ ვითარების აღიარება ბევრს არაფერს ნიშნავს. სინამდვილე, როგორც ერთისა და სიმრავლის ერთიანობა, ჰეგელამდე დიდი ხნით ადრე აღმოჩენილი ფაქტია. მთავარი საქმე ის არის, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ ამ ფაქტის საფუძველდება. რა აიძულებს ცნებას გახდეს მრავალგანსაზღვრულობათა ტოტალობა? იმისათვის, რომ ჰეგელმა ახსნას ერთის მრავლად არსებობის ფაქტი, იგი სპეკულატურ ცნებას თავის თავისაგან გაორების უნარით აღჭურავს. მაგრამ, თუ საქმის ვითარებაში ღრმად ჩავიხედავთ, აღმოჩნდება, რომ ეს სრულებითაც არაა პრობლემის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა. იდეაში სწორედ ნეგატიური მომენტის ანუ სიმრავლის ფაქტია ასახსნილი. როგორც კი ჰეგელი ამას შეეცდება იგი მისტიკაში ვარდება: ერთის თვითმობრლობას, სიმრავლეს, წინააღმდეგობას რაღაც „გაუგებარი ძალით“ სხნის. კიდევ უფრო გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება ჰეგელი, როცა იგი წმინდა იდეის სფეროდან ბუნების სფეროში გადაინაცვლებს. ბუნება — სასარულოთა სამყარო, ჰეგელის აზრით, არის აბსოლუტის — სპეკულატური ცნების „სხვად ყოფნა“. რა მიმართება არსებობს მათ შორის? აბსოლუტი თავისი მოწოდების სიმალლეზე რომ დარჩეს, მისგან შესაძლებელი უნდა იყოს ემპირიული სინამდვილის მთელი მრავალფეროვანების (სიმრავლის) დედუქცია. როგორ გამოვიყენოთ სპეკულატური ცნებიდან ინდივიდუალური საგნები? როგორ მადებს აბსოლუტი თავისი თავისაგან ბუნებას — ემპირიულ სინამდვილეს?¹⁴ ჰეგელის პასუხი ამ უმთავრეს კითხვაზე სრულიად არადამაჯერებელია. ჰეგელი ფიქრობს, რომ ღმერთი მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როცა იგი არის არა აბსტრაქტული საყოველთაოობა, არამედ კონკრეტული ერთიანობა თავისი თავისა თავის სხვასთან — ბუნებასთან, ემპირიულ სინამდვილესთან, თუ საქმის ვითარებას ღრმად ჩაეწყვიდებით, აღმოჩნდება, რომ ჰეგელთან მთავარი სიძნელე სრულყოფილად არ არის გადალახული. საკითხი სწორედ იმის დამტკიცებას ეხება, თუ რატომღაც საყოველთაო მრავალგანსაზღვრულობათა ერთიანობა და, მაშასადამე, რატომღაც, რომ აბსოლუტი არსებობას აძლევს მისგან განსხვავებულს — ბუნებას¹⁵. სწორედ ის აუცილებლობა, რომელც, ამ შემთხვევაში, მოქმედებს და საყოველთაოს მის სხვასთან ერთიანობაში წარმოგვიდგენს, უნდა იყოს ის ძირი, რომლითაც, საბოლოოდ, ყველაფერი არის განსაზღვრული. ერთი სიტყვით, ჰეგელს თავის ონტოლოგიურ სისტემაში მართოდენ ფაქტის კონსტანტაციას ახდენს მაშინ, როცა საქმეა თვით ამ ფაქტის საფუძველ-

¹⁴ „რა გზით მიდის საყოველთაო თვითგარკვეულობამდე? როგორ გამოდის დაუბოლოებელი თავისთავიდან, რომ მივიღო დაბოლოებულობამდე? კონკრეტულ ფორმაში საკითხი ღებულობს შემდეგ ფორმულურებას: — როგორ მივიღო ღმერთი იქამდე, რომ შექმნა სამყარო?“ — წერს ჰეგელი ამ საკითხთან დაკავშირებით (იხ. თხზ., ტ. II, გვ. 18—19).

¹⁵ ეს უმთავრესი ნაკლოვანება, რომელიც ძირშივე ანგრევს ჰეგელის მთელ ჩანაფიქრს, დამახასიათებელია გერმანულ კლასიკური ფილოსოფიის ყველა წარმომადგენლისათვის. ასე, მაგალითად, ფიხტეს აბსოლუტური მე უფთოდ მოითხოვს არა—მე—ს. მაგრამ საფუძველი, იმ აუცილებლობისა, რას გამოც მე და არამე ერთიანობაში უნდა იყენენ, ფიხტესთან, სრულიად ვურკვეველი რჩება. ფიხტეს Anstoss-ის ცნება მისტიკური ბურჟუაზია მოცული. იგივე შეიძლება ითქვას შელინგის ონტოლოგიურ სისტემაზე. აბსოლუტური, ღმერთი არის ყველაფერი. როგორც აბსოლუტი. ის აერთიანებს თავის თავში ყველაფერს. სად არის სიმრავლის ძირი ღმერთში? ღმერთი არის თავისი თავის სურვილი, თავისი თავის გახსნა. ეს სურვილია არის დაუბოლოებელი. ამიტომ ღმერთი არის სიმრავლე. მივიღოთ, რომ ეს ასეა. ამის შემდეგ დაიპის მთავარი კითხვა: რა არის საფუძველი იმისა, რომ ღმერთით არის სურვილი თავისი გახსნისა და, მაშასადამე, სიმრავლე. ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი შელანგს არ აქვს.

დება, ჰეგელის გამოთქმები — „აბსოლუტი განესხვისება თავის თავს“, „აბსოლუტი გამოავლენს თავის თავს ბუნებაში“ და ა. შ. — მხოლოდ არადრის-მეტყველი მეტაფორებია. ის, რაც ითქვა აღნიშნული პრობლემის ჰეგელისეულ გადაწყვეტაზე, თავის ძალას ინარჩუნებს ყველა იდეალისტურ-ონტოლოგიური სისტემის მიმართ.

უკეთეს მდგომარეობაში არც მარქსამდელი მატერიალიზმია, რომლის მიხედვითაც სამყაროს პირველსაწყისი არის მატერია. ამ შემთხვევაშიც უმთავრესი სიძნელე კვლავ იმავე მიმართულებით იჩენს თავს: მატერია, თუ ის პირველსაწყისია უნდა იყოს უპირობო და უსაფუძვლო; მატერია როგორც პირველსაწყისი, თავის თავში უნდა შეიცავდეს თავის განსაზღვრულობათა საფუძველს. რა არის ეს საფუძველი? ბოლომდე მოფიქრებულმა არსის თეორიამ, უწინარეს ყოვლისა, ამ მთავარ კითხვას უნდა უპასუხოს. იძლევიან თუ არა დღემდე არსებული მატერიალისტურ-ონტოლოგიური თეორიები ამ კითხვაზე დამაჯერებელ პასუხს? ანაქსიმანდრეს განუსაზღვრელიდან, მაგალითად, გაუგებარია როგორ გამომდინარეობს სიმრავლე მოვლენებისა. სწორედ ამიტომ არის, რომ პირველი ბერძენი მატერიალისტები პირველსაწყისს გასულიერებულ არსებად გააზრებენ. საქმის ვითარება ძალზე რთულდება დემოკრიტეს ატომისტიკაში: ატომები შინაგან აქტიუბას (როგორც ცნობილია პლოტინოზში უარყო დემოკრიტემ) მოკლებულნი არიან, — ასეთ ვითარებაში სრულიად გაუგებარი ჩანს საგნებისა და მოვლენების მრავალფეროვნება. ამიტომაც დაჭირდა შემდგომ ბერძნულ აზროვნებას შემოეტანა აქტიური საწყისის ცნება ანაქსაგორას ნუსის სახით, ბევრ საკმაოდ ღრმად მოფიქრებულ მატერიალისტურ-ონტოლოგიურ სისტემაში მატერიას როგორც სამყაროს პირველსაწყისს თვითაქტიუბის ხიშანი მიაკუთვნეს. ამით თითქმის გასაგები გახადეს სამყაროს მრავალფეროვნების ფაქტი. რამდენად სწორია პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა? ამ თეორიებში თვითაქტიუბა როგორც მატერიის ატრიბუტი, უბრალოდ პოსკულირებულია. უკანასკნელი გარემოება ამ თეორიათა არსებითი ნაკლოვანებაა.

შეიძლება თქვან, რომ ეს ნაკლოვანება მართლაც ახასიათებს მარქსამდელ მატერიალისტურ თეორიებს, მაგრამ არ ახასიათებს დიალექტიკურ მატერიალიზმს, რამდენადაც უკანასკნელი მატერიის თვითმოძრაობის უბრალო პოსტულაციას კი არ ახდენს, არამედ უთითებს იმ წყაროზე, რომელიც მოძრაობას იწვევს. ასეთი წყარო არის შინაგანი წინააღმდეგობა. რა შეიძლება ითქვას ამ მოსაზრების შესახებ? ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა ვიყოთ ჰეგელის ბრმა მიმდევრები, ჩვენი ღრმა რწმენით, სამყაროს წინააღმდეგობრივი ბუნება თვითონაა ფაქტი, ერთ-ერთი ნიშანთაგანი, რომელიც ახასიათებს არსებულს; მას თვითონ ჭირდება საფუძველდება. ჰეგელმა წინააღმდეგობა აღიარა სულის თვით-მოძრაობის წყაროდ, მაგრამ მას არსად არ დაუმტკიცებია, თუ რატომ უნდა იყოს არსებული წინააღმდეგობრივი ბუნებისა. როგორც კი ჰეგელი შეეცდება მისი აუცილებლობის ძირზე მიუთითოს, იგი მისტიკაში ვარდება და საშველად აბსოლუტის „გაუფრანარ ძალას“ მოუხმობს.

კიდევ უფრო დიდ სიძნელეს შეიცავს მარქსამდელი მატერიალიზმის ონტოლოგიურ თეორიებში ქვეყნიერების ლოგოსის პრობლემა. იდეალისტურ ონტოლოგიურ თეორიებში ნუსს მოყავს ერთიანობაში მრავალსახიანობა და სი-

¹⁶ ნუსის როგორც ქვეყნიერების ერთიანობის განსაზღვრელი პრინციპის, შემოტანით იდეალიზმი გარდუვალი დუალიზმის წინაშე დგას. ნუსისა და მატერიის კავშირი სრულიად გაუგებარია

ნამდვილე წარმოდგება როგორც ერთიანი და კანონზომიერი¹⁶. მატერიალიზმი-სათვის ნუსი. როგორც სამყაროს მომწესრიგებელი პრინციპი, მიუღებელია. მაშინ რა ძალას მოყავს სამყაროს მრავალსახიანი მოვლენები და საგნები ერთი მეორესთან სიმბიოზურ ერთიანობაში? რატომ არის სინამდვილე კანონზომიერებისა და წესრიგის მქონე? იმის თქმა, რომ საგნებისა და მოვლენების ერთიანობა მათი საერთო სუბსტრატით — მატერიით არის პირობადებული, სრულებითაც არაა პრობლემის დამაჭერებელი გადაწყვეტა. საგნებისა და მოვლენებისათვის მართლაც არის საერთო მათი სუბსტრატი — მატერია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, თითქოს საერთო სუბსტრატის მქონე საგნები და მოვლენები ერთმანეთთან სიმბიოზურ კავშირში მოექცნენ¹⁷. ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს შემდეგი: შეუძლებელია იმის თქმა, რომ დღემდე არსებული ონტოლოგიური თეორიები არ იცნობენ სამყაროს ფუნდამენტურ ფაქტებს და არ ესმით ფილოსოფიისათვის მათი საფუძველდების სასიცოცხლო მნიშვნელობა. პირიქით, ყოველი ონტოლოგიური სისტემა, რომელიც თავის კვლევას საგნად აცხადებს სინამდვილეს, მთელ თავის მეცადინეობას ზემო აღნიშნული ფაქტების ახსნისაკენ წარმართავს. მაგრამ ამ ფაქტების საფუძველდებისათვის ზოგი ზებუნებრივ ძალას უხმობს, ზოგი კი მათი უბრალო კონსტატაციით კმაყოფილდება. სხვათადაც ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფაქტთა ამხსნელი ჭეშმარიტი პრინციპი სწორად არ არის მიგნებული; ხოლო იქ, სადაც ის მიგნებულია, მისი რაობა დამახინჯებულად არის წარმოდგენილი¹⁸. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ გვაქვს სრული უფლება პასუხი გავცეთ კითხვას, რომელიც მე-3 პუნქტის ბოლოს იქნა დაყენებული.

III. ფილოსოფიის საგნისა და დეფინაციის შესახებ. 6. ზემოთ ნათქვამიდან, პირველ რიგში ერთი არსებითი მნიშვნელობის ვითარება ირკვევა: სამყაროს სპეციალურ-მეცნიერული კვლევის შემდეგ უთუოდ რჩება გარკვეული რიგი ფაქტებისა, რომელთა საფუძველდება კერძო მეცნიერებათა კომპეტენციის გარეშე რჩება. ვინ უნდა მოკიდოს ხელი ამ ფაქტების შესწავლას? ერთი გარეშობა, ამ შემთხვევაში ნათელია: არავინ არ დაობს იმის შესახებ, თუ რას შესწავლის ეთიკა, ესთეტიკა, გნოსეოლოგია და სხვა ფილოსოფიური მეცნიერებანი, მათი კვლევის საზღვრები ასე თუ ისე ცნობილია; ამ მიმართულებით გაურკვეველი მდგომარეობა ონტოლოგიაში გვაქვს, მისი საკვლევი ობიექტის დადგენა უძნელეს პრობლემად რჩებოდა და რჩება დღესაც. მაგრამ, სანამ ამ საქმეში რაიმე სინათლეს შევიტანდეთ, უწინარეს ყოვლისა, პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: იქნებ ონტოლოგია სრულებითაც არაა კანონიერი მეცნიერება და, მაშასადამე, უნდა განიდევნოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა ოჯახიდან?

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე კონკრეტულად დგება შემდეგი საკითხი: არის თუ არა კანონიერი მარქსისტულ ფილოსოფიაში ვილაპარაკოთ ონტოლოგიაზე როგორც ფილოსოფიის ერთ-ერთ და თანაც უმთავრეს ნაწილზე? ჩვენს, ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამ საკითხის გარშემო ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრი არსებობს. ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი უარყოფს ონტო-

ჩანს იდეალისტურ ონტოლოგიურ თეორიებში (პლატონი, არისტოტელე, პლოტინი, ჰეგელი და სხვ.).

¹⁷ ამ ნაკლოვანებას საყვებით გაიზიარებს იდეალიზმიც, რომელიც ქვეყნიერების სუბსტრატად იდეალურს აღიარებს.

¹⁸ ჩვენ მხედველობაში გვაქვს შოპენჰაუერისა და ედ. ჰარტმანის ონტოლოგიური თეორიები.

ლოგის როგორც ფილოსოფიის მთავარი ნაწილის არსებობის კანონიერებას მარქსისტულ ფილოსოფიაში და თვლის, რომ ამგვარი შესაძლებლობის დაშვება შეიცავს ბუნებისმეტყველებისადმი ნატურფილოსოფიური მიდგომის საშიშროებას; ამასთან, ამ თვალსაზრისის მომხრეთა¹⁹ მიხედვით საკითხი, საბოლოოდ, ასე უნდა გადაწყდეს: „მატერიალისტური მოძღვრება შემეცნების როგორც რეალური სამყაროს ასახვის შესახებ არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოძღვრებას ყოფიერებაზე — ონტოლოგიას“²⁰. ამ მოსაზრებას უპირისპირდება მეორე თვალსაზრისი, რომელიც თვლის, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი არის სწორედ მარქსისტული ონტოლოგია, რომელიც წარმოადგენს სამყაროს შესახებ ზოგადმეცნიერულ კონცეფციას; რომ დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიაში სრულიად გარკვეულად სვამენ კითხვას სამყაროს „სუბსტანციური საწყისის“ და მისი კანონზომიერების შესახებ; რომ სამყაროს საწყისის შესახებ თეორია მატერიალიზმია, ხოლო მოძღვრება მისი (მატერიის) კანონზომიერების შესახებ — დიალექტიკა.

ჩვენ აზრით, შეუძლებელია სამყაროს საწყისისა და მისი არსებობის წესების შესახებ მოძღვრება გავაიგივოთ მათი შემეცნების შესაძლებლობის პრობლემასთან. ეს საკითხები უთუოდ განსხვავებულია ერთმანეთისაგან და, მაშასადამე, მარქსისტულ ფილოსოფიაში, გნოსეოლოგიასთან ერთად, უნდა იყოს და არის კიდევაც, არსებულის შესახებ სპეციალური თეორია, რომელსაც ონტოლოგიას უწოდებენ.

ზემოთ ნათქვამი, ჩვენ აზრით, ექვს არ უნდა იწვევდეს. სულ სხვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს არსებულის ეს ზოგადი კონცეფცია. მარქსისტული ონტოლოგია უნდა იყოს სამყაროს შესახებ არა მეცნიერული მონაცემებისაგან იზოლირებულად მდგომი წმინდა გონების აპრობული წარმონაქმნი, არამედ მეცნიერული მოძღვრება სამყაროს შესახებ და, მაშასადამე, საგნობრივი ბუნებისა. ვფიქრობთ, ფილოსოფიური კვლევის მთავარი მანკიერება ჩვენში, იმაში მდგომარეობს, რომ სამყაროსა და მისი სუბსტანციის — მატერიის — ფილოსოფიურ ბლანში კვლევა, — იმის შიშით, რომ არ გადავარდეთ სპეკულაციაში, — შეცვლილია ბუნებისმეტყველური კვლევით. სპეკულაციაში ვაღაფარდნა, ცხადია, არ ვარგა; მაგრამ ონტოლოგიის შეცვლა ბუნებისმეტყველებით ფაქტიურად ნიშნავს ფილოსოფიის უმთავრესი დარგის — ონტოლოგიის (ამ შემთხვევაში, დიალექტიკური მატერიალიზმის) გაუქმებას, მარქსისტული ფილოსოფიის დატოვებას სამყაროს უნივერსალური კონცეფციის გარეშე. ამ შენიშვნის შემდეგ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა კონკრეტულად მივუთითოთ ფილოსოფიის (ონტოლოგიის) საკვლევი ობიექტზე.

7. ფილოსოფია, ცოდნის სხვა სპეციალური დარგებისდაგვარად, სწავლობს არსებულს, მაგრამ ეს უკანასკნელი მას სრულიად თავისებური ასპექტით აინტერესებს. კერძო მეცნიერებებს აინტერესებთ არსებულის ესა თუ ის სფერო, ხოლო ფილოსოფია არსებულს შეისწავლის მისი საყოველთაო ატრიბუტის — არსებობის მიხედვით. სულ მოკლედ, რომ ვთქვათ, ფილოსოფიის სა-

¹⁹ იხ. კ ე დ რ ო ვ ი. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის ერთიანობა, მოსკოვი, 1963; აგრეთვე — გ ო რ შ ტ ე ი ნ ი, ნიკოლაი ჰარტმანის ფილოსოფია, ლენინგრადი, 1969.

²⁰ იხ. გორშტინის დასახელებული წიგნგრაფია, გვ. 13. ამ მოსაზრებასთან სოლიდარულია მოსკოველი ფილოსოფოსი ოიზერმანი (იხ. „ისტორიულ-ფილოსოფიურ მეცნიერების პრობლემები“, თავი VI, § 2); იგივე თვალსაზრისია გატარებული „ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში“, (ტ. 4, გვ. 140—143).

განია არსებულის არსებობა. რამდენადაც არცერთ სპეციალურ მეცნიერებას არ აინტერესებს არსებული მისი არსებობის თვალსაზრისით, არსებულის სხვადასხვა სფეროების შესახებ მოპოვებული ცოდნათა ერთობლიობა, როგორც ამას ზოგიერთი ფილოსოფოსი ფიქრობს, არ შეიძლება სამყაროს შესახებ ფილოსოფიურ ცოდნად მოგვევლინოს. ფილოსოფიას თავიდანვე თავისი კვლევის განსხვავებული ობიექტი აქვს და, სწორედ, ეს ანიჭებს ფილოსოფიურ ცოდნას ავტონომიურობას. რას ნიშნავს არსებულის კვლევა მისი არსებობის თვალსაზრისით? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთი არსებითი ხასიათის გარემოებას, რომელსაც ამ კითხვაზე პასუხისავენ მივყავართ. გამოთქმაში — „არსებულის არსებობა“ — ორი ცნებაა: „არსებულნი“ და „არსებობა“. ისინი არ არიან ერთი და იგივე „არსებულის“ ცნება გამოხატავს სუბიექტს; რომელსაც აქვს „არსებობა“, ხოლო უკანასკნელი — „არსებობა“ რაღაც ნიშნავს, რომელიც გააჩნია არსებობის მქონე სუბიექტს — „არსებულს“²¹. ამრიგად, არსებული არის სუბიექტი, ხოლო არსებობა მისი ნიშანი. აღნიშნულ ცნებებს შორის განსხვავების დამყარებით გამოთქმულია მართივი, მაგრამ უაღრესად პირველხარისხოვანი ფაქტი. ერთი მხრივ, არსებობა გულისხმობს მის მატარებელს — არსებულს²², რაღაც სუბიექტს, მეორე მხრივ, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ არსებული არსებობის გარეშე. მათი ერთიმეორისაგან გათიშვა მხოლოდ აბსტრაქციაში შეიძლება, ამ პირველხარისხოვანი ვითარების უკანასკნელი მომენტი შესაძლებლობას გვაძლევს არსებობის ატრიბუტი გამოვაცალაქვით არსებულის ყველა სხვა ატრიბუტისაგან და ვუწოდოთ მას ფუნდამენტური ატრიბუტი — განსხვავებით სხვა, მეორადი ატრიბუტისაგან, რომელიც შეიძლება არსებულს ჰქონდეს არა ერთი, არამედ მრავალი. არსებობა არსებულის ფუნდამენტური ნიშანია. არსებულად არსებობის ატრიბუტი ხდის არსებულს; თუ ეს ასეა, ხომ არ იქნება მიზანშეწონილი არსებულის ყველა სხვა ნიშანთვისება (მეორადი ატრიბუტები) ავხსნათ არსებულის პირველატრიბუტით? ჩვენ ვუშვებთ ასეთ შესაძლებლობას და მივგაჩინა, რომ არსებულის ყველა ნიშან-თვისება უნდა აიხსნას არსებულის *Primo* ატრიბუტით. არსებობის თვალსაზრისით, არსებულის შეწავლა ნიშნავს სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის, არსებულის ფუნდამენტური ატრიბუტით ახსნას. სხვანაირად, რომ ვთქვათ, არსებობა თავის თავს, თავის რაობას ავლენს არსებულის ფუნდამენტურ ფაქტებში; უკანასკნელი ის ენაა, რითაც არსებობა „გველაპარაკება“, რითაც იგი თავის თავს გვიმკვლევებს. ამიტომაც, ფუნდამენტურ ფაქტთა საფუძველდება არსებობით — იქნება თვით არსებულის ბუნების

²¹ ძველი დროიდან, ჯერ კიდევ ბერძნულ ფილოსოფიაში, ნათლად ასხვავებდნენ არსებულსა და არსებობას. სამყაროს საწყისის შესახებ საკითხის დაყენება *implicite* მითითებს მათს განსხვავებას. განსაკუთრებული რელიგოზურობით ეს საკითხი პლატონთან გამოიკვეთა. პლატონის მიერ მინიშნებული ორი სამყარო ორივე არსებულა, განსხვავება მათ შორის დამყარებულია ნაშედილი და არანაშედილი არსებობით. პლატონისა და არისტოტელეს მიერ ნათლად მითითებული განსხვავება არსებულსა და არსებობას შორის მომზადდა წინაპლატონურ ფილოსოფიაში. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის ელეელთა მეტაფიზიკას, რომელმაც არსისა და არსებობის ლოგიკური ცნება შეიმუშავა (სანტერესოა ბერძნული ფილოსოფიის გენეზისი ამ თვალსაზრისით, რომელიც სპეციალურ გამოკვლევას საჭიროებს).

²² აქ ჩვენ არ ვაყენებთ კითხვას მის შესახებ, თუ რა არის არსებობის მატარებელი — არსებული. ჯერჯერობით ჩვენ არსებულის ფორმალური სტრუქტურის შესახებ ვეაქვს ლაპარაკი.

გარკვევა²³. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ დღემდე ერთმნიშვნელოვნად ვერ დადგინდა ფილოსოფიის საკვლევე ობიექტი, სწორედ, ამ უკანასკნელი ვითარების უგულვებელყოფაში უნდა ვეძიოთ. არსებულის ფუნდამენტურ ფაქტებზე მითითებით, რომლებშიც არსებული და არსებობა თავის თავს ავლენს, ჩვენ კონკრეტულად ვუთითებთ ფილოსოფიის (ონტოლოგიის) საკვლევ ობიექტს; ამასთან კვლევის ისეთ ობიექტს, რომელსაც არცერთი სხვა მეცნიერება არ შეისწავლის. როგორც ზემოთ იყო მითითებული, ჩვენი ჩანაფიქრის თანახმად, არსებულის ფუნდამენტური ატრიბუტით — არსებობით უნდა აიხსნას არსებულისათვის დამახასიათებელი ყველა ფუნდამენტური ფაქტი. ცხადია, ამ ფაქტებზე ლაპარაკი წინასწარ უთუოდ გულისხმობს არსებულის როგორც სუბიექტის შესახებ კითხვის დაყენებასა და გარკვევას. რა არის ის, რასაც არსებობა აქვს, რაც არსებობის სუბიექტია და, რაც არსებობის ატრიბუტით თავის თავს ავლენს ზემოაღნიშნული ფუნდამენტური ფაქტების სახით? — აი, ერთ-ერთი უმთავრესი კითხვა, რომელსაც ონტოლოგიამ უნდა გასცეს პასუხი. არც ერთი ონტოლოგიური სისტემა ამ უმთავრესი კითხვის გარეშე არ არსებობს და ვერც იარსებებს. რა არის ქვეყნიერების არხე? წყალი, აბერიონი, ჰაერი, ცეცხლი, არსი, მატერია, ფორმა, სიკეთე, ერთი, სუბსტანცია, აბსოლუტი, ნება — აი, ქვეყნიერების საწყისთა არასრული სია, რომელთაც ფილოსოფოსებმა არსებულის სუბიექტად აცხადებდნენ. აქ საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ის გარემოება, რომ ყოველი ფილოსოფოსი თავის ონტოლოგიურ სისტემაში ცდილობდა სამყაროს არხე გაეაზრებინა ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სამყაროსათვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ნიშანთვისებების ახსნა.

ყოველივე ზემოთ თქმული იძლევა შესაძლებლობას, შედარებით ნათლად ჩამოყალიბდეს ფილოსოფიის (ონტოლოგიის) როგორც მეცნიერების დეფინიცია: ფილოსოფია არის მეცნიერება არსებულის არსებობის (ყოფნის) წესების შესახებ. არსებულის ყოფნის ამ წესებს, რამდენადაც ისინი არსებულის არსებობის წესებია, ყველა შესაძლებელი სამყაროს მიმართ აქვთ ძალა და მნიშვნელობა: ამდენად ეს წესები, რომელნიც არსებულისათვის დამახასიათებელ ფუნდამენტურ ფაქტთა სახით წარმოაჩენენ თავიანთ თავს, არიან საყოველთაო და მარადიული ბუნებისა იქ სადაც არის არსებულზე უთუოდ უნდა იყოს და არის კიდევაც სიმრავლე, ლოგოსი, ქმნადობა, წინააღმდეგობა და ა. შ.

დაბოლოს, ჩვენი თვალსაზრისის მთლიანობაში წარმოდგენისათვის საჭირო იქნება, სულ მოკლედ, გავცეთ პასუხი კითხვას: როგორ უნდა აიხსნას არსებულის პირველატრიბუტით არსებულისათვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ფაქტები?

IV. არსებულის ფუნდამენტური ატრიბუტი და სამყაროს ფუნდამენტური ფაქტები. 8. ფილოსოფიის უმთავრესი ამოცანა, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა,

²³ არსებულისა და არსებობის მკაცრი დაპირისპირება რომელიც ეგზისტენციალიზმურ ფილოსოფიაში (განსაკუთრებით, პაიდეგერთან) ეხედებით, არ იძლევა საშუალებას, რომ ფილოსოფია ცოდნის სფეროს მიეკუთვნებოდ. მას არა აქვს კვლევის ისეთი საგანი, როგორც გაანიათ სპეციალურ მეცნიერებებს. სპეციალური მეცნიერებანი სწავლობენ არსებულს, ფილოსოფია კი არსებობას. არსებობის შემეცნება შეუძლებელია და, მაშასადამე, ფილოსოფია როგორც ცოდნის დარგი არ არსებობს. მას მხოლოდ იმდენად აქვს რაიმე საზრისი, რამდენადაც იგი არსებულს შემეცნების პროცესში აცნობიერებს არსებულისაგან სრულიად განსხვავებულ არსებობას. პაიდეგერის აზრით ფილოსოფიის საგანი არის ყოფიერება; მაგრამ მას ვერ დავიჭერთ, რადგანაც ჩვენს შემეცნებას ყოველთვის საქმე აქვს არსებულთან და არა ყოფიერებასთან, არსებობასთან.

სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის საფუძველდება. სამყარო თავის თავს ავლენს ფუნდამენტური ფაქტებით: ის არის წინააღმდეგობა, სიმრავლე, ერთიანობა, კანონზომიერება, ქმნადობა და ა. შ. როგორაა შესაძლებელი ამ ფაქტების საფუძველდება არსებულის ფუნდამენტური ატრიბუტით?

ა) ფილოსოფიური და თეოლოგიური აზროვნების ისტორიაში დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ არსებული არის საპირისპირო მხარეთა ერთიანობა. სამყაროს წინააღმდეგობრივი ბუნების ფაქტი პირველად აღმოსავლურ აზროვნებაში აღინიშნა. იმავე ფაქტის შესახებ გარკვეულად მიუთითეს ძველმა ბერძნებმა. უპირობო რეალობის წინააღმდეგობრივი ბუნების შესახებ ვრცელი თეორია შექმნა ჰეგელმა. შეიძლება თუ არა სამყაროს წინააღმდეგობრივი ხასიათი თავისთავად გასაგებ ფაქტად ჩათვალოს? სამყაროს წინააღმდეგობრივი ხასიათი სრულგებობაც არაა თავისთავად გასაგები ფაქტი. მას უთუოდ სჭირდება საფუძველდება. საიდან გამომდინარეობს არსებულის წინააღმდეგობრივი ბუნების აუცილებლობა? ჩვენი გამოსავალი პოზიციის თანახმად, იგი გამოყვანილი უნდა იქნას არსებულის ფუნდამენტური ატრიბუტიდან. როგორაა ეს უკანასკნელი შესაძლებელი?

თავისი კონკრეტული შინაარსის მიხედვით ყოფნა ნიშნავს გარკვეულობას. თავის მხრივ რაიმეს გარკვეულობა საზღვარს მოითხოვს. ეს საზღვარი უთუოდ სხვა უნდა იყოს. საბოლოოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებული, რამდენადაც იგი ფლობს ყოფნას, თავის თავში შეიცავს სხვას—თავის საწინააღმდეგოს. ამრიგად, არსებულის წინააღმდეგობრივი ბუნების საფუძველი არის მისი ყოფნა. ამ ფილოსოფიურ დებულებას ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში ასე გამოთქვამენ: ცხოვრება წინააღმდეგობაა და მის ღრმა შინაარსს ხშირად ამახინჯებენ. როცა ფილოსოფოსი გამოითქვამს ამ დებულებას იმას როდი გულისხმობს, რომ რაიმე ბოლოვად არსებას თავისი ყოფნის დაფუძნებაში რაღაც წინააღმდეგობები ედობება. ეს იქნებოდა ამ ღრმა ფილოსოფიური პრინციპის ზერელე გაგება. ზემოთ აღნიშნულ დებულებაში ის აზრი უნდა ვიგულისხმოთ, რომ, არსებული, სინამდვილე, რამდენადაც იგი ფლობს ყოფნას, არის წინააღმდეგობრივი ბუნების.

ბ) სამყაროს მანიფესტაციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფაქტს წარმოადგენს მისი მრავალსახიანობა. გონებას სამყაროს მრავალსახიანობის ძირი აინტერესებს. რატომ არის სამყარო მრავალსახიანი? რა არის მისი მრავალსახიანობის მიზეზი? თუ ფილოსოფია ამ ფაქტს თავისთავად გასაგებ ფაქტად ჩათვლის და იფიქრებს, რომ მისი საფუძველდება სრულგებობაც არაა საჭირო, ასეთი გადაწყვეტილების მიღებით იგი თავისთავს აუქმებს. ყველა, ასე თუ ისე, ღრმად ჩაფიქრებული ფილოსოფიური და თეოლოგიური სისტემა თავის ამოცანად საზავდა ამ ფაქტის საფუძველდებას. მაგრამ მისი ამხსნელი დამაჯერებელი პრინციპი ვერცერთმა მეტაფიზიკურმა სისტემამ ვერ წამოაყენა. იდეალისტურ მეტაფიზიკურ სისტემებში (პლატონი, არისტოტელე, ლაიბნიცი, ჰეგელი და სხვ.) სამყაროს მრავალსახიანობის ფაქტის ასახსნელად დაშვებულია ტელოსის პრინციპი. თუ ამ ყალბ პრინციპს (რომელიც ნამდვილ არსებულს გარედან აქვს თავს მოხვეული) გადავაგდებთ, სიმრავლის ფაქტი, როგორც პრობლემა, ხელუხლებლად რჩება.

სიმრავლის ფაქტის ამხსნელი დამაკმაყოფილებელი პრინციპი ვერ იქნა მიგნებული მარქსადელ მატერიალისტურ სისტემებშიც. მექანიკური მატერიალიზმისათვის გამოცანად რჩებოდა სამყაროს მრავალსახიანობა. თანამედ-

როვე მატერიალიზმის მიხედვით არსებულის სიმრავლედ დაშლის უკანასკნელი საფუძველი მისი ყოფნაა. საიდან გამომდინარეობს ასეთი დასკვნა? როგორც ზემოთ ითქვა, რაიმეს ყოფნა მის გარკვეულობას ნიშნავს; გარკვეულობა ლოგიკურად და, მამასადამე, რეალურად შეუძლებელია სხვასთან მიმართების გარეშე. თუ გამოვალთ ამ წინამძღვრებიდან, მაშინ არსებული, რომელიც ყოფნით, არსებობით არის არსებული, უნდა იყოს თავის თავში სხვა გარკვეულობის შემცველი. რამდენადაც არსებულის არსებობას (ფუნდამენტალურ ატრიბუტს) მისი ყოფნა წარმოადგენს და არსებული, როგორც არსებული, ვერ გადაუხვევს იმას, რასაც მას საკუთარი არსება აუცილებლობით კარნახობს, არსებული წარმოგვიდგება როგორც სიმრავლე. რაც უფრო მეტ სიმრავლედ იშლება არსებული მით უფრო მტკიცდება იგი როგორც არსებული. ამიტომ არის რომ არსებული განუსაზღვრებელი მრავალსახიანობაა.

გ) სამყაროს სიმრავლედ მანიფესტაციის ფუნდამენტურ ფაქტს ორგანულად უკავშირდება მისი ერთიანობის პრობლემა. არსებულის ერთიანობის საკითხი, რომელიც ოდითგანვე იყო ფილოსოფოსთა და თეოლოგთა ცხოველი ინტერესის ობიექტი, შეიძლება დაეყენოთ და გადაწყვიტოთ ორი სხვადასხვა ასპექტით. მისი დაყენებისა და გადაწყვეტის ორივე ასპექტი კარგად არის ცნობილი ფილოსოფიური და თეოლოგიური აზროვნების ისტორიაში. ამ საკითხისადმი მიდგომის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს სამყაროს განხილვა მისი საწყისის მიხედვით: რა არის ქვეყნიერების საწყისი? — აი, ერთი კითხვათაგანი რითაც დაიწყო სამყაროს ფილოსოფიური კვლევა, — მას აინტერესებს სამყაროს „რა“. ამისდა მიხედვით სამყაროს შესახებ ორი სხვადასხვა თვალსაზრისი შეიქმნა: ერთი თვალსაზრისი სამყაროს „რას“ ხედავდა მის იდეალურ ბუნებაში; მეორე თვალსაზრისის მიხედვით სამყაროს „რა“ წარმოადგენდა იქნა როგორც მატერიალური საწყისი. თუ სამყაროს ერთიანობას მის „რას“ მიხედვით შევხედავთ, მაშინ სამყარო ან იდეალურია ან მატერიალური. მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა სამყაროს „რას“ თვალსაზრისით არ ფარავს სამყაროს ერთიანობის, როგორც უფრო ფართო შინაარსის მქონე, პრობლემას. როგორც არ უნდა იყოს სამყაროს „რა“, იმ მრავალსახიანობისა და სიმრავლის მიმართ, რითაც ეს „რა“ იშლება, უთუოდ დგება შემდეგი საკითხი: რა მიმართებაში არიან მრავალსახიანი არსებები და საგნები ერთიმეორესთან; არიან ისინი ერთმანეთისაგან იზოლირებულნი, თუ ერთ მთლიანობას ქმნიან? ეს არის პრობლემა, რომელიც მოითხოვს პასუხს კითხვაზე: როგორ არსებობს სამყარო? არის იგი ქაოსი, ატომარულ არსებათა მექანიკური ნაერთი, თუ სამყარო არის წესრიგი, მრავალთა სიმბიოზური ერთიანობა? როგორც ცნობილია, მრავალი სხვადასხვა მეტაფიზიკური პრინციპი იქნა წამოყენებული ამ პრობლემის გადასაწყვეტად. იდეალიზმი და თეოლოგია იდეალური „რათი“ იადვილებდნენ ამ უძნელესი საკითხის გადაწყვეტას. იდეალიზმის „რა“, რომელიც, საბოლოოდ, არის ღმერთი, იდეა—როგორც აქტიური გონიერი საწყისი თავისი მიზნის შესაბამისად აწესრიგებს სამყაროს, სიმბიოზურ ერთიანობაში მოყავს სამყაროს მრავალსახიანი არსებები და საგნები. მაგრამ, თუ სამყაროდან განვდევნით უცხო ძალას — ღმერთის სახით — მაშინ გამოუტნობ სასწაულად რჩება მისი მოწესრიგებულობა და სიმბიოზური ერთიანობა, განსაკუთრებით კი, მიზანშეწონილების უმკველი ფაქტი ორგანულ სამყაროში.

ძალზე ძნელი ხდება ამ პრობლემის გადაწყვეტა მარქსანდელ მატერიალურ-ონტოლოგიურ სისტემებში. მატერიალიზმი ცდილობს სამყაროს ამგვარი

მანიფესტაციის ფაქტი ახსნას სამყაროსათვის უცხო ძალის გარეშე. ამ გამოსავალ პოზიციაში იგი სავსებით მართალია. რა პრინციპს აყენებენ მატერიალისტური სისტემები სამყაროს სიმბოლური ერთიანობის ასახენლად? მატერიალიზმის ყველა სახესხვაობა სამყაროს ერთიანობას არ ხდის პრობლემად. იგი მას თავისთავად გასაგებ ფაქტად მიაჩნია. ცხადია, თუ მატერიალიზმი როგორც ფილოსოფიური თეორია სამყაროს ამ და ყველა სხვა ფუნდამენტური ფაქტების მიმართ, ამგვარ პოზიციას დაიკავებს, მაშინ გაუგებარი ხდება, რა რჩება მას თავის საკვლევ ობიექტად.

როგორ უნდა გადაწყდეს სამყაროს ერთიანობისა და ლოგოსის პრობლემა? ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც, კვლავ არსებულის ფუნდამენტურ ატრიბუტს—ყოფნას—უნდა მივმართოთ. რაიმეს ყოფნა, როგორც ეს ზემოთ იყო ნათქვამი, ნიშნავს მის გარკვეულობას; ეს კი შეუძლებელია სხვასთან კავშირის გარეშე. სხვანაირად, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებული არის მრავალთა არა ატომარული, ერთიმეორისაგან იზოლირებული საგნებისა და მოვლენების უწესრიგო გროვა, არამედ მათი ურთიერთმორგებულობა. ეს უკანასკნელი არ არის შემთხვევითი რამ არსებულისათვის. რამდენადაც არსებული ყოფნით არის არსებული, ხოლო ყოფნა ნიშნავს გარკვეულობას, რაიმე და მისი სხვა უთუოდ სიმბოლურ ერთიანობაში უნდა იყვნენ. კავშირითიერთობა საგნებსა და მოვლენებს შორის მათი ერთიანი, ფუნდამენტური ატრიბუტის — ყოფნის — გამოვლენაა. სხვასთან კავშირით ავლენს ყოველი არსებული თავის არსებობას. რაც უფრო მტკიცეა ეს კავშირი, მით უფრო მტკიცეა კავშირში მყოფ არსებულთა ეამიერობა.

ზემოთ ნათქვამი, სულ მოკლედ, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვყალიბოთ: არსებული თავისი ფუნდამენტური ატრიბუტის — ყოფნის — საფუძველზე არის ერთიანობა სიმრავლისა და მისი ერთიანობისა. ეს ორი უკანასკნელი მომენტი არის არსებულის ორი ცენტრი, საითკენაც ყოველი არსებული, თავისი ყოფნის გამო, ამჟღავნებს მუდმივ ტენდენციას. ეს უკანასკნელი გარემოება უდევს საფუძვლად სამყაროს მანიფესტაციის კიდევ ერთ ფუნდამენტურ ფაქტს, რომელიც ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში ცნობილია, როგორც სამყაროს მარადიული ქმნადობის ფაქტი.

წინამდებარე შრომის ხასიათი არ გვაძლევს საშუალებას უფრო კონკრეტულად შევჩერდეთ სამყაროს მანიფესტაციის ამ და სხვა ფუნდამენტურ ფაქტებზე. ის, რაც აქამდე ზოგადად ითქვა, სავსებით საკმარისია ფილოსოფიის რაობის შესახებ ჩვენი თვალსაზრისის მთავარი მიმართულების მისანიშნებლად.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

მამუკა დოლიძე

დამატებითობის პრინციპის ზოგიერთი ფილოსოფიური ასპექტი

დამატებითობის კონცეფცია წარმოიშვა იმ სპეციფიკური სიტუაციის გაზრებისას, რომელიც ატომური ფიზიკაში შეიქმნა ელემენტარული ქმედების ქვანტისა და სინათლის ორმაგი ბუნების აღმოჩენის შედეგად. თუმცა ეს პრინციპი ჰაიზენბერგის განუზღვრელობის უტოლობიდან გამომდინარეობს, მაგრამ თავისი როლითა და მნიშვნელობით სცილდება ქვანტური მექანიკის ფარგლებს და სინამდვილეს სხვა სფეროებშიც ფუნქციონირებს.

დამატებითობის კონცეფციამ, რომელიც ამტკიცებს კლასიკური ფიზიკის ცნებებით ატომური ობიექტების ქცევის გამოხატვის შესაძლებლობას, საფუძველი ჩაუყარა:

- ა) ქვანტურ-მექანიკური ფორმალიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებას;
- ბ) მიკროპარამეტრების შეუთავსებლობისა და დამატებითობის მტკიცებას;
- გ) მიზეზობრიობის კლასიკური იდეალის გაფართოებას;

ომის შემდგომ პერიოდში 1958 წლამდე ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი ამტკიცებდა, რომ დამატებითობის პრინციპს სუბიექტურ-იდეალისტური ხასიათი აქვს. ისინი თვლიდნენ, რომ ბორისა და ჰაიზენბერგის სკოლა სწავლობს არა ობიექტურ სინამდვილეს, არამედ მარტოოდენ გაზომვის შესაძლებლობებს; კერძოდ, სინათლის ორგვარი ბუნება და ელექტრონის ტალღურ-დისკრეტული დუალიზმი არის არა ობიექტური თვისება, არამედ — შემეცნების სხვადასხვა პირობებში ცდის მასალის სხვადასხვა ინტერპრეტაცია კლასიკური ფიზიკის ცნებებით. ბორს მართლაც გამოთქმული აქვს მსგავსი აზრი, მაგრამ მასში სულ სხვა შინაარსი ძევს. დამატებითობის პრინციპი, გარკვეული აზრით, არაფერს გვეუბნება შემეცნების ობიექტის არსებობის ან არარსებობის შესახებ. იგი უშუალო კავშირში არ იმყოფება ფილოსოფიის ძირითად საკითხთან; აქ ლაპარაკია შემეცნების საშუალებისა (ხელსაწყო) და შემეცნების ობიექტის ურთიერთმოქმედების შედეგზე, როგორც ხელსაწყოთან მიმართებაში ობიექტურად გამოქვანებულ თვისებებზე.

დამატებითობის პრინციპი, როგორც ცნობილია, ჩამოაყალიბა ნილს ბორმა ჰაიზენბერგის განუზღვრელობის უტოლობის საფუძველზე. ატომური ობიექტის გაზომვის თავისებურებების კვლევის პროცესში ნათელი გახდა, რომ შეუძლებელია მიკროსამყაროს ისეთი სურათის შექმნა, სადაც ყველა ელემენტი, მსგავსად კლასიკური ფიზიკისა, ცალსახა კაუზალურ მიმართებაში იქნება ერთმანეთთან. ამის აღმოჩენამ შეარყია ლაპლასის დეტერმინიზმის საფუძველები და მოითხოვა მიზეზობრიობის ცნების გაფართოება. მართლაც, ვიდრე ფიზიკის საგანი მარტოოდენ მაკროსკოპიული ობიექტი იყო, დამკვირვებელი სუბიექტი გაზომვის პროცესში საწყისი ინფორმაციისა და შესაბამისი მათემატიკური აპარატის გამოყენებით პრინციპულად სასწრაფოდ ობიექტის ყველა მახასიათებელ პარამეტრს, რომლის საფუძველზე შესაძლებელი ხდებოდა მდგომარეობის წინასწარხედვა დროის ნებისმიერ მომენტში. სხვა სიტყვებით რომ

ვთქვათ, საწყისი ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი იყო ობიექტის ქვევის გამოთვლა დროის ნებისმიერ მომენტსა და სივრცის ნებისმიერ მონაკვეთში.

ყოველივე ეს მოვლენათა დეტერმინაციის შედეგი იყო, რის გამოც დეტერმინირებული კავშირები ადვილად ექვემდებარებოდა კლასიკური ფიზიკის მათემატიკურ აპარატს. ამის გამო არსებობდა იმის მტკიცების შესაძლებლობა, რომ ესა და ეს მიზეზი ამა და ამ პირობებში ასეთ შედეგს წარმოშობს. მოკლედ, კლასიკურმა ფიზიკამ და შემდეგ ფარდობითობის თეორიამ ჩამოაყალიბა მაკრორეალობის ისეთი სურათი, სადაც ყოველი მოვლენა ცალსახა კაუზალურ ჯაჭვშია ჩაბმული.

ქვანტური მექანიკის წარმოშობით დაიწყო ახალი ერა ფიზიკის განვითარებაში. ატომური ობიექტის ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ისეთი პარადოქსები ჩამოყალიბდა, რომლებიც არ ეთანხმებოდა არა მარტო კლასიკური ფიზიკის მონაცემებს, არამედ საღი გონების ლოგიკასაც კი. ნეიმანის ცნობილმა თეორიამ დაასაბუთა, რომ ქვანტური მექანიკის მათემატიკური აპარატი მიკრორეალობის ერთადერთი სრული აღწერაა. ამ მათემატიკური აპარატის საფუძველში. ძვეს ჰაინზენბერგის უტოლობა მიკროპარამეტრების ურთიერთგანუზღვრელობის შესახებ.

$$\Delta p \Delta x > h/2\pi.$$

ეს უტოლობა გვეუბნება, რომ არსებობენ ატომური ობიექტის ისეთი პარამეტრები, რომელთა გაზომვა ექსპერიმენტის ერთსა და იმავე პირობებში და ერთდროულად მაქსიმალური სიზუსტით შეუძლებელია. ეს არის პრინციპული და არა ტექნიკური შეუძლებლობა; იგი არ არის გაზომვის შეუძლებლობა, გაზომვის შეუძლებლობა არის შედეგი აღნიშნული პარამეტრების ერთ პირობებში თანაარსებობის შეუძლებლობისა. თუ გაზომილია ელექტრონის კოორდინატი X , მაშინ პრინციპულად უცნობია მისი სიჩქარე v არა იმიტომ, რომ შესაბამისი ექსპერიმენტი გამორიცხავს სიჩქარის გაზომვას, არამედ იმიტომ, რომ იმ პირობებში, სადაც ფიქსირებულია ელექტრონის მდებარეობა, აზრი არა აქვს ვილაპარაკოთ მის სიჩქარეზე; აღნიშნულ პირობებში მყოფ ატომურ ობიექტს არ მიეწერება სიჩქარის მახასიათებელი. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ დროის და კოორდინატის მონაცემების საფუძველზე არ შეიძლება სიჩქარის გამოთვლა, როგორც ამას ვაკეთებდით კლასიკურ ფიზიკაში. ატომური ობიექტის მახასიათებლები გახლეჩილია პარამეტრების ორ ჯგუფად, რომელთა ერთდროულად განსაზღვრა სრული სიზუსტით შეუძლებელია. ამის საფუძველზე ბორამ ჩამოაყალიბა დამატებითობის პრინციპი; რომლის თანახმად მიკროპარამეტრების ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს გამორიცხავს შემცენების ერთსა და იმავე პირობებში არსებობის და აქედან გამომდინარე გაზომვის თვალსაზრისით, მაგრამ ამასთან ერთმანეთს ავსებს, ვინაიდან შესაბამისი მათემატიკური აპარატი ატომური რეალობის მაქსიმალურად სრულ აღწერას იძლევა (ნეიმანის თეორემა) და მისი პარამეტრებიც უნდა იძლეოდნენ სრულ ინფორმაციას ატომური ობიექტის შესახებ.

ზემოაღნიშნული ვითარების საილუსტრაციოდ განვიხილოთ მიკრონაწილაკის გაზომვის პროცესის ზოგიერთი თავისებურება. ქვანტურმა მექანიკამ აჩვენა, რომ გაზომვის შედეგები განსაზღვრულია არა მარტო გასაზომი ობიექტის თვისებებით, არამედ აგრეთვე, გაზომვის პროცედურის ხასიათითაც. დავუშვათ, რომ შესაძლებელია გასაზომი ობიექტზე მსჯელობა გაზომვის პროცესისაგან განყენებით, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ შემთხვევების გამოანგარიშება და

გამორიცხვა, რომელიც გაზომვის პროცესს შეაქვს გასაზომი ობიექტის მდგომარეობაში ცხადია, ასეთი გამორიცხვისა და აბსტრაქციის შედეგად მივიღებთ ობიექტის „სუფთა“ მდგომარეობას შემფოთებამდე; ე. ი. ვიდრე დაიწყებოდა გაზომვა. ამ შემთხვევაში, თუ ვაგზომავთ ელექტრონის კოორდინატს, გამოვთვლით და გამოვრიცხავთ იმ ცვლილებებს, რომელიც გაზომვამ შეიტანა მის მდებარეობაში, შემდეგ ანალოგიური გზით დავადგენთ ელექტრონის „სუფთა“ — გაზომვამდე არსებულ სიჩქარეს, მივიღებთ, რომ ელექტრონის ერთსა და იმავე, გაზომვამდე არსებულ მდგომარეობაში შეესაბამება კოორდინატიცა და სიჩქარეც; ანუ ერთის საფუძველზე შეიძლება მეორის გამოთვლა და პირიქით. მაგრამ ეს შედეგი ეწინააღმდეგება ჰაინზენბერგის განუზღვრელობის უტოლობასა და დამატებითობის კონცეფციას. მასასადამე, შეცდომაა გაზომვის პროცესისა და ატომური ობიექტის ერთმანეთისაგან მოწყვეტა, მათი დამოუკიდებლად წარმოდგენა. მტკიცება იმისა, რომ მიკროფიზიკაში გაზომვა და გასაზომი სავანი განუყოფელი მთელია, წარმოადგენს არა ინდუქციურ მტკიცებას ემპირიული მასალის საფუძველზე, არამედ ქვანტურ-მექანიკური ფორმალიზმიდან გამომდინარე დედუქციურ დასკვნას, რომელსაც პრინციპული ხასიათი აქვს. ამრიგად, გაზომვა ატომური მოვლენის განუყოფელი ნაწილი ყოფილა. ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიტყვი, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა მიკრონაწილაკი ცდამდე, გაზომვამდე; გაზომვის პირობებისაგან დამოუკიდებელ მდგომარეობას ქვანტურ მექანიკაში აზრი ეკარგება.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ატომური ნაწილაკი არ არსებობს ობიექტურად, რომ მის ყველა ატრიბუტს ქმნის გაზომვა; ლოგიკური არგუმენტაცია ვერც დაამტკიცებს და ვერც უარყოფს გაზომვის პირობებისა და უშუალო აღქმისაგან დამოუკიდებელი ობიექტის არსებობას; აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ქვანტურ-მექანიკური ფორმალიზმის თავისებურებებს გამო ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთვალოთ და აღვწეროთ ატომური მოვლენის დაკვირვებამდე მყოფი მდგომარეობა, არ შეიძლება ვილაპარაკოთ საგანზე, შემეცნების პირობებთან მიმართების გარეშე.

მაკროსხეულების ფიზიკაში სხვა მდგომარეობაა. ურთიერთქმედება ხელსაწყოსა და ცდის ობიექტს შორის ზუსტი და აღრიცხვადია; ასე რომ, შეიძლება ან მისი უგულვებელყოფა ან მისი ათვლა. შესაძლებელია ექსპერიმენტით გამოწვეული შემფოთების გამოთვლა და გამოანგარიშება, და მის საფუძველზე ობიექტის მდგომარეობის დაზუსტება ცდამდე, ექსპერიმენტის დაყენებამდე.

ამრიგად, ცდისეული შემფოთების კონტროლი შესაძლებელია დამკვირვებლისა და დასაკვირვებელის თანაზომადობის გამო, (ორივე მაკროსხეულია), რაც ძალას კარგავს მიკრომოვლენის გაზომვის შემთხვევაში და გამოხატავს პარამეტრების შეუთავსებლობას ქვანტური ობიექტის გაზომვის პროცესში.

ცნობილია, რომ მთელი არ დაიყვანება ნაწილთა ჯამზე, რადგანაც მას გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს. ეს განსხვავება მით უფრო საგრძნობია, რაც უფრო მცირე ნაწილებთან გვაქვს საქმე. იმისათვის, რომ შევიმეცნოთ ურთიერთქმედება მაკროხელსაწყოსა და მიკრო, ატომურ ობიექტს შორის, პირველ რიგში საჭიროა ვიპოვოთ იგივეობრივი მომენტი, ვინაიდან კავშირის გარეშე მათი ურთიერთმიმართება შეუძლებელი იქნება. ხელსაწყო წარმოადგენს მაკროსკოპულ მთელს, რომელიც ურთიკხვი ატომებისაგან შედგება; თუ შეიძლება ხელსაწყოს, როგორც მთელის, ატომური ზომის ნაწილებზე დაყვანა და მისი

წარმოდგენა ატომა ჰიმრაელის სახით, მაშინ დამკვირვებელ ხელსაწყოსა და დასაკვირვებელ ობიექტს ერთი და იგივე ბუნება ექნებოდათ და პრობლემაც გადაიჭრებოდა; მაგრამ ასეთი დაყვანა, როგორც შევნიშნეთ, შეუძლებელია. ვინაიდან ხელსაწყოს, როგორც მაკროსკოპიულ მიეღს, სხვა კანონზომიერება აქვს, ვიდრე მის შემადგენელ ელემენტარულ ნაწილს. ხელსაწყო, როგორც მიკროელემენტა სტატისტიკური სისტემა, კლასიკური ფიზიკის კანონებს ემორჩილება, ინდივიდუალური ატომის ქცევა კი — ქვანტურს; ნათელია, რომ ამ უკანასკნელის შემფოთება პირველის მიერ განუსაზღვრელი იქნება. ასეთი განუსაზღვრელობა გვიკრძალებს მიკროობიექტის მდგომარეობაზე გაზომვისა და ექსპერიმენტულ სიტუაციასთან მიმართების გარეშე.

მაგრამ მაშინ რაღა საჭიროა ქვანტურ-მექანიკური ფორმალიზმი და მისგან გამომდინარე თეორიები? თეორიის ძალა იმაშია, რომ მას შეუძლია ვასცდეს ექსპერიმენტს, საწყისი ინფორმაციის საფუძველზე იწინასწარმეტყველოს მომავალი ცდის მონაცემები; მაგრამ ჩვენს შემთხვევაში აზრი არა აქვს მომავალ ცდაზე ზეპირად ლაპარაკს, ვინაიდან გაზომვის პროცესი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გაზომვის შედეგს; ეს უკანასკნელი პირველთან განუყოფელ მთლიანობაში იმყოფება და მეცნიერული წინასწარხედვა ჩაკეტილია რეალურად დაყენებული ექსპერიმენტის საზღვრებში. თითქოს წინააღმდეგობა გამოდის: ქვანტურ-მექანიკური ფორმალიზმი, განუზღვრელობის უტოლობა და დამატებითობის პრინციპი ერთი მხრივ, თითქოს მხოლოდ იმის ჰესმარტებას აღიარებს, რაც დაკვირვებაში გვედღევა, ხოლო, მეორე მხრივ, ერთად აღებულ თვითონვე წარმოადგენს გარკვეულ თეორიას და, როგორც ასეთი, უშუალო დაკვირვების ფარგლებს გარეთ ვასვლას მოითხოვს. იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ასეთ წინააღმდეგობას, საჭიროა ატომური მოვლენისა და, საერთოდ, მიკრომდგომარეობის გაზომვის ქვეშ ვიგულისხმობთ არა გაზომვის რეალური პროცესი, არამედ მისი შესაძლებლობა.

ამრიგად, ლაპარაკია არა ცდის ობიექტისა და უშუალო დაკვირვების ერთიანობაზე, არამედ პირველის მიმართებასა და ერთიანობაზე დაკვირვების შესაძლებლობასთან. ქვანტურ-მექანიკურ ფორმალიზმს, კერძოდ, შრედინგერის განტოლებას შეუძლია ვასცდეს მოცემულ ექსპერიმენტს და იწინასწარმეტყველოს მომავალი ცდის შედეგი იმ შემთხვევაში, თუ ახალ ცდაში საწყისი ინფორმაცია და გაზომვის შესაძლებლობა იგივე დარჩა. შევნიშნოთ ისიც, რომ განსხვავებით კლასიკური ფიზიკისაგან, თეორიული წინასწარმეტყველება არ იქნება სრული (სრულად ვერ აღწერს ობიექტის მომავალ მდგომარეობას), არა თეორიის არასრულყოფის, (ქვანტური თეორია სრულია), არამედ არასრული საწყისი ინფორმაციის გამო. ვთქვათ, გაზომვით რაღაც x_0 მომენტში ელექტრონის მდგომარეობა x_0 . თუ არ შეიცვალა ექსპერიმენტული სიტუაცია და მომავალშიც კოორდინატის აღრიცხვის შესაძლებლობა იგივე დარჩა, მაშინ შრედინგერის განტოლება საშუალებას მოგვცემს გამოვთვალოთ ელექტრონის ლოკალიზაცია ნებისმიერ სხვა მომენტში. მართალია, კოორდინატის შემფოთება გაზომვის პროცესში ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ექსპერიმენტისა და გაზომვის საწყისების იგივეობის გამო ეს შემფოთება ყველა მომენტისათვის ერთნაირი იქნება და შეიძლება მისი ფარდობითად უგულებელყოფა. ამასთან მდგომარეობის წინასწარმეტყველება არ იქნება სრული, ვინაიდან საწყისი ინფორმა-



ციაში გვეძლევა დრო და სივრცე $\langle X_0, t_0 \rangle$ მაგრამ გვაკლია ენერგია და იმპულსი $\langle E_0, P_0 \rangle$.

სხვა სიტუაციაა, როცა იცვლება გაზომვის პირობები. ვთქვათ, იზომება ელექტრონის სიჩქარე ან იმპულსი P_0 . ელექტრონი ახალ მდგომარეობაში ამჟღავნებს ახალ თვისებებს, რაც არ გამომდინარეობს ძველი მდგომარეობიდან. ძველი და ახალი შემთვითება არაა იგივეობრივი და შრედინგერის განტოლებაც ჰქარავს თავისი წინასწარმეტყველების ძალას. კოორდინატის ლოკალიზაციისას ელექტრონი იქცევა როგორც კორპუსკულა, სიჩქარის გაზომვისას — როგორც ტალღა; რადგანაც უცნობია კავშირი ამ ორ მდგომარეობას შორის, ამიტომ ერთის საფუძველზე ვერ ვიწინასწარმეტყველებთ მეორეს და პირიქით.

პოზიტივიზმი ელექტრონს ცნობს მხოლოდ როგორც სიმბოლოების სისტემას, როგორც აბსტრაქტულ მოდელს, რომელიც გვეხმარება ცდის ქაოსური ინფორმაციის მოწესრიგებაში. პოზიტივისტის აზრით, მეტაფიზიკური და ყალბია საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ელექტრონი დაშვებების გარეშე, ანუ უფრო ზუსტად შემგენების იმ პირობების გარეშე, რომელიც იძლევა მისი დაკვირვების შესაძლებლობას. მისთვის ერთადერთი კრიტერიუმია ხელსაწყოს ისრის ჩვენება და ვერც ერთი თეორია ვერ გასცილდება მას.

იმისათვის, რომ შეიძულოს საკუთარი თვალსაზრისი ჰაიზენბერგის განუზღვრელობის უტოლობასა და დამატებითობის კონცეფციაზე, პოზიტივიზმმა პირველ რიგში დაუკვირვებლადის პრობლემას უნდა გაართვას თავი. მაგრამ პოზიტივისტი დაუკვირვებლადს ვერ აღიარებს ვერც ფარდობითად, ვერც აბსოლუტურად. თუ დაუკვირვებლადი ფარდობითია, ანუ იგი დაუკვირვებლადია თავისი თეორიის ფარგლებში და სხვა უფრო სრულ, უფრო განვითარებულ თეორიაში შეიძლება დაკვირვებლადი გახდეს, მაშინ ქვანტური მექანიკა არ ყოფილა სრული და შესაძლებელია უფრო სრულქმნილი თეორია მიკრორეალობის შესახებ. მაშინ დამატებითობა და განუზღვრელობის უტოლობა იქნება არასრული და არაპრინციპული ხასიათის ჰიპოთეზა; თუ დაუკვირვებლადი აბსოლუტურია, მაშინ ქვანტური მექანიკა იქნება აბსოლუტური, უნივერსალური თეორია — სისტემა, რომელსაც აგრეთვე ვერ აღიარებს პოზიტივისტი. ამრიგად, პოზიტივიზმი ვერ ართმევს თავს დაუკვირვებლადის პრობლემას და ვერ იძლევა ქვანტური მექანიკისა და დამატებითობის კონცეფციის სწორ ინტერპრეტაციას.

დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, ელექტრონი არსებობს ობიექტურად მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მისი შემგენების შესაძლებლობა. ეს ნიშნავს, რომ ელექტრონის ტალღურ კორპუსკულურ დუალიზმს არ ქმნის დაშვებები, არ ქმნის გაზომვა; მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ ტალღურობა და დისკრეტულობა ელექტრონს გაზომვის პროცესისაგან დამოუკიდებლად მიეწერება. ტალღა-ნაწილაკის დუალიზმი არის გასაზომი ობიექტისა და გაზომვის პროცედურის ურთიერთქმედების შედეგი, ობიექტური თვისება, რომლებსაც ელექტრონი ამჟღავნებს შემგენების (გაზომვის) კონკრეტულ პირობებში. შემგენებსა აქვს ობიექტური შინაარსი, რადგან მისი საგანი მისგან დამოუკიდებელი სინამდვილეა, მაგრამ სუბიექტის განდევნა შემგენების პროცესიდან მიუტევებელი შეცდომაა. ქვანტური მოვლენების შემგენების შედეგად ვიღებთ არა „სუფთა“ ობიექტს, არამედ რეალურისა და იდეალურის, სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთქმედების შედეგს, რაც აგრეთვე ობიექტურის გამოხატულებაა. როცა ელექტრონთა კონა რიგ ექსპერიმენტებში ტალღური

ბუნებისა, ხოლო სხვა ცდებში ნაწილაკთა ბუნების, მაშინ გვეჩვენება, რომ ელექტრონი რადიკალურად იცვლება ექსპერიმენტის ანუ შემეცნების საშუალების ცვლილების შედეგად. შემეცნების პირობების ცვალებადობა ელექტრონს მთლიანად რომ ცვლიდეს, მაშინ ის მთლიანად დამოუკიდებელი იქნებოდა ამ პირობებზე და არ იარსებებდა შემეცნებისაგან დამოუკიდებლად. მაშინ როდესაც თავისთავად ელექტრონი არც ნაწილაკია, არც ტალღური პაკეტი, და არც ტალღა-ნაწილაკის ერთიანობა. მას საერთოდ არა აქვს აზრი ხელსაწყოსთან მიმართების გარეშე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ფიქციაა, არ არსებობს თავისთავად. ელექტრონი დამკვირვებლის გარეშე არსებობს, არსებობს როგორც ქვანტური და არა კლასიკური ობიექტი, მაგრამ როცა გვინდა იგი აღვწეროთ და შევისწავლოთ მაკროსხეულთა კლასიკურ, ჩვენივე გასაგებ ენაზე, მაშინ იგი აუცილებლად უნდა განვიხილოთ ჩვენ ენაზე „მთარგმნელ“ ხელსაწყოსთან მიმართებაში. ატომური ობიექტი, შენიშნავდა ბოლი, უნდა აღიწერებოდეს მხოლოდ კლასიკური ცნებებით, ეს არის პრინციპული მოთხოვნა, რადგან სიტყვა „ექსპერიმენტი“ გულისხმობს პროცესს, როცა შეგვიძლია გავავებინოთ სხვებს თუ რა გავაკეთეთ და რა გავზომეთ.

დამატებითობის პრინციპი სწორედ ამ კლასიკური ცნებების ქვანტური ობიექტისადმი გამოყენებას ზღუდავს და არეგულირებს, რამდენადაც აქ საქმე ეხება შემეცნების საშუალებებთან მიმართებაში გამოქვლინებულ თვისებებს. ამრიგად, ტალღურობა და დისკრეტულობა არის ელექტრონისა და ხელსაწყოს განუყოფელი ურთიერთქმედების შედეგი და არა ამ წყვილის ერთი პოლუსის დამოუკიდებელი მხარე. ამასთან დაკავშირებით მ. ე. ომელიანოვსკი წერს: „ტალღურობა და დისკრეტულობა არის გაუხეშება (огрубление), რომელსაც გონება ახდენს მატერიის შემეცნების გარკვეულ (ატომურ) საფეხტურზე“.

ასლა შევეხოთ ფიზიკური რეალობის ცნების დეფინიციის პრობლემას, რომელიც მწვავედ დგას XX საუკუნის ბუნებისმეცნიერებასა და ფილოსოფიაში. ეს ცნება იმდენად ღრმა და ტევადი გახდა, რომ მისი ერთი დეფინიციით ამოწურვა თითქმის შეუძლებელია. ობიექტური რეალობა არაა იგივეობრივი ფიზიკურ რეალობასთან, ეს უკანასკნელი პირველს გარკვეული ასპექტითა გარდატეხილი სუბიექტ-ობიექტის ურთიერთმოქმედების პრიზმაში. სხვა განმარტებით, ფიზიკური რეალობა წარმოადგენს ფიზიკური ობიექტისა და შემეცნების საშუალების ურთიერთმოქმედების პროცესს. ამასთან ეს პროცესი სხვადასხვანაირად ფიქსირდება შემეცნების ექსპერიმენტულსა და თეორიულ დონეზე. მაგრამ რა არის ფიზიკური ობიექტი? ფიზიკური ობიექტი არის ობიექტი, რომელზედაც შესაძლებელია ფიზიკური დაკვირვება. სწორედ ეს ფიზიკური ობიექტი შემეცნების პრობლემასთან ან საშუალებასთან ურთიერთმოქმედების პროცესში ამჟღავნებს გარკვეულ თვისებებს, რომლებიც შეადგენენ ფიზიკურ რეალობას.

საინტერესოა, რომ ამ ინტერპრეტაციაში ლაპარაკია არა სუბიექტზე, არამედ შემეცნების საშუალებაზე, მის შესაძლებლობაზე. ფიზიკური ობიექტი ხელსაწყოსთან მიმართებაში ამჟღავნებს გარკვეულ თვისებებს, ხოლო ხელსაწყოსთან მიმართების გარეშე მას ასეთი თვისებები არა აქვს.

ზოგიერთი საბჭოთა ფილოსოფოსის დასკვნით, ფიზიკური რეალობა წარმოადგენს ობიექტურ რეალობას, რომელიც გარდატეხილია სუბიექტურ პრიზმაში პრაქტიკის საშუალებით. თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანის პრაქტიკა ამოუწურავია, არ შეიძლება ფიზიკური რეალობა სასრული და ბოლოვადი აღ-

მოჩნდეს. ბუნება უსასრულოა როგორც სივრცით, ასევე სიღრმით და განუზღვრელობა, დამატებითობასთან ერთად, ამ უსასრულობას აღნიშნავს.

დამატებითობის იდეა გვეუბნება, რომ ნებისმიერი ფიზიკური მოვლენის შემეცნებისათვის აუცილებელია ისეთი კლასიკური ცნებების გამოყენება, რომლებიც ერთმანეთს გამოირიცხავენ და ამავე დროს ავსებენ. ცხადია, დამატებითობის პრინციპი ფიზიკური რეალობის ამოუწურაობას გულისხმობს. ის ფაქტი, რომ მატერიის ასახვის ატომურ საფეხურზე ფიზიკური რეალობა იხლიჩება ორ, ურთიერთდამატებით ნაწილად, ნიშნავს, რომ ფიზიკურ რეალობაში „ელემენტარული ნაწილაკი“ არ არსებობს, ვინაიდან ეს უკანასკნელი, როგორც ორივე ნაწილში შემავალი საერთო „აგური“, აღადგენდა გაწყვეტილ კავშირს.

დასკვნის სახით შეიძლება გვეთქვა, რომ დამატებითობის პრინციპს, ინტერპრეტაციისა და გამოყენების ფართო დიაპაზონი აქვს.

დღესდღეობით მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა ამ პრობლემის მიმართულებით. იქმნება სხვადასხვა თვალსაზრისები, სხვადასხვა მოდელები, მიმდინარეობს ცდა ქვანტური ფორმალიზმის შემდგომი გაღრმავებისა, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ქვანტური ფიზიკა არასოდეს არ დაუბრუნდება კლასიკური დეტერმინიზმის საფუძვლებს და ბორის დამატებითობის კონცეფცია არასოდეს დაკარგავს თავის შეთოდოლოგიურ მნიშვნელობასა და ძალას.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტმა



ნათელა კიკვაძე

არისტოტელეს ლოგიკის სისტემის წინა-მოსამზადებელი პერიოდი

მართალია, სოკრატეს წინააღმდეგ ფილოსოფოსებთან ცნობიერებისეული ფენომენები კვლევის განსაკუთრებულ ობიექტს არ წარმოადგენდა და, ამდენად, მათს ნააზრევში წმინდა ლოგიკური საკითხების უშუალო და ფართო განხილვას ვერ ვხვდებით (ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით), მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ვთქვათ, თითქოს ლოგიკის მეცნიერების წარმოშობისა და ფორმირებისათვის მთელ ამ წინააღმდეგ ფილოსოფიურ ნააზრევს ღირებულება არ გააჩნდეს. არისტოტელეს ფილოსოფიურ სისტემა, ლოგიკის სისტემასთან ერთად, მის წინააღმდეგ ფილოსოფოსთა მიერ წამოჭრილ პრობლემებზე რეფლექსიის გარეშე არ არსებობს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მივეთვითოთ არისტოტელეს წინააღმდეგ თუ მისი დროის ის საკითხები, რომელთა ამგვარი ან სხვაგვარი ამოხსნა არისტოტელეს ლოგიკის სისტემის განმსაზღვრელს წარმოადგენს.

არაერთის სადაო არ არის ის გარემოება, რომ არისტოტელეს ლოგიკის სისტემა ონტოლოგიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ლოგიკის სისტემა ობიექტის, ონტოსის სტრუქტურულ გარკვეულობას და მისი შესატყვისი კატეგორიების გარკვეულ დახასიათება-გაგებას ეფუძნება.

არისტოტელემ ობიექტური სამყაროს მიმართ შეიმუშავა გარკვეული პოზიცია, ააგო საკუთარი მეტაფიზიკა ცოდნის შესატყვისი თეორიით; ამას ითხოვდა საკითხის ისტორიული და ლოგიკური კვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ შესძლო მან საკუთარი ფილოსოფიური სისტემის შესებაში რგოლის, ლოგიკის სისტემის აგება.

თუ მივიღებთ იმ განსაზღვრას, რომ ცნობიერება სხვა არაფერია, თუ არა შეცნობილი ყოფიერება, მაშინ ცნობიერების ანალიზისათვის საჭირო ხდება როგორც ყოფიერების ანალიზი, ასევე იმისა, რაც შეცნობილ ყოფიერებას როგორც ახალი თვისობრიობის მქონეს განასხვავებს ყოფიერებისაგან როგორც ყოფიერებისაგან. ცნობიერება როგორც ყოფიერებით განსაზღვრული და მასზე აღმოცენებული, როგორც შემდგომი საფეხური წინა საფეხურის, ე. ი. ყოფიერების ამა თუ იმ გარკვეულობის მომცველია და კიდევ იმისა, რაც მხოლოდ მეორე საფეხურისათვის—ცნობიერებისათვის არის დამახასიათებელი და რისი ძიება და პოვნა ყოფიერების საფეხურზე უაზროა.

არისტოტელეს ლოგიკის სისტემის გაგება შეუძლებელია მისი ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური მოძღვრებისაგან დამოუკიდებლად. არისტოტელეს პოზიცია ლოგიკურის გაგებისა და მისი აგების პროცესში ყოველ ნაბიჯზე ვლინდება. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნული საკითხისადმი არისტოტელეს დამოკიდებულების ზოგად მონახაზებში დახასიათება.

არისტოტელე წიგნში — „სოფისტური დასაბუთებისათვის“, რომელიც მის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან ლოგიკურ შრომას წარმოადგენს, წერს, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით, ნაწილობრივ წინამორბედთაგან მიგვიღია, ნაწი-

ლობრივ კი ჩვენი შექმნილია. ყოველი საქმის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ამ საქმის დაწყებაა. რიტორიკის შესახებ ჩვენამდე ბევრი იყო ნათქვამი, მაგრამ სილოგიზმის შესახებ ადრინდელ მოაზროვნეებთან არაფერს შევხვედრივართ. სილოგიზმის დაწერილებით შესწავლას ჩვენ დიდი დრო და ენერგია მოვანდომეთო. მართლაც, ჩვენ შევხვედებით არისტოტელეს წინარე ფილოსოფოსებთან, რა თქმა უნდა, ძალიან ზოგადად, გაუბედავად, არასრული სახით შეხედულებებს ცნების, მსგელობის, განსაზღვრების, გაყოფის შესახებ, მაგრამ ვერცერთ მათგანთან დასკვნის ანალიზს ვერ ვიპოვით.

მოცემული წერილის მიზანს წარმოადგენს, გამოვავლინოთ არისტოტელეს წინარეფილოსოფოსების ნააზრევში ჩანასახის სახით მოცემული ყოველივე ის, რაც ლოგიკურის შესახებ მისი თვალსაზრისის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელობის მქონეა.

ლოგიკური — ცოდნის ელემენტია, ასე ესმის იგი არისტოტელეს. ამიტომ არისტოტელეს ლოგიკის სისტემა გაუგებარია მისი ცოდნის სისტემისაგან დამოუკიდებლად. მისი ცოდნის სისტემა მტკიცედ არის დაკავშირებული მის მეტაფიზიკასთან. ამიტომ არისტოტელეს ლოგიკის სისტემის გაგებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ მისი ე. წ. წმინდა ლოგიკური შრომების გათვალისწინება, არამედ აგრეთვე მთელი მისი ნააზრევის გათვალისწინება.

Автор замечает, что такое объяснение оказывается для Менелая непонятным: как всякий афинянин V века, он привык считать болезнь следствием вмешательства божества и готов признать таковым даже тоску, снедающую Ореста (397—399). Для него гораздо понятнее считать источником безумия Ореста тех «священных дев», которых не рекомендуется называть по именам, но чье действие на смертных всем хорошо известно. Они, по мнению Менелая, и терзают припадками безумия Ореста, насылая на него видения. «Разумеется, — пишет автор, — такого же традиционного мнения о происхождении болезни Ореста придерживается и Электра (с. 36—38) и хор, заклинающий Евменид освободить Ореста от безумия (с. 316—327). Поэтому необычность объяснения, содержащегося в с. 396 не в том, что здесь вводится понятие «совесть», а в том, что причину терзающей его болезни Орест видит не во внешнем, божественном факторе, а в собственной оценке совершенного»¹⁷.

Все это говорит не о том, что афиняне V века не имели совести и слово *φύβησις* означает просто «понимание», «сознание», а лишь о том, что тогдашнее общественное мнение стояло на позициях традиционного сознания и придавало больше значения религиозным

¹⁵ «Античность и современность», с. 256.

¹⁶ Там же с. 256.

¹⁷ Там же, с. 256—257.

представлениям и предрассудкам, чем психологическим переживаниям человека.

Итак, в отличие от эсхиловского Ореста, в эврипидовском Оресте появляется указание на эквивалент совести *συνείδησις*. Исходя из этого факта, можно было ожидать, что автор, в общем утверждая отсутствие совести у древних греков, признает зарождение хотя бы элементов феномена совести у греков времен Эврипида, однако он даже и не помышляет о подобном «снихождении» к древним грекам (хотя, даже при таком смягчении позиций автора, мы в действительности имели бы дело не с процессом зарождения феномена совести, а лишь с процессом осознания и отражения данного феномена, с процессом некоторого изменения миросозерцания древних греков и их ценностной ориентации). Появление злополучного *συνείδησις* он объясняет совершенно иначе: «Если в эсхиловском Оресте весь процесс размышления и решения происходит до матереубийства, то с эврипидовским Орестом дело обстоит как раз наоборот: осознание наступает после матереубийства и притом поначалу не дает Оресту той уверенности в своей правоте, с которой обосновывает свои действия эсхилевский Орест в финале «Хорэфор» (с. 973—1006, 1027—1303). Этим и объясняется в первых сценах трагедии Эврипида показанное выше опровержение аргументов эсхилевского Ореста, приводящее героя Эврипида к *συνείδησις* «сознанию» совершенного»¹⁸.

В этих рассуждениях автора явно просматривается некоторое «персеверационное» стремление во что бы то ни стало отрицать наличие феномена совести у древних греков. Для этой цели он прибегает не только к филологическому анализу высказываний Ореста, но и к философскому (этическому) анализу его «поведения»: «Всякому ясно, — пишет автор, — что совесть не может пробудиться в человеке, доколе он не осознал совершенного им, — не пробудилась ли она и в эврипидовском Оресте? На это, однако, можно ответить, что осознание — феномен чисто интеллектуальный, совесть — в огромной степени эмоциональный. Человек может прекрасно осознавать, что всякое убийство — преступление, но если он спас при этом общество от разбойника или предателя, то его не будут мучить никакие угрызения совести («собаке — собачья смерть»). Напротив, убивший жену в приступе ревности и осознавший затем глубину своего нравственного падения, не найдет успокоения совести, пока не понесет навлекенной им на себя справедливой кары. Следовательно, для того, чтобы правильно оценить состояние эврипидовского Ореста, надо выяснить, стремится ли он искупить вину раскаянием или, напротив, избежать ответственности и расплаты. В первом случае мы должны будем признать в *συνείδησις* эквивалент совести, во втором — не более чем понимание своего положения, заставляющее Ореста позаботиться о собственном спасении»¹⁹.

Обращаясь к тексту трагедии, автор показывает, что Орест ни у Эсхила, ни у Эврипида не проявляет признаков угрызения совести, в обоих случаях он лишь ищет своего оправдания. Отсюда автор делает вывод об отсутствии совести у Ореста и о неправомерности считать *συνείδησις* эквивалентом совести. Считая данный вывод неопровержимым, автор идет дальше по линии обобщения и отрицания совести у всех героев Эврипида: «Впрочем, от персонажей «Ореста», — пи-

¹⁸ «Античность и современность», с. 257.

¹⁹ Там же, с. 257.

шет автор, — которые по словам античного комментатора, все, кроме Пиллада, негодные люди», может быть, нечего и ожидать угрызения совести? Однако, если мы обратимся и к более благородным героям Эврипида, то заметим, что для оценки своих вольных или невольных преступлений они пользуются совсем другими понятиями и представлениями, чем совесть»²⁰.

Для иллюстрации данного тезиса автор приводит такой пример: «молодая мачеха, влюбившаяся в своего пасынка и понимающая преступный характер овладевшей ею страсти, должна, по-видимому, испытывать мучения совести, особенно после того, как о ее любви стало известно молодому человеку и он ее отверг. Между тем определяющую роль в оценке Федрой своего поведения играют понятия *αἰσχύρῃς* и *αἰσχύρῳ* ... обозначающие не ее внутреннее состояние («как я могла полюбить своего пасынка?»), а некий объективный критерий, прилагательный к благородному герою. Позор и бесславие — вот что побуждает Федру к смерти, и об этом она говорит с полной ясностью, прежде чем произнести над собой окончательный приговор: «Я никогда не опозорю... свой дом на Крите и не явлюсь на глаза Тесею отягченная позорным деянием... ради спасения своей жизни» (Hipp., 719—721)»²¹.

Здесь автор не учитывает специфику различия и взаимоотношений угрызений совести и чувства стыда. Если пасынку стало известно о низкой страсти мачехи, то естественно, у нее возникает чувство стыда куда более сильное, подавляющее, чем угрызения совести и это сильное трагическое переживание затмевает угрызения совести, не оставляя возможности писателю заметить и описать эти угрызения при доминирующем переживании чувства стыда и позора.

В этике давно известно, что собственная безнравственность начинает тревожить субъекта прежде всего из-за страха разоблачения данной безнравственности и лишь после и на основе этого страха действует фактор угрызения совести (Шопенгауэр сводил этот последний, прежде всего, именно к страху разоблачения). Но такое параллельное сосуществование страха пристыжения и угрызения совести длится лишь до разоблачения безнравственности. А после разоблачения безраздельно доминирует чувство стыда, перед страшным судилищем которого для честолюбца и смерть ничто. Знали эту закономерность человеческой души и древнегреческие драматурги, которые вполне закономерно не указывали на угрызения совести тогда, когда их не могло быть.

Из этого делать вывод о том, что писатели не знали о существовании совести и, значит, в их эпоху вообще не было совести, мягко говоря, недоразумение. Писатель описывает не все, что он знает, и, кроме того, если он чего-либо не знает — это еще не значит, что это нечто не существует в действительности.

Такую же ошибку допускает автор при оценке второго примера: «Аналогичным образом Геракл, придя в себя после убийства жены и детей, не спрашивает себя: «Что же я наделал и как я перед собой отвечу?». Речь идет о другом. Как он будет жить дальше, покрыв себя бесславием в глазах людей (Н. Г., 1152, 1279—1290, 1301 сл., 1423)? Свое внутреннее состояние Геракл лучше всего характеризует одной фразой: *Αἰσχύνομαι γὰρ τοῖς θεοτραπένοις κληοῖς* — «Я стыжусь

²⁰ «Античность и современность», с. 259.

²¹ Там же, с. 259—260.

совершенных бедствий» (1160). Здесь можно сказать, что стыд — чувство, достаточно близкое к совести, однако же не совпадающее с нею. Стыд предполагает в первую очередь оценку извне, совесть — изнутри; русское выражение «ни стыда, ни совести» очень хорошо передает эту разницу»²².

Безусловно, «стыд» результат внешней оценки, а «совесть» — внутренней, но если речь идет о таком «стыде», когда кроме самого субъекта позорного поведения, никто еще не знает об этом позорном поступке, то этот «стыд» является самостыдом, т. е. эквивалентом угрызания совести и, стало быть, чувством совести.

Еще более наглядна ошибка автора в третьем примере — в описании и оценке переживаний Неоптолема у Софокла: «Нельзя отрицать, что, став сначала свидетелем тяжелого приступа болезни у Филокетта и выслушав затем его гневную речь, Неоптолем испытывает крайнее затруднение. Его трехкратное восклицание... выдает всю сложность положения и, если угодно, всю глубину отчаяния Неоптолема, поставленного перед необходимостью совершить позорный поступок. ...Но нельзя также отрицать, что на протяжении всей первой половины трагедии Неоптолем, поборов под нажимом Одиссея свои сомнения... и решив действовать «отбросив всякий стыд»..., поступает целиком в соответствии с принятым решением... Если в это время в Неоптолеме и происходит душевная борьба, которую мы можем предположить на основании его же позднейших высказываний (с. 906, 966), то Софокл, во всяком случае, не дает герою возможности выдать себя ни словом, ни жестом.

Не требуется, однако, особой пронизательности, чтобы определить направление этой внутренней борьбы, которая приводит Неоптолема к окончательному осознанию несовместимости его поведения с его благородной природой: в размышлениях Неоптолема *αἰσῦρος* становится таким же ключевым понятием, как и в рассуждениях Федры... Отказываясь дальше обманывать Филокетта и возвращая ему затем лук, Неоптолем действует в полном соответствии с сентенцией, изреченной Филокеттом при их первом знакомстве: «Для благородных позорное — отвратительно, доблестное — славно» (475 сл.). Для Неоптолема немислимо более позорное отступление от своей природы..., на которое он и раньше решился не без труда. Должны ли мы говорить здесь о внутреннем суде героя над своим преступным замыслом или об отказе от навязанного ему извне позорного поведения, противоречащего его истинной природе? Отрицательный ответ на первый вопрос и утвердительный на второй представляется нам единственно правильным»²³.

Автор не видит возможности одновременного существования и первого и второго, т. е. «внутреннего суда» и «отказа от позорного задания». А на самом деле этот «отказ» обусловлен именно первым фактором. Неоптолем решил воздержаться от позорного поступка именно благодаря вмешательству голоса совести. Говорить о «стыде» и «позоре» без описания страха возможного раскрытия обмана — значит указывать именно на существование феномена совести, который, как известно, действует не только после, но и в процессе и до поступка.

Несостоятельность концепции автора нагляднее всего проявляется в последнем примере: приводя высказывания афинских трагиков, в которых характеризуется чувство стыда, которые при желании могут

²² «Античность и современность», с. 260.

²³ Там же, с. 261.

быть приняты за описательные характеристики совести (как это, по мнению автора, делает Класс), автор правильно замечает, что подобные высказывания показывают только то, что человек стыдится своих действий, ставших всем известными и навлекших на него позор. Совесть, напротив, предполагает самооценку героя, не зависящую от осведомленности окружающих о его поступках. «Это различие, — пишет автор, — лучше всего иллюстрируется двумя высказываниями из греческих же авторов. Софокловская Деянира, ориентирующаяся на оценку извне, полагает, что позорное деяние, совершенное во мраке, не навлекает на человека позора... Автор псевдосократовской речи к Демонику, наоборот, уверен, что человек совершивший нечто позорное... если он и скрывает это от взоров других, будет сознавать позор в себе самом (Isocr., I, 16). Если подходить к греческой трагедии именно с такой точки зрения, то здесь можно найти не более трех мест, указывающих на проникновение в нее и передачу посредством симптомов феномена совести.

Первое и наиболее раннее, справедливо выделенное Классом, — слова хора в народе «Агамемнона»: «Вместо сна сочатся перед сердцем муки от воспоминания о бедах» (с. 179 сл.). С присущей Эсхилу смелой образностью душевное состояние изображается как физический процесс, пронесшийся «внутри» человека. Другой пример — рассуждение Федры о неверных женах: как они могут смотреть в лицо мужьям, не боясь, что мрак-соучастник и сама кровля дома заговорит, обличая их измену? (Hipp., 415—418). Преступление, совершенное под покровом мрака и недоступное внешнему осуждению, тем не менее не должно оставлять в покое самого виновного. И, наконец, вопрос Нептолема, обращенный к Одиссею: как отважиться смотреть в глаза человеку, перед которым сознательно лжешь (Phil., 10)²⁴.

Приводя эти примеры, доказывающие несостоятельность его концепции, автор пишет: «Во всех трех случаях явно характеризуется внутреннее состояние, присущее «нечистой», «встревоженной» совести, и сама малочисленность подобных примеров, являющихся исключением, только подтверждает правило, феномен совести, начавший привлекать к себе в конце V в. внимание греческих философов и ораторов, не оказал сколько-нибудь существенного воздействия на художественное мышление афинских трагиков»²⁵.

Этот факт в отношении Эсхила и Софокла, по мнению автора, объясняется достаточно легко: пока в сознании поэта существует вера в справедливое божественное управление миром или хотя бы в неизбежность расплаты за объективно преступное деяние, субъектами трагического конфликта остаются люди цельные, до конца последовательные в своих решениях, раз они уже приняты, и в действиях, вытекающих из этих решений. Но даже у Эврипида, далеко не столь убежденного в справедливости божественной воли, поведение индивидуума все еще оценивается преимущественно с точки зрения объективных нравственных норм. Соответственно и сам человек либо судит себя не по внутренним стимулам, а по объективному результату (Федра, Геракл), либо, страшась смерти, попросту стремится избежать всякой ответственности — и перед коллективом и перед собой (Орест, Гермiona). Совесть и в том и в другом случае оказывается ненужной — как самим героям древнегреческой трагедии, так и их создателям»²⁶.

²⁴ «Античность и современность», с. 262.

²⁵ Там же, с. 263.

²⁶ Там же, с. 263.

Таким выводом и заканчивается статья В. Н. Ярхо. В этих рассуждениях автора много спорного и ошибочного:

1. Автор упускает из виду то обстоятельство, что осуждающая оценка индивидом своего поступка с точки зрения объективных нравственных норм невозможна без наличия нравственного чувства долга и ответственности, т. е. феномена совести. Чувство ответственности перед самими собой, которого, по мнению автора, избегают Орест и Гермийон — это не что иное, как совесть.

2. По законам научной логики и даже по принципам обычного здравого смысла для констатации феномена совести у древних греков вполне достаточно не только трех примеров упоминания и описания совести (которые автор считает исключениями), но даже одного единственного примера. Более того, для констатации наличия феномена совести было бы достаточным не только описание и указание на совесть, но и простой намек на ее элементарное проявление. А такие проявления мы встречаем на каждом шагу при чтении древнегреческих трагедий.

3. Приводимые автором примеры из древнегреческих трагедий наглядно указывают не на то, что древние греки не имели совести, как чувство, как феномен, а лишь на то, что тогда, в частности, в период расцвета древней Греции (эпоха Эсхила) еще не был хорошо осознан феномен совести, не было выработано понятие совести и выражали его персонафицированными мифологическими образами. А позднее (в эпоху Эврипида) уже обнаруживаются первые зачатки понятия совести, более четко сформировавшиеся в недрах философского, этического мышления (Сократ, Платон, Аристотель). Дальнейшее развитие и совершенствование понятия совести происходит на всем протяжении истории этического мышления вплоть до наших дней и оно далеко еще не завершено.

Анализ эсхилевского «Ореста», правда, показывает, что тогдашние греки еще не имели понятия совести (и угрызения совести), но это вовсе не говорит об отсутствии у древних греков самой совести, так же, как не говорит об отсутствии человеческого тела и души тот факт, что у тогдашних греков не имелось общих понятий человеческого тела и человеческой души, как на это совершенно правильно указывают ученые Б. Снелл и Г. Редлов (см. в том же сборнике «Античность и современность» статью А. А. Тахо-Годи «Мифологическое происхождение поэтического языка «Илиады» Гомера», с. 197).

4. Даже те примеры, которые анализирует автор, не оставляют ни тени сомнения в том, что у древних греков была совесть, так же как были им присущи почти все добродетели и пороки, известные и присущие современному человечеству. Нетрудно заметить, что угрызения совести определенной формы и интенсивности переживают и эсхилевский Орест и эврипидовский Орест. Но если бы даже ни один из них не испытывал угрызений совести — это никак не подтвердило бы тезиса автора об отсутствии совести у древних греков: во-первых, когда человек мстит изменнику и наказывает его — это не является злом и вовсе не обязательны тут угрызения совести. Авторы упомянутых трагедий все же считают нужным указать на элементы проявления угрызения совести вместе с переживаниями ужаса содеянного только лишь потому, что изменницу мать наказывает собственный сын. Орест раздваивается между двумя велениями долга — гражданственного возмездия и сыновней благодарности. Решается конфликт этих велений долга чувством справедливости, т. е. совестью. Поэтому и нет основания для угрызения совести, а есть только «осознание», «вспоминание» и «переживание» «ужаса содеянного».

5. Несомненно, трудно говорить о существовании той или иной духовной способности человека без наличия следов этой способности, однако эти следы надо искать не только в произведениях искусства и философских творениях, но и в реальной жизни, социальной и исторической практике. Данные этнографии дают достаточно материала для воссоздания нравственного облика людей первобытного общества. К. Маркс и Ф. Энгельс не раз восторгались здоровой, неспорченной моралью людей первобытной общины. А утверждать отсутствие совести у людей морально честных, мягко говоря, недоразумение.

6. Корень этого недоразумения в том, что автор рассматриваемой нами концепции и все те, которые так или иначе разделяют эту концепцию, исходят из возможности существования нравственности без чувства совести, тогда как на деле нравственность — это, прежде всего, не нормы и не страх наказания при нарушении этих норм, а сознание и чувство определенного долга и ответственности перед другими людьми и обществом, т. е. чувство совести. Порядочность, основанная только лишь на страхе наказания или на надежде вознаграждения, далеко еще не является нравственностью. Если мы утверждаем, что человек возник в процессе труда в течение 1—2 миллионов лет, когда у него развились способности мышления и речи, то именно в этом же процессе формируется его воля, волевые способности, которые вкупе с сознанием и чувствительностью создают психологический механизм нравственности вообще и совести в частности.

Одна из причин, обусловивших ошибку автора, заключается в том, что он, судя по всему, единственными проявлениями феномена совести считает угрызения совести и раскаяния, тогда как совесть имеет не только функцию самооценки и самоосуждения, но и функцию побуждения к выполнению долга и к воздержанию от зла. Совесть побуждает к справедливости и добрым делам и нередко преграждает путь к несправедливости и пороку. Отрицать это означало бы отрицать справедливость и добро вообще, или же объяснить эти феномены нравственности как результат страха наказания или же надежды вознаграждения. Как первое, так и второе означает отрицание нравственности вообще. Стало быть, утверждать отсутствие совести у древних греков, по существу, равнозначно утверждению отсутствия у них нравственности вообще.

Если даже и совести феномен совести к угрызениям и раскаянию, то и эти элементы нетрудно обнаружить в древнегреческих литературных памятниках. Так, например, Геспод в своей дидактической поэме «Труды и дни». (конец VIII — начало VII в. до н. э.) «...рисует, — как пишет О. Г. Дробницкий, — картину прогрессирующего падения нравов со времени «золотого века» до века «железного». С земли отлетели благородное негодование и стыд, воцарилась «ложная правда» (*ἄλογα δίκη*) и беззаконие, гудящие род человеческий; в железном веке «от зла избавления не будет», человечество призывается вернуться на нелегкую стезю добродетели, «обитающей на неприступной вершине» («Понятие морали», с. 30).

«Благородное негодование и стыд» — не что иное как феномены, указывающие на существование чувства долга, ответственности и совести

7. Отрицание наличия феномена совести у древних греков, народа, заслуги которого перед человечеством неизгладимы, никак не увязывается с данными исторической, социологической и философской мысли. Профессор Ф. Х. Кессиди в своей глубокосодержательной монографии «От мифа к логосу» о древних греках пишет:

«Открытие человека — идея о гражданине полиса как самостоя-

тельной ценности, признание за ним права на инициативу, вера в то, что свободный человек в состоянии сделать правильный выбор, доверие к разуму человека и его свободе — вот что является важнейшим достижением греческой культуры, достижением, определившим ее всемирно-историческое значение»²⁷.

Там же, на с. 31 читаем: «Для греческого миросозерцания человек (свободный человек во всяком случае) не дух и не бог, но и не скотина, не вещь; человек — это телесно-духовное свободное существо; он не «заброшен» и не «выброшен» в этот мир (если употребить терминологию экзистенциалистов); представление о свободе человека и его живом чувстве единства с обозримым космосом объясняет оптимизм миросозерцания древних греков, их чувство безопасности в земном бытии, их стремление к полноте жизни, к гармонии материальной и духовной сторон жизни, к самодовлению (autarkia)»²⁸.

Как совместить с этой характеристикой культуры народа утверждение об отсутствии у него совести?

Касаясь вопроса, близко соприкасающегося с обсуждаемой нами проблемой структуры морального сознания древних греков, Кессиди пишет, что: «Идея неотвратимости Судьбы и невозможности управлять слепым Случаем, разрушающим человеческие замыслы и планы, — одна из главных тем греческой трагедии»²⁹. Этим и объясняется, что в этих трагедиях в отличие от поздних творений и христианского искусства не заостряется внимание на феномене совести, как действенного проявления свободы воли человека.

«Античное мировоззрение периода ранней классики в особенности, ориентированное на внешний мир, занято преимущественно космологическими проблемами, христианское же жизнепонимание, ориентированное на внутренний мир человека, занято религиозно-мифологическими и этико-психологическими вопросами»³⁰. В этом заключается так называемый «антипсихологизм» эпоса. Однако отсюда не делается вывод об отсутствии психики вообще у древних греков.

8. Выдвигая тезис об отсутствии феномена совести у древних греков, уважаемый В. Н. Ярхо не учитывает тот факт, известный в истории этической мысли, что еще Пифагор (570—500 гг. до н. э.) рассуждал о чувстве самостыда и феномене самопристыжения. А Демокрит (460—370 гг. до н. э.) дает первую характеристику данного феномена, не говоря о систематическом анализе понятия совести у Сократа, Платона и Аристотеля. Можно ли допустить, что Пифагор и Демокрит описывали не реально существующий феномен, а плоды собственного воображения? Или же можно ли допустить, что великие трагики древности не знали учений Пифагора и Демокрита?

²⁷ Ф. Х. Кессиди. «От мифа к логосу», 1972, с. 26.

²⁸ Там же, с. 31.

²⁹ Там же, с. 27.

³⁰ Там же, с. 32.

Нет сомнения, что феномен совести не рождается в готовом виде с самого начала генезиса Homo Sapiens. Совесть проделала длинный путь зарождения и развития так же как мышление, речь и вообще вся психика человека, процесс развития которой далеко еще не закончен и вряд ли имеет пределы в обозримом будущем. Однако она, совесть, формировалась по существу гораздо раньше, чем появляются первые упоминания о ней. Можно и надо исследовать процесс генезиса **понятия совести** в древних литературных памятниках, но этого нельзя пугать с вопросом зарождения и развития самого **феномена совести**. Проблема эта чрезвычайно сложная, так как она своими корнями переплетена не только с проблемами зарождения классового общества, но и гораздо глубже, с проблемами антропогенеза и социогенеза вообще, без учета которых невозможно воссоздать картину формирования сознания и чувства совести.

Представил Институт философии
АН Грузинской ССР

ზურაბ რამიშვილი

ენის საზემეცნებო ფუნქცია

ენის სიღრმისეული მოქმედების კვლის მისაგნებლად ადამიანის აღქმასა, წარმოდგენებსა და სხვა ინტელექტუალურ პროცესებში, წინასწარ კრიტიკულად უნდა იქნეს დაძლეული ის თვალსაზრისები, რაც საკუთრივ ენის გაგებაში იჩენს თავს და რასაც ჩვენ „ნომენკლატურის“ საერთო სახელწოდებით ვაერთიანებთ. ესაა თვალსაზრისები, რომელნიც სიტყვის მნიშვნელობათა კლასიფიკაციის დროს გარეგნობრივ, ე. წ. საგნობრივ კრიტერიუმებს მიმართავენ იმ მარტივი ფაქტიდან ამოსვლით, რომ სიტყვა საგანზე „მოითითებს“ და რომ იგი ცნებას გამოხატავს.

სიტყვები თუ არის მხოლოდ აღნიშვნა გარეთ არსებული საგნებისა და ცნებებისა, მაშინ საგანთა და ცნებათა რიგი უნდა განსაზღვრავდეს მათს (სიტყვების) რიგს. ასეთი დავები წინასწარ უკვე მოცემულია დიფერენცირებული აზრით ერთეულები და ასევე — მზა მასალა ბგერათანაერთების სახით; ასე ვთქვათ, ამოცანა ისაა რჩება, რომ ბგერამ აზრი უფრო გამოკვეთოს, რათა იგი სხვას გადაეცეს. ჟერერთი აზრი ისედაც დიფერენცირებული ყოფილა როგორც ცალკე ოდნობების სახით მოცემული (რალა საჭიროა მისი ხელახალი გამოკვეთა?); მეორეც, ეს „აზრი“, ალბათ, უნივერსალური იქნება და, ამდენად, ენები განიხილება როგორც ერთი და იმავე აზრის პარალელურად აღნიშვნის შემთხვევები.

აღნიშნული ვითარება კი ტერმინებსა და საკუთარ სახელებში უფრო გვაქვს. აღარაფერს ვამბობთ იმის თაობაზე, რომ საგანთაწყაროს ასეთი ენობრივი დუბლირება ფაქტობრივ შეუძლებელი იქნებოდა. ენობრივ ნიშანთა სამყარო საგანთა სამყაროს დუბლირება რომ ყოფილიყო, მაშინ ენას უნდა აღენიშნა საგნისა და პროცესის ემპირიული არსებობის ყოველი კერძო შემთხვევა — დაახლოებით ისე, როგორც ეს ტერმინოლოგიასა და სახელწოდებებში (ონომასტიკა) გვაქვს. მაგრამ სიტყვა უნდა განვასხვავოთ სახელწოდებისაგან, რადგან იგი არ არის ასეთ უშუალო კავშირში დენოტატთან.

რას ნიშნავს დენოტატი (საგანი)? რა შემთხვევაში შეგვიძლია ჩვენ დენოტატი ვილაპარაკოთ? თუ იგი ენამდე არის მოცემული იმ გაგებით, რომ ენის გარეშე „უხედავთ“ და, მასთანადავ, თუ იგი მხოლოდ ფიზიოლოგიური ეფექტის შედეგია (ანდა ინტელიციისა), მაშინ ბგერები მართლაც საგანთა ეტიკეტებია და ენის ფუნქცია — ფორტოგრაფიული: მაგრამ არის განა ასე? შეიძლებოდა ეს, გარკვეული დათმობით, საკუთარ სახელებში დაგვეჩინა, მაგრამ სიტყვა „ხე“ ხომ თანაბრად მოიცავს, თუ გნებავთ, ალუბლის ხესაც და ბერძნულსაც; ისევე როგორც სიტყვა „ფრინველი“ როგორც საცოდავ ბელურას, ისე — ძლევაშოსილ არწივს. ფორტოგრაფიული კადრი საგნისა მხოლოდ მის აქტუალურ მოცემულობას (სივრცესა და დროში) გადმოსცემს. სიტყვა „ვაშლი“ მარტოდენ „ეს ვაშლი“ კი არ არის მოცემული, არამედ „ამ ვაშლის“ სწორედ ის ასპექტი,

რაც სწორედ კონკრეტული სიტუაციის მიღმა. იქნებ იგი (სიტყვა) აზრით უკვე დანახულის ფიქსაციაა? თუ ამას ვიტყვით, მაშინ „წმინდა აზრი“ უნდა დავუშვათ როგორც სიტყვაზე ადრე არსებული და აზროვნებას მივაწეროთ ის ფუნქცია რაც ბიბლიური გადმოცემით, ღმერთმა იცისრა: თითქოს აზრმა ბგერას „დაავალა“ აღენიშნა საგნები, რომელნიც მან წინასწარ გამოყო და დააცალკევა (ისევე, როგორც ადამს დაეფალა ღმერთის მიერ შექმნილ საგანთათვის სახელების შერქმევა). კითხვა ჩნდება: თუ აზრმა წინასწარ დაანაწილა საგნები, მაშინ ენებს ერთი აზრითი შინაარსი ჰქონია და მათი განსხვავება მხოლოდ ბგერითს საშუალებებში ყოფილა. ამ გაგებით, ლოგიკური ცნება და სიტყვის მნიშვნელობა ერთი და იგივე გამოდის. თუ უნივერსალური აზრი იყო დამანაწევრებელი, რატომ ერთნაირად არ დაუყო მან ხილული სამყარო ყველა ხალხს? სელექციის ფუნქცია თუ აზრმა ენის გარეშე შეასრულა და შემდგომ ეს ენამ გაიმეორა: ჯერ ერთი, სისტემატიკის პრინციპი რატომ არ ჩაატარა ლოგიკურად, თანმიმდევრულად (შეეშალა? შეცდომა დაუშვა?). და მეორე: თუ ენა სელექციისა ან სისტემატიკის ლოგიკური ოპერაციის გამოხატულებაა, მაშინ რატომ არ ემთხვევა ლოგიკური და ლინგვისტური კლასები (სისტემატიკა) ერთმანეთს? თანაც რატომ არის ეს კლასები სხვადასხვანაირი სხვადასხვა ენაში?

როგორ მოხდა, რომ აზრმა დაანაწევრა სამყარო ფერის, გემოს, მოხაზულობის... მიხედვით? — ეს აზრმა (წმინდა აზრმა) დაპყო, თუ ადამიანებმა დაპყვეს გონითი ფუნქციების მოშველებით?.. თანაც ცალკეულმა პირებმა კი არა არამედ სოციალურმა ჯგუფებმა, რომელთაც ერთიანი კულტურის შექმნა დაიწყეს?

გარესამყაროს აგენტთა სელექცია აუცილებელი იყო ადამიანის როგორც ფიზიკური. ისე გონითი ორიენტაციისათვის სამყაროში. ეს არის ინტელექტისა და ენის ერთიანი მოქმედება — განუყოფელი ლოგოსი.

დანაწევრება და კლასებში გაერთიანება, გამოცალკეევა და იდენტიფიკაცია, ანალიზი და სინთეზი, დიფერენციაცია და ინტეგრაცია ადამიანურა უნარია, რაც ყველგან ვლინდება. ენობრივი დანაწევრება და იგივეობა გონების პირველი არაღნობიერი ოპერაციაა, რაზედაც შემდგომ იგება ლოგიკური ანალიზისა და სინთეზის ცნობიერი ოპერაციები. თუ ლოგიკა ენის განმეორება არ არის, ყოველ შემთხვევაში, მის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებაა: თუ ლოგიკა და მეცნიერება ჯერ ანაწევრებს და მერე კი აერთიანებს კლასებში მოვლენებსა და საგნებს ზედმიწევნით დამუშავებული საზომების მიხედვით. მანამდე (და პარალელურად) ამასვე აკეთებს ენა, ოღონდ ფარულად, არა ექსპლიციტურად. ასე რომ, ენობრივი მოდელირების ნიმუში „თვალწინ აქვს“ თეორიულ აზროვნებას და თვითონ მეცნიერს, რომელიც ლოგიკური მოდელის ცნობიერ აგებამდე ადრეული ბავშვობიდანვე არის „დაჩვეული“ საგნებზე ოპერირებას წინასწარ მოქმედი ენობრივი პროგრამით.

როცა სიტყვის გამოყენების საფუძველს ვეხებით, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს საფუძველი არის ენობრივად შეპირობებული, ენით „განათებული“ საგანი, ამდენად — გაშუალებული. და არ არის ეს ჩვენი უშუალო რეაქცია გრძნობად მონაცემებზე, როგორც შეგრძნებათა კომპლექსზე. ვთქვათ, სიტყვა „ლუკმის“ შემთხვევაში — როგორც ოპტიკურ, კინესთეზურ და გემოს შეგრძნებათა კომპლექსზე. ასეთი კომპლექსი ყველას აქვს. „ლუკმა გადაყლაპი!“ — როცა ბავშვს ვეუბნებით, სიტყვა „ლუკმა“, როგორც ბგერით — შინაარსობრივი ერთიანობა, არ არსებობს სხვაგან, თუ არა ენაში (ამჯერად ქართული ენობრივი კოლექტივის

წევრთა საერთო ენობრივ ცნობიერებაში; (წდრ. რუს. проглотить кусок და кусок ткани, железа); შეიძლება მეტიც ითქვას: თვით გარეენობრივი ობიექტური მონაცემი ენობრივი რაკურსით არის „დანახული“ და, ამდენად, ობიექტივაციის ხარისხშია ატანილი. ამ შემთხვევაში ობიექტივაციის აქტს თითქოს ლინგვისტური დასაბუთება დაეძებნება, რასაც საგნის ცნობის აქტთან ერთგვარი კავშირი აქვს. თუ „საგნის ცნობა“ გულისხმობს რალაც აპერცეფციასაც, ენა ერთი აუცილებელი კომპონენტია როგორც ინტელექტუალური აქტივობის პირველსახე. რატომ ვუწოდებთ ენას ინტელექტუალურ აქტივობას? რადგან „განზოგადება“ უკვე ენაშივე გვაქვს: კლასების აგება ფაქტია სუბლოგიკურ დონეზე. არავითარი უნივერსალური ლოგიკური პრინციპით არ არის ნაკარნახევი „ლუქმა“, როგორც კლასი და, ვთქვათ, „ჰემუქვანა“ — როგორც ოპერაციების მოდელი.

მაშასადამე: სიტყვა „ლუქმა“ არსებობს ენაში და მისი, როგორც ენობრივი დიფერენციალის, გაზომვა-გამოყოფა არ მოხერხდება მხოლოდ გარეენობრივი კრიტერიუმებით — არც საგნობრივითა და მით უფრო, არც ლოგიკურით. ამიტომ უნდა დაიძებნოს მისი მნიშვნელობის დადგენის საკუთრივ ლინგვისტური საზომიც.

როდესაც მე ვისწავლე რუსული სიტყვა переносица, რაც აქამდე გაუდიფერენცირებული „შუბლ-ცხვირის ნაწილი“ იყო ჩემთვის როგორც ქართული ენობრივი კოლექტივის წევრისათვის, ის ამჯერად ენით გაშუქებული „საგანია“ და ჩემს მეტყველებაში (რუსულად) მე არა მხოლოდ ვიყენებ ბგერათა (ფონემათა) ახალ კომბინაციას (и-е-р-е-и-о-с-и-с-а), არამედ ვუფლები შინაარსის კომპონენტს და მისი ხმარების წესს; სწორედ მისი სემანტიკის შეთვისებით, ვიძერ თითქოს ზედის ახალ პერსპექტივას. ენამ გამოიკვლია, მისმა „შუქმა“ არე შემოავლო შუბლ-ცხვირის ამ ნაწილს და ამიერიდან ეს უკვე „ნაწილი“ აღარ არის რალაცია, არამედ დამოუკიდებელი ალქმითი სემგენტი თუ ელისმიერი, ემბირიული ელემენტია. ბგერათკომპლექსი переносица ჩემს მეტყველებით პროცესში უკვე „გარკვეულობის“ მქონე ობიექტს აღნიშნავს მისი ყველა თვისებით (მოცულობა, ფორმა, მოხაზულობა, მდებარეობა). თანაც, переносица არის არა რომელიმე პიროვნების შუბლ-ცხვირის სემგენტი, არამედ — კლასის სახელია და ეს კლასი რუსული ენობრივი კოლექტივის შიგნითაა აგებული; ეს კი არ გამოიყვანება არც კაცობრიობის ზოგადლოგიკური პრინციპიდან, არც თვალის ფიზიოლოგიური სპეციფიკიდან და არც ინდივიდის ნება-სურვილიდან, რადგან იგი საერთოა მთელი ენობრივი კოლექტივისათვის და „სავალდებულო“ მის წევრთათვის.

სულიერი განცდების აღნიშვნელ სიტყვათა კლასიფიკაციაც თითქოს მაშინაა შესაძლებელი, როცა თვითონ ამ სულიერ განცდათა სახეებსა და ბუნებას გავეცნობით. მაგრამ სად არსებობს სულიერ განცდათა წინასწარი ტაბულა? ასეთი ტაბულა ენამდე. და ენის მიღმა ძნელი შესადგენია.

მაშასადამე, როცა ვამბობთ: სიტყვა საგანს აღნიშნავსო, ეს, რამდენადაც მეტყველის პოზიციას გამოხატავს, სწორია, მაგრამ ლინგვისტური ინტერპრეტაციის გარეშე მეცნიერულ დებულებად არ გამოდგება. რა არის საგანი, როცა მას ენასთან მიმართებაში ვიღებთ? რა არის აღნიშვნა? ვთქვათ, რას აღნიშნავს სიტყვა „ქმა“*? იგი შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ პიროვნე-

* „დღემაშიველობა“ არ არის „ქმის“ აუცილებელი და ერთადერთი მახასიათებელი ისეთ ენებში, როგორც არის მაგალითად, ვეტნამური და რამდენაღმე რუსულიც.

ბაზე მიუთითებდეს, რომელიც შეიძლება ვილაცის ძმა იყოს, მაგრამ როდესაც აღნიშნული პიროვნება ქართულმა კაცმა ვილაცის ძმად ჩათვალა, ჩვეულებრივ იგულისხმება ერთი დედამამშვილობა; მაგრამ ამით მან აღნიშნა ან გამოხატა არა უნივერსალური ცნება „ძმისა“ (თუ ასეთი შესაძლებელია), არამედ ქართულ ენობრივ კოლექტივში მიღებული „ენობრივი ცნება“ ან „ვერბალური საგანი“, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ. „აღნიშვნა“, ამდენად, არის არა მზა საგანზე ბგერითი ეტიკეტის მიკვრა, არამედ იმ სინთეზის ემპირიული რეპროდუქციაა მეთყველემო რაც ენაში (და ენობრივ კოლექტივში) უკვე არსებობს ბგერითი ფორმისა და შინაარსის სახით.

ენა თავის ფუნქციას მართო მაშინ არ ავლენს, როდესაც აზრებს ბგერითი ფორმით გამოვხატავთ და ამ აზრებს ერთმანეთს ვუზიარებთ. ენა „მოქმედებს“ მაშინაც, როცა ვაზროვნებთ გამოუთქმელად და, თუნდაც, როცა უბრალოდ ვსაქმიანობთ. როდესაც, აზრებს გამოთქვამთ და ვმსჯელობთ, თვითონ ეს მსჯელობა თუ შეფასება რაიმე მოვლენისა შესაძლებელია მოტივირებული იყოს არა მხოლოდ საგნობრივი ვითარებით, არამედ, რამდენადმე ენითაც ჩვეულებრივ— დედანით. ასეთ დროს ენა გარეგანი ფორმა კი არ არის აზრითი პროცესებისა, არამედ — ამ პროცესში ჩართული და მათს განხორციელებაში მონაწილე. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ ენა არ არის მხოლოდ აღმბეჭდავი (ერთგვარი ეტიკეტების რიგი, საგნებზე მიკრული ისე, როგორც, ვთქვათ, ბოტანიკურ ბაღში ჭებებს ჰკიდია აბრა), არამედ — თანამონაწილე ფაქტორი აღმანიშნის მოქმედებათა სისტემაში და, ამდენად, იგია საგანთა, თვისებათა თუ პროცესების ერთგვარი ანონიმური ინტერპრეტატორი რაც ვლინდება ჩვენს დამოკიდებულებაში გარემოსთან. ზოგადი დებულება, — რომ ქცევასა და ენას შორის არის რაღაც დამოკიდებულება, — კარგა ხნის შემჩნეულია და მასზე მტკიცედ ფსიქოლოგები მიუთითებენ. ამგვარად გვიანტერესებს არა ზოგადად ენის ინტელექტზე ზემოქმედების საკითხი, არამედ მასზე კონკრეტული ენის გავლენის საკითხი: არსებობს წმინდა ლინგვისტური ოპერაციები ე. წ. სულოგოვიურ დონეზე, სადაც აღმანიშნის მეტყველებით ქცევას რეგულაცია ხდება არა უნივერსალური სქემების მიხედვით, არამედ იმ ენის მიხედვით, რომელიც მან ბავშვობიდან ღრმად შეითვისა, — ჩვეულებრივ — ეს არის დედენა. მაშასადამე: დედენისმიერი კლასები საგანთა და მოვლენათა დაყოფისა და დაჯგუფებისა არა მხოლოდ ბავშვობაში უნდა ახდენდნენ ქცევაზე ზეგავლენას, არამედ მაშინაც კი, როცა ჩვენ სივრცის, დროის თუ საგანთა განხომილების მეცნიერულ ცნებებს ვეცნობით. მაგალითად, ქართველი მრგვალი და ოვალური საგნების მიმართ იტყვის „მსხვილს“ — (მსხვილი მარცვალი, კვერცხი, მილი, ჯოხი...), ხოლო ბრტყელის მიმართ — „სქელს“ (სქელი ფიცარი). ქართულში ორი კლასია: მსხვილი და სქელი. შეუმჩნეველად მოქმედი ეს კლასიფიკაცია საგნებისა მსხვილისა და სქელის ნიშანთა მიხედვით იმპერატორია ქართული ენობრივი კოლექტივის შიგნით. არათუ მეტყველებათა სიტყვის ხმარება არის მოტივირებული აღნიშნული ოპოზიციით ზედსარბათი კლასებს შორის (მსხვილი — სქელი), არამედ თვით საგანთა აღქმით ფორმებშიც არ არის მოულოდნელი თავი იჩინოს კლასებად დაყოფის აღნიშნულმა პრინციპმა. მაშასადამე: ქართულ ენაში არსებული სიტყვათა ოპოზიციის მეტყველების პროცესში „აწესებს“ ნორმას აღნიშნულ სიტყვათა ხმარებისას და „წარმართავს“ ქცევას ფართო გაგებით, რაც გამოიხატება (თავს იჩენს) სათანადო

საგნების მიმართ ეგზემპლარის კლასის ინდექსით აღბეჭდვაში: სრულიად შეუძინებლად, ყოველგვარი წინასწარგააზრებული ცოდნის გარეშე და თანაც სრულიად უმეტყიფნეულოდ (ყოველგვარი სიძნელის გარეშე) ქართული ენობრივი კოლექტივის წევრები მარცვალს, ნემსს, წვეთს, ფანჯარს, მილს... მიაწერენ მსხვილი კლასის ნიშანს, განსხვავებით სქელის კლასში შემავალი საგნებისაგან.

სხვა კრიტერიუმები, რაც ქართველის ამ ქცევას ავციხსნიდა გარდა დედენობრივისა, — არა ჩანს: უნივერსალური სქემა აქ არ მოქმედებს; თუ ვიტყვი, რომ რეალურად მილი მსხვილია (ან წვრილია), ხოლო ფიცარი სქელა (ან თხელი) და მეტყველებაში ეს არის ასახული, მაშინ უნდა ავხსნათ (თუკი საგნობრივი დიფერენციაცია ამზომად ცხადია და თვალსაჩინო), რატომაა რომ, მაგალითად, გერმანული და რუსული ერთ კლასად აერთიანებენ იმ საგნებს განზომილების მიხედვით, რაც ქართულისათვის სხვადასხვა კლასშია? სხვანაირად: რატომ არ იყო ეს დიფერენციაცია ამ ენებშიც ასევე ცხადი? (შდრ. გერმ. dick და რუს. толстый, სადაც სხვა ვითარებაა)**.

ერთადერთი საზომია შიდაენობრივი სტრუქტურული სხვაობა. რისი გამოვლენაც უფრო ეფექტურად ე. წ. „მნიშვნელობათა ველების“ დიდი მონაკვეთების მიხედვით უნდა განხორციელდეს. აქედან გამომდინარე, ადამიანებს შორის საუბარიც არის არა კომუნიკაციის მარტივი აქტი, მხოლოდ ინფორმაციის უბრალო გადაცემა საგნობრივი ვითარების (სიტუაციის) შესახებ; არამედ — ურთიერთგაგება, რალენარი შეთანხმება ან შეუთანხმებლობა ერთგვარი შეფასება ან მსჯელობა საგანთა ვითარების შესახებ... და აი, სწორედ აქ თავს იჩენს ენა არა მხოლოდ როგორც ბგერითი გადამტანი, არამედ როგორც კოლექტიური ინტერპრეტაციის ერთ-ერთი ანონიმური ფორმა.

თუ ჩვენი დამოკიდებულება სინამდვილესთან როგორც წინარემეცნიერულ საფეხურზე, ისე ლოგიკური სტრუქტურების სრული დაუფლების პერიოდშიც რამდენადმე გაშუალებულია ლინგვისტური კლასების მოქმედებით, თავისთავად გასაგებია, რომ ამ კლასების მოქმედების შესწავლა და გამოვლენა ენათმეცნიერების საქმეც არის, ხოლო თუ ქცევისა და კულტურის ფორმებში ლინგვისტური ფაქტორის დადასტურება და მანიფესტაცია ფსიქოლოგიური ექსპერიმენტითაც მოხერხდა, მაშინ ჰიპოთეზა მნიშვნელობათა სტრუქტურულ-ენერგეტული ბუნების შესახებ (თეორიულად ჩვენთვის სრულიად ცხადი) ექსპერიმენტულად დადასტურდება.

ამდენად, პროცედურული მოთხოვნის გამო საგნობრივ საზომზე დროებით უარის თქმა არ უნდა გავიგოთ თვითონ საგანზე უარის თქმა! ენა, ადამიანის საგნებთან პრიმარულ ინტელექტუალურ ურთიერთობაში ჩართული, სწორედ საგნობრივი ცნობიერების [2] აგებაში თანამონაწილედ ფაქტორია.

ლიტერატურა

1. Н. В. Имедадзе, Влияние языковых различий на классификацию перцептивно данных объектов, Психологические исследования, Тбилиси, 1971.
2. ვ. რამიშვილი, ენის ანთროპოლოგიური არსი და ენათმეცნიერება, „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1978, № 1.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პროფ. შ. ძიძიურმა.

** ამავე მავალითზე ჩვენი მოსაზრება ექსპერიმენტულად შემოწმდა. [1].



ი ა შ ა კ ა ტ შ უ მ ი ე

მიცენიერულ-ტექნიკური რევიზიის და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მომავალი

ადამიანის შიერ როგორც მატერიალური, ასევე სულიერ ფასეულობათა შექმნის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პრობლემის სწორად დაუყენებასა და გადაწყვეტას. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები არაერთგზის აღნიშნავენ: „ერის საწარმოო ძალთა განვითარების დონე ყველაზე უფრო ნათლად ვლინდება იმაში, თუ რა ზომითაა მასში განვითარებული შრომის დანაწილება. ყოველი ახლი საწარმოო ძალა, რამდენადაც იგი წარმოადგენს უკვე დღემდე ცნობილ საწარმოო ძალთა არა უბრალო რაოდენობრივ გაუარყოფას, იწვევს შრომის დანაწილების შემდგომ განვითარებას“.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პრობლემის შესახებ ჩვენს ფილოსოფიურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში ბევრი დაიწერა და იწერება დღესაც. ამ საკითხის გაშუქება ფართო დისკუსიასა და მეცნიერულ აზრთა სხვადასხვაობას უკავშირდება, რაც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ცნების არასწორი გაგებიდან გამომდინარეობს. სხვადასხვა პოზიციებზე მდგომ ავტორებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ერთი და იმავე დებულებიდან გამოჰყავთ სხვადასხვა, დიამეტრალურად საწინააღმდეგო დასკვნები. ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოსდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები ამ საკითხზე იძლეოდნენ აზრთა სხვადასხვაობის საფუძველს; არამედ ზოგიერთ მეკლავარს არასწორად ესმის საკითხის არსი და სწორი მეცნიერული ინტერპრეტაციის ნაცვლად გვიქმნის ბუნდოვან, უზუსტო შეხედულებებს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პრობლემის თაობაზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საერთოდ საკითხი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შესახებ ჩვენს ფილოსოფიურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში არასწორადაა დასმული. დისკუსია ეხება იმას, ექნება თუ არა ადგილი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას სრული კომუნისტური საზოგადოების დროს. მეცნიერთა უმრავლესობას, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების დროსა და საფუძვლიანი ანალიზის საფუძველზე, მიაჩნია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსებობის აუცილებლობა საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპისათვის. ვინაიდან, საზოგადოება თავისი განვითარების ნებისმიერ საფეხურზე გულისხმობს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, ამიტომ საკითხი უნდა დაისვას ასეთნაირად: რა სახეს მიიღებს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, როგორ იქნება მისი როლი კომუნისტური დროს?

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საკითხის კვლევის პროცესში ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი ჩამოყალიბდა: ავტორთა ნაწილს შესაძლებ-

ლად მიაჩნია პიროვნების ყოველმხრივ განვითარებასა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შეთავსება და გულისხმობენ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსებობას სრული კომუნიზმის დროსაც? მეცნიერთა მეორე ჯგუფს შეუძლებლად მიაჩნია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პირობებში პიროვნების ყოველმხრივი განვითარება და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას ისტორიულ კატეგორიად აცხადებს².

როდესაც ვლაპარაკობთ სრული კომუნიზმის დროს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მართებულად გავიგოთ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ცნება და მისი ბუნება. რა უნდა გვესმოდეს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ცნებაში? იგი პირველ რიგში გულისხმობს წარმოების პროცესში ადამიანთა გამოცალკევებას და, ამასთან, ცალკეულ მწარმოებელთა შორის საქმიანობის ურთიერთგაცვლას. ძნელად წარმოსადგენია — საზოგადოების განვითარების ნებისმიერ საფეხურზე — ადამიანთა საწარმოო საქმიანობა, შრომითი საქმიანობის განსაზღვრული*დარგით შემოფარგვლის გარეშე. კ. მარქსი „კაპიტალიზმი“ წერს: „საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა დარგებად დაყოფის გამო საქონელი უკეთ მზადდება; ადამიანის სხვადასხვა მიდრეკილება და ტალანტი შესაფერ სამოქმედო სფეროს ირჩევს, ხოლო ამ სფეროს შეუზღუდველად შეუძლებელია სადმე რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა. მაშასადამე შრომის დანაწილების მეოხებით უმჯობესდება პროდუქტიც და მისი მწარმოებელიც“⁴. კ. მარქსის ამ დებულებიდან ნათლად ჩანს საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში ადამიანთა შრომითი საქმიანობის შემოფარგვლის აუცილებლობა, სადაც იგი მთელი პასუხისმგებლობით გამოაყენებს თავის უნარსა და შესაძლებლობებს. ეს ახრი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პირობებში მუშაკი დაეუფლება მხოლოდ ერთ რომელიმე პროფესიას.

განსაზღვრული შრომითი საქმიანობით შემოფარგვლის პირობებში, შესაძლებელია, რომ ერთი და იგივე მუშაკი ორ ან რამდენიმე სახის კონკრეტულ შრომას ასრულებდეს, — ე. ი. ადგილი ჰქონდეს შრომისმონაცვლეობას. მეცნიერთა ნაწილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დებულებებიდან აკეთებს არასწორ დასკვნებს და ამტკიცებს, თითქოსდა ისინი არსად ლაპარაკობენ სრული კომუნიზმის დროს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შენარჩუნებისა და შემდგომი სრულყოფის შესახებ. ამ ავტორებს მხედველობიდან რჩებათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: როდესაც კ. მარქსი და ფ. ენგელსი ლაპარაკობენ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მოსპობის შესახებ, მათ მხედველობაში აქვთ კაპიტალისტური წესწყობილება და მისთვის დამახასიათებელი შრომის ძველი საზოგადოებრივი დანაწილების სისტემა, რომელიც მართლაც ბოჭავს ადამიანის განვითარებას, არ აძლევს მას ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას და აჯაჭვებს მას მხოლოდ ფიზიკურ ან გონებრივ შრომას. საზოგადოების ყველა წევრის ყოველმხრივი განვითარება

2 ა. კურილოვი, ნ. ნოვოსელოვი, ვ. ფომინა, ა. ომაროვი, ი. სულერესკი, ნ. მარკოვი, ვ. სუსლოვი და სხვ.
3 ს. სტრუმლინი, ვ. ელშევი, დ. კაიდალოვი, ე. კორნიენკო, ნ. ფილიმონოვი, გ. გაკო, ა. კუზინი, ვ. ბელკინი და სხვ.
4 კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 464—465.

შესაძლებელია მხოლოდ — „შრომის წინანდელი დანაწილების მოსპობის გზით, საწარმოო აღზრდას გზით, მოქმედების ცვლის გზით“⁵.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მომავლის შესახებ კ. მარქსი წერდა: «Очевидно само собой, что это необходимость разделения общественного труда в определенных пропорциях никоим образом не может быть уничтожена определенной формой общественного производства; изменится лишь форма ее проявления»⁶. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გარკვეული სახეები, როგორცაა: შრომის საყოველთაო, განაკუთრებული და ცალკეული დანაწილება სრული კომუნისმის დროს მიიღებს უფრო სრულყოფილ სახეს. ამ საკითხზე საპირისპირო თვალსაზრისი აქვს აკადემიკოს ს. სტრუმილინს: „მარქსიზმ-ლენინისმის ფუძემდებლები იყვნენ იმ შეხედულების აშკარა მოპზრენი, რომლის მახედვითაც კომუნისმის გამარჯვება გამოიწვევს შრომის დანაწილების მოსპობას და უზრუნველყოფს პიროვნების ყოველმხრივ პარმონიულ განვითარებას“⁷.

აკადემიკოსი ს. სტრუმილინი ფაქტურად უარყოფს შრომის საზოგადოებრივი დანაწილებას კომუნისმის დროს და მიდის შემდეგ დასკვნამდე: „მანქანათა და ტექნიკის საშუალებათა სულ მეტი სპეციალიზაციის პირობებში კომუნისმი ამტკიცებს შრომის ახალ დანაწილებას, მაგრამ ძირითადად არა ადამიანებს შორის, არამედ მანქანებსა, მთლიან კომპლექსურ ავტომატურ დაზგებსა და ხაზებს შორის“⁸.

აკადემიკოს ს. სტრუმილინის თვალსაზრისი საკამათოდ მიგვანია. იგი შრომის საზოგადოებრივი დანაწილებას უარყოფს იმ მოტივით, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილებას ადგილი ექნება მანქანებს შორის. მოყვანილი დებულების საფუძვლიანი ანალიზი ხომ არ მიგვიყვანს იმის აღიარებამდე, რომ წარმოება ადამიანის — ამ მთავარი საწარმოო ძალის — გარეშე იყოს შესაძლებელი? შრომა და შრომის პროცესის დანაწილება მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი თვისებაა: „Каковы бы не были общественные формы производства, рабочие и средства производства всегда остаются его факторами“⁹.

თანამედროვე მეცნიერულ ტექნიკური რევოლუციის პირობებში რადონესაც არ უნდა მიაღწიოს წარმოების მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ, ადამიანი ყოველთვის იყო, არის და იქნება საზოგადოებრივი წარმოების წამყვანი, ძირითადი ფიგურა. კ. მარქსი „ფილოსოფიის სილატაკეში“ წერს: „მანქანა წარმოადგენს სამუშაო იარაღების შეერთებას და სრულიადაც არა სამუშაოთა კომბინაციას თვით მუშისათვის“¹⁰.

ადამიანის შრომის ხასიათის ცვლილებისას, წინ წამოიწვეს მუშაკის უნარი — მართოს მანქანა, გააკონტროლოს მისი მუშაობა, თვალყური ადევნოს ინფორმაციას, გადაამუშაოს იგი და ამის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილებები.

5 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1975, გვ. 109.
6 К. Маркс, Ф. Энгельс. Избранные письма, М., 1947, стр. 208.
7 Журн. «Вопросы философии», 1963, № 3, стр. 367.
8 С. Г. Струмилин. На путях построения коммунизма, М., 1959, стр. 12.
9 К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 24, М., 1961, стр. 43.
10 კ. მარქსი. ფილოსოფიის სილატაკე, 1938, გვ. 127.

სრული კომუნისტური საზოგადოების დროს შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შეუთავსებლობას აღიარებს დ. კაიდალოვი. მისი აზრით, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროს ტექნიკის განვითარების დონე ითხოვს ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანს, ხოლო შრომის საზოგადოებრივი დანაწილება კი ამის საშუალებას არ იძლევა. დ. კაიდალოვი არ უარყოფს სპეციალიზაციის პროცესის გაღრმავებასა და შემდგომ განვითარებას, მაგრამ ეს გარემოება მიაჩნია სწორედ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მოსპობის საფუძვლად, რადგან ადამიანები შეძლებენ მრავალი სპეციალობათა ათვისებას.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: შეუძლია კი ადამიანს, ათვისოს არსებულ სპეციალობათა მოელი სიმრავლე? ამ საკითხის გარკვევისას დ. კაიდალოვი უშეგებს ისეთსავე უზუსტობას, რასაც სჩადიან ის მკვლევარები, რომლებიც უარყოფენ შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას სრული კომუნისმის დროს. კერძოდ, დ. კაიდალოვის აზრით, წარმოების ავტომატიზაცია, მართვის ერთიანი პრინციპის დანერგვით, იწვევს წარმოების მართვის სხვადასხვაობის ნიველირებას, რაც მუშაკისაგან ნაკლებ სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს.

მართალია, წარმოების ავტომატიზებული მართვა მრეწველობის ყველა დარგში უფრო მეტად დაემყარება საერთო, ზოგად პრინციპებს (სწორედ ამიტომაც შესაძლებელია შრომის მონაცვლეობა), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარმოების სხვადასხვა დარგში ავტომატთა სისტემას მუშაობის ერთი და იგივე პრინციპი ექნება. ანალოგიურ თვალსაზრისზე დგანან — ვ. ბელკინი¹¹, ა. კუზინი¹² და სხვ.

საბჭოთა მეცნიერების უმრავლესობას მიაჩნია, რომ შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას ექნება ადგილი სრული კომუნისმის დროს და იგი არ ეწინააღმდეგება ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას; ასე შავალითად, ა. კურალივი წერს: „შრომის დანაწილების სისტემა ყოველთვის განისაზღვრება მოცემული წარმოების ისტორიული წესით, როგორცაა წარმოების წესი. ისეთივეა შრომის დანაწილებაც. წარმოების ახალი წესის აღმოცენებასთან ერთად, აღმოცენდება აგრეთვე შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ახალი სისტემა“¹³. ამავე თვალსაზრისს იზიარებს ნ. ნოვოსელოვი: „შრომის საზოგადოებრივი დანაწილება იარსებებს (რა თქმა უნდა უფრო განვითარებულ სახით) კომუნისმის უმაღლესი ფაზის დროსაც“¹⁴.

საკითხი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შესახებ ყოველთვის განხილულ უნდა იქნას ისეთ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში როგორცაა: თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ტექნიკური პროგრესის გავლენა შრომის დანაწილებაზე და ორთავეს გავლენა ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ფორმირებაზე.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელი დღე და მისი მომავალი ამკარად ცხადყოფს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომ სრულყოფას: „შრომის საზოგადოებრივი დანაწილება — დაწყებული უმარტივესი ფორმებიდან, რომელიც პირველყოფილ საზოგადოებაში არსებობ-

¹¹ Белкин В. Б. Профессиональное разделение труда и подготовка рабочих кадров, М., 1966.

¹² Кузин А. А. Маркс и проблемы техники, М., 1968.

¹³ Журн. «Вопросы философии», 1962, № 10, с. 23.

¹⁴ Журн. «Вопросы философии», 1963, № 3, с. 50.



და და დამთავრებული ურთულესი ფორმებით კომუნისტურ საზოგადოებაში — იყო, არის და იქნება საზოგადოებრივი წარმოების აუცილებელი პირობა. იგი იმაზე მიგვიჩვენებს, რომ ერთობლივი საზოგადოებრივი შრომა გარკვეული პროპორციითა და სიდიდით უნდა დანაწილდეს ადამიანთა შორის, რომ გარდაუვალია თანაარსებობა შრომის დანაწილებული ფორმებისა, რათა დაკმაყოფილებული იქნას საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნებიანი“¹⁵.

ამრიგად, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება შრომითი პროცესის დამახასიათებელი და განუყოფელი მოვლენაა საზოგადოებას განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. იგი ობიექტური პროცესია, ადამიანის ნებისა და სურვილისაგან დამოუკიდებლად არსებული. „Разделение труда в некотором смысле есть не что иное, как сосуществующий труд, т. е. сосуществование различных видов труда, представленное в различных видах продуктов или, точнее, товаров“¹⁶.

ყოველი საგნის არსის გამოყოფა არ შეიძლება ემპირიულად და უშუალოდ, რადგან იგი ჩანს მხოლოდ მთელ საგანში განხორციელებული განსაზღვრული ფუნქციის სახით: ასე, მაგალითად: ადამიანის არსი ჩანს არა მის ფიზიოლოგიურ და მორფოლოგიურ სტრუქტურაში, არა უშუალოდ თვით მასში, არამედ იმ ფუნქციაში, რომელსაც იგი ასრულებს საერთოდ. ამ აზრს კ. მარქსი გამოხატავდა შემდეგნაირად: „...ადამიანი ამ ქვეყნად არც სარკით იბადება და არც ფიზიკურად ფილოსოფოსის სახით, «მე — მე ვარ». ამიტომ თავისთანავე იგი ჭერს სხვა ადამიანში ხედავს როგორც სარკეში, მხოლოდ მიმართებით ადამიანი ჰაერსთან, როგორც თავის მსგავსთან, ამყარებს ადამიანი პეტრე მიმართებას თავის თავთან როგორც ადამიანთან“⁷. ასეთივე მნიშვნელობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალისტური საკუთრების ეკონომიკური შინაარსი განისაზღვრება არა ცალკეული კატეგორიებითა და დებულებებით, როგორცაა მფლობელობა, გამოყენება, გამგებლობა, მითვისება: არამედ — იმ ფუნქციით, რომელსაც იგი ასრულებს მთელ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში და ელენდება ამ სისტემის მეშვეობით. საკუთრებითი ურთიერთობის ფუნქცია გვიჩვენებს, თუ რა სოციალურ პირობებში ხდება წარმოება და რა ფორმას იღებს მატერიალური სიმდიდრის მწარმოებლის ურთიერთობა მისი შედეგების მიმთვისებელთან. ამის დადგენა კი შეიძლება მხოლოდ საკუთრების ნივთბრივი ფორმის აბსტრაქციებისა და მთელი წარმოებითი ურთიერთობების აშახველ ეკონომიკურ კატეგორიათა მოძრაობა-განვითარების საფუძველზე:

წარმოების საშუალებებზე საკუთრებითი ურთიერთობის ფუნქცია — გვიჩვენებს, თუ როგორია ისტორიულად განსაზღვრული წარმოების სოციალური პირობები — სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემის საფუძველს წარმოადგენს. სოციალიზმის აშენება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა წარმოების საშუალებებზე მოისპობა კერძო საკუთრება და დამყარდება საზოგადოებრივი საკუთრება. მაგრამ, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ კ. მარქსის მიერ ზემოთ მითითებული წარმოებითი ურთიერთობათა სისტემის საფუძველი წარმოებაა. განაწილება, გაცემა და მოხმარება წარმოებას წარმოადგენენ და მხოლოდ წარმოების საფუძველზე არის შესაძლებელი მათი განხორციელება. ეს ხომ არ ნიშნავს სოციალიზმის წარმოებით ურთიერთობათა სისტემის ორი საფუძველს აღიარებას?

მართალია, როგორც წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება, ასევე სოციალისტური წარმოება საფუძველია სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემისა, მაგრამ მათ სხვადასხვა როლი და მნიშვნელო-

⁷ Е. А. Владимирский, И. П. Павлова. Личная собственность, как экономическое отношение, Л., 1977, стр. 10.

⁸ კ. მარქსის კაპიტალი, ტ. 1, გვ. 71—72.



ბა ენიჭებათ სისტემასთან დამოკიდებულებაში. ამ დამოკიდებულების გარკვევა კი „საფუძვლის“ ცნების პრობლემაში მდგომარეობს.

საფუძველი არის მოვლენის პირობა და მისი განმსაზღვრელი მომენტი, იგი ორ ნაწილს მოიცავს: ერთი მხრივ, საფუძველი გამოდის როგორც შინაგანი საფუძველი და იგი განმსაზღვრელი და სუბსტანციური ბუნებისაა, — ამ აზრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი მოვლენა თავისივე შინაგანი ბუნებით არის დანსაზღვრული; მეორე მხრივ, კი საფუძველი მოვლენის გარეგანი მომენტია და მხოლოდ პირობას ქმნის, მაგრამ არ განსაზღვრავს ამ მოვლენის განვითარებას. ამგვარად, საფუძველი არის როგორც პირობა. ასევე სუბსტანცია და მათი როლი და მნიშვნელობა ერთი და იმავე მოვლენის განვითარების პროცესში სხვადასხვაა.

მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში დადგენილი საფუძვლის ამ ცნების მიხედვით თუ ვინსჯელებთ, სოციალიზმის წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში სუბსტანციის როლს ასრულებს სოციალისტური წარმოება, ხოლო წარმოებებს საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება კი გამოდის სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა ფუნქციონირების პირობის როლში. ამ ორი ფაქტორის ერთმანეთში არევა იწვევს საკუთრებითი ურთიერთობისათვის განმსაზღვრელი და, ამგვარად, სუბსტანციური ურთიერთობის როლის მინიჭებას. რაც ქმნის სოციალიზმის წარმოებით ურთიერთობათა სისტემაზე არასწორ წარმოდგენას.

ყოველგვარი შემეცნების პროცესი არის საგნის შინაგანი საფუძვლისაკენ სვლა და სუბსტანციის ყოველმხრივი გამოვლენა, რაც კატეგორიებსა და კანონებში აისახება. მეცნიერული კვლევის მიზანია საგნის შინაგანი არსის ასახვა, საბოლოო ჯამში კი მისი შინაგანი, განმსაზღვრელი მომენტის დახასიათება; ამიტომ ყოველი კონკრეტული მეცნიერების საგანი და სფერო განისაზღვრება მისთვის დამახასიათებელი სუბსტანციის სპეციფიკური შინაარსით.

პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის წარმოებით ურთიერთობათა სისტემას. ეკონომიკური კატეგორიები და კანონები, რაც უფრო ღრმად ასახავენ ამ სისტემას, მით უფრო სრულყოფილად ავლენენ წარმოების, როგორც სუბსტანციის საზოგადოებრივ ხასიათს.

პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები — საქონელი, ფული, ხელფასი, შრომის დანაწილება, შრომის ნაყოფიერება და ა. შ. — სუბსტანციის გამოვლენის ფორმებს წარმოადგენენ და, ცხადია, რომ ისინი უშუალოდ ახასიათებენ არა საკუთრებას, არამედ — წარმოებას, რადგან წარმოებით ურთიერთობათა ნივთებრივი გამოხატულების როლს ასრულებენ. პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საგანსაც კი, ჩვენი აზრით, წარმოადგენს არა საკუთრებითი ურთიერთობა, არამედ წარმოებითი ურთიერთობა და როგორც ვ. მარქსი წერდა: „გამოკვლევის საგანი უწინარეს ყოვლისა — მატერიალური წარმოებაა“⁹. ამის შემდეგ ძნელია საკუთრებას მივაწეროთ სუბსტანციის როლი პოლიტიკურ ეკონომიაში.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება რომ სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სუბსტანციას წარმოადგენდეს, მაშინ იგი განმსაზღვრელი ურთიერთობა იქნებოდა, მაგრამ რამდენადაც სოციალისტური

⁹ Философский словарь, под. ред. М. М. Розенталя, М., 1972, стр. 298.

¹⁰ ვ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 255.

წარმოება ბატონობს და განსაზღვრავს ყველა სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობას, ამიტომ წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება ასრულებს მხოლოდ სოციალური პირობის როლს წარმოებით ურთიერთობათა განვითარების საქმეში.

ისტორიული თვალსაზრისით თუ მივეუდგებით ამ საკითხს, აღმოჩნდება, რომ წარმოების საშუალებებზე საკუთრების რომელიმე ფორმის დამყარება საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე წარმოების საშუალებათა განაწილების ფორმის იდენტურია. კ. მარქსს ეს იდენტურობა ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ომებისა და რევოლუციის შედეგად დამყარებულ წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმის განმსაზღვრელ ურთიერთობად წარმოდგენას მოჩვენებითს უწოდებდა: „თუ მთელ საზოგადოებას განვიხილავთ, — წერს კ. მარქსი, — ისე გვეჩვენება (sheilt), თითქოს განაწილება კიდევ ერთი მხრივ წინ უსწრებს წარმოებას და განსაზღვრავს მას, ასე ვთქვათ, წინაეკონომიური ფაქტის სახით. დამპყრობი ხალხი მიწას ანაწილებს დამპყრობთა შორის და, ამგვარად, ამყარებს მიწის საკუთრების გარკვეულ განაწილებასა და ფორმას, და ამით განსაზღვრავს წარმოებასაც, ანდა იგი დაპყრობილებს მონებად აქცევს და, ამრიგად, მოწურ შრომას წარმოების საფუძვლად ხდის, ან ხალხი რევოლუციის გზით წვრილ პარცელებად ანაწილებს მსხვილი მიწის საკუთრებას და, მამსა-დამე, ამ ახალი განაწილებით ახალ ხაზიათს აძლევს წარმოებას, ან კანონმდებლობა მიწის საკუთრებას სამუდამოდ უმკვიდრებს მსხვილ ოჯახებს, ანდა ანაწილებს შრომას როგორც სამემკვიდრეო პრივილეგიას და კასტური წესით ახდენს მის ფიქსაციას, ყველა ამ შემთხვევაში—ეს შემთხვევები კი ყველა ისტორიულია, ისე გვეჩვენება, რომ განაწილება კი არ არის დანაწევრებული და განსაზღვრული წარმოების მიხედვით, არამედ პირიქით, წარმოებაა დანაწევრებული და განსაზღვრული განაწილებით მიხედვით“¹¹.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების განვითარებას, მაგ., სოციალისტურ საქონელწარმოებას, სოციალისტურ დაგროვებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ღირებულების კანონს, შრომის მიხედვით ანაზღაურების კანონსა და სხვ. ურთიერთობების მოქმედებას განსაზღვრავს სოციალისტური წარმოების განვითარება, ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორცაა წარმოება, ისეთივეა განაწილებითი, გაცვლითი და მოხმარებითი ურთიერთობები.

ის გარემოება, რომ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები განისაზღვრება სოციალისტური წარმოებით, სხვა არაფერია, თუ არა იმის დასაბუთება, რომ ყოველი მოვლენა განსაზღვრულია თავისივე შინაგანი ბუნებით. იმით, რაც მისი ნაწილების ერთიანობის შინაგან საფუძველს წარმოადგენს. ამ დებულების თვალნათლივ დასაბუთებად მოვიყვანო ერთ მაგალითს. დ. ი. მენდელეევიმა ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის შექმნას საფუძვლად დაუდო ყველა ელემენტისათვის საერთო შინაგანი არსი. ატომბირთვის მუხტი, რომელმაც გააერთიანა ყველა ელემენტი ერთ სისტემად. ყოველი ქიმიური ელემენტის თვისება განისაზღვრება თავისივე ატომბირთვის მუხტით. ატომბირთვის მუხტი არა მარტო ელემენტთა სუბსტანციას, არამედ ელემენტთა ერთიანობის საფუძველიცაა. იგი განსაზღვრავს ყველა ელემენტის თვისებებუბასა და ადგილს ელემენტთა პერიოდულ სისტემაში.

¹¹ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 274—275.



სოციალისტური წარმოება სოციალიზმის ყველა დანარჩენი ურთიერთობის შინაგანი საფუძველი და სუბსტანციაა. იგი აერთიანებს მათ მთლიანობაში და განსაზღვრავს თითოეულ მათგანს.

წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა წარმოებით ურთიერთობათა სისტემის საფუძველია და ქმნის პირობებს წარმოებითი ურთიერთობების განვითარებისათვის. ჩაგრული კლასის რევოლუციურ ბრძოლაში კერძო საკუთრება გამოდის როგორც საზოგადოების განვითარების დამამუხრუჭებელი ძალა, ამიტომ მისი შეცვლა საკუთრების სხვა ფორმით აუცილებელი პირობაა ახალი წარმოებითი ურთიერთობის განვითარებისათვის.

წარმოებით ურთიერთობათა სისტემის საფუძვლის ორი მხარის — წარმოებისა და საკუთრების ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, ჩვენი აზრით, წარმოების ენიჭება პრიმატისა და განმსაზღვრელი ურთიერთობის როლი, რადგან იგი სუბსტანციაა, ხოლო წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა კი პირობაა სუბსტანციის თვითგანვითარებისათვის; თუმცა მათ შორის ურთიერთმოქმედებასაც აქვს ადგილი.

წარმოება, როგორც წარმოებით ურთიერთობათა სისტემის შინაგანი საფუძველი, ჯერ კიდევ არაფერს გვეუბნება განმსაზღვრელი წარმოებითი ურთიერთობის კონკრეტულ ფრომის შესახებ, რადგან იგი აბსტრაქტული ცნებაა და კონკრეტულ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში მას კონკრეტული შინაარსი აქვს. თუ რომელია წარმოებით ურთიერთობათა სისტემის განმსაზღვრელი წარმოებითი ურთიერთობა, ამაზე პასუხს თვითონ წარმოების ცნება გვაძლევს.

წარმოება არის ურთიერთობა უშუალო მწარმოებელსა და წარმოების საშუალებათა მესაკუთრეს შორის. ამ ორი ელემენტის ურთიერთკავშირი ქმნის და განსაზღვრავს მთელ წარმოებით ურთიერთობებს. „როგორც უნდა იყოს წარმოების საზოგადოებრივი ფორმები, — წერს კ. მარქსი. — მუშის და წარმოების საშუალებანი მუდამ მის ფაქტორებად რჩებიან. მაგრამ ერთნიც და მეორენიც, ერთმანეთის გათიშვის მდგომარეობაში მყოფნი, მის ფაქტორებს წარმოადგენენ მხოლოდ შესაძლებლობის მიხედვით. იმისათვის, რომ საერთოდ აწარმოო, ეს ფაქტორები ერთმანეთს უნდა შეუერთდნენ. ის განსაკუთრებული ხასიათი და წესი, რომლითაც ეს შეერთება ხორციელდება, განასხვავებს საზოგადოებრივი სტრუქტურის სხვადასხვა ეკონომიურ ეპოქებს“¹².

კ. მარქსის კაპიტალისტური წარმოების პროცესი დაწყავს წარმოების საშუალებათა მესაკუთრესა და დაქირავებულ მუშას შორის ურთიერთობებად და ამ ურთიერთობას ყოველი საზოგადოებრივი წყობის „შინაგან საიდუმლოებასა და მის ფარულ საფუძველს უწოდებს. „წარმოების პირობის მესაკუთრეთა უშუალო დამოკიდებულება უშუალო მწარმოებელთან, — წერდა კ. მარქსი, — აი ის, რაშიც ჩვენ ყოველთვის ვპოულობთ მთელი საზოგადოებრივი წყობილებისა და, მამასადამე, სუვერენიტეტისა და დამოკიდებულების პოლიტიკურ ფორმას, ზოკლედ, ყოველი მოცემული სპეციფიკური სახელმწიფოებრივი ფორმის შინაგან საიდუმლოებას, მის ფარულ საფუძველს“¹³. აქ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა, წარმოების საშუალებებზე საკუთრების უშუალო

¹² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 2, გვ. 1.

¹³ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 411.

მწარმოებელთა ურთიერთობისაგან, რომელიც საკუთრების როგორც პირობის ეკონომიკურ რეალიზაციას წარმოადგენს და წარმოების სფეროს მიეკუთვნება.

ურთიერთობა უშუალო მწარმოებელსა და წარმოების საშუალებათა მესაკუთრეს შორის არის ძირითადი და განმსაზღვრელი წარმოებითი ურთიერთობა ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის. იგი საფუძველია წარმოებითი, განაწილებითი, გაცვლითი და მოხმარებითი ურთიერთობებისა, რადგან როგორცაა ურთიერთობა უშუალო მწარმოებელსა და მესაკუთრეს შორის, ისეთივე იქნება წარმოებით ურთიერთობათა მთელი სისტემა. „ის სპეციფიკურ-ეკონომიკური ფორმა, — აღნიშნავდა კ. მარქსი, — რომლითაც უშუალო მწარმოებელთაგან გადაუხდელი ზედმეტი შრომის გამოწოვა ხდება, განსაზღვრავს ბატონობისა და დამონების ურთიერთობას, როგორცაა ეს უქანასკნელნი უშუალოდ თვით წარმოებიდან აღმოცენდება და თავის მხრივ ამ წარმოებაზე განმსაზღვრელ უკუგავლენას ახდენს, მაგრამ ამაზეა დაფუძნებული მთელი სტრუქტურა ეკონომიკური საზოგადოებისა (Gemeinwesen), რომელიც თვით წარმოებითი ურთიერთობიდან წარმოიშობა, ამაზევეა დამყარებული მისი სპეციფიკური პოლიტიკური წყობა“¹⁴.

კ. მარქსმა უშუალო მწარმოებელსა და წარმოების საშუალებების მესაკუთრეს შორის ურთიერთობა მიიჩნია იმ განმსაზღვრელ საფუძველად, რომლის არსი აისახება პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიებში¹⁵. ამის მაგალითად კი მოყავს ხელფასის კატეგორია და განსაზღვრავს მას კაპიტალისტსა და მუშებს შორის დაპირისპირებისა და ბრძოლის სახით¹⁶.

სოციალიზმის დროს ურთიერთობა უშუალო მწარმოებელსა და წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას შორის განაპირობებს ისეთ ურთიერთობებს, როგორცაა გეგმავლობა. შრომის უშუალოდ საზოგადოებრივი ხასიათი, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, შრომის მიხედვით ანაზღაურება, წმინდა პროდუქტი და სხვ.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის განხორციელება ხდება ადამიანის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი პროდუქტის საშუალებით. ამ პროდუქტში განივთებულია უშუალო მწარმოებლის ურთიერთობა მთელ საზოგადოებასთან, როგორც წარმოების საშუალებების განმსაზღვრელი მესაკუთრესთან. მოხმარებისათვის განკუთვნილ პროდუქტში განივთებული განმსაზღვრელი წარმოებითი ურთიერთობის არსი მდგომარეობის იმამო, რომ ყოველი ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება როგორც თავისი, ასევე მთელი საზოგადოებრივი შრომის საშუალებით, რომელიც თავის გამოხატულებას ამ პროდუქტში ასახული აუცილებელი და ზედმეტი შრომის ერთიანობაში პოულობს. აუცილებელი შრომით შექმნილი პროდუქტი ნაწილდება თანაზმად სოციალიზმის ძირითადი პრინციპისა. „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“ და იგი სოციალიზმის განმსაზღვრელი წარმოებითი ურთიერთობის უთანასწორობას გამოხატავს; ხოლო მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტის მეორე ნაწილს კი იღებს საზოგადოების მიერ მასზე გაცემული მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სახით, რომელშიც აისახება სოციალიზმის განმსაზღვრე-

¹⁴ კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. II, გვ. 411.

¹⁵ К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 42, стр. 98.

¹⁶ იქვე, გვ. 47.



ლი წარმოებითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ისეთი თვისებები, როგორცაა კოლექტივიზმი, ურთიერთდახმარება, ამხანაგობა, რადგან იგი ცალკეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების ერთმანეთისადმი განკუთვნილი ზედმეტი შრომის ნაწილს წარმოადგენს.

ზედმეტი შრომა ყოველი განვითარებული საზოგადოების აუცილებელი პირობაა. თუ კლასობრივ საზოგადოებაში იგი ანტაგონისტური ხასიათისაა, სოციალიზმის დროს მან დაკარგა ანტაგონისტურ-კლასობრივი ხასიათი, რადგან იგი წარმოადგენს შრომას საზოგადოებისათვის და მას გვეგმავომიერად ინაწილებს მთელი საზოგადოება.

უშუალო მწარმოებელსა და წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმას შორის ურთიერთობა განსაზღვრავს ძირითად ეკონომიკურ კანონს და, თავის მხრივ, ძირითად ეკონომიკური კანონი ახასიათებს ამ ურთიერთობას. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი — ხალხის მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და სრულყოფის საფუძველზე — ახასიათებს მთელ საზოგადოებასა და უშუალო მწარმოებელს შორის არსებულ ურთიერთობას, ხოლო ეს ურთიერთობა განსაზღვრავს ამ კანონის ფუნქციონირებას.

კაპიტალიზმის დროს ურთიერთობა კაპიტალსა და სამუშაო ძალას შორის განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და ექსპლოატაციის ხარისხს. რაც უფრო მაღალია კაპიტალისტის მიერ შრომის ექსპლოატაცია, მით უფრო მაღალია ზედმეტი ღირებულების ნორმა. სოციალიზმის დროს კი რაც უფრო განზოგადოებული და შეთანხმებულია ურთიერთობა მთელ საზოგადოებასა და უშუალო მწარმოებელს შორის, მით უფრო მაღალია ცალკეული ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე.

რამდენადაც სოციალიზმი არის კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზა, ამიტომ ურთიერთობა მთელ საზოგადოებასა და უშუალო მწარმოებელს შორის დამყარებულია საწარმოო ძალთა განვითარების შედარებით დაბალ დონეზე. ამ უკანასკნელის გამო, მთელი საზოგადოების მიერ წარმოებული მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქტი სრულად ვერ აკმაყოფილებს მისი ცალკეული წევრის მოთხოვნილებას, — ეს კი განაპირობებს სასაქონლო წარმოების აუცილებლობას სოციალიზმის დროს.

უშუალო მწარმოებელსა და მთელ საზოგადოებას შორის ურთიერთობა განსაზღვრავს აგრეთვე შრომის უშუალოდ საზოგადოებრივ ხასიათსაც. რადგან უშუალო მწარმოებელი ამასთანავე წარმოების საშუალებების საზოგადოებრივი მესაკუთრეც არის, ამიტომ ყოველი ცალკეული მშრომელის შრომა არსებობს როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის განუყოფელი ნაწილი. ყოველი მშრომელი ასრულებს სახალხო მეურნეობის გეგმის განსაზღვრულ ნაწილს და ამიტომ მისი შრომა იმთავითვე განსაზღვრულია საზოგადოების მიერ. ამგვარად, ცალკეული მწარმოებლის შრომა იღებს უშუალო საზოგადოებრივ ხასიათს და ატარებს გვეგმავომიერი განვითარების ფორმას.

ასევე შეიძლება სოციალიზმის წარმოებითი ურთიერთობის სისტემის განმსაზღვრელი წარმოებითი ურთიერთობის დახასიათება სხვა კატეგორიებით. ეს ურთიერთობა მთელი საზოგადოების შინაგან საფუძველს წარმოადგენს. რადგან წარმოების საშუალებათა მესაკუთრესა და უშუალო მწარმოებელს შორის ურთიერთობის არსი განსაზღვრავს დანარჩენი ურთიერთობების მო-

რაობას, ამიტომ ამ ძირითადი ურთიერთობის შემდგომი კვლევა სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა განვითარების მთავარი პრინციპია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი წარმოებითი ურთიერთობა ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობა რომელიც ხასიათდება პროდუქტის ფორმების მოძრაობის სახით. მხოლოდ მას შემდეგ, როცა პროდუქტის მოძრაობაში საბოლოოდ აისახება წარმოებითი ურთიერთობები, საჭიროა ადამიანებს ჩამოეცილოთ ეს ნივთიერი გარსი, რათა „გავაშიშვლოთ“ მათი ურთიერთობა. პოლიტიკური ეკონომიის ანტიტერესებს არა პროდუქტის მოძრაობა, არამედ — წარმოებითი ურთიერთობა: როგორც არის იგი თავისთავად. პროდუქტის მოძრაობა მხოლოდ ავლენს წარმოებით ურთიერთობებს და ამით მისაწვდომს ხდის მათ შემეცნებისათვის. ადამიანები არიან პროდუქტისა და საკუთრების ფორმის მატარებლები, რომლებიც განსაზღვრავენ ნივთად ქცეული ამ ურთიერთობების მოძრაობასა და ფორმებს. „პოლიტიკური ეკონომიის განხილვის საგანია არა ნივთები, — წერდა ფ. ენგელსი, — არამედ ადამიანებს შორის, ხოლო საბოლოო ანგარიშით კლასებს შორის არსებული ურთიერთობა. მაგრამ ეს ურთიერთობა ყოველთვის დაკავშირებულია ნივთებთან და ნივთების სახით ვლინდება“¹⁷.

საერთოდ, წარმოებით ურთიერთობათა გამოცალკეება მისი გამოვლენის ფორმებისაგან შეუძლებელია და თუკი პროდუქტის მოძრაობით დავახსიანებთ მთელ წარმოებითს ურთიერთობებს, ამით გამოვავლენთ იმ შინაგან საფუძველსაც, რომელმაც განსაზღვრა კატეგორიების ადგილი და პროდუქტის მოძრაობის ხასიათი და მიმართულებები წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში. ასეთი შინაგანი საფუძველი კი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა (კატეგორიებისა და პროდუქტის მატარებელი) წარმოების პროცესში წარმოქმნილი უშუალო მწარმოებელსა და წარმოების საშუალებათა მესაკუთრის ურთიერთობა, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს. ეს ურთიერთობა ყოველსმომცველი ურთიერთობაა. იგი აერთიანებს წარმოებით ურთიერთობებს ერთ სისტემადა, ასახავს მათს ყველაზე არსებით მხარეს და იგი თავისი ასეთი სუბსტანციური როლით განსაზღვრავს მთელი წარმოებითი ურთიერთობების განვითარებას.

¹⁷ კ. მ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 312.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სოციალური ინსტიტუტმა

დალი ზინგელია

საქართველოს სსრ მეხილეობის მატერიალური ბაზის ბანკითარების ზოგინერთი საკითხი (1921—1937 წწ.)

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მაპროფილებელი დარგია მეხილეობა, მისი განვითარებისათვის აუცილებელია კარგად მოწყობილი სანერგე მეურნეობები, ხეხილის ბაღების ფართობების გადიდებისათვის საჭიროა მაღალხარისხოვანი, ჯურობრივად და ჯიშობრივად გამართლებული სარგავი მასალის დიდი რაოდენობა: „სანერგე მეურნეობების მთავარი ამოცანაა აღზარდოს ხეხილის ისეთი სარგავი მასალა, რომელიც ჯიშობრივად დახვეწილი, შემოწმებული, მაღალი ხარისხის პროდუქციის მომცემი, უხვი და მყარ-მოსავლიანი იქნება, ამასთან ერთად ამ მასალას მუდმივად აღვივებ დარგულს, ნიადაგთან და გარემო პირობებთან კარგი შეგუების უნარი ექნება და იაფიც დაჯდება“¹.

მიუხედავად იმისა, რომ ხეხილის ნერგების გამოყვანა — გამოზრდას ქართველი ხალხი ძველთაგანვე აწარმოებდა, 1921 წლამდე საქართველოში მრეწველური ხეხილის სანერგეები თითქმის არ არსებობდა, სარგავი მასალის გამოყვანა-გამოზრდას კერძო პირები ყოველგვარი კონტროლის გარეშე აწარმოებდნენ: „თავისი ნება-სურვილით ამრავლებდნენ შემთხვევით ნაპოვნ, შეუმოწმებელ ჯიშებს, რამაც, ერთის მხრივ, უზარყოფითი დალი დაასვა (რადგანაც, პირველად და შემდგომაც კარგა ხნის მანძილზე, ხეხილის ნარგაობა ძლიერ პრელჯიშიანი გამოდიოდა, როგორც ცნობილია, მეტისმეტი სიჭრელე სარეწველო ხეხილის გაშენებისას არ არის სასურველი), ხოლო მეორეს მხრივ, დადებითი როლი შეასრულა ხეხილის ასორტიმენტის დახვეწვის საქმეში“².

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი ხეხილის ახალი უცხო ჯიშების შემოტანა-გაფართოებას. ცალკეულ კერძო მეხილე-მწარმოებლებს ხეხილის ჯიშები შემოჰქონდათ საკუთარი გემოვნებისა და სურვილის მიხედვით. დღით-დღე იზრდებოდა ხილის ჯიშობრივი შედგენილობა და იქმნებოდა პირობები ისეთი საუკეთესო ასორტიმენტის შერჩევასათვის, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მოთხოვნებს. 1845—1847 წწ. დაიწყო ე. წ. ევროპული მეხილეობის განვითარება. უცხო და უპირატესად ევროპული ხეხილის ჯიშები პირველად უმთავრესად ყირიმიდან შემოჰქონდათ, თანაც უმეტესად — თესლოვანი ხეხილის: ვაშლისა და მსხლის ჯიშები. საქართველოში ხილის ევროპული ჯიშები პირველად ქართლის რაიონებში დაიწერა.

საქართველოს სოფლის მეურნეობა, მისი მწარმოებლური ძალები და, კერძოდ, სანერგე მეურნეობა უკიდურესად გაჩანაგდა პირველი მსოფლიო

¹ ნ. ნ. ი. ხ. რ. ა. შ. ე. ი. ლ. ვ. ქ. ი. პ. ა. შ. ე. ი. ლ. ვ. ხეხილეობა, თბ., 1967, გვ. 144.

² საქართველოს მეხილეობა, ტ. I, თბ., 1969, გვ. 497.

ომისა და, განსაკუთრებით, მენშევიკების ბატონობის დროს. მსოფლიო ომმა ისედაც მცირე სანერგე მეურნეობები თითქმის სრულიად გაანადგურა, ამასთან „მსხვილი“ კულტურული ბაღების ფართობიც 35—40%-მდე შემცირდა³.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ძალზე გაუარესდა ხეხილის ბაღების მოვლა. მუშახელის სიმცირის გამო იშვიათად ტარდებოდა ისეთი უმნიშვნელო ღონისძიებებიც კი, როგორცაა მორწყვა-გამოსხვლა, ძირების ირგვლივ შემობარვა. მენშევიკების ბატონობის პერიოდში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო გლეხობა იძულებული იყო მრავალწლიანი ნარგავები გაეჩეხა და ხორბლული დაეთესა. 1920 წლის ბოლოსათვის საქართველოში მძიმე სასურსათო კრიზისმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია. თითქმის ყოველგვარი მარაგი გამოიღია, სოფელი გაპარტახებული იყო⁴. სასურსათო კრიზისის გამო შთელი ყურადღება მარცვლეულ კულტურებს მიექცა, ხილის ბაღებს თავს ანებებდნენ და ზოგიერთ რაიონებში სჩეხავდნენ კიდევ. ქართლში გაიჩეხა ხილის ბაღები, ხოლო კახეთში — ვენახები. ამ პერიოდში გაიჩეხა 6 000 ჰა ვაზისა და 2 000 ჰა ხეხილის პლანტაციას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეხილეობის აღორძინება-განვითარებისათვის აუცილებელი პირობის — სანერგე მეურნეობების დაუყოვნებლივ გაფართოებას. თითქმის ყოველ კუთხეში დაიწყო ნიადაგებისა და კლიმატური პირობების წინასწარი მეცნიერული გამოკვლევა. დაიბეჭდა სათანადო ლიტერატურა, სადაც მოცემული იყო ბუნებრივ-მეურნეობრივი რაიონების კლასიფიკაცია. 1921 წელს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით, გორის რაიონის სოფელ სკრაში მოეწყო ხეხილის პირველი სანერგე, მისი ყოველწლიური მწარმოებლურობა 10—12 ათას ძირ ხილის ნერგს შეადგენდა, ხოლო 1924 წელს სოფელ მერეთში დაარსდა მეორე სანერგე, რომლის მწარმოებლურობამ 1926 წელს 30 000 ცალს მიაღწია. 1930 წლისათვის ამ ორმა სანერგემ 200 000 ცალამდე ნერგი გამოიყვანა⁵. ხეხილის საძირეთა და ნამყენის დამზადების დინამიკის განხილვდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეხილეობა აღმავლობის გზას დაადგა (იხ. ცხრილი 1). საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით, 1923 წელს გორში მოწვეულ იქნა მეხილეთა ყრილობა, რომელმაც დასახა ამ დარგის განვითარების ღონისძიებები, რომელთა გატარების შედეგად დიდად გაიზარდა ხეხილის ნარგავთა ფართობი, რაც 30,8 ათასი ჰექტარიდან 1921 წელს გაიზარდა 31,2 ათას ჰა-მდე 1927 წლისათვის⁶.

საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბებამ და კოლმეურნეობრივმა მშენებლობამ, მაღალი აგროტექნიკისა და ნაწილობრივ მექანიზაციის დანერგვამ სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის ყოველგვარი პირობები შექმნა. დაქუცმაცებული, უწესრიგოდ და უვარგისი ჯიშის

³ საქართველოს მეხილეობა, პროფ. ნ. ხომიჯურაშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1959, გვ. 155.

⁴ პ ა ა ტ ა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1954, გვ. 193.

⁵ საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1921—1931, სტატ. კრებული, თბ., 1931, გვ. 64.

⁶ ა. ბ უ რ უ კ უ რ ი. ხეხილის სანერგე, თბ., 1953, გვ. 6.

⁷ Сельское хозяйство Грузинской ССР, стат. сб., часть I, Т6, 1967, стр. 217.

ხეხილით გაშენებული პატარა-პატარა ნაკვეთების ნაცვლად დაიწყო კოლმეურ-ნეობათა და საბჭოთა მეურნეობების ხეხილის ნარგავების გაშენება მსხვილ მა-სივებზე.

ხეხილის ველურ საძირეთა და ნამყენის დამზადების დინამიკა⁸

ცხრილი 1

წლები	ველური საძირეები ცალობით	ნამყენი ცალობით	ფართობი ველურ საძირეთა და ნამყენ- ის ქვეშ დესეტინაში
1922	—	10000	0, 25
1923	40000	7000	1, 0
1924	43500	20100	2, 16
1925	68000	24000	3, 0
1926	330000	26000	14, 0
1927	600000	60000	34, 0

1929—1932 წლებში სოფ. მეჯვრისხევში, ნურეთში, ტყვიავში და სხვა კოლმეურნეობებში გაშენდა პირველი მრეწველური ბაღები. კოლმეურნეობ-რივმა მშენებლობამ დღის წესრიგში დააყენა აგრეთვე მეურნეობების ნერგით მომარაგების საკითხი. სოფ. სკრისა და მერეთის სანერგეები უკვე ველარ აკმა-ყოფილებდნენ ხეხილის ნერგზე გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომ დაიწყო სა-კითხი ახალი სანერგეების მოწყობის შესახებ. 1931 წელს ქარელის რაიონის სოფელ ბებნისში დაარსდა კურკოვნებისა და თესლოვნების ხეხილის სანერ-გის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც 1934 წლისათვის 130 000 ცალი ნერგი გა-მოუშვა. ამ პერიოდში საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მო-სახლეობის მოთხოვნილება ხეხილის ნერგზე იმდენად დიდი იყო, რომ მართლ სახელმწიფო სანერგეები მას ვერ აკმაყოფილებდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ სანერგეები ძირითადად მოეწყო ქართლის რაიონებში, ამიტომ აქედან ნერგი სხვა რაიონებში გადატანისას ზიანდებოდა და ძვირიც ჯდებოდა. ამ საკითხის მოსაგვარებლად გატარდა რიგი ღონისძიებები; კერძოდ, ხეხილის სანერგეები მოეწყო ახალციხეში, ცხინვალში, ბათუმში, სოხუმში და სხვაგან.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ყოველნაირად ხელს უწყობდა სანერგე მეურნეობებისა და ჰაერთოდ მებაღეობა-მევენახეობის განვითარებას. თუკი ამის საშუალებას მიწის ფონდი იძლეოდა თითქმის ყველა დანტერგე-ბულ მეურნეს ეძლეოდა მიწის ფართობი და უფორმდებოდა სათანადო ხელ-შეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მასზე სანერგეებისა და საერთოდ ხეხილისა და ვაზის გაშენებას. მაგალითად, მიწათმოქმედების სახალხო კომი-სარიატმა სოფლის მეურნეობის არტელის „ბორჩალოს“ წარმომადგენლებს 5 წლის ვადით საკმაოდ დიდი ფართობი გამოუყო, სადაც საკარმიდამოს ეჭირა— 6,5 დესეტინა, ხილის ბაღს—16 დესეტინა, სათიბს—20 დესეტინა, სახნავს— 40 დესეტინა. აღნიშნული არტელის წარმომადგენლებმა ხელშეკრულების თა-ნახმად, შემოიღობეს მათზე გაფორმებული მიწის ფართობი, ძველი ბაღები გამორგეს და შეაჯეს ახალი ნერგებით, ერთ დესეტინა ფართობზე გააშენეს სანერგე მეურნეობა⁹.

⁸ საქართველოს სსრ ორსცსა, ფონდი 288, ან. 1, საქმე 2389, ფ. 52.

⁹ საქართველოს სსრ ორსცსა, ფონდი 288, ან. 1, საქმე 592, ფ. 2.

საქართველოში ხეხილის სანერგეების უდიდესი ნაწილი მოდიოდა გორის მაზრაზე, აქ არსებული 11 სადგური-პუნქტი წელიწადში ხეხილის 500 000—650 000 ცალ ნერგს იძლეოდა. ხეხილის ნერგის დიდი მწარმოებელი იყო თბილისის 5 სადგური, სადაც წელიწადში 55 000-დან 75 000 ცალი ნერგი, ქუთაისისა და ოზურგეთის 4—4 სანერგეში კი — 7 000-დან 10 000 ცალამდე, სიღნაღის და შორაპნის მაზრის — ორ-ორ სანერგეში — 5 000—7 000 ცალი ნერგი გამოჰყავდათ, დუშეთის 2 სანერგე იძლეოდა 6000 ცალს და თელავ-ახალციხე-ზუგდიდის თითო სანერგე 3000 ცალ ნერგს¹⁰. ეს სანერგეები ძირითადად ხეხილის ნერგებს აწარმოებდნენ, მაგრამ, როგორც ცნობილია, მათი უმრავლესობა განადგურების გზას ადგა და მათ აღდგენა-განვითარებას გარკვეული დრო და სათანადო სახსრები სჭირდებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ დარგის განვითარებისათვის გამოყო სახსრები, რომლითაც ძველად არსებული სანერგე მეურნეობების აღდგენა—განვითარებასთან ერთად მოეწყო მეხილეობის 8 ახალი სანერგე, აქედან 4—გორის რაიონში, 2—დუშეთისა და თითო ზუგდიდის და სენაკის მაზრაში. ახალი სანერგეების გაშენების მიმდინარეობაზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი ცხრილის მონაცემები. (იხ. ცხრილი 2).

ახალი სანერგეების გაშენების დინამია და მათში გამოყვანილი ნაშენი რაოდენობა¹¹
ცხრილი 2

წლები	ფართობი (ჰექტარობით)	გამოყვანილი ნაშენი რაოდენობა (ცალობით)
1923	3	12 350
1924	10	21 000
1925	25	71 770
1926	35	122 886
1927	10	242 832
1928	5	250 000
1929	20	500 000
სულ	108	1220838

1923—1929 წწ. საქართველოში ახლადგაშენებული სანერგეების მთელი ფართობიდან (108 ჰა), საბჭოთა მეურნეობების ტრესტზე მოდიოდა 60 ჰექტარი, სოფლისმეურნეობის კოოპერაციაზე—9, სახელმწიფოებრივ დაწესებულებებზე—38 და ინდივიდუალურ მეურნეობებზე—1 ჰექტარი.

არსებული სანერგე მეურნეობები, რა თქმა უნდა, სრულად ვერ დააკმაყოფილებდა როგორც ახალი ბაღების გასაშენებლად, ისე არსებულის რემონტისათვის საჭირო დიდ მოთხოვნილებას და ამასთან ნაკლებად რენტაბელური ჯიშების უფრო რენტაბელური, მრეწველური ჯიშებით შეცვლის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ხეხილის ბაღებში ჩატარებულმა სარემონტო და აღდგენითმა სამუშაოებმა არც თუ ისე დიდი გავლენა მოახდინა მეხილეობის შემდგომ განვითარებაზე.

აღდგენით პერიოდში სანერგე მეურნეობების გაფართოებისათვის ჩატარებული მნიშვნელოვანი სამუშაოების მიუხედავად, ჩვენს რესპუბლიკაში წარ-

¹⁰ დ. თ. ფ. უ. რ. ი. ძ. საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები, თბ., 1926, გვ. 119;
¹¹ საქართველოს სსრ ორსცსა, ფონდი 500, ან. 1, საქ. 2996, ფ. 18; იხ. აგრეთვე, ვ. ბ. ი. ბ. ი. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. საქართველოს ხილი, ტფ., 1931, გვ. 8.

მოებულნი ხილის ნაწყენის თვითღირებულება მაღალი იყო. ასე, მაგალითად, ერთწლიანი ნაწყენის საბაზრო ფასი უდრიდა 40 კაპიკს, ხოლო ორწლიანისა— 60 კაპ., მაშინ, როდესაც ამ პერიოდისათვის უკრაინაში და საერთოდ ჩვენს ქვეყანაში მოქმედი არც ერთი სანერგე არ უშვებდა ნაწყენს ისეთ დაბალ ფასებში, აქ წარმოებული პროდუქცია, სხვებთან შედარებით, 20—30% დაბალ ფასებში იყიდებოდა¹². ხეხლს სანერგე მეურნეობების გაფართოება მისგან მიღებული უხვი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღება, ამ პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ბუნებრივია, მეხილეობის ინტენსიური განვითარების საფუძველს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან ჩვენი რესპუბლიკის სანერგეებში ახალი, განსაკუთრებით ევროპული ჯიშების გამოყვანა-გავრცელებისა და ბევრი ენდემური ხეხილის ჯიშისადმი უყურადღებობის ტენდენცია აღინიშნებოდა. ეს თავისთავად წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მეურნეთა გარკვეული ნაწილი ისე გაიტაცა საზღვარგარეთიდან, კერძოდ, ევროპიდან შემოტანილი ახალი ჯიშების დანერგვამ, რომ ძვირფასი ენდემური ჯიშები დაეიწყებინა მიყვანა, ან იმათგან თითზე ჩამოსათვლელი ეგზემპლარიდა შემოგვრჩა. უფრო მეტიც, იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ამ საქმის სპეციალისტები ხელს უწყობდნენ ხეხილის ადგილობრივი ჯიშების ხარჯზე ევროპულის გაშენებას. 1924 წლის იანვარში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა მებალეობა-მეხილეობის, სუბტროპიკული და ტექნიკურ კულტურათა ბიურო, რომელსაც ევალებოდა აღნიშნული დარგების არსებული მდგომარეობის შესწავლა და ჯიშების გავრცელების საკითხის განხილვა, როგორც სახალხო მამულებში, ისე საცდელ დაწესებულებებში. მასვე დაეკისრა კოოპერაციული საწარმოებისათვის და კერძო პირებისათვის სხვადასხვა კულტურის გაშენება-მოვლის შესახებ სათანადო რჩევა-დარიგებებისა და ცნობების მიცემა.

სააკოთა მეურნეობების ჩამოყალიბებამ და მამულების გამსხვილებამ დიდი როლი შეასრულა მეხილეობის ზოგიერთი რაიონის ეკონომიკაში. მეხილეობის განვითარების მიზნით საბჭოთა მეურნეობებში გაშენდა ბევრი ახალი სანერგე, ხოლო ძველი სანერგეები გაფართოვდა, ასე, მაგალითად, ხეხილის სანერგეთა ფართობი 1922 წელს შეადგენდა—0,3 ჰექტარს, 1923 წ.—1,1, 1924 წ.—2,4, 1925 წ.—3,3, 1926 წ.—15,3 და 1927 წ.—37,2 ჰექტარს. ხუთი წლის განმავლობაში სანერგეების მიერ დამზადებული და გაცემული იქნა 1,4 მილიონი ძირი მყოფი და 351 ათასი ძირი ნაწყენი¹³. სანერგე მეურნეობების განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1926 წლისათვის სახალხო მამულთა ტრესტის 20-ზე მეტ საბჭოთა მეურნეობაში არსებობდა სანერგე და სადღე-სანერგე სადგური, სახალხო მამულთა ტრესტის 20 ამ საბჭოთა მეურნეობაზე მიზაგრებული მიწის საერთო ფართობიდან, რომელიც 14 274,55 ჰექტარს შეადგენდა, ვენახს ეკია—357,29 ჰექტარი, სადღეს—160,29, სანერგეს—7,0, ბალს—121,86, ტყეს—10 273,23, პირად მეურნეობას—69,42, პარკსა და ყვავილნარს—15,65, სახნავს—761,61, სათიბს—337,5, ბაღახ-საძოვარს—1052,5 დანარჩენი ვარგისი მიწის ფართობს—805,21, გამოუყენებულს—

¹² ალ. გამსახურდია. მეხილეობა ჩვენში და მისი განვითარების პერსპექტივები, უტრ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1929, № 3, გვ. 44.
¹³ პარტიული არქივი, ფონდი 14, ან. 2, საქმე 1866, ფ. 29.

311,98 ჰექტარი¹⁴. როგორც ჩანს, მიწების საერთო ფართობში მეხილეობას ჯერ კიდევ მეორე ადგილი ეკავა მევენახეობის შემდეგ, თუმცა მისი განვითარებისათვის უკვე მთელი რიგი ღონისძიებები ისახებოდა, ყოველივე ამის შედეგად მომდევნო წლებში მეხილეობაში უკვე დიდი ცვლილებები მოხდა 1926 წელს სახალხო მამულების ტრესტის მეხილეობის მამულების სახმარი მიწების სტრუქტურაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი მონაცემები.

საქართველოს სსრ სახალხო მამულების ტრესტის მეხილეობის მამულების მიწის ფონდების სტრუქტურა 1926 წ. (დესეტინებში)¹⁵

ცხრილი 3

მამულების დასახელება	საქარმ- ლაში	ხეხლის ბაღი	საწარმ	სადედე	ბოსაანი	სახაგი	სათბი	სამოვარი	ტყე	სულ სახ- მარი მიწა	გამოკე- ნებული	სულ ფართობი
მერეთი	2,0	27,0	5,0	—	—	20,0	—	2,0	—	56,0	—	56,0
სკრა	3,0	15,0	9,5	—	16,0	80,5	5,0	36,0	—	165,0	—	165,0
გომბორი	0,5	37,0	1,0	—	—	7,5	—	—	—	46,0	—	46,0
ბეთანია-აკუ- რისი	2,0	21,0	—	—	3,0	41,0	31,0	46,0	576,0	720,0	28,0	748,0
ყარაიაზი	2,0	22,0	3,0	—	—	4,0	—	5,0	—	36,0	1,0	35,0

სახალხო მამულების ტრესტში შემავალი მამულებიდან ყველაზე დიდი მოცულობის სახმარი მიწა ყარაიაზი, 720,0 დესეტინა ბეთანია-აკურისის მამულს ეკავა, აქედან ხეხილზე მოდიოდა 21,0 დესეტინა, სახანაგზე— 41,0, გამოუყენებელი იყო 28 დესეტინა. ხეხილის ბაღების ფართობი სხვა მეურნეობებში შემდგენილად იყო განაწილებული: გომბორის მეურნეობაში მას ეჭირა 37 დესეტინა, მერეთში—27, ყარაიაზში—22, სკრაში—15 დესეტინა.

სახალხო მამულებში დამზადებული ნამყენების და საძირების რაოდენობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მონაცემები (იხ. ცხრილი 4).

სახალხო მამულებში დამზადებული ნამყენობა და საძირეთა რაოდენობა¹⁶

ცხრილი 4

მამულების დასახელება	1924 წ.		1925 წ.		1926 წ.		1927 წ.	
	ნამ- ყენობა რაოდ. დენობა	საძი- რეთა რაოდ. დენობა						
სკრა	6065	800	24462	32325	31560	3205	112247	3205
გომბორი	—	—	—	—	—	—	8250	120000
მერეთი	—	—	2649	32500	11584	607500	54195	500000
ყარაიაზი	—	—	—	—	—	—	44000	25000
სულ	6065	800	27111	64825	43144	610705	218692	648205

გარდა იმისა, რომ ტრესტის მამულებში დიდი რაოდენობით საძირე და ნამყენი მზადდებოდა, მას სხვა მხრივაც დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა

¹⁴ საქართველოს სსრ ორსკსა, ფონდი 288, ან. 1, საქმე 1121, ფ. 18.

¹⁵ საქართველოს სსრ ორსკსა, ფონდი 288, ან. 1, საქმე 2012, ფ. 43.

¹⁶ საქართველოს სსრ ორსკსა, ფონდი 288, ან. 1, საქმე 2012, ფ. 33.

ჰქონდა. კერძოდ, აღნიშნული მეურნეობები ნამყენებითა და საძირებით მომარაგებასთან ერთად მოსახლეობას აცნობდნენ მოწინავე აგროტექნიკას ეხმარებოდნენ მეურნეობრივი საქმიანობის ჩვევების შემდგომ სრულყოფაში და ა. შ.

1927/28 მეურნეობრივ წელს ჩატარდა ხეხილის ნარგავთა ფართობის მასობრივი შეწამვლა, გვემით ვითვალისწინებულ 2500 ჰექტარის ნაცვლად შეიწამლა 5090 ჰექტარი ხეხილის პლანტაცია. გაიზარდა სადედე სადგურებიდან დასარგავი მასალის გამოშვება. ასე, მაგალითად, თუ 1925/26 წელს გამოიყვანეს 330 000 ცალი საძირე, ხოლო 1926/27 წწ. — 600 000 ც. 1928/29 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 775 000 ც. შეადგინა, ხოლო დამყნილი ნერგის ოდენობა ამავე პერიოდში 25 000 ცალიდან 100 000 ცალამდე გაიზარდა¹⁷.

შემდგომ პერიოდშიც საქართველოში მეხილეობის სანერგე მეურნეობის განვითარებას დიდი ყურადღება ექცეოდა. პირველ ხუთწლეულში (1928—1932 წწ.). ხუთწლიანი გეგმის მიხედვით, სანერგეები იმგვარად უნდა მოწყობილიყო, რომ სათანადო მასალით უზრუნველყო როგორც სახელმწიფოებრივი, ისე კერძო სექტორი. ამასთან ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა აგროდახმარებას გაძლიერებას, მეხილეობის განვითარების შემდგომი სამუშაოების ისე წარმართვას, რომ ძველი ბაღები გარდაეკმნათ მრეწველური დანიშნულების ბაღებად. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ტრესტის მეხილეობის 3 მეურნეობას: მერეთის, გომბორისა და სკრისას, რადგან ისინი უშუალოდ მეხილეობის ძირითად მწარმოებელ რაიონებში მდებარეობდნენ, ხოლო ბეთანია-აკურისის და ყარაიაზის მეხილეობის შერწყმული მეურნეობები დამხმარე ხასიათს ატარებდა.

1928—1932 წწ. აღნიშნული სანერგე მეურნეობების სიმძლავრეზე წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი მონაცემები (იხ. ცხრილი 5).

სახალხო მამულების სანერგეებში გამოყვანილი ნამყენთა რაოდენობა
ჯიშების მიხედვით¹⁸

ცხრილი 5

მამულების დასახელება	ვამლი	მსხალი	კურკოვანი	კენკროვანი	ს უ ლ
სკრა	80000	30000	25000	—	135000
მერეთი	45000	25000	5000	—	75000
ყარაიაზი	3000	5000	25000	—	33000
გომბორი	20000	5000	—	5000	30000
ბეთანია-აკურისი	15000	5000	—	5000	25000
სულ	163000	70000	55000	10000	298000

სახალხო მამულების ტრესტის სანერგეებში ჯიშების მიხედვით ნამყენთა გამოსაყვანად 1928—1932 წწ. დაიხარჯა (მანეთობით): 1928 წ. — 46 722. 1929 წ. — 56 873, 1930 წ. — 61 823, 1931 წ. — 70 149, 1932 წ. — 71 436, ე. ი. სულ 307 003 მანეთი. როგორც მონაცემებიდან ჩანს, სანერგეებში ნამყენთა

¹⁷ პარტიული არქივი, ფონდი 14, ან. 1, საქმე 3377, ფ. 141.

¹⁸ საქართველოს სსრ ორსცსა, ფონდი 288, ან. 1, საქ. 2012, ფ. 58.



გამოსაყვანად საჭირო თანხა ყოველწლიურად დიდდებოდა. ეს საკებით ბუნებრივია, რადგან ახალ სანერგეთა რაოდენობაც იზრდებოდა.

სახალხო მამულებში ახალი ბაღების გასაშენებლად გამოიყო 92 000 მანეთი. ახლადჩამოკალიბებულ მეურნეობებში, შედარებით ნელი ტემპით, მაგრამ მაინც საგრძნობლად გაიზარდა ხეხილისათვის განკუთვნილი ფართობი, ხოლო ხუთწლიურ ბოლოსათვის მეურნეობათა განვითარება-რეორგანიზაციის შედეგად ეს მაჩვენებელი თითქმის ერთიორად გადიდა. გაიზარდა ხეხილის სანერგე მეურნეობებისა და ახალი ბაღების ფართობები, ამაღლდა მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი. ერთიორად გადიდა პროდუქციის გამოშვებაც, მაგალითად, თუ 1926—1927 წწ. საქართველოში გამოყვანილ იქნა 600 000 ცალი საძირე 1928—1929 წწ. მისი წარმოება უკვე 77 500 ცალამდე გაიზარდა. შესაბამისად გადიდა დამყნილი ნერგის გამოშვება და ეს მაჩვენებელი 1928—1929 წწ. 100 000 ცალს უდრიდა¹⁹.

საქართველოს ხეხილის სანერგეების მტკიცე ბაზის შექმნაში საყურადღებო ნაბიჯი გადაიდგა 1931 წელს. კერძოდ, სოფელ ბებნისში (ქარელის რაიონი) 200 ჰექტარზე მოეწყო სპეციალური ხეხილის სანერგე საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობაში ყოველწლიურად გამოყავდათ უმთავრესად თესლოვანი კულტურების 130—150 ათასი ცალი ნამყენი²⁰.

1931 წელს თბილისში დაარსდა ამიერკავკასიის მეხილეობის საცდელი სადგური, რომელიც შედიოდა კიევის ე. წ. სამხრეთ მეხილეობის ინსტიტუტის სისტემაში. 1932 წელს კი ეს სადგური გადაკეთდა საქართველოს მეხილეობის საცდელ სადგურად და გადატანილ იქნა გორის რაიონის სოფელ სკრაში, იქ არსებული მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე, მას აფინანსებდა საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.

საცდელმა სადგურმა შექმნა მდიდარი საკოლექციო ბაღი, სადაც თავმოყრილი იყო როგორც ადგილობრივი ისე ინტროდუქცირებული ხილის ჯიშები შემდეგი რაოდენობით: ვაშლის — 291 ჯიში, მსხლის — 169, ატმის — 24, ქლიავის — 64, გარგარის — 30, ბლის — 42 და ალუბლის — 35, ყოლოს 19, მარწყვის — 11, მოცხარის — 17 ჯიში²¹. ეს საკოლექციო ბაღი პირველად გაშენდა ჯიშთა გამოცდისა და სასელექციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, სადგურმა გააშენა როგორც ადგილობრივი, ისე მიჩურინის ჯიშის ხეხილი მაღალმთიან ზემო სვანეთის, ყაზბეგის, სამხრეთ ოსეთის მთაგორიან რაიონებში და ახალქალაქის რაიონებში.

ხეხილის სანერგე საბჭოთა მეურნეობებთან ერთად 1931 წლიდან კოლმეურნეობებში იქმნებოდა სანერგეების ბაზა. ყოველწლიურად ხეხილის სარგავ მასალაზე მოთხოვნილება სწრაფად იზრდებოდა, რის გამოც აუცილებელი გახდა მეხილეობის ყველა რაიონში კოლმეურნეობრივი სანერგეების მოწყობა. სანერგეების ქსელის გაფართოების აუცილებლობა განაპირობა იმანაც, რომ რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში დაიგეგმა ბაღების გაშენება, თანაც გორის, თბილისისა და ქარელის რაიონებში თავმოყრილი ცენტრალური სანერგეებიდან კი სარგავი მასალის გადატანა სხვა რაიონებში ღირს მანძილის გა-

¹⁹ დ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი. მეხილეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1974, გვ. 100—101.

²⁰ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამსახურბრივი სარგებლობის ფონდი № 107, გვ. 14.

²¹ იქვე, ფონდი № 6, გვ. 66.



მო ძნელი იყო. სარგავი მასალის დიდ მანძილზე გადატანა იწვევდა როგორც სარგავი მასალის თვითღირებულების ზრდას, ისე გზაში ამ მასალის დაზიანებას. ამგვარად, სანერგის ბაზამ საბჭოთა მეურნეობებიდან, საიდანაც 1934 წლამდე კოლმეურნეობები თითქმის მთლიანად მარავდებოდნენ სარგავი მასალით, გადაიანაცვლა თვით კოლმეურნეობებში. აღნიშნულ გარემოებას ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის მეხილეობის ყველა რაიონში. ამგვარად, სხელი-მწიფო და საკოლმეურნეო ხეხილის სანერგეების გაშენებით სანერგე მეურნეობის მტკიცე ბაზა შეიქმნა. ხეხილის სანერგეების ქსელის გაფართოებასთან ერთად დაიხვეწა ხეხილის ასორტიმენტი, მეურნეობები დაეუფლნენ მაღალ აგროტექნიკას, რის შედეგადაც საგრძნობლად გაუმჯობესდა სარგავი მასალის გამოყვანის ხარისხიც.

პირველ ხუთწლედში გატარებულმა ისტორიულმა ღონისძიებებმა სოფლის მეურნეობაში ძირითადი გარდატეხა მოახდინა ახალი, უნივერსალური კოოპერაციის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განმტკიცების საქმეში. ხუთწლედის მანძილზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ისეთი კულტურების დამატებით გაშენების შესაძლებლობა შეიქმნა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ (ზეთის ხილი, ლეღვი, ბროწეული, თხილი, კაკალი, ნუში, ფისტა, უნაბი და სხვა მშრალი სუბტროპიკული კულტურები).

პირველი ხუთწლედის განვილი ოთხ წელიწადში ვერ მოხერხდა მეხილეობაში ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სამუშაოთა მთლიანად განხორციელება, კერძოდ, ძველი ბაღების აღდგენა. მომდევნო პერიოდისათვის გათვალისწინებული იქნა ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა. 1931 წლის მიწურულიდან ამიერკავკასიის მასშტაბით ბაღების ახალი მასივების 3500 ჰექტარზე გაშენებული იქნა ხეხილი და ციტრუსი, მნიშვნელოვნად იქნა გამოორგული ძველი ბაღებიც²².

მეხილეობის შემდგომი განვითარების, არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების, ამ დარგის სრულიად ახალ რელსებზე გადაყვანის მეცნიერული მიღწევების, ტექნიკურ აღჭურვილობათა პრაქტიკაში დანერგვისა და სხვა საკითხების განხილვის მიზნით 1932 წ. ქ. ოდესაში მოეწყო საკავშირო კონფერენცია. კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მსხვილი სოციალისტური მეხილეობის დიდი მასშტაბით წარმოება — განვითარებისათვის, მაღალპროდუქტიულობის მიღწევისათვის საჭირო იყო აგროტექნიკის გაუმჯობესება-სრულყოფა, მექანიზაციის ფართოდ დანერგვა და სხვა ღონისძიებათა განუხრელად გატარება. ამიტომ, პერსპექტიული გეგმით, პირველ რიგში, გათვალისწინებული იყო ახალი ნარგავების დიდ ფართობებზე გაშენება და მათი ნერგებით უზრუნველსაყოფად სანერგე მეურნეობების გაფართოება. დიდი ყურადღება მიექცა ხეხილის ბაღების მსხმოიარობის დაჩქარების საკითხებს შესწავლას. როგორც გამოცდილებამ ცხადყო, იქამდე გაშენებული ბაღების ნაწილი, არასრულყოფილი მოვლა-მკურნალობის, ნარგავთა შორის მანძილის უხეშად დარღვევისა და სხვა მიზეზების გამო ადრე გამოდიოდა წყობიდან. საჭირო იყო ისეთი ახალი მრეწველური ჯიშების დანერგვა, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მიკრორაიონში სათანადო დაკვირვება-გამოცდის საფუძველზე, ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან შესაბამისად დიდ

²² საქართველოს სსრ ორსცსა, ფონდი 389, საქ. 79, ანაწ. 1, ფ. 3.

ეკონომიკურ ეფექტს მოგვეცემა. ამ თვალსაზრისით მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით 100000 ჰექტარამდე ფართობზე განსაკუთრებით ყინვაგამძლე მიჩურინული ჯიშების გავრცელებას²³.

1937 წლიდან მოეწყო სპეციალური სანერგეები ყინვის ამტანი მიჩურინის ჯიშის ნაყენების გამოსაყვანად. ასეთი სანერგეები მოეწყო კერძოდ, ყაზბეგის რაიონსა და ბენისის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც შესაბამისად გამოყვანილ იქნა 3 000 და 11 000 ცალი მიჩურინის ჯიშის ნაყენები. ამ ნაყენების გამოსაყვანად საჭირო კვირტი შემოზიდეს ქალაქ მიჩურინსკიდან²⁴.

1933 წელს სსრ კავშირის „მეხილეობისა და მებოსტნეობის კავშირმა“ საზღვარგარეთიდან, კერძოდ ფლორიდიდან შემოიტანა გრეიფრუტის ნარგავები. 1934 წელს კი ხილისა და ციტრუსების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სანერგე მასალა შემოიტანეს იტალიიდან, ალკირიდან, იაპონიიდან, ესპანეთიდან და სხვ.²⁵ ხილკენკროვნების ფართო წარმოების საქმეში განსაკუთრებული როლი უნიჭებოდა მექანიზაციისა და სხვა აგროლონისძიებათა წარმოებაში ფართოდ დანერგვას. ამიტომაც ოდესის სრულიად საკავშირო კონფერენციაზე სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილდა მექანიზაციისა და აგროლონისძიებათა ფართოდ დანერგვა-განვითარების საკითხებზე, რომლის სრულყოფილად გადაწყვეტა მეორე ხუთწლედში უნდა განხორციელებულიყო. მეორე ხუთწლედში მწვავედ დაისვა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების განსაკუთრებით მექანიზატორების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების, მიწათმოქმედებისა და ფელიორატორების მომზადების საკითხი, რათა შესაძლებელი გამხდარიყო უახლესი ტექნიკის, მანქანა-იარაღების ათვისება.

მეორე ხუთწლედის დასაწყისისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ხეხილის ბაღების შეწამვლის და ამ მიმართულებით სათანადო აგროლონისძიებათა ზუსტად დაცვისა და გატარებისათვის. ხეხილის ბაღებში გავრცელებული მავნებლებისა და სხვადასხვა დაავადებათა მოსპობა მთელ რიგ სიმწელებთან იყო დაკავშირებული. საჭირო იყო არა მარტო არსებული ტექნიკური აღჭურვილობის ფართოდ გამოყენება, არამედ ახალი ტიპის მანქანა-იარაღების შექმნა, უფრო ეფექტური ქიმიური პრეპარატების მოღება და სხვ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამ მხრივ მნიშვნელოვან ღონისძიებებს სახავდა. სოფლის მეურნეობა მარაგდებოდა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით. უზამქომიკატებრსათვის, რამდენადაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოქონდათ გამოიყო დიდი კაპიტალური დაზანდებანი. უკვე მეორე ხუთწლედის დამდეგისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მთლიანად შეიწამლა 8 471 ჰა ხეხილის ბაღი, ხოლო 1934 წლისათვის — 33 200 ჰა, აქედან საქართველოს სსრ-ში 1934 წლისათვის — 15 000 ჰა, მათ შორის ძველი ბაღი — 11 000 ჰა, ახალი — 4 000 ჰა²⁶.

1934 წლისათვის როგორც რესპუბლიკის განსაზოგადობულ, ისე პირადი სარგებლობის სექტორში მიღებულ იქნა საკმაოდ მაღალი მოსავალი და სახელმწიფომ შეისყიდა 16,1 ათასი ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი, აქედან კურკოვანი — 2,2 ათასი ტონა და თესლოვანი — 13,9 ათასი ტონა²⁷.

²³ საქართველოს სსრ ორსესა, ფონდი 660, ანაწ. 1, საქ. 1372, ფ. 148.

²⁴ საქართველოს სოციალისტური მეურნეობა, 1941 წ. № 4, გვ. 53.

²⁵ საქართველოს სსრ ორსესა, ფონდი 288 საქმე 3145, ანაწ. 1, ფ. 45.

²⁶ საქართველოს სსრ ორსესა, ფონდი, 660, ანაწ. 1, საქ. 3650, ფ. 31.

²⁷ Сельское хозяйство Грузинской ССР, стат. сб., т. I, Тб., 1967, стр. 347.

გადაჭარბებით იქნა შესრულებული, აგრეთვე, ხმელი ხილის დამზადების გეგმაც, კერძოდ, 100 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიერ შესყიდულ იქნა 107,8 ტონა ხმელი ხილი²⁸.

ხეხილის ფართობის ზრდასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა სანერგეების ფართობის გადიდებასაც. კერძოდ, 1935 წელს სანერგე პლანტაციებს ეკავა 42,56 ჰექტარი, ხოლო 1935 წელს—75,5 ჰექტარი²⁹. საბჭოთა მეურნეობები თავის სანერგეებიდან გამოყვანილი ნამყენი მასალით დიდ დახმარებას უწევდნენ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეების პირად მეურნეობებს. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობათა შორის ხეხილის სანერგეების ფართობის განაწილების შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა მე-6 ცხრილის მონაცემები.

ხეხილის სანერგე მეურნეობის განვითარება საქართველოს სსრ წლების მიხედვით³⁰

ცხრილი 6

წლები	რაოდენობა	სანერგეების ფართობი ჰექტარობით		
		საბჭოთა მეურნეობები	კოლმეურნეობები	ს უ ლ
1921	2	3	—	3
1928	2	5	—	5
1931	7	55	4	59
1933	12	90	74	164
1935	27	94	118	212
1937	38	59	248	307

როგორც მე-6 ცხრილიდან ჩანს 1937 წ. ხეხილის სანერგეების ფართობი საბჭოთა მეურნეობებში მკვეთრად შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ს.კ. კბ (ბ) ცვ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე: „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობების ნაწილის, მუშათა მომარაგების განყოფილებების, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციათა მეურნეობის ლიკვიდაციის, საბჭოთა მეურნეობიდან და სხვა მეურნეობიდან ზედმეტი მიწების ჩამოკრისა და ამის ზარჯზე კოლმეურნეობათა მიწების გადილების შესახებ“). 1937 წ. საბჭოთა მეურნეობათა სანერგის ფართობი თუმცა შემცირებულია, კოლმეურნეობებისათვის მისი ერთი ნაწილის გადაცემის გამო, მაგრამ ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კოლმეურნეობათა მეურნეობრივი საქმიანობის შემდგომი განმტკიცების, მიწათსარგებლობის გაფართოებისა და მათი შემოსავლიანობის ზრდისათვის.

ზამთრის პერიოდში ბაღების დაუბრკოლებლად გაშენების უზრუნველყოფად ოპერატიულად სწარმოებდა დასარგავი მასალის განაწილება ამიერკავკასიის მასშტაბით, რომელიც ემყარებოდა ცალკეული რაიონებიდან წინასწარ მიღებულ განაცხადებს, ნამყენის ოდენობისა და ჭიშთა შერჩევას შესახებ. იმის გამო, რომ ხეხილის-ნერგის ყველაზე დიდი მწარმოებელი ამიერკავკასიაში ჩვენი რესპუბლიკა იყო, სადაც სპეციალიზებულ სანერგე მეურნეობებთან ერ-

²⁸ საქართველოს სსრ ორცხსა, ფონდი 660, ანაწ. 1. საქ. 4892, ფ. 40.

²⁹ სამტრედიის საუწყებო არქივი, ფონდი 1, ს. 1203, ფ. 5.

³⁰ აღ. ბ უ რ უ კ უ რ ი. მეხილეობა საქართველოში. თბ., 1940, გვ. 15. იხ. აგრეთვე, საქართველოს მეხილეობა, ტ. 1, გვ. 498.

თად ნერგი გამოყავდათ ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც, აგრეთვე საკმაო რაოდენობით ნამყენს უშვებდნენ თვითმცდელი კერძო მეზაღვები, ბაღების გაშენების გეგმების შესრულება ბევრად იყო დამოკიდებული ნერგის წარმოების გადიდებაზე, რომელთა დიდი ნაწილი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაჰქონდათ. მარტო 1936 წ. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიცეს 400 000 ცალი მაღალხარისხოვანი ნერგი, ხოლო კოლმეურნეობების სანერგე მეურნეობებმა — 70 000 ათასი ცალი ნამყენი³¹. დიდი რაოდენობით ხეხილის ნერგი იქნა აგრეთვე გატანილი მეზობელ რესპუბლიკებში: სომხეთში — 12 000, ჩრდაღმოსავლეთ კავკასიაში — 16 000, ხოლო დაღესტანში — 8 000 ცალი³².

მრავალმხრივი სამუშაოები იქნა ჩატარებული საქართველოში 1936 წ. საგზაფხულო რგვისათვის. ზამთრის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ახალი სანერგე მეურნეობების გაშენებას მეხილეობის რიგ მიკრორაიონში. ამ მიზნით კარგად იქნა შერჩეული შესაბამისი მიწის ნაკვეთები, რაიონები უზრუნველყოფილი იყო საჭირო მანქანა-იარაღებით. დამატებით იქნა გაშენებული სანერგე 35 ჰექტარზე, ხოლო საერთო სამუშაოები შესრულებულ იქნა 1278 ჰაზე, ამ ფართობზე გასაშენებლად სანერგე მეურნეობებიდან გაცემულ იქნა 400 000 ძირი ნამყენი, ხოლო ადგილობრივი დამზადებიდან თხილი, ბროწეული, ლეღვი და სხვ. — 470 000 ძირი³³.

საინტერესოა ვიცოდეთ ხეხილის ნარგავების მიერ დაკავებული ფართობების განაწილება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. როგორც სტატისტიკური მასალები გვიჩვენებენ, ხილკენკროვანი კულტურების ნარგავებით დაკავებული ფართობით I ადგილზე იყო რსფსრ, ხოლო ამიერკავკასია ხეხილის ნარგავებით დაკავებული ფართობების მიხედვით რსფსრ-სა და უკრაინის სსრ შემდეგ მესამე ადგილზე იდგა. ხოლო თვით ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის საქართველოს წამყვანი ადგილი ეჭირა.

საქართველოში სანერგე ბაზა, 1937 წ. წინა წელთან შედარებით, ორჯერზე მეტად გაიზარდა. საქართველოს კპ (ბ) XI ყრილობაზე, რომელიც 1938 წელს შედგა, აღნიშნული იქნა, რომ „ხეხილის სანერგე ბაზა 1936 წელთან შედარებით ერთი-ორად გაიზარდა, სანერგე მეურნეობა მოწყობილია საქართველოს 38 რაიონში“³⁴.

მეხილეობის დარგის განვითარების საქმეში დიდმნიშვნელოვანი იყო საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წ. ივნისის პლენუმის მიერ მიღებული დადგენილება — სახელმწიფო სანერგე სასელექციო სადგურებისა და მეურნეობების შემდგომი განვითარების შესახებ. ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო: „როგორც წესი თვითეულ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში, გამოჩაყლისის სახით დაუშვას ერთი სასელექციო სადგურის მიერ ორი-სამი ოლქის ან ავტონომიური რესპუბლიკის მომსახურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი პეისა და ნიადაგის პირობები ერთმანეთს ემსგავსება“³⁵. პლენუმმა სასელექციო სამუშაოების ფართოდ გაშლის, ჯიშთა შერჩევისა და გამოყვანის საქმეში

³¹ საქართველოს სსრ ორსცსა, ფონდი 660, ანაწ. 1, საქმე 6826, ფ. 48.
³² იქვე, ფ. 50.
³³ საქართველოს სსრ ორსცსა, ფონდი 660, ანაწ. 1, საქმე 4278, ფ. 49.
³⁴ უტრნ. „ბოლშევიკი“. 1938, № 6, გვ. 47.
³⁵ საკპ ყრილობების, კონფერენციების და ცპ პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, მეშვიდე გამოცემა, ნაწ. III, თბ., 1956, გვ. 412.

მნიშვნელოვანი შედეგების მისაღებად დააწესა სხვადასხვა სახის წამახალისებელი ჭილდო-პრემიები, რაც სტიმულირების მნიშვნელოვან დოკუმენტად იქცა.

როგორც ახალი ბაღების გაშენების, ისე ძველის შეკეთების სამუშაოთა წარმოების უზრუნველსაყოფად კვლავინდებურად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა დასარგავი მასალის წარმოებას.

Следует также отметить, что на республиканских оптовых базах в настоящее время недостаточно используется информация о развитии рынка Юго-Осетинской АО для обоснования потребности в товарах. Основной информацией о рынке области являются материалы учета спроса и движения товаров в розничной сети и материалы оперативной отчетности торговых баз, статистические данные о производстве и реализации товаров в торговой сети (в основном форма 3-торг).

В области практически не проводятся специальные мероприятия по изучению рынка, в частности — единовременные обследования, опросы покупателей и т. п. Недостаточное внимание уделяется изучению социально-экономических факторов, определяющих емкость рынка (численность и состав населения, доходы, изменения цен, национальные особенности и т. д.).

В системе Министерства торговли СССР с целью оперативного наблюдения за состоянием рынка основных товаров создана сеть торговых корреспондентов, в основном из числа специалистов по оптовой и розничной торговле. Торговые корреспонденты на основе информации о состоянии материалов ежемесячно составляют сводные информации о состоянии торговли, наличии излишних и дефицитных товаров, причинах пониженного спроса и т. д.

Число корреспондентских пунктов в стране превышает две тысячи. В каждой республике их количество составлено пропорционально доле ее товарооборота во всеююзном масштабе. В Грузинской ССР также созданы корреспондентские пункты.

Торговые корреспонденты в своих сведениях отражают и обобщают мнения наиболее опытных специалистов торговли — экономистов, товароведов, руководителей организации и предприятий о тенденциях развития спроса, его удовлетворении, ходе поставок, соответствии их структуре спроса на товары, о состоянии запасов отдельных товаров и группового ассортимента, причинах перебоев в торговле достаточными товарами, нарушении поставщиками договорных обязательств по поставке товаров и др.

В Юго-Осетии нет торговых корреспондентов, что безусловно, явление отрицательное. Для проведения более широких исследовательских работ по изучению рынка в области следует создать сеть корреспондентских пунктов.

Как уже отмечалось, служба изучения спроса в госторговле и в Облпотребсоюзе не всегда проводит анализ, обобщение и использование данных, получаемых из контрольно-ассортиментных пунктов (данные неудовлетворенного спроса, списки товаров, не пользующихся спросом и т. д.). Отрицательным моментом является также то, что в области редко проводятся выставки-продажи, являющиеся основным средством изучения мнений и оценок потребителями поступающих в продажу товаров. Изменения в целях улучшения имеющегося ассортимента. Эффективность и оперативность работы служб спроса снижается из-за недостатка вычислительной техники. Ввиду этого в обеих торгующих системах области сверхнормативные запасы в 1977 г. составили 3.739 млн. руб. Из них 1,7 млн. руб. по Цхинвалторгу и 2,1 млн. руб. — по Облпотребсоюзу. В 1978 г. сверхнормативные запасы составляли 869,0 тыс. руб. по Цхинвалторгу и 561,0 тыс. руб. по Облпотребсоюзу. И хотя эти данные намного ниже предыдущего года, но пока еще существенные.

До недавнего времени изучением рынка и спроса в нашей стране главным образом занимались торговые организации и предприятия.



Однако с развитием производства и усложнением структуры связей стало очевидно, что изучение рынка должно осуществляться как в сфере обращения, так и в сфере производства. Поэтому постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 7 января 1972 г. «О некоторых мерах по улучшению торговли и ее технической оснащенности» на министерства и ведомства, предприятия которых производят товары народного потребления, возложена обязанность осуществлять изучение спроса на соответствующие товары, координируя эту работу с торгующими организациями. В соответствии с этим начали создаваться подразделения по изучению рынка при отделах экспериментально-конструкторских бюропромышленных министерств и ведомств, а также при НИИ в системе промышленности, производящей товары народного потребления.

В Грузинской ССР изучение спроса и рынка в промышленности организовано с 1973 г. Это главным образом в Министерстве легкой промышленности, Министерстве мясо-молочной промышленности и т. д. Следует отметить, что работа по изучению спроса в промышленности еще только разворачивается, поэтому качество проводимой работы пока невысокое.

В Юго-Осетинской АО в промышленности работы по изучению спроса не ведутся. Между тем, изучение спроса на предприятиях области приобретает особое значение, если учесть, что промышленность Юго-Осетии из-за слабой информации о внутреннем рынке области и республики зачастую выпускает продукцию, не отвечающую запросам населения. По этой причине предприятия области, производящие товары народного потребления, часто не выполняют планы по реализации товарной продукции. Например, в 1978 г. план по реализации Цхинвальским лесокombинатом был выполнен только на 96%, комбинатом стройматериалов — на 94%, химзаводом — на 96%.

Проведенный анализ показал, что основной причиной невыполнения плана реализации является выпуск товарной продукции, не находящей сбыта из-за несоответствия спросу населения, а также низкого качества. Этот вывод подтверждается и такими данными: только на Цхинвальский лесокombинат в 1977 г. из розничной торговли было возвращено товарной продукции на сумму 40,8 тыс. руб. За пять месяцев 1978 г. возврат продукции по той же причине составил 20,6 тыс. руб. Сумма штрафов за поставку некачественной мебели за 1978 г. составила 2,4 тыс. руб. Примерно такое же положение наблюдается и на других предприятиях области.

Причиной, по которой некоторые предприятия области не выполняют план реализации или имеют возврат из торговли на крупные денежные суммы, является то, что ими не изучается спрос населения, они плохо информированы о конъюнктуре торговли, не проводят мероприятий по рекламе на новую продукцию, не следят за модой, низка еще доля выпускаемой продукции со Знаком качества и т. д.

Насколько важно изучение проблем, связанных с реализацией потребительских товаров, можно убедиться из краткого научного анализа, произведенного по одному из факторов, особо влияющих на потребительский спрос.

В магазинах и на складах скопилась обувь, не пользующаяся спросом. Выясняя причины, по которым покупатель отказался приобрести ее, ВНИИКС установил, что 42% опрошенных мужчин и 48% женщины не купили обувь из-за того, что она не соответствует моде, 22% и 32% — из-за низкого качества, плохого внешнего вида и лишь 16% и 12% — из-за высокой цены. Таким образом, сегодня «усредненный»

покупатель, выбирая обувь, в большей мере считается с модой, чем с ценой. Отставание же выпуска модных товаров стало хроническим².

Так что же такое мода, которая, как мы видим, имеет огромное влияние на культурно-эстетические потребности наших покупателей? В Большой Советской Энциклопедии мы читаем, что мода — это «непродолжительное господство в определенной общественной среде тех или иных вкусов, проявляющихся во внешних формах быта, в особенности в одежде» и далее: «...непрочная быстропроходящая потребность»³.

Казалось бы, наука, определяя понятие моды, не делает ей особых преференций. Но в то же время, глубоко рассматривая понятие моды, мы приходим к иным выводам.

При рассмотрении этимологии моды находим, что она формируется из таких внешних форм предметного мира, окружающих человека, которые, отображаясь в его сознании, полностью совпадают с его культурно-эстетическими интересами. А интересы в этом случае выступают как направление мыслей и чувств человека на объекты, которые удовлетворяют или могут удовлетворять его потребности. Они являются единством выражения внутреннего мира человека и объективных условий его существования.

Следовательно, эстетические интересы должны выступать как выражение его потребностей и должны проявляться в стремлении создать такие формы предметного мира и условий, которые отвечали бы законам красоты. Как известно, содержание потребностей людей зависит не только от их индивидуальных способностей, но и в значительной степени от конкретно-исторических общественных условий, решающим из которых в конечном счете является материальное производство. Развитие эстетических потребностей и интересов, их формирование у разных социальных групп происходит под влиянием различных форм общественного сознания, господствующих в общественной идеологии, социальной психологии.

Таким образом, эстетические интересы индивида или его вкусовые качества в отношении моды должны формироваться и направляться по такому фарватеру, которой полностью отвечал бы социально-политическим и культурно-эстетическим нормам социалистического общества. Справиться с такой задачей нам не трудно. Наша страна располагает как огромным потенциалом материальных ресурсов, так и многонациональным культурным наследием: умелое сочетание его с современной культурой может свободно формировать эстетические и вкусовые качества членов нашего общества на новой, коммунистической основе.

Исходя из вышесказанного, работникам промышленности и торговли надо считаться с модой. Товары широкого потребления, выпускаемые отечественной промышленностью, должны находиться не в «хвосте моды». Социалистическое общество может и должно сознательно воздействовать на процесс формирования ассортимента, воспитывать здоровые потребности и управлять спросом.

Таким образом, как свидетельствуют приведенные примеры и анализы, проблемы, связанные с реализацией общественного продукта при социализме, весьма существенны и многообразны. Поэтому нашей экономической науке следует уделять особое внимание выяв-

² Я. Орлов, Законы торговли — в основу производственной программы промышленности. — «Вопросы экономики», 1974, № 1, с. 46.

³ Большая Советская Энциклопедия. М., Госнаучиздат, 1954, с. 23.

лению и разработке экономически эффективных методов в сфере реализации общественного продукта.

Подводя итог всему сказанному выше, можно сделать следующий вывод. В Юго-Осетинской АО начата работа по организации изучения спроса населения в торговле. Вместе с тем вся постановка этого дела, сложившаяся организационная схема изучения рынка области полностью не соответствует новым условиям развития народного хозяйства и требованиям, предъявляемым к управлению торговлей и производством.

Главным недостатком является отсутствие четкой координации мероприятий по изучению рынка между двумя основными системами торговли — Цхинвалторгом и Облпотребсоюзом, а также между торговлей и промышленностью, производящей товары народного потребления. Из анализа работы служб спроса в государственной и кооперативной торговле области следует, что в обеих системах нет единого направления в организации изучения рынка и в информационном обеспечении, не имеется согласованной программы и единых форм учета, что не даёт возможности сопоставлять и обобщать данные, отсутствует обмен информацией между организациями госторговли и потребкооперации.

Следует особо отметить, что из поля зрения выпадают ОРСы, УРСы и другие системы государственной торговли, доля товарооборота которых в торговле Юго-Осетинской АО еще значительна.

Кроме того, слабо налажена взаимосвязь между розничной торговлей области и оптовыми базами республики. Такое положение приводит к тому, что даже имеющиеся материалы о состоянии и перспективах развития спроса населения недостаточно используются в коммерческой работе. Это соответственным образом сказывается на работе по расширению ассортимента товаров, вырабатываемых промышленностью области, а также улучшению качества изделий.

Анализ работы по изучению спроса в области и республике показывает, что в настоящее время назрела необходимость обеспечить единый подход к исследованию рынка как со стороны торговли, так и производства, наладить действенную координацию этой деятельности и обеспечить единство информационной базы, осуществить организационные мероприятия по созданию комплексной системы изучения рынка области и республики. Изучение рынка должно быть организовано как целостная система его оценки и прогнозирования, позволяющая получить необходимую своевременную и достоверную информацию о состоянии рынка и перспективах его развития, которая, в частности, должна содержать количественную и качественную характеристику существующих и будущих потребностей населения на товары народного потребления, товарного предложения, а также факторов, определяющих их развитие.

Комплексная система изучения рынка должна быть организована при Облплане. Она должна объединять усилия торговли и промышленности в масштабе области. Проводить работу следует с учетом организационно-экономических особенностей существующей системы хозяйствования, действующих принципов и структуры управления производством и обращения товаров народного потребления. С учетом этого в Юго-Осетии, как и в республике, решающая роль должна принадлежать торговле, как системе, наиболее тесно связанной с интересами конечных потребителей.

При этом основная цель изучения рынка в торговле должна состоять в том, чтобы обеспечить такое соответствие между спросом и

предложением, при котором в каждый данный момент достигается возможно более полное удовлетворение спроса обслуживаемого контингента покупателей при оптимальных издержках обращения и потребления. Целью изучения рынков должно быть обеспечение товарами, соответствующими спросу, как в количественном, так и в качественном отношении, что предполагает средние- и долгосрочное прогнозирование развития отраслей и обоснование годовых и пятилетних планов производства и реализации продукции на основе широкого использования результатов научно-технического прогресса, эффективного использования производственных мощностей, сырьевых, трудовых и финансовых ресурсов, и, главное, учета потребностей в соответствующей продукции.

Промышленность должна изучать, какими потребительскими и эстетическими свойствами должна обладать их продукция, чтобы наиболее полно соответствовать общественным потребностям, определять, как изменится спрос на те или иные товары в результате применения новой технологии, сырья, отдельных материалов и т. д. Иначе говоря, формирование ассортимента промышленностью должно осуществляться на основе как самостоятельно проводимых мероприятий по изучению рынка, так и на основе использования информации, поступающей от торговли. Кроме того, промышленность еще до начала выпуска товара должна знать, является ли он необходимым для потребителей, будет ли он пользоваться спросом, обеспечит ли повышение товарооборота и нужный уровень рентабельности. Информацию на эти вопросы промышленность может получить на основе рекомендаций торговли и собственного изучения формирующегося спроса и выявления новых потребностей.

Таким образом, если главной целью торговли является изучение рынка, а конечным результатом этой деятельности следует считать определение общего объема и структуры спроса (емкость рынка) на обслуживаемой территории, то целью промышленности должно являться изучение качественной стороны, главным образом, формирующегося спроса для выявления потребностей в новых товарах и совершенствования ассортимента, повышения их качества, а также изучение и прогнозирование возможностей удовлетворения этого спроса, т. е. предложения, с учетом научно-технического прогресса и возникновения новых потребностей и возможностей их удовлетворения.

Представлена Институтом экономики и права АН Грузинской ССР

ს ა მ ბ რ თ ა ლ ი

ბიოგრაფიული

რატომ ეწოდებოდა მოსამართლეს „ბჰე“ ფილოსოფოსი სამართლებელოში?

ადრეფილოსოფოსი საქართველოში ტერმინები „მსაჯული“ და „ბჰე“ მოსამართლეს ნიშნავდა. „ბჰე“, ამასთანავე, ფართო მნიშვნელობის ცნება იყო „ბჰედ“ იწოდებოდა მსაჯულიც, მოსამართლეს და მთავარს. უნდა შესწორდეს ი. ჯავახიშვილის შეხედულება იმის შესახებ, რომ XI საუკუნიდან საქართველოში მოსამართლეს წინანდებურად „მსაჯული“ კი არა, არამედ — „ბჰე“ ეწოდებოდა. საგულებელია, „ბჰე“ იხმარებოდა მოსამართლის აღსანიშნავად არა მხოლოდ ადრეფილოსოფოსად, არამედ ანტიკურ ხანაშიც. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია მრავალი შემთხვევა, როდესაც ბჰე მოსამართლის მნიშვნელობით იხმარებოდა XI საუკუნემდეც: მაგალითად, ქართული ოთხთავის უძველეს რედაქციებში. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ბჰე“ X—XI სს. ჩნდება და მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში „მსაჯულის“ აღსანიშნავად იხმარებოდა იმგვარადვე, როგორც „ბჰობა“ — „გასამართლებს“ მნიშვნელობით. შემდგომ „ბჰე“ თუ გაქრა, „ბჰობა“ მწერლობასა და სასაუბრო ენას შერჩა; მაგრამ — უკვე სხვა აზრით, სახელდობრ, „თათბირის“ მნიშვნელობითა იხმარებოდა.

საღმრთო წერილის ქართულ თარგმანში „ბჰე“ და „ბჰენი“ თუმცა ხშირად გვხვდება, მაგრამ მხოლოდ „კარისა“ და არა „მსაჯულის“ აღსანიშნავად. ამდროინდელი მნიშვნელობის ნაშთს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული „ჰიშკარი“, რომელიც „ბჰისკარისაგან“ არის წარმომდგარი ჯერ პროგრესული ასიმილიაციის წყალობით („შ“—„ს“—ს მაგიერ) და შემდეგ თავიდან „ბ“ს ჩამოცილებით.

სწორია დავითისებრი, რომ „ჰიშკარი“—„ბჰისკარისაგან“ არის წარმომდგარი და რომ ბიბლიის ტექსტების უძველეს ქართულ თარგმანებში „ბჰე“ მოსამართლეს კი არ ნიშნავდა, არამედ—„კარს“. ქართული ოთხთავის უძველეს ტექსტებში „ბჰე“ ნიშნავდა „მთავარ კარს“ (врата), ამ მხრივ ნიშანდობლივია გამოთქმა „ურციელი არს ბჰე“. ამავე დროს „ბჰე“ ნიშნავდა მოსამართლესაც: „ჩვეულო იყო ბჰე იგი მიტევებდა ერთისა პყრობილისა ერსა მას“ (მათე, 27,15), „იესუ წარსდგა წინაშე მის ბჰისა“ (მათე, 27,11). უკვე ადრევე ოთხთავში, რომელიც 897 წელსაა გადაწერილი, „ბჰე“ მსაჯულისა და მთავრის (მმართველის) მნიშვნელობითაა ნახვარი: „შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს პილა-

¹ იხ. მ. კეკელიძე. დავის გაგრძელება პირთა სახელწოდებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში (V—XI—), „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და საზოგადოების სწიპის, 1972, № 2, გვ. 150, 151.

² ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929, გვ. 476.

³ ივ. იმნაიშვილი. ქართული ოთხთავის სიფონია-ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამოც. 1948—1949, გვ. 67.

ტესა ბჰესა“ (მათე, 27, 2). რუსულად შესაბამის ადგილას იციტება: «И связавши Его, отвели и предали его Понтию Пилату, правителю».

მეათე საუკუნემდეღ ძეგლებშიც, როგორც თარგმნილში ასევე ორიგინალურში „ბჰე“ ხშირად გვხვდება „მსაჯულისა“ და „მმართველისა“, „მთავრისა“ მნიშვნელობით, რადგანაც მამინ აღმინისტრაცია და მართლმსაჯულება ერთმანეთისაგან არ იყო, როგორც წესი, გამიჯნული; ამიტომ „ბჰე“ მოსამართლე-მსაჯულსაც ნიშნავდა და მმართველსაც. პილატე სახარების ზოგ ხელნაწერში „ბჰედ“ და „მსაჯულად“ იხსენიება, ზოგშიც — „მთავრად“.

სათანადო წყაროების მიხედვით, ისრაელსა და იუდეაში (საერთოდ, კლასიკური აღმოსავლეთის ქვეყნებში) მიღებული წესჩვეულებების თანახმად, ყველაზე მნიშვნელოვანი გარიგებები (მაგალითად, მიწის ნაკვეთების გასხვისების ხელშეკრულებები) იდებოდა ყველა იმ მრავალი მოწმის თანდასწრებით, რომელნიც ქალაქის თუ გამაგრებული პუნქტის ჰიშკართან, ე. ი. შესასვლელ კართან იხსდნენ. ხალხის თავშესაყრელი ქალაქის ჰიშკარი იყო „სამართლის გაჩენის“ (გასამართლების) და გარიგება-ხელშეკრულების დადების ადგილი.

ზღუდეშემოვლებულ ქალაქებში, ცხადია, ჰიშკრის გავლით შედიოდნენ. ხშირად თვით კერძო მეპატრონეების კარმიდამოც ზღუდემოვლებულ სიმაგრეს წარმოადგენდა, სადაც ჰიშკრით შეიძლებოდა შესვლა. ბერძენი ისტორიკოსის ცნობით, სახელგანთქმულ ქალაქ ბაბილონის სპილენძისაგან დამზადებული ასი ჰიშკარი ჰქონდა დატანებული. ძველი ქვეყნის ქალაქის ჰიშკართან, ჩვეულებრივ, მოწყობილი იყო ხალხის თავშესაყარი მოედანი, სადაჰრო ადგილი. აქად. ნ. მარის აზრით, იაფეტიდებისათვის დამახასიათებელი იყო „კოლოსალური მიწის სარწყავი ნაგებობების გვერდით ადგილობრივი ქვისაგან ნაგებობათა აშენების მაღალი ტექნიკა: ციხე-ქალაქები და ქალაქის ჰიშკართან ვაჭრობა“⁴. ჩვენ არ შევცდებით, თუ დაუშვებთ, რომ მათს ჩვეულებას შეადგენდა, აგრეთვე ქალაქის ჰიშკართან მართლმსაჯულებაც.

როგორც ბიბლიიდან ჩანს, ქალაქის ჰიშკართან ყოველთვის ხალხმრავლობა იყო (მეფეთა მეორე წ. XV, 2; IV მეფეთა VI, I და ა. შ.). „შესაქმეს“ წიგნის ავტორის მიხედვით, როდესაც პატრიარქ აბრაამს გარდაეცვალა 127 წლის მეუღლე სარა „ქალაქსა შინა არბუქსა“, მისი სამარხი ადგილი იყიდეს მოწმეთა თანდასწრებით — „წინაშე ყოველთა მოქალაქეთა“. აბრაამა ცოლის სამარხი ადგილი იყიდა ეფრონ სარისსა ძისაგან, ხეთელისაგან (ქეტელი) „ხოლო ეფრონ ჯდა შოგრის ძეთა ქეტისთა. მიუგო ეფრონ და ჰრქუა აბრაამს წინაშე ძეთა ქეტისთა. და ყოველთა რომელნი შევიდოდეს ქალაქად და თქუა: რომელ არს მას შინა, მოგცემ შენ დაფლვად მკუდარი შენი“ (დაბადებისა XXIII.10—11). ე. ი. ქალაქის ჰიშკართან ხეთელთა შორის მჯდარმა ეფრონმა აბრაამს მიყიდა სასაფლაო ალაგი არა მარტო თავისი თანამემამულეების თანდასწრებით, არამედ — წინაშე „ყოველთა, რომელნი შევიდოდეს ქალაქად“. უნდა ვეფიქროთ, რომ ქალაქის ჰიშკართან მსხდომთა წინაშე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ასეთი ხასიათის გარიგების გასაფორმებლად სავალდებულოდ ითვლებოდა. ეს გარემოება კარგად აისახა ბიბლიის სხვა წიგნებშიაც (მაგალითად რუთისა). ქალაქის ჰიშკართან დღისით იხსდნენ ქალაქის მამასახლისები და უხუცესები — ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენლები.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქალაქის ჰიშკართან ეწყობოდა სასამართ-

⁴ Б. А. Тураев. История Древнего Востока, т. I, 1935, стр. 69.



ლოს საჯარო სხდომებში, ხდებოდა, აგრეთვე, დამნაშავეების საქვეყნოდ დასჯა (მეორე სჯულისა XVII, 5, რუსეთისა IV, 1—12, ამოსისა V, 10, 12, 15); ცხადია, ქალაქის ჭიშკართან გროვდებოდნენ გართობათა, სანახაობათა მოყვარულები და ა. შ. როდესაც ვაჟს მნიშვნელოვანი იურიდიული აქტის შესრულება ეწადა, მან ქალაქის ჭიშკრისაკენ მოუწოდა ქალაქის ათ უხუცესს (ქართული ტერმინით — „ბერს“); აგრეთვე — იმ პირების ახლო ნათესაობას, რომელნიც გარეგნის კონტრაგენტები იყვნენ.

ტრადიცია ქალაქის ჭიშკრის ასეთი დიდი მნიშვნელობისა აღმოსავლეთში აისახა თურქეთის სახელმწიფოს სახელწოდებაში: — მაღალი ჭიშკარი „მაღალი პორტა“. მეფის სასახლის აღსანიშნავად „კარი“ ანუ „ხელმწიფის კარი“ იხმარებოდა ქართულშიც.

როგორც წესი, ძველი სამყაროს სინამდვილეში, ქალაქის ჭიშკარზე საკუთრების უფლება ქალაქს ეკუთვნოდა. ხსენებულ გარემოებაშია ფესვგადგმული, ის ამბავი, რომ ხშირად სიტყვა „ჭიშკარი“ გამოხატავდა ძალს, ძალაუფლებას, ძლიერებას, რაც ჩანს ძველი აღთქმის წიგნებშიც (გამოსლეთა) და ახალ აღთქმაშიც. მათეს სახარების მიხედვით (XVI, 18). ქრისტე ამბობს: „და მე გვეტყჷ შენ, რამეთუ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვიშენო ეკლესია ჩემი და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდან მას“. რუსულად შესაბამისი ტექსტი ასე იკითხება: «И Я говорю тебе: ты Петр (Камень), и на сем камне Я создам Церковь Мою, и врата ада не одолеют ее (Церковь)».

ისიც ცნობილია, თუ როგორ დიდად ფასობდა ძველ აღმოსავლეთში სახლის ხის კარი. როდესაც იძულებულნი იყვნენ, მიეტოვებინათ სახლი, კარი თან მიჰქონდათ. კარს, ჭიშკარს რელიგიურ-საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა (და არა მარტო სემიტებში). ვინაიდან რელიგია თავის თავში სამართალსაც აერთიანებდა: სარწმუნოება და სამართალი ერთი იყო. ტაძრის მსახური ქურღმი — მოსამართლეც იყო. შეიძლება აქ მოვიგონოთ ის გარემოებაც, რომ ბაბილონის შესახებ პირველი ცნობები ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულს განეკუთვნება, როდესაც ეს ქალაქი დიდ შუმერულ-აქადურ სამეფოში შედიოდა და ერქვა ძველშუმერული სახელი — „კადინგარი“ ე. ი. „ღმერთების ჭიშკარი“⁵; ხოლო აქადურ ენაზე ბაბილონის გვიანდელი სახელწოდება გააზრებულ იყო როგორც „ბაბილი“. ე. ი. „ღვთის ჭიშკარი“. ურარტუში ღვთაებისათვის მიძღვნილ საკულტო ნაგებობას ერქვა „ღმრთის სახლი“. „ღმრთის ჭიშკარი“ (გ. მელიქიშვილი). ძველ ებრაულში „ბაბა“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „კარს“, „ჭიშკარს“, ხოლო ვადატანითი მნიშვნელობით — რომელიმე წიგნის, ტრაქტატის ნაწილს ანუ კარს. ქართულადაც ხომ იხმარებოდა და დღესაც ხმარებაშია წიგნის ნაწილებად, კარებად დაყოფა. ებრაელებში „ბაბა“-მ მიიღო მნიშვნელობა კანონის ნაწილის ანუ კანონის პარაგრაფისა. „ბაბა ბატრა“ — უკანასკნელი ჭიშკარი (კარი) ერქვა სამი ტრაქტატის ერთ-ერთ (ბოლო) ნაწილს, რომელიც მიძღვნილი იყო სუბიექტის როგორც მიწისა და სახლის მესაკუთრის უფლებებისა და მოვალეობებისადმი. ცნობილია, აგრეთვე, ხსენებული ტრაქტატის სხვა თავებიც „ბაბა კამა“ და „ბაბა მეცია“.

ის გარემოება, რომ „ბაბა“ (ჭიშკარი) ერქვა კანონის ან იურიდიული ტრაქტატის ნაწილს — (კარს) პარაგრაფს; აგრეთვე, ის წესჩვეულება, რომ ქალაქის

⁵ იხ. Энос о Гильгамеше, пер. с аккадского И. М. Дьяконова. М., 1961, стр. 95.

⁶ King L. A history of Babylon, London, p. 29—30.

ჭიშკართან ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ხალხის თანდასწრებით ხდებოდა სამსჯავრო გარჩევა, დამნაშავეების დასჯა. მნიშვნელოვანი იურიდიული აქტების გაფორმება და ა. შ. — გახდა საფუძველი იმისა, რომ ჭიშკარი, კარი (იგივე ბუქსიკარი), ბჭე, რომელიც ბიბლიის ქართულ თარგმანებში „კარის“ მნიშვნელობითაც იხმარებოდა დაუკავშირდა მოსამართლესა და სასამართლოს. ბჭე (მთავარი კარი) და მოსამართლე, რომელიც ქალაქის მთავარ ჭიშკართან ატარებდა სამსჯავრო სხდომებს, გაზრებული იქნა ერთმანეთთან კავშირში და „ბუქსიკან“ უნდა იყოს წარმოშობილი „ბჭობა“ (სჯა, გასამართლება).

ძველ ქართულ მწერლობაში, ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლების მიხედვით, „ბჭე“ (ბრჭე) ნიშნავდა მთავარ შესავალს. კარიბჭეს, კარს, მთავარ კარს, უზოს კარს, ჭიშკარს; აგრეთვე — მთავარს, კრიტიკის, მსაჯულს: „მე დღეს მოცალე ქმნილ ვარ და ბჭე და კრიტიკა“ — ნათქვამია „მამათა ცხოვრებაში“⁷. „უკუეთუ დიდი... საქმე არს გინა სამეფო, გინა ბუქსა, ეკლესიას დაიუბნის ქმანი“ — ვკითხულობთ ვიორგი მთაწმინდელის თხზულებაში.

ბჭობა XI საუკუნის ზოგიერთ ნარატიულ ძეგლში „გაღმწევეტილებასაც“ ნიშნავდა. ნათარგმნ დიდაქტიკურ ებოსში — „მეფეთა საღაროში“. რომელიც XVII საუკუნეზე გვიან არ უნდა იყოს გადმოქართულებული, „ბრჭობა“ ნიშნავს სამართლის სინჯვას, კანონიერების გარკვევას: „ერთი რივე სამართალი ეს არის, რომე თემის კაცისათვის გულში არა გაივლოს რა და ყოველთვის გულშია კარგსა ბჭობდეს ამაღ, რომე თუ ხელმწიფე გულში სამართალსა ბრჭობს, ყოველს მოსავალს ბარაქა დაედება, თუ არა და ყოველს მოსავალს ბარაქა წაუვა და თემი აოუვარდების, ხელმწიფის საქმე წახდების“⁸.

„ბჭე“ (ბჭე) „მოსამართლისა“ და „კარის“ მნიშვნელობით იხმარება „ქალილა და დამანაშიც“: „მგზავრმა უთხრა: ვაჟო, რად ვიბრძვით, ბჭემ გვისამართლოსო! ამა საქმითა დაზავდენ და ბრჭესა თანა მივიდნენ და მან მზაკვარბან ყოველივე ბრჭესა რიგიან გაასინჯა. სურმადილ იგი ივაძმა. ბრჭემ მოწამე ითხოვა. თიმგემიმ უთხრა ბრჭესა ლექსი::

შენი სიცოცხლე გაგრძელდეს საუკუნემდე ბჭეოდა,
მოჩივართ ღია ელირსოს თქვენის გულისა ბჭეო და!

ქართულმა XVII საუკუნეშიც შემოინახა „ბჭე“ სიტყვა „მოსამართლისა“ და „კარის“ მნიშვნელობით. ზემოთ მოყვანილი ლექსის პირველ სტრიქონში ბჭე „მოსამართლეს“ ნიშნავს; ხოლო მეორეში — „კარს“¹⁰.

ამგვარად, ქართული ბჭე (ბჭე) ჭიშკარი (ბრჭისკარი) საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ხსენებული არქაული სიტყვების — ისტორიის ამ უძველესი მოწმეების — ნდობის ღირს ჩვენებას შესახებ იმისა, თუ რა კავშირში იყო ერთმანეთთან „ბჭე“ და „ბუქსიკარი“.

⁷ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), ვაწმეწელობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973, გვ. 38.

⁸ იხ. ქართული ენის ისტორიული ჭრესტომატია II, გამოსაცემად მოამზადა ი. იმ ნ ა ი შ ვ ი ლ შ ა, თბილისი, 1963, გვ. 122. აგრ. ი. იმ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. ქართული ენის ისტორიული ჭრესტომატია, ტომი I, ნაწ. II, ენის მიმოხილვა და ტაბულები, თბილისი, 1971, გვ. 40—41.

⁹ ძველი ქართული ლიტერატურის ჭრესტომატია ტ. II, შედგენილია ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბილისი, 1949, გვ. 258.

¹⁰ იქვე, გვ. 411.

ვახტანგ შვანიძე

პროფესორ ლეონ პეტრაჟიციის სახელმწიფოსა და საზოგადოების ფსიქოლოგიური თეორია და მისი ჰარტმანის კრიტიკოსები

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი პოლონელი მეცნიერი და მოაზროვნე ლეონ პეტრაჟიციი სამართლის მეცნიერებას ჯერ კიდევ იმდროინდელი გერმანიაში ეუფლებოდა. იგი რუსეთში დაბრუნდა გასული საუკუნის ბოლოს — უკვე სახელმწიფო-განათლებლობის მინისტრის თანამდებობაზე, რომელმაც წამოყენებული პრობლემების კვლევა-ძიებას მიუღწია სამართლის ფსიქოლოგიისა და სამართლის ფილოსოფიის თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით. აღნიშნული პრობლემების წარმოშობა დაკავშირებულია რომის სამართლის შესწავლასა და იმ დროს გაჩაღებულ ფართო დისკუსიასთან გერმანიის სამოქალაქო სამართლის პირველი კოდიფიკაციის პროცესში.

ლ. პეტრაჟიციის მეოთხედი საუკუნე ცხოვრობდა რუსეთში და უკანასკნელი თხუთმეტი წელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე „სამართლის ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის და ენციკლოპედიის“ კათედრას ხელმძღვანელობდა. იგი იყო რუსეთის იმპერიის ხელისუფლების არჩევითი უმაღლესი ორგანოს პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი მისი პოლიტიკური სიმპატიები იყო „სახალხო თავისუფლების“ (კადეტთა) პარტიის მხარეზე, რომლის რიგებში იგი 1907 წლიდან ოფიციალურად ირიცხებოდა¹. პეტერბურგში მან ჩამოაყალიბა მეცნიერული კვლევის მიდრეკილების მქონე სტუდენტთა წრე (1915—17 წლებში ამ წრის თავმჯდომარე იყო გ. ნანეიშვილი, რომელიც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პეტრაჟიციის მიერ დატოვებული იქნა მის კათედრაზე — საპროფესოროდ მოსაზრდებლად). ლ. პეტრაჟიციი 1918 წელს დაბრუნდა საცხოვრებლად სამშობლოში და სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე (1931) ვარშავის უნივერსიტეტში სოციოლოგიის კათედრას განაგებდა.

1. ლეონ პეტრაჟიციი თავის პირველსავე შრომებში² ამტკიცებდა, რომ რომაული იურიდიული კონსტრუქციების გენიალობა შედგება ფსიქიკისა და მისი პროდუქტის — სამართლის შეუღნებელი აღქმისა და ევოლუციური შეგუებისა საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებთან, განსაკუთრებით — ეკონომიური ცხოვრების მოთხოვნილებებთან. აქედან გამომდინარე, მან იმთავითვე განსაზღვრა თავისი კვლევის მიმართულება: გაერკვია სამართლის პოლიტიკა და მთელი შემოქმედება წარემართა სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერული თეორიის მეთოდოლოგიის გამოუმუშავებისაკენ. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსულად დაწერილი კაპიტალური ნაშრომი — „სამართლის თეორია“ (ორტომეული), რომელიც მის სიცოცხლეშივე ბევრჯერ გამოიცა (დაიბეჭდა, აგრეთვე გერმანულ და პოლონურ ენებზე). გარდა ამისა, ლ. პეტრაჟიციის შექმნილი აქვს შრომები: „სამართლის თეორია ზნეობრივ თეორიასთან კავშირში“, „სამართლისა და ზნეობის შესწავლის შესავალი — ემოციონალური ფსიქოლოგიის საფუძვლები“, „ახალი მოძღვრება სამართლისა და ზნეობის შესახებ და პროფ. ვ. ი. სერგევიჩის კრიტიკა“, „ქალთა თანასწორობის საკითხის შესახებ“, „შესავალი სამართლის პოლიტიკის მეცნიერებაში“.

¹ БСЭ, III изд., т. 19 II, стр. 477.

² «Früchfeitalung in Dotabsachen» («შრომის პროდუქტის განაწილება»), «Die Lefare voo inkommen» («მოძღვრება შემოსავლის შესახებ»).



„საპეტრაჟიციუსო კომპანია“, „კეთილსინდისიერი მფლობელის უფლება“, „საპეტრაჟიციუსო საზოგადოების მომავალი რეფორმა“, „ნარკვევები სამართლის ფილოსოფიაში“, შრომები სამოქალაქო და სამეურნეო საპართალში და ბევრი სხვა³.

პეტრაჟიციუსი შეეცადა შეექმნა სამართლებრივი მოვლენების ფსიქოლოგიური თეორია და ამით განესაზღვრა სამართლის პოლიტიკის არსი, მისი მეცნიერული საფუძვლები. პრობლემის გადასაწყვეტად მისთვის აუცილებელი იყო გარკვეულიყო: როგორია საზოგადოების პროგრესული განვითარების მიმართულება და რა კავშირშია სამართლის მოქმედება სხვა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებთან⁴. მან შექმნა ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეთოდოლოგია. მისთვის ნათელი იყო, რომ სამართლის მეცნიერებაში არსებული ქაოსი, კერძოდ კი გაურკვეველობა თვით „სამართლის“ ცნებაში იყო შედეგი მეცნიერებაში გავრცელებული სუბიექტივიზმისა და იმ არაზუსტი მრავალმნიშვნელოვანი წარმოდგენებისა, რომლებიც არსებობდნენ იურიდიული პრაქტიკის გაგების ირგვლივ.

მიუხედავად იმისა, რომ ლ. პეტრაჟიციუსი სამართლის მეცნიერებაში შექმნილი მდგომარეობა სწორად გაიგო და მართებულად განსაზღვრა მეცნიერებაში გაბატონებული სუბიექტივიზმი, მან არა თუ გამოიკვია კვლევისადმი ამ პოზიციებიდან მიდგომის მეთოდი, პირიქით, მის სამართლის თეორიას სწორედ სოლიფისიზმი და სუბიექტური იდეალიზმის ფილოსოფიური მიმართულება უდევს საფუძვლად. ლ. პეტრაჟიციუსი ფაქტიურად უარყოფს იურიდიულ პრაქტიკას და „სამართლის“ ცნებას ქმნის ამ პრაქტიკისაგან დამოუკიდებლად, ემყარება რა ე. წ. „სამართლებრივი მოვლენის რეალურ ნიშნებს“. ასეთ ნიშნებად მას მიაჩნია ადამიანის სუბიექტური ფსიქოლოგიური განწყობილება, რომელსაც ქმნის შემხნეული (ან ადამიანის გონების მიერ წარმოდგენილი) მოქმედება ქცევის მიმართ და ამის შედეგად მიღებული ემოციები. მისი აზრით, ეს ემოციები ანუ განცდანი განსაზღვრავენ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც განსხვავდებიან ზნეობრივი ნორმებისაგან, — მათ არ გააჩნიათ ზეგავლენის უნარი და წარმოშობენ მხოლოდ ვალდებულების გრძნობას.

ლ. პეტრაჟიციუსის თეორიული კონცეფციები სრულიად ახალი იყო ბურჟუაზიული სამართლის მეცნიერებაში და წარმოადგენდა მის განვითარებაში წინ გადადგმულ ნაბიჯს. აქ გამოვლინდა ბევრი ახალი და საინტერესო, რამაც წლების განმავლობაში აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია და დღესაც იპყრობს სამართალმცოდნეობაში, სამართლის ფსიქოლოგიაში, სამართლის ფილოსოფიაში, სამართლის სოციოლოგიაში მომუშავე მეცნიერთა დიდ ყურადღებას და მიმდევრებიც ჰყავს, განსაკუთრებით — ამერიკელ სოციოლოგებს შორის. სამართლებრივი მოვლენის ემოციონალურ სფეროში მოქცევამ, მასთან აღრევამ და კვლევის იდეალისტურმა საფუძვლებმა, იგი მიიყვანეს

³ Henrik Leszczuna. Petrazycki, Wiedze-Powszechna, Warszawa, 1974, p. 17-19.

⁴ М. Д. Разумов. Марксизм и психологическая школа права, М., 1931, стр. 20-28.

ცალმხრივ, უმეტესად არასწორ და ზოგჯერ ფანტასტიკურ დასკვნამდ⁵. და ეს იმ დროს, როდესაც, მისი თქმით, იგი სახელმწიფოს და სამართლის თეორიის რიგი საკითხების განხილვას „აზროვნების დარღვისიერი და მარქსისტული მიმართულების“ პოზიციებიდან კი შეეცადა.

პოლონელი მეცნიერი ერჟი კოვალსკი წერს: „ლ. პეტრაჟიციმ განიცად გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგების — სეჩენევის, პავლოვის, ბეტსტრევის — ზეგავლენა... ამის შედეგად... შესწოლო ცალკეული სამართლებრივი ცნებების სწორი ჩამოყალიბება (სამართლის სახეობანი, იურიდიული ფაქტები, ნორმატიული ფაქტები, საჯარო სამართალი, კერძო სამართალი და ა. შ.)... პეტრაჟიციმ გააკეთა რიგი საინტერესო კრიტიკული შენიშვნები: გულუბრყვილო-რეალისტურ, გულუბრყვილო-კონსტრუქციულ და, თქვენ წარმოიდგინეთ, სამართალმცოდნეობაში გავრცელებულ ნიჰილისტურ თეორიებზეც. გარდა იმისა, რომ დაიკავა გარკვეული პოზიცია მის თანამედროვე სამართალმცოდნეობის მეცნიერებაში გავრცელებული შეცდომების მიმართ, იწინასწარმეტყველა კიდევ მომავალი შეცდომები, რომლებიც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდნენ 30-იანი წლების ნორმატივიზმში და ამერიკულ იურიდიულ რეალიზმში“⁶. ლ. პეტრაჟიციის შემოქმედებას ე. კოვალსკი⁶ განიხილავს მთლიანობაში და მის მიმართ დადებით შენიშვნებთან ერთად, მეტად სერიოზულად და დასაბუთებულად აკრიტიკებს. პეტრაჟიციის თეორიისათვის (სამართლის ფსიქოლოგიის და სამართლის ფილოსოფიის) ამოსავალია მტკიცება, თითქოს სახელმწიფო და სამართალი არ ჩაითვლება კლასობრივი ბუნების მქონედ და რომ სამართალი არის პიროვნების ემოციების ფსიქიკური გამოვლენის შედეგი; თითქოსდა ამ ემოციებით ადამიანს ექნება წარმოდგენა სახელმწიფო ხელისუფლებაზე და სამართლის ნორმებზე რომლებიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობენ.

თავის დროს პეტრაჟიციის თეორიას საკმაოდ დიდი რეზონანსი ჰქონდა: იგი ბევრი გამოჩენილი მეცნიერის კვლევისა და განხილვის საგანი გახდა, მის მიმართ შექმნილმა კრიტიკულმა აზრმა მნიშვნელოვანი მასშტაბები მიიღო. დღესაც მისი სამართლის ფსიქოლოგიის და სამართლის ფილოსოფიის შესწავლა მაღალ მეცნიერულ დონეზეა აყვანილი და ეს, პირველ რიგში, მის მშობლიურ პოლონეთშია. ვარშავაში ფართო საზოგადოებრივ და მეცნიერულ მუშაობას ეწევიან პეტრაჟიციის მოწაფეები, ერთ დროს მასთან ერთად მომუშავე პოლონელი მეცნიერები (ვ. ლისკი, ლ. პოდგორესკი და სხვები); მეცნიერთა ახალგაზრდა თაობა, რომელნიც, პოლონელ მეცნიერთა საზოგადოებასთან ერთად მის სახელსა და ღვაწლს სამართლის მეცნიერების განვითარების საკითხში დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ.

ათ წელზე მეტია მოქმედებს პოლონეთის სოციოლოგიური ასოციაცია და მისი სამართლის სოციოლოგიის სექცია, რომელიც ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებზე სისტემატურად ისმენს მოხსენებებს პეტრაჟიციის შემოქმედების შესახებ, გამოიკემა მონოგრაფიები და სხვა სამეცნიერო შრომები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა პეტრაჟიციის მიერ უცხო

⁵ С. С ан д л е р. Юридические доктрины империализма, Госюриздат., М., 1959, стр. 47—67.

⁶ ე. კოვალსკი. ლენ პეტრაჟიციის ფსიქოლოგიის თეორია სახელმწიფოს და სამართლის შესახებ, გამოც. „მეცნიერება“, ვარშავა, 1963, გვ. 219—222.

ენებზე შესრულებული შრომების პოლონურ ენაზე მთარგმნელი და მკვლევარი პროფ. ეფ. ლისკი. მას 1971—74 წლებში წაკითხული აქვს ხუთი მოხსენება, რომლებშიც დამუშავებულია ისეთი კარდინალური საკითხები, როგორცაა: „კანონი როგორც სოციალური ზემოქმედების ფაქტორი“, „კანონის მოტივაციური და განმანათლებლური ზემოქმედება“, „პეტრაჟიციკის სამართლის სოციოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები“, „პეტრაჟიციკის ამერიკელი მოწაფეები“ (გაანალიზებულია პ. სოროკინის, ნ. ტიმაშევის, გ. ლარსენსონის, გ. ბაბეს, კ. ფრისკეს — შრომები, რომლებიც განიხილავენ პეტრაჟიციკის კონცეფციებს კანონის შესახებ, სამართლის სოციოლოგიური კვლევის ობიექტის თაობაზე და სხვ.). ეს მეცნიერები პეტრაჟიციკის „ლეგალურ-სოციოლოგიური რჩეული ასპექტების“ განხილვას ცდილობენ მარქსისტული პოზიციებიდან და უდაოდ სასურველ შედეგებსაც აღწევენ; ამასთან, უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ასევე ინტენსიურ მუშაობას ეწევიან პეტრაჟიციკის ზემოქმედების შესწავლაში თანამედროვე ბურჟუაზიული, განსაკუთრებით, ამერიკელი სოციოლოგები, რომლებმაც პეტრაჟიციკის თეორიულ კონცეფციებში ბევრი რამ „რაციონალური“ აღმოაჩინეს მარქსიზმის რევიზიისა და უგულუბელყოფისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეორეტიკოსების „ნამოღვაწის“ შესახებ მნიშვნელოვანი დაკვირვებები აქვს პროფ. ე. ლისკის.

ჩვენს წერილის მთავარი საკითხია — პროფ. ლ. პეტრაჟიციკის ზემოქმედების ქართული კრიტიკოსები. ესენი, პირველ ყოვლისა, არიან მისივე მოწაფე გიორგი (ზოზო) ნანეიშვილი და კიევის წმ. ვლადიმერის სახელობის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ნიკოლოზ ჯორჯიანი⁷.

II. გ. ნანეიშვილის კრიტიკული დამოკიდებულება ლ. პეტრაჟიციკისადმი ჩამოყალიბდა თითქმის ორი ათეული წლის სამეცნიერო მუშაობის შედეგად და ძირითადად წარმოდგენილია მის კაპიტალურ შრომაში — „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ (1928), აგრეთვე გამოკვლევაში — „სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“ (1937). აქვე დავსძენთ, რომ ამ საკითხებზე გ. ნანეიშვილს ყურადღება გამახვილებული აქვს უფრო ადრეც (ოციან წლებში) — პეტრაჟიციკის სამეცნიერო წრეში წაკითხული რეფერატებში, მოხსენებებში და მეცნიერულ შრომებში⁸. იგი აანალიზებს იმას, თუ როგორ აფასებენ პეტრაჟიციკი ნორმატული ფაქტების პრობლემას და მიიჩნევს, რომ, ისევე როგორც ალექსეევი და რიგი სხვა მეცნიერებისა — პეტრაჟიციკი თავისი სამართლის ფილოსოფიით უახლოესი დროის ფენომენოლოგისტებს უახლოვდება. გ. ნანეიშვილი აქვე დასძენს, რომ „მართალი არ იყვნენ ისინი, რომელ-

⁷ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გ. ნანეიშვილი დაიღუპა 1937 წელს. იგი არის მრავალი ნაშრომის ავტორი სამართლის ფსიქოლოგიაში, სამოქალაქო და სახელმწიფო სამართალში.

⁸ ფსიქოლოგი ნ. ჯორჯიანს ვარდაცივალა 1919 წელს (25 წლისა), მაგრამ შესძლო დაეტოვებინა რიგი მეცნიერული შრომებისა ზოგად ფსიქოლოგიაში და სახელმწიფოებრივ სამართლებრივ საკითხებზე. აქ ჩვენ ვიხილავთ ნ. ჯორჯიანის შრომას — „Критика психологической теории права проф. Петражицкого“. 1915, Киев.

⁹ ამ საკითხზე იხ. ე. ევანია. ქართველი იურისტები, 1961, გამოც. „ხელოვნება“; ი. სულგულაძე. გ. ნანეიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ტ. „საბჭოთა სამართალი“, 1967, № 2; ბ. სავანელი. პროფ. გ. ნანეიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლისათვის, ტ. „საბჭოთა სამართალი“, 1975, № 1.

ნიც ამ ნათესაობას ფენომენოლოგისტებთან ვერ ხედავდნენ და უფლებბრივი ემოციონალიზმის ყველა წარმომადგენლებს და, მათ შორის, პეტრაჟიციოსაც უსაყვედურებდნენ იმას, რომ მათ თითქმის ვერ გაითვალისწინეს სამართლის აპრიორული ხასიათი და ის უფლებბრივი განცდანი: რაზეც ისინი მოცი-
 თხრობდნენ, ნამდვილად თითქოს უფლებბრივი განცდანი კი არ არიან, არამედ განცდანი... სამართლისა, რომელიც მოცემულია განმცდელი ფსიქიკის გარეშე... აღნიშნული ბრალდება სრული გაუგებრობისა და ემოციონალური ეთიკის საფუძვლების უტოცინარობის ნაყოფი იყო (გვ. 79).

გ. ნანეიშვილმა ხაზი გაუსვა, იმ გარემოებას, რომ პეტრაჟიციკის მიხედვით უფლებბრივ „განცდებში“ იშლება ღირებულებებითი მომენტები, რომელთა ადეკვატური... ფენომენოლოგიური შეცნობა არის იმის შეცნობა, რასაც ჩვეულებრივად სამართალი ეწოდება“ და გარკვეულია, რომ „ემოციონალურ განცდებს აპრიორული მომენტი ახასიათებს“. ამისთან მიიჩნევა, რომ პეტრა-
 ჟიციკი თავისი ემოციონალური აპრიორიზმით ბევრს საერთოს ნახულობს და უახლოვდება თავისი დროის ისეთ ფენომენოლოგისტებს, როგორც იყვნენ პასკალი და, განსაკუთრებით, მაქს შელერ-ჰილდებრანტი. გ. ნანეიშვილი თვლის, რომ უკანასკნელმა თავისი ფენომენოლოგიური სკოლის მეცნიერული საფუძვლები გაცილებით მაღალ დონეზე აიყვანა, ვიდრე სხვა მეცნიერებმა.

გ. ნანეიშვილი უდამტყდ მიაჩნევს მსჯელობას, თუ რამდენად მართალნი იყვნენ ემოციონალური აპრიორიზმის მომხრენი და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პეტრაჟიციკის კრიტიკოსებმა, რომლებიც მის თეორიას უფლებბრივი აპრიორიზმის მხრივ აკრიტიკებდნენ, იგი ვერ გაიგეს. მისი აზრით, „პეტრაჟიციკის სამართლის თეორია უაღრესად თავისებური და, ამავე დროს, თანამედროვე თეორიათა მონათესავე ღირებულებათა ფილოსოფია“ (გვ. 86). ამ დებულების დასაბუთებლად მას მოყავს ლოტცესა და ჰერბერტის კამათი: ლოტცე ამტკიცებს, რომ მართა სიტყვიერი ფორმა არ ქმნის ღირებულების შინაარსს და სიტყვიერი ფორმის გონების კატეგორიად ჩათვლა არ შეიძლება (ე. ი. ლოტცემ ღირებულებათა წყაროდ გრძნობები აღიარა); ხოლო შელერი მეცნიერული დასაბუთების დროს ცნობის ემოციონალური აპრიორიზმის შესაძლებლობას, იგი მთელ რიგ განცდებში (სიყვარულში, თანაგრძნობაში და სხვა) პოულობს წმინდა ობიექტურ აზრებს, რომელთა შეცნობა შესაძლებელია ფენომენოლოგიური გზით. პეტრაჟიციკის უფლებბრივი ემოციები, გ. ნანეიშვილის აზრით, თითონ ატარებენ და ამჟღავნებენ უფლებბრივ ღირებულებას და არ წარმოადგენენ სამართლებრივ განცდებს, რომლებიც პირვანდელი განცდებიდან ყალიბდებიან. გ. ნანეიშვილი მიიჩნევს, რომ პეტრაჟიციკის თეორია ამავე დროს ბევრს საერთოს პოულობს კოპეს და, საერთოდ, „ისტორიული სკოლის“ მიმდევართა სწავლებასთან და რომ პეტრაჟიციკის „სამართლის თეორიის“ კრიტიკოსებმა ფსიქოლოგიზმის მიღმა ვერ დაინახეს მისი თეორიული კონცეფციის ორიგინალობა და სიახლე.

„რამდენადაც პეტრაჟიციკის თეორიას — ამბობს გ. ნანეიშვილი — აქვს მისწრაფება, დასაბუთოთ ნორმატიული ფაქტების არსებობის შესაძლებლობა, მას იმპერატულ-ატრიბუტულ განცდებთან ერთად უნდა ელიარებინა ისეთი ფაქტების არსებობაც, რომელთაც, იმპერატულ-ატრიბუტულ განცდებთანა-
 გან დამოუკიდებლად — ე.ი. სამართლისაგან დამოუკიდებლად, აქვს უნარი აბსოლუტურად დამოუკიდებელი ნორმატიული მოქმედებისა“. აქვეა დასკვნა,

რომ პეტრაჟიციუსის ფსიქოლოგიური თეორიის არსებობა და ნამდვილობა, უფლებრივი შინაარსით, მხოლოდ უფლებრივ განცდებს ეკუთვნის, რომელთა გარეშე არსებობენ მხოლოდ სუსტი წარმოდგენანი, პროექციები და ფანტაზიები. ყოველივე ამას ავტორი მიიჩნევს პეტრაჟიციუსის სამართლის ფილოსოფიის უკიდურეს სოლიდისზმად და მიუხედავად იმისა, რომ აქ არ არის უარყოფილი არც სამართლის ობიექტურობა და არც „ფაქტების ფაქტიურობა“, მაინც ნაგულისხმევია, რომ ყოველივე ის, რაც მოცემულია სამართლის ნამდვილობაში, სხვა არა არის რა, თუ არა ფაქტები უფლებრივი განცდისა, რომელთა გარეშე სამართალი არ არსებობს და რომ მისგან დამოუკიდებლად ნორმატიული ფაქტების არსებობის წარმოდგენაც შეუძლებელია.

გ. ნანეიშვილი თვლის, რომ, პეტრაჟიციუსის თეორიიდან ნორმატიული ფაქტების თეორიის შექმნა შეუძლებელია, რადგან ამ თეორიით ყოველივე აღმანიის ფსიქიკაზე დამყარებული და სხვადასხვა პირობებში, ამა თუ იმ ინდივიდის ხაზითის კვლობაზე მათ სხვადასხვა ნორმატიული ფაქტების წარმოდგენის თვისება აქვთ; ამასთან ისინი არიან რეალობისაგან მოწყვეტილნი; უსისტემონი, მრავალგვარნი და ქაოტურნი, — ქმნიან ყოფიერებას ისე, რომ თავისი ბუნებით და სხვა პირობისაგან დამოუკიდებლად ნორმატიულად მოქმედებენ: „პეტრაჟიციუსის მიერ ჩამოთვლილი ყველა ფაქტი შემთხვევითი ხასიათისაა, გამოხატავს ნორმატიული ფაქტების ერთ რომელიმე სპეციფიკურ შემთხვევას და შეუძლია მხოლოდ მექანიკურად ჩამოთვალოს კანონი, ალათი, სასამართლოს პრაქტიკა, სამართალი, მოძღვრება ალიარებული ცალკეულ იურისტთა ნააზრევი, ექსპერტისა, საკანონმდებლო გამოაქმები, უფლებრივი მაგალითი, ხელშეკრულება, ვალდებულება, პროგრამული მოქმედება, პრეცედენტი, აღიარება, იურიდიული ანდაზა, ჩვეულება და სხვა“. პეტრაჟიციუსის მიერ შემთხვევითი ფაქტების შეკრების მიზეზს გ. ნანეიშვილი მის ფსიქოლოგიზმში და რელატივიზმში ხედავს, რომლებმაც იგი სამართლის ერთადერთ წყაროდ ემოციონალურ განცდების აღიარებამდე მიიყვანეს, არ მისცეს საშუალება დაეძლია უაღრესი სუბიექტივიზმი. ეს ხდება ე. წ. „ფსიქიკური ტოლქმედის“ ცნებით, რომელიც ინდივიდუალური განცდის ფარგლებს ვერ სცილდება და ამით, ამავე დროს, უახლოვდება დიუგის თეორიას, რომლის საფუძველს „სოციალური სოლიდარიზმი“ წარმოადგენს.

გ. ნანეიშვილს შედარებისათვის მოაქვს მორწმუნის მდგომარეობა, რომლისთვისაც ღმერთი ყოველივეს საწყისია და უთითებს, რომ, „ემოციური ფსიქოლოგიის საფუძვლების თანახმად, უფლებრივი ემოციები სამართლისათვის ერთადერთი საწყისია, ხოლო მისში მოცემული კანონზომიერება არ შეიძლება მიზეზობრივად იყოს დამოკიდებული რაიმე სხვა კანონზომიერებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლებრივი ემოციები სამართლის წყარო აღარ იქნებოდ... უფლებრივი ემოციონალიზმის მომხრეთა ცდამ ნორმატიული ფაქტების მტკიცე სისტემის შექმნისა — უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ იმ ფაქტების მექანიკურ ჩამოთვლაში, რომელთა წარმოდგენაც შემთხვევით მოექცა ჩვენი ემოციონალური განცდების შევადგენლობაში“.

გ. ნანეიშვილი მიიჩნევს, რომ ფაქტი უფლებრივი განცდისა უნდა გამოიღწეოდეს სამართლის წყაროდან და მაშინ იგი წარმოგვიდგება როგორც სამართალი. ყველა ის მტკიცება, რაც ერთ განყენებულ ფსიქიკურ ან სულიერ მდგომარეობას სამართლის წყაროდან აღიარებს და, ამავე დროს,



ცდილობს ფაქტების დამყარებას ნორმატიულობის სამართლის წყაროზე, — ვერ ამჩნევს, რომ ასეთი ორიენტაციით მისთვის ფაქტის ადგილს საესეებით სამართალი იჭერს. გ. ნანეიშვილი პეტრაჟიციკის ნორმატიული ფაქტების თეორიის არსებობას არ უარყოფს, მიიჩნევს მას მეცნიერულად მისაღებ და კვლევისათვის აუცილებელ თეორიულ მიმდინარეობად და მისი პრინციპები უნდა გამოიხატოს შემდეგ საფუძვლებში:

„ა) ნორმატიულობა თვით ფაქტის თვისებად უნდა იქნეს აღიარებული და ბ) ერთი ფაქტის ნორმატიულობა არ შეიძლება მიღებული იქნეს მეორე ფაქტის ნორმატიულობისაგან, ე. ი. ნორმატიული ფაქტების თეორიას უნდა გაჩნდეს უნარი სხვადასხვა გვარის საფუძვლისაგან შექმნას ერთნაირი შედეგის მიღების შესაძლებლობა. რაც შეეხება იმათ ვინც უფლებრივი ურთიერთობის ერთადერთ წყაროდ სთვლის... უფლებრივ რწმენას, ნებას უფლებრივ აზროვნებას, გრძნობებს, ან ფსიქიკურ-ემოციონალურ განცდათა რაიმე სპეციალურ სახეს, იძულებული იქნება სამუდამოდ უარი თქვას ნორმატიულ ფაქტების ყოველგვარი თეორიის შექმნაზე“ (გვ. 87).

პროფ. ლ. პეტრაჟიციკის თეორიული კონცეფციების კრიტიკა გ. ნანეიშვილის მხრიდან ამით არ დამთავრებულა. გარკვეული მიზეზების გამო ლ. პეტრაჟიციკის სამართლის ფსიქოლოგიას და ფილოსოფიას დაუბრუნდა რამდენიმე წლის შემდეგ. გ. ნანეიშვილმა შრომა „სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“ დაიბეჭდა 1937 წელს, მისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში. შრომაში იგი აკრიტიკებს სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის ბურჟუაზიულ მეცნიერებას, განსაკუთრებით პროფ. ლ. პეტრაჟიციკის, რომელიც ამ სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამედროვე წარმომადგენელი იყო და მისი კრიტიკა მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან აუცილებელი შეიქნა, რადგან პეტრაჟიციკის ამ დროისათვის ბურჟუაზიულ ფსიქოლოგებისა და სოციოლოგებს შორის მრავალი მიმდევარი გაუჩნდა⁹. და არა მარტო მაშინ, პეტრაჟიციკის თეორიას დღესაც ფართოდ იყენებს ბევრი ამერიკელი ანტიკომუნისტური და რეაქციული მიმდინარეობის და განწყობილების სამართალმცოდნე, ფსიქოლოგი და სოციოლოგი¹⁰. ამ თეორიის ცხოველყოფილობა იმდენად დიდი იყო, რომ ცნობილი საბჭოთა მეცნიერი, რეისნერი „მარქსიზმის შესწორებას“ პეტრაჟიციკის ფსიქოლოგიური თეორიის საშუალებით ცდილობდა“ (გვ. 124).

გ. ნანეიშვილის მიერ (შრომის — „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ — შემდეგ) პროფ. ლ. პეტრაჟიციკის განახლებულ კრიტიკას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ფაქტიურად თავის უკანასკნელ ნაშრომში — „სამართლის ფსიქოლოგიური

⁹ ეს შრომა დატანებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების VI ტომში, მაგრამ, გ. ნანეიშვილის დაპატიმრების გამო მკითხველამდე არ მიუღწევია და გადაჩენილა შემთხვევით პროფ. პაატა გუგუშვილის მიერ, რომელსაც შრომა თითქმის სამა ათწლეული წელი გადანახული ჰქონდა, დღეს კი ეს ერთადერთი ეკზემპლარი დაცულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

¹⁰ იხ. ამ საკითხზე ჩვენი დასახელებული შრომები: პენრიკ ლეშჩინა, ლონ პეტრაჟიციკის ცხოვრების ახალი ფილოსოფია და თანამედროვეობა. 1974, ვარშავა, გამოც. „საყოველთაო ცოდნა“. ერტი კოვალსკი. ლონ პეტრაჟიციკის ფსიქოლოგიური თეორია სახელმწიფოს და სამართლის შესახებ. 1963, ვარშავა, სახ. გამოცემლობა „მეცნიერება“.

თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“ ავტორი აკეთებს დასკვნებს, რომლებიც განსხვავდებიან მისი წონა შრომიდან და რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის სწორად გადაჭრისათვის. პირველ შრომაში გ. ნანეიშვილი აკონკრეტებს ლ. პეტრაჟიციისეული სამართლის ფსიქოლოგიისა და სამართლის ფილოსოფიის იდეალისტურ საფუძვლებს, მისი „ემოციონალური ფსიქიკის“ ნათესაობას ბევრ ბურჟუაზიულ თეორიასა და განშტოებასთან, განსაკუთრებით კი ფენომენოლოგების — მაქს შელერისა და ჰილდენბრადის ფილოსოფიასთან, რომელშიც ხედავს მეცნიერული საფუძვლების მარცვალს. ახლ შრომაში ყოველივე ამას გ. ნანეიშვილი ცრუ მეცნიერებად მიიჩნევს და ასაბუთებს, თუ რა დიდი ზიანი მიაქვს ამ მიმართულებას სამართლის ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის მეცნიერებისათვის: „ჩვენ შეეჩერდებით მხოლოდ ყველაზე უფრო თანმიმდევარ ფსიქოლოგიურ თეორიაზე — პროფ. პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიაზე... შევეცდებით ნათელვყოთ, თუ რამდენად დამორებული არიან ფსიქოლოგიური თეორიები სამართლისა და სახელმწიფოს იმ ნამდვილ ბუნებას, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია ერთადერთ ჭეშმარიტ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრების მიერ... თუ მარქს-ლენინის მოძღვრების თანახმად სამართლისა და სახელმწიფოს შესწავლა კლასთა ბრძოლის გარეშე შეუძლებელია, „რადგან სახელმწიფო არის ერთი კლასის მეორეზე ბატონობის მანქანა“ (ლენინი) — სამართლის ფსიქოლოგიური თეორიებს წარმომადგენლები იმ საკითხებს, რომლებიც სამართლისა და სახელმწიფოს წარმოშობას შეეხებიან, — აძვევებენ მათი შესწავლის ნამდვილ სფეროდან და სწყვეტენ იქ, სადაც ელიმინირებულია ყოველივე წინააღმდეგობა და კლასთა ბრძოლა. ამიტომ, თუ ვინმეს სურს სახელმწიფოს წარმოშობის ნამდვილი ისტორიის ნაცვლად დაწეროს ყალბი ისტორია, მას ამისათვის შეუძლია ამ სამართლის ფსიქოლოგიურ თეორიას მიმართოს.

კლასთა ბრძოლისაგან ხელოვნურად განთავისუფლებულ სფეროში სამართალი ბუნებრივად კარგავს თავის ნამდვილ შინაარსს. აქ უკვე ყველას შეუძლია სამართლის და სახელმწიფოს შესახებ. გემოვნებისამებრ, ფანტასტიკური სურათი დავკიხატოს, რომელიც მართალია იქნება ყალბი, მაგრამ გამოსაძვევი კლასობრივი ბრძოლის მისაჩქმალად“ (გვ. 155).

გ. ნანეიშვილის ეს დასკვნები იყო შედეგი იმისა, რომ ამ პერიოდისათვის იგი ღრმად დაუფლებული მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და შრომაში — „სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“ მოცემულია ლ. პეტრაჟიციისა და, საერთოდ, ბურჟუაზიული სამართლის ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის კრიტიკა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების პოზიციებიდან. ეს მომენტი მის შრომაში — „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა“ — ასე გამოკვეთილი არ ყოფილა და არც ის შედეგია დაზუსტებული, რომელიც მან უკანასკნელად მიიღო. მთავარი აქ ის არის, რომ ყველა ამ თეორიას, და მათ შორის პეტრაჟიციის თეორიას, საფუძვლად უდევს მიზანი — ეთიკურად გაამართლოს ბურჟუაზიული სახელმწიფო, აღიაროს იგი საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, დაამტკიცოს ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის „ბუნებრიობა“ და „აუცილებლობა“. პეტრაჟიციკო სახელმწიფოს საწყისს ხედავს საკუთარი კანონზომიერების მქონე ბუნებაში და ემოციურ ფსიქიკაში, რომ-

ლის ფესვები თიქოსდა, ისე ღრმადაა გადგმული, რომ აღარ არის დამოცილებული სუბიექტთა სტრუქტურებზე, რომელთა ფსიქიკასაც ემყარება.

„ემოციონალური ფსიქიკა — აღნიშნავს გ. ნანეიშვილი — პეტრაჟიციმ აბსოლუტური და მოუცილებელ კანონზომიერებაში დასახა და ამ გზით თვით სახელმწიფოდ, როგორც ამ ემოციონალურ ფსიქიკაში თითქოს თავადავად გამოქვავებულ ღირებულებათა გარეყოფნა წარმოადგინა.

სამართლის და სახელმწიფოს ისტორიის დასაწყისად... დამოცილებული კანონზომიერების მქონე ფსიქიკა იგულისხმება ისე, რომ უკვე აქ დასაწყისშივე იყო დაშვებული შეცდომა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ შეუძლებელს გახდიდა ამ მოძღვრების თუნდაც ერთი რომელიმე ნაწილის შერჩევების ცდას მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ“ (გვ. 118).

გ. ნანეიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მოწონება მხედა ბურჟუაზიულ სამართალწოდნებს შორის პეტრაჟიციკის ახალ თეორიას და მის „ინტუიტური სამართლის თეორიის საფუძვლებს“ (ივანოვი, მიხაილოვი და სხვები), რომელშიც ეს მოძღვრება მეტ-ნაკლებად სამართლის მეცნიერების დაგვირგვინებად გამოაცხადეს და რომლის არც ერთი დებულების სისწორეში ეჭვი არ უნდა ყოფილიყო შეტანილი. იგი ანალიზს უკეთებს შედარებით თავდაუმჯობესი მეცნიერების (კოსტიაკოვსკი, ორჟანეცკი, ტრუბეცკი) აზრს, თითქმის ცდილობდნენ გაეკრიტიკებინათ ლ. პეტრაჟიციკის მოძღვრება, მაგრამ მაინც აღიარებდნენ, რომ მან დიდი როლი შეასრულა საერთოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოს სამართლის თეორიის განვითარებაში. ყველა ეს მეცნიერები, განეიშვილის აზრით, ვერ ზედავენ იმას, რომ პეტრაჟიციკის სწავლებას საფუძვლად უდევს რუსოს „სოციალური თანხმობის“ თეორია და დიდი ნათესაობა აქვს თანამედროვე ფენომენოლოგიურ ფილოსოფიასთან.

„პროფ. პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფია — ამბობს გ. ნანეიშვილი — ვერ იქნა სათანადოდ შეფასებული ბურჟუაზიული კრიტიკის მიერ იმიტომაც, რომ ამ კრიტიკამ იმ ნატურალიზმისა და ინტელექტუალიზმის სამოსში, რომელშიც გახვეულია ეს თეორია, ვერ გაარჩია მისი დამახასიათებელი ემოციონალიზმის ის ბირთვი, რომელიც პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფიას განსაკუთრებულ ბეტაფიზიკურ ხასიათს აძლევდა... რომ პეტრაჟიციკი ნამდვილი ემოციონალური აპრიორიზმის წარმომადგენელია და რომ მისი თეორია ფენომენოლოგისტების — მაქს შელერის და ჰილდენბრანდის ფილოსოფიის მონათესავეა“ (გვ. 119).

ლ. პეტრაჟიციკის თავისი ფილოსოფიის დასახაბუთებლად ესაჭიროება სამართლებრივი განცდიდან ზნეობრივი განცდის გამოყოფა. იგი მიიჩნევს, რომ ე. წ. სამართლებრივ-ემოციონალურ განცდაში“ (იმპერატიული-ატრიბუტულ განცდაში) ისეთი ობიექტური შინაარსია ჩაქსოვილი, რომელიც სუბიექტს აძლევს გარკვეული მოქმედების შესრულებას, ხოლო ზნეობრივ ემოციებს ახასიათებს წმინდა იმპერატიული ბუნება, რომელიც არ არის დაყარებული ვალდებულებითს საფუძვლებზე.

გ. ნანეიშვილის აზრით, პეტრაჟიციკის ზნეობრივი და სამართლებრივი განცდების განმარტებებიდან „სამართლის პირველად დასაწყისად სუბიექტი თავისთავად იგულისხმება, რომელიც, როგორც აბსოლუტური დასაწყისი — ამავე დროს... იგულისხმება, რომ აბსოლუტურად თავისუფალიცაა. რობინზონიად, რომლის შესახებ მარქსი ლაპარაკობს, ამ თეორიის დასაყრდენი

დებულება: ცხადია, რომ ისეთ საფუძველზე... ემოციონალურ განცდებში თითქოს თავისთავად გამოჰქლავნებული ღირებულებანი უნდა მოჩანდეს და სხვა არაფერი. წინააღმდეგ შემთხვევაში... ნაგულისხმევი სუბიექტის თავისუფლებაც (როგორც აბსოლუტური დასაწყისი) სავსებით უარყოფილი იქნებოდა“.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ლ. პეტრაჟიციის ფილოსოფიისა და ჰილდენბრანდის ეთიკის ფილოსოფიის ნათესაობა, გ. ნანეიშვილი იხსენებს უკანასკნელის დებულებას იმის შესახებ, რომ არსებობენ „ისეთი ღირებულებანი, რომლებიც მხოლოდ პერიფერიულად შეიცნობიან“ და ღირებულებანი, „რომელთაც სუბიექტი თავდავიწყებამდე განიცდის.“ ჰილდენბრანდი პირველს სამართლის და მეორეს ზნეობრივი მოვლენების საფუძველად მიიჩნევს და ყოველივე ეს პეტრაჟიციის დასაბუთების ინდენტურია. გ. ნანეიშვილი ამას უწოდებს ლ. პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიის „პოლიტიკურ რომანტიკას“, რომლის თანახმად:

„1. სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებული არ არის სუბიექტის სურვილისაგან, თუმცა თვით ეს სუბიექტი სახელმწიფოს დასაწყისად იგულისხმება: რადგან... სახელმწიფოს წყაროდ სუბიექტში არსებული, საკუთარი კანონზომიერების მქონე თვისება (ემოციები) იგულისხმება;

2. ...ამ ბუნების (ემოციების) მოქმედება ყოველთვის იმაში გამოიხატება, რომ ისინი თითქოს ყველაფრისაგან დამოუკიდებლად, თავისთავად და თავისივე თავში აშკარადაა რაღაც ღირებულებებს;

3. ...ეს ბუნება აბსოლუტურად იზოლირებულია, რადგან ის, როგორც სახელმწიფოს და სამართლის დასაწყისი არაფრით არ შეიძლება გარედან ისაზღვრებოდეს და მიზეზობრივად რაიმე ზემოქმედებას განიცდიდეს;

4. ... ამ თავისთავად გამოჰქლავნებულ ღირებულებასთან სუბიექტი იმ ინტიმურ კავშირში იმყოფება, რაც თითქოს სახელმწიფოს ჰქმნის“ (გვ. 123).

გ. ნანეიშვილის აზრით, პეტრაჟიცი თავისი „აბსოლუტური დასაწყისის“ ცნებით, რომელსაც აბსოლუტური თავისუფლება ახასიათებს, პირწმინდა ლეიბნიცისეულ კონცეფციამდე მიდის, კონცეფციამდე, რომლითაც ღვთაებრივი ძალის განუსაზღვრელობით „ჩვენი სამყარო არის არა ერთად ერთი, არამედ ერთ-ერთი შესაძლებელი აბსოლუტური თავისუფალი სუბიექტის მიხედვით ...“ პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიის მიხედვით — აღნიშნავს გ. ნანეიშვილი, — სახელმწიფოს აუცილებლობის დასაბუთება ყოველ შემთხვევაში, თუმცა ამ ფსიქიკით უკვე შექმნილი სახელმწიფო იმ სახით არის პეტრაჟიციის მიერ მიცემული, რომ მის შემქმნელ სუბიექტს... ამ სახელმწიფოს გარეშე და დამოუკიდებლად ისევე არ უნდა შეეძლოს თავის წარმოდგენა, როგორც მისთვის შეუძლებელია საკუთარი ბუნების გარეშე თავის წარმოდგენა“ (გვ. 124).

პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფია გ. ნანეიშვილს არსებითად სოლიფისიტურ ფილოსოფიად მიაჩნია, რომლისთვისაც სუბიექტის და მისი ფსიქოლოგიური განცდის გარეშე არ არსებობს არაფერი, რასაც ობიექტური მნიშვნელობა და რაიმე ღირებულება გააჩნია და მისი გარეგანი დასყაროს არსი მასში სუბიექტის არსებობით განისაზღვრება „სახელმწიფო და საერთოდ საზოგადოებრივი ხელისუფლება, — ამბობს პროფ. პეტრაჟიცი, — არის საერთოდ არა რაღაც რეალური, არამედ არის ემოციონალური პროექცია, არის ძირითადი სახე გარკვეულ პირების მიერ განცდილი უფლებისა“. გ. ნანეიშვილი მიუთითებს რომ ეს იგივეა რაც რუსოს ფილოსოფიაში „ბუნებრივი მდგომარეობა“.

რობა“ და, საერთოდ, ნიშანდობლივია ის, რომ რუსოს და პეტრაჟიციკის სუბიექტები სახელმწიფოს „აბსოლუტურ სიცარიელეში სუბიექტის თვითგანსაზღვრის უბრალო სახელწოდება და ეს თვითგანსაზღვრა რაღაც ემოციურად განცდილი ღირებულების საფუძველზეა ნაწარმოები. ლ. პეტრაჟიციკს ამ თეორიულ დებულებებს გ. ნანეიშვილი შემდეგ ინტერპრეტაციას აძლევს:

„1. იმ აბსოლუტურ თავისუფალი სუბიექტის საფუძველზე, რომელიც პროფ. პეტრაჟიციკის სამართლის ფილოსოფიის აბსოლუტურ დასაწყისად იგულისხმება, და რომლის გარეშე... არაფერი სოციალურ არეში არ არსებობს — სახელმწიფო, სამართალი, საკუთრება და საერთოდ ყველაფერი სუბიექტის თავისუფალი თვითგანსაზღვრის შედეგად უნდა ჩაითვალოს;

2. რამდენად პროფ. პეტრაჟიციკის მიერ ამის საფუძველზე ერთხელ და სამუდამოდ უარყოფილია სუბიექტის (როგორც საწყისის) გარედან საზღვრულობის შესაძლებლობა და რამდენად მის მიერვე იგულისხმება, რომ სახელმწიფო ერთ სუბიექტთან მაინც არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს, იმდენად თავიდანვე ნაფულსხმევია, რომ ამ სახელმწიფოს საბოლოო საფუძველი ამ თვითგანსაზღვრულ სუბიექტთა თანხმობაა, მათი სურვილი იდენტიფიცია.

3. ეს თანხმობა კი, რომელიც აქ ცალკე ინდივიდუუმებში, თითქოს თავისთავად გამოძვლავებული „ღირებულებათა“ შემთხვევით თანმთხვევას ნიშნავს, იგულისხმება, რომ ყოველთვის ერთიორად უფრო სრულყოფილია, ვიდრე ყოველი ხელშეკრულება და თანხმობა, რომლის საფუძველზედაც ანგარიშობას გულისხმობენ“ (გვ. 126).

გ. ნანეიშვილი პეტრაჟიციკის თეორიას თავისებურ „ღირებულების ფილოსოფიას“ უწოდებს და მიუთითებს, რომ პეტრაჟიციკით...“ რაღაც ღირებულებანი — ქნიან გარკვეულ გამართლებულ და აუცილებელ, თანაც სავალდებულო მისწრაფებას, რომელიც თითქოსდა სამართლებრივ ემოციონალურ განცდებში თავისთავად ამკარავდებიან. რომ ამ ფილოსოფიის თანახმად, სამართლის შესრულება უნდა განიხილებოდეს, როგორც თავისუფალი სუბიექტის თვითგანსაზღვრა, ვინაიდან... აქ იგულისხმება, რომ სუბიექტის განსაზღვრას შემსრულებლის როლში აწარმოებს თითქოს მასშივე თავისთავად გამოძვლავებული რაღაც ღირებულებითი მონენტი, ამასთან დაკავშირებით კი, უნდა იგულისხმებოდეს, რომ სუბიექტი ყოველ სამართლებრივ მოქცევის დროს თავისთავთან სრულ თანხმობაშია“ (გვ. 127).

გ. ნანეიშვილი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ პეტრაჟიციკი თავის დასაბუთების გამართლებისათვის სუბიექტს განიხილავს არა ერთ კანონზომიერებაში, არამედ — იმდენში, რამდენშიც შეიძლება სუბიექტი მოხვდეს ცხოვრების ცალკეულ პირობებში და ამიტომ ყველა ის წინააღმდეგობა, რაც სუბიექტის სხვადასხვა თვისებებში ვლინდება, საესებით კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია. ამ ანალიზის შედეგად, გ. ნანეიშვილი ასკვნის, რომ პეტრაჟიციკის ფილოსოფიას აგრეთვე დიდი ნათესაობა აქვს დოსტოევსკის „ტანჯვის ფილოსოფიასთან“, რადგან ბურჟუაზიული სამართლის იძულებითი ხასიათი სუბიექტმა საკუთარი ხასიათის თუ განწყობის შედეგად უნდა შეიგრძნოს, სამართალი კი მოკლებულია ვინმეს წყენის საშუალებას, რადგან სამართლის შედეგად მიღებული ტკივილი ინდივიდის პირადი ბუნების ან ხასიათის შედეგია. „...ამ ფილოსოფიის მიხედვით, — განმარტავს გ. ნანეიშვილი, — იგულისხმება, რომ:

1. სამართლის შემმორკავი ძალა, როგორც რაღაც საკუთარი ემოციების

წნევა უნდა იქნეს შეცნობილი, ხოლო ამ სამართლის შესრულების აუცილებლობა კი — როგორც შინაგანი აუცილებლობა;

2. ეს აუცილებლობა განხილულ უნდა იქნეს როგორც თვითგანცდილი ღირებულების ლტოლვა — გარეგნულის საკუთარ თავთან თანხმობაში მოყვანისათვის.

3. სამართლის შესრულება ამის გამო — სუბიექტისათვის თავის თავთან აბსოლუტურ თანხმობაში ყოფნას ნიშნავს... იგულისხმება, რომ სამართლის შესრულებით სუბიექტი თავის სრულ თავისუფლებას გეიჩვენებს; და

4. ყოველი ზემოქმედება სუბიექტზე — ამ სამართლის სახელით და მისი შესრულების მიზნით (საიდანაც უნდა იყოს წარმოებული ეს ზემოქმედება) სუბიექტმა არავითარ შემთხვევაში უარყოფითად — ძალმომრეობად არ უნდა მიიჩნიოს... (გვ. 128).

ნანეიშვილის ამ შრომას, ბოლო გვერდი აკლია, მაგრამ მისი შინაარსი გარკვეულია შრომის შესავალი ნაწილიდან, სადაც მოცემულია შრომის მიზანი და მისი თეორეტიკული საფუძვლები. გ. ნანეიშვილმა შრომა მიუძღვნა პეტრაჟიციის სამართლის ფილოსოფიაში და ფსიქოლოგიაში შექმნილ ახალი თეორიის მარქსისტულ კრიტიკას და დასაბუთა, რომ ეს თეორია მისი იდეალისტური და სოლიფისტური წანამძღვრებით მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს, ემსახურება ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის პრინციპების განმტკიცებას, მათი მარადიულობის დასაბუთებას და საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში ამას ობიექტურ კანონზომიერებად მიიჩნევს.

III. ნ. ჯორჯიას, პეტრაჟიციის თეორიის განხილვის დროს ძირითადად აინტერესებს მისი ფსიქოლოგიური ასპექტები. შრომა დაწერილია 1915 წელს, ავტორის სტუდენტობის პერიოდში. იგი თავის კრიტიკული გამოსვლის შესავალში მიუთითებს, რომ პროფ. პეტრაჟიციის თეორია ატარებს სქემატურ ხასიათს, რომლითაც ის ფიქრობს შეცვალოს მეცნიერებაში გაბატონებული და საფუძვლიანად გაკრიტიკებული ადამიანის ქცევის მოტივების შესახებ ცნობილი „გედეონისტური“ და „ეგოისტური“ თეორიები და საზოგადოებაში ასევე ფართოდ გავრცელებული იდეალისტური შეხედულებანი ქცევის გამოვლენისადმი ეგოისტური და ალტრუისტური სწრაფვისა.

ნ. ჯორჯიას აზრით, სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის კრიტიკა შეიძლება მხოლოდ ფსიქოლოგიური მონაცემებით. მართალია, ლ. პეტრაჟიციმ თავის „ემოციონალურ ფსიქოლოგიაში“ საკმაოდ დამაჯერებლად და კრიტიკულად მიმოიხილა ის ბუნდოვანება, რომელიც არსებობს მეცნიერებაში „სულის“ ცნების შესახებ; მაგრამ, ამ შრომაში სრულყოფილად არ არის გახსნილი ყველა ის ცოდვა, რაც ახასიათებდა თანამედროვე „სულის მეცნიერების“ მიმართულებას. მეტიც ითქმის: პეტრაჟიცი გვერდს უვლის და ჩუქმდება რიგ გადაუწყვეტავ საკითხებზე, რომლებიც პრინციპულ ხასიათს ატარებენ. „ამის გამო — მიუთითებს ნ. ჯორჯია — პეტრაჟიციის ფსიქოლოგიური თეორია კრიტიკული დაზვერვისათვის, ისეთივე არასაიმედო ბაზისის მქონეა, როგორც მეცნიერებაში გაბატონებული „ვომონტორისტული ფსიქოლოგია...“ (გვ. 18).

პროფ. ლ. პეტრაჟიციის ფსიქოლოგიური თეორიის განხილვისას ნ. ჯორჯიას გამოუყენებია გეფდინგის — „ნარკვევები ფსიქოლოგიაში“, ვუნდტის „ფიზიოლოგიის და ფსიქოლოგიის საფუძვლები“, შერშენევიჩის „სამართლის თეორია“, ტრუბეციის — „ლექციები ენციკლოპედიაში“. იგი აგრეთვე ეყყა-

რება ვნოსეოლოგიური სკოლის ცალკეულ წარმომადგენლებს „აქქის“ ცნობის გაგებაში და სხვა. ამაზე თავიდანვე ყურადღებას ვამახვილებო, რათა სწორად იქნეს გაგებული ამ მკვლევარის პოზიცია პეტრაჟიციის „ფიზიოლოგიური თეორიის შეფასებაში“. ნ. ჯორჯიას კრიტიკა თვითონ არ არის დაზღვეული ბურჟუაზიული თეორიული კონცეფციების ზეგავლენიდან და რიგი მისი დასკვნები სუბიექტივისტური ტენდენციისაა. მიუხედავად ამისა, ნ. ჯორჯიამ რიგ საკითხებს სწორი შეფასება მისცა. შრომა მნიშვნელოვანი მეცნიერულა ღირებულებისა და მეტად საყურადღებოა როგორც მისი ფიზიოლოგიური, ასევე სამართალმცოდნეობითი (ეფიქრობთ, უპირატესი მდგომარეობა ამ ასპექტს აქვს მინიჭებული) ასპექტებით და სოციოლოგიური თვალსაზრისით.

ნ. ჯორჯიას მიაჩნია, რომ ლ. პეტრაჟიციის ემოციონალური თეორიის მთლიანად ყალბ თეორიად გამოცხადება სწორი არ იქნებოდა. იგი მისაღებია „თვითდაკვირვების“ თვალსაზრისით, რადგან უდავოდ შეიძლება აღამაინში წარმოშობილი ორმაგი — „პასიური და აქტიური“ — განცდების თვალყურისდევნება. მაგრამ მას სადავოდ მიაჩნია პეტრაჟიციის მტკიცება იმის შესახებ, რომ ეს არის „ფიზიოლოგიური ელემენტა“ და რომ ამ ელემენტის მხარეები განსხვავდებიან „შემეცნებითი“ და „ნებითი“ ელემენტებისაგან. აქ ნ. ჯორჯიკია ხაზგასმით მიუთითებს, რომ ლ. პეტრაჟიციმ ეს საკითხები ვერ ამოხსნა. მისი აზრით, პეტრაჟიციის ე. წ. „სინდისის ქეჩნა“ — გამოყენებული ეთიკური ემოციების გასაძლიერებლად თუ შესამცირებლად — უსწოროა, რადგან პეტრაჟიკი ისეთ ემოციებს, როგორცაა: „სირცხვილი“ ან „გაბრაზება“ საერთოდ გამოირცხავს ეთიკურ ემოციათა რიცხვიდან, ამასთან უკანასკნელს განიხილავს როგორც განსაკუთრებული შინაარსის მქონეს.

ჯორჯიკია არა თვლის დამტკიცებულად ლ. პეტრაჟიციის დებულებას, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი (და, ზოგადად, „ეთიკური“) ემოციები იმ თვისებისანი არიან, როგორადაც ხასიათდებიან — საერთოდ: მისივე სწავლებით, როგორც პროექციის გამოწვევის უნარის მქონე ემოციები, რადგან სპეციალურად ასეთი „ეთიკური“ პროექციების დანახვა შეუძლებელია. პეტრაჟიკი „ეთიკურ“ ემოციებს მიაწერს „აბსტრაქტულ“, „ბლანკეტურ“, „მოტორულ“ გამომიზიანებელთა რიცხვს, რომლებსაც აქვთ ნებისმიერი ქცევის გამოწვევის უნარი. აქედან კი გამოირცხვლია შესაძლებლობა: გამოყენებული იქნეს დიდი ღირებულების მქონე ფსიქიკურ მოვლენათა დიაგნოსტიკა („ობიექტური მეთოდი“) ინტროსპექტულად მეთვალყურეობის ქვეშ მყოფთა „ეთიკური“ ემოციებისა. ნ. ჯორჯიკია მიიჩნევს, რომ აქ ლ. პეტრაჟიკი თავის თავთან წინააღმდეგობაშია, რაც მდგომარეობს შემდეგში:

1. ავტორი წინააღმდეგ თავისი სწავლებისა, ემოციათა „აბსტრაქტულობის“ შესახებ, „სამართლებრივ“ ემოციებს აღიარებს „სპეციალურ“ ემოციებად; და ამის სხვაგვარად გაგება შეუძლებელია, რადგან სამართლებრივ ემოციებს ანიჭებს ტიპური „ფიზიოლოგიურ მოქმედების“ უნარს;

2. ფიზიოლოგიური მოვლენები სამართლებრივი შეგნებისათვის სპეციფიკური არ არის. ხშირად სამართლებრივი შეგნებით გამომწვევ განცდებს („თვითდაკვირება“, „გამბედაობა“ და სხვა) პეტრაჟიკი მიაწერს „თავისებურ აქტიურ-სამართლებრივ, ფიზიოლოგიურ მოქმედებას“ და, ალბათ ეთიკურ ემოციებს, რომლებიც მის მიერვე სპეციფიკურ განცდებადაა კვალიფიცირებული და ძალაუნებურად ურევს აშკარად დამოუკიდებელი და უფრო პირველადი ხასიათის მქონე სხვა განცდებში („მხნეობა“, „იმედოვნება“).

„ეთიკურ“ (მათ შორის სამართლებრივ) განცდების ავტორის ემოციონალური თეორიის დებულებებით და მეთოდით შესწავლას — მიუთითებს ნ. ჯორჯიკია, — გარდაუვალად მიეყავართ განსაკუთრებული „ეთიკური“ („სამართლებრივი“, „სწეობრივი“) ემოციების არსებობის უარყოფამდე“. აგრძელებს რა აზრს, ნ. ჯორჯიკია აღნიშნავს, რომ როგორც ავტორის განსაკუთრებული კლასიფიკაცია „აქციონური“ მოტივაციისა ისევე მის მიერ ამ კლასისადმი „სამართლებრივი“ მოტივაციის მიკუთვნება, არსებითად სადავოა. ჯორჯიკია ამ დასკვნამდე მიდის ვუნდტის „ფსიქოლოგიური თეორიიდან“ და გნოსეოლოგიური სწავლების საფუძვლებიდან გამომდინარე.

ლ. პეტრიაშვილის თეორიის მოტივაციურ ნაწილში ნ. ჯორჯიკია ხედავს ორ არსებობის წინააღმდეგობას: ა) თუ „აქციონურ“ წარმოდგენად ჩაითვლება მართო მოქმედების განსაზღვრული წარმოდგენა, მაშინ გარკვეული იქნება, რომ სამართლებრივ განცდებსა და მოტივაციას ყოველთვის არ აქვს „აქციონური წარმოდგენა“. მაგრამ როგორღა უნდა იქნეს გაგებული მისივე მეორე დებულება, სადაც სამართლებრივი განცდები შეფასებულია „აქციონურ წარმოდგენად“? ბ) ანღა რიგორ უნდა იქნეს გაგებული დებულება, რომ „აქციონური წარმოდგენა“ უფრო ფართო შინაარსისაა და ნიშნავს საერთოდ ყოველგვარ მოქმედებას მაშინ ავტორს არ ჰქონლა ლოგიკური უფლება დაეპირისპირებინა „აქციონური წარმოდგენა“ ქცევის „წარმოდგენის საფუძვლებთან“ და „ობიექტურ წარმოდგენებთან“, ხოლო „აქციონური მოტივაცია“, — ამ ტერმინის ფართო აზრით, — „ძირითად“ და „ობიექტურ მოტივაციასთან“.

სამართლის თეორიის ნაწილში ნ. ჯორჯიკია მიიჩნევს, რომ პეტრიაშვილი სწავლებაში ნორმატიული განცდების თაობაზე ძირფესვიანად შორდება — თვით „ნორმის“ გაგებაში „საერთოდ დადგენილ და მიღებულ შინაარსს“ (აქ მხედველობაშია „ნორმა არა ფსიქოლოგიური, არამედ იურიდიული მნიშვნელობით — ბრძანებითი, იძულებითი, განკარგულებითი ფორმით). მას მეთოდოლოგიურად გამოკვლევის ობიექტი განზრახ გადააქვს გარე სამყაროდან — ფსიქოლოგიური განცდების შინაგან სამყაროში, იგი „ნორმას“ მოგვაწოდებს არა როგორც თავისთავად არსებულს, არამედ როგორც შინაგანი ფსიქოლოგიური განცდის პროექტს და „ნორმა“ მიაჩნია გონების ფანტაზიად, რომელსაც თან ახლავს ინდივიდუუმის ზოგიერთი ნორმატიული განცდა.

ნ. ჯორჯიკია ანალიზს უკეთებს ლ. პეტრიაშვილის მიერ თავისი მსჯელობის დასასაბუთებლად მოყვანილ მაგალითებს, რომლებშიც შეფარდებულია აქციონური წარმოდგენანი და ემოციები (დამპლის ჭამა საძაგლობა, სიხარბე დაუშვებელია, ახლობელი უნდა გიყვარდეს და ა. შ.) და მიუთითებს, რომ ერთი სახის მოვლენების ლოგიკურად შეერთება შეიძლება, მაგრამ ეს არ შეეფარდება ტერმინ „ნორმატიულის“ მეცნიერულ საფუძვლებს. ნ. ჯორჯიკია მიუთითებს, რომ „ჭამის პროცესს“ „ინტელექტუალური“ მოტივაცია არასოდეს უკეთდება ისე, როგორც ეს ხდება „ეთიკურ“ სფეროში („ღმერთი ვისმობს“, „სინდრის ვეჯარნახებს“, „სახელმწიფო აიჭილებს“). თუმცა ყველა ეს ნორმები ფანტაზიაა. მაგრამ თვით ეს ფანტაზია რეალურია ჩვენი უშუალო განცდებიდან გამომდინარე და მისი არსებობის პირობებში ვახსიათებთ... ნორმატიულ განცდებად“ (გვ. 34).

ნ. ჯორჯიკია აღნიშნავს, რომ ეთიკური განცდებისათვის დამახასიათებელია „ნორმათა“ განცდები: იქ სადაც არ არსებობენ ნორმები, არ არსებობს ეთიკური მოტივაცია; და საკითხის გაგება, — თითქოს ეთიკური, იურიდიული და

მორალური მოთხოვნები ყველა ცალკეულ შემთხვევაში ლებულობენ განსაკუთრებულ ხასიათს, — არასწორია. ნ. ჯორჯიკიას აზრით, უცნაური იქნებოდა მსჯელობა „ესთეტიკურ მოთხოვნათა თვალსაზრისით წარმოშობილ მოთხოვნებზე“, რადგან ასეთი მოთხოვნები ჩვენი გონებისათვის ისევე უცხოა როგორც მოქმედება — „მაღლით გამოწვეული“ (მაგალითად, ზრდილობის მოთხოვნილება სრულიად არ ნიშნავს სილამაზის და ესთეტიკური მოთხოვნილების გამოხატვას; ხელთ ცხვირის მოხოცვა იმიტომ კი არ არის უზრდელობად ვაგებული, რომ იგი ანტი-ეთიკური, ან ულამაზოა, არამედ იმიტომ, რომ ეს ულამაზო აკრძალული ან ნიუღებელია). იმიტომ, პეტრაჟიციუს მტკიცების საწინააღმდეგოდ, ზრდილობის განცდას საფუძვლად აქვს არა „ესთეტიკური ემოცია“, არამედ — სირცხვილი „ზრდილობის მოთხოვნილება“.

ლ. პეტრაჟიციუს გაგებით, არც ერთ ნორმატიულ განცდას არ შეუძლია გამოიწვიოს წარმოდგენა გარედან კარნახისა, ზეგავლენის ნორმისა. ნ. ჯორჯიკია ამ დებულებას მიიჩნევს მცდარად, რადგან, მისი გაგებით, ემოციას თავისთავად რთული ინტელექტუალური პროცესების გამოწვევის უნარი არ გააჩნია. გამომდინარე ეუნდტის სწავლებიდან, ნ. ჯორჯიკია ვაკვირვებს გამოთქვამს ლ. პეტრაჟიციუს მსჯელობის გამო იმის თაობაზე, რომ „ემოციონალურ პროექციად არ შეიძლება იქნეს წარმოდგენილი ისეთი, მოქმედებანი, რომლებსაც წინ უსწრებს განცდის იმპულსები, წარმოშობილი ბევრად ადრე, რომლებიც თვითონ იწვევენ სათანადო ემოციურ გამოვლინებას. თუ ადამიანი, დავუშვათ, ამ მომენტზე განიცდის შიშს ან წარმოიშვება გემოვნებითი იმპულსი. შეიძლება ასეთი წარმოვადგინოთ, მაგრამ ხომ შეიძლება ადამიანი ცალკეულ სიტუაციაში იყოს ინდეფერენტული, მაშინ ასეთი „ემოციონალური პროექციები არ წარმოიშვებიან“.

ჯორჯიკია არ ეთანხმება პეტრაჟიციუს საყვედურს, რომ ხშირად „სამართლის“ ცნების სოციოლოგიურ შინაარსს ურევენ „სამართლის“ ცნების ფსიქოლოგიურ გაგებაში. მისი აზრით, სამართალი სოციალური შინაარსისაა, მაგრამ ფსიქიკურ მოვლენათა გარეშე იგი არ არსებობს. „უარყოფდა რა პეტრაჟიციკი იურისტების რწმენას ნორმების და სამართალთიერიტობის არსებობის შესახებ, ინდივიდების შეგნების გარეშე, მას შეეძლო თავისუფლად დაეცვა თავისი ფსიქოლოგიური მსოფლმხედველობა იმ პირობით, თუ თავის სწავლებას არ ნიატმასნიდა ყალბ თეორიას სამართლის ემოციონალური შინაარსის შესახებ“, — ნ. ჯორჯიკია მიიჩნევს, რომ ეს სწავლება გამოუსადეგარი და სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა.

პეტრაჟიციუს შეცდომას ნ. ჯორჯიკია ხედავს იმაშიც, რომ ფსიქოლოგიური მსჯელობის დროს სირცხვილი, შიში, აღშფოთება — ცალკეულ შემთხვევაში მის მიერ არ განიხილება როგორც ეთიკური და ამ ცნებებს იგი ეთიკურად მიიჩნევს მხოლოდ გარკვეულ პირობებში, როდესაც ისინი ეფარდებიან ვალდებულებითსა და სამართლებრივ პირობებს; რომ პეტრაჟიციკი ამ წარმოდგენებს მოსავს განსაკუთრებული „ეთიკური“ ჩენჩოთი. რასაც იგი მცდარ დასკვნამდე მიჰყავს. ჯორჯიკია მიიჩნევს, რომ პეტრაჟიციუს გამოკვლევები ფსიქოლოგიურ ნიადაგზე დიდი მეცნიერული ღირებულების არიან, მაგრამ სრულიად ყალბია მისი თეორია სამართლებრივი გაგების ემოციონალურ პროექციების შესახებ.

ნ. ჯორჯიკია არ ეთანხმება ლ. პეტრაჟიციუს ეთიკური განცდების ზნეობრივად და სამართლებრივად დაყოფაში, რადგან სამართლებრივი მოვლენე-

ბის სპეციფიკური ნიშანია მათი ატრიბუტულობა და დამატებით (იმპერატივის წარმოდგენასთან ერთად) კუთენილებაზე წარმოდგენა. იგი ამტკიცებს, რომ ზნეობრივ და სამართლებრივ მოვლენათა გათიშვაზე მსჯელობა საერთოდ შეუძლებელია, რადგან არ არსებობენ სპეციალური „ეთიკური ემოციები“, არ შეიძლება არსებობდნენ „ამ ემოციის შემდგომი სახეობანი“. ნ. ჯორჯიკია საერთოდ უარყოფს ყოველგვარ აბსტრაქტულ ემოციას, რაც პეტრაჟიციის თავის თეორიის ურყევ საფუძვლად აქვს გამოცხადებული.

ნ. ჯორჯიკია ცდილობს დაასაბუთოს დებულება, რომ ზნეობრივსა და სამართლებრივს შორის რაიმე განმასხვავებელი ნიშანი არ არსებობს და ეს ორი კატეგორია ყოველთვის განხილულ უნდა იქნეს მთლიანობაში, რომ საკითხს უდავოდ აქვს ორი მხარე: 1) როდესაც ატრიბუტულად შეიძლება ჩათვალოს ზოგიერთი ზნეობრივი განცდანი და 2) როდესაც ზნეობრივი ვალდებულებების ყოველგვარი წარმოდგენა ატრიბუტულია. იგი ეთანხმება პეტრაჟიციის, რომელიც ამ გარემოებას სპობს დებულებით, რომ ყველა ის ზნეობრივი განცდანი, რომლებიც ატრიბუტულობით ხასიათდებიან, უნდა მიეკუთვნონ ატრიბუტულ კლასს და განიხილებოდეს როგორც სამართლებრივი კატეგორიები. ჯორჯიკია ამაშიც ხედავს მისი დებულებების წინააღმდეგობას და არ ეთანხმება მტკიცებაში, რომლის მიხედვით, ეს გარემოება საკმარისად არ არის მიჩნეული ამ ორი კატეგორიის განხილვის დროს მათი ერთ მთლიანობაში მოქცევისათვის. „პეტრაჟიციის, — ამბობს ნ. ჯორჯიკია, — ატრიბუტულობის გაორებული წარმოდგენა აქვს. იგი „ატრიბუტულად“ მიიჩნევს წარმოდგენას ორმხრივ ეთიკურ კავშირზე, იმპერატიულობისაგან განსხვავებით, როგორც წარმოდგენას ერთმხრივი კავშირისა. თუ ამ აზრით გავიგებთ ატრიბუტულობას მართალნი არიან ის კრიტიკოსები, რომლებიც ამბობენ, რომ წმინდა იმპერატული განცდები არ არსებობენო. მაგრამ პეტრაჟიციის სწავლების ჭეშმარიტი აზრით ატრიბუტულობა განიხილება სულ სხვა შინაარსით“.

ნ. ჯორჯიკიას მიაჩნია, რომ პეტრაჟიციის მიერ ეთიკური განცდების დაყოფა: პოზიტიურად და ინტიტიურად, საჭიროებენ შესწორებას და დამატებას. მაშინ, „ეთიკური“ უნდა დაიყოს 1) წმინდა — ინტიტიურად, 2) ინტიტიურ-პოზიტიურად და 3) წმინდა-პოზიტიურად. მიუხედავად ასეთი შესაძლებლობისა, მისი აზრით, პეტრაჟიცი არ არის გარკვეული იმაში, რომ — „ზნეობრივი“ ვალდებულება არასდროს შეიძლება იყოს წმინდა „პოზიტიური“ და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამოვა, რომ არსებობს „ზნეობრივი (ინტიტიურ-პოზიტიური) სამართალი“.

ჯორჯიკია ეთანხმება იმაში, რომ სამართალს აქვს ტენდენცია და თვისება სამართლის ატრიბუტული მხარისაკენ სწრაფვისა. მაგრამ მოითხოვს, რათა პეტრაჟიცი დაეთანხმოს, რომ მისი თეორეტიკული დებულებები რჩებიან ადეკვატურად, რადგან სამართლის ატრიბუტულობა უნდა აღიარებული იქნეს დამოუკიდებელ კატეგორიად. „ავტორი სწავლებას ემოციონალურობის შესახებ — ამბობს ჯორჯიკია — ურევს თავისი სამართლის თეორიის ადეკვატურობის დასაბუთების დროს“ (გვ. 41).

აქვე გამოთქმულია აზრი იმის თაობაზე, რომ პეტრაჟიცი სწორად აკრიტიკებს თანამედროვე იურიდიულ თეორიებს, რომლებიც ცნობენ: 1) დებულებათა არაადეკვატურობას, 2) პროექციულ (არა „ემოციონალური“ ვაგებით) თვალსაზრისს და 3) განსაზღვრის ეკლექტიკურ ხასიათს. ნ. ჯორჯიკიას აზრით „თანამედროვე იურიდიული მეცნიერების ძირითადი ხარვეზი, რაზეც სამარ-



თლიანად მიუთითებს ლ. პეტრაჟიციკი, მდგომარეობს იმაში, რომ არ არის შეგნებული სამართლის გაგებისათვის მისი ფსიქოლოგიური შესწავლის აუცილებლობა. სწორედ ავტორის ფსიქოლოგიურ თვალსაზრისში იმალება მისი თეორიის დაუფასებელი და უდავო ღირსება. თუმცა, პეტრაჟიციკის მოძღვრებაში, სამართლებრივი მოვლენების ფსიქოლოგიური კვალიფიკაციის განსაზღვრის ცდა მარტეს განიცდის“ (გვ. 46).

როგორც ზემოთ აღინიშნა, პეტრაჟიციკის თეორია ნ. ჯორჯიკას განხილული აქვს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. იგი აკეთებს ბევრ საინტერესო და მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნას, აყენებს რიგ პრობლემატურ საკითხს, რასაც სათანადოდ ასაბუთებს კიდევ. შრომა გამოირჩევა მაღალი ინტელექტუალური დონით, საქმის ცოდნით და საკითხისადმი მონდომებითი მიდგომით. მიუხედავად ამისა, კრიტიკა ვარკვეულად ცალმხრივია; ფაქტურად განუხილველია, ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიასთან მთლიანობაში მყოფი ასპექტები — სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის სოციოლოგიის თვალსაზრისით.

IV. ჩვენ განვიხილეთ პროფ. გ. ნანეიშვილის კრიტიკული დამოკიდებულება პეტრაჟიციკის სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის ემოციონალურ-აპრიორული საფუძვლებისადმი. მიუხედავად გ. ნანეიშვილის ცდისა, საკითხი განეხილა მარქსისტული პოზიციებიდან (განსაკუთრებით უკანასკნელ შრომაში), იგი არ არის დაზღვეული შეცდომებიდან. ჩვენი აზრით გ. ნანეიშვილის ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ მან საერთოდ მიუღებლად მიიჩნია „სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის აპრიორულ-ემოციონალური საფუძვლები“. მაგრამ ნანეიშვილი შეეცადა განეხილა ყველა ასპექტებში (სამართლის ფილოსოფიის, სამართლის ფსიქოლოგიის და სამართლის სოციოლოგიის თვალსაზრისით) და ამ აზრით, კრიტიკა დიდი მეცნიერული ღირსების მქონეა.

რაც შეეხება ნ. ჯორჯიკას, მან ეს უდავოდ ვერ შესძლო და ამიტომ შრომა ტოვებს ცალმხრივ, თუ შეიძლება ითქვას, ფრაგმენტულ და სქემატურ შთაბეჭდილებას. იგი არ არის დაზღვეული არსებითი შეცდომებისაგან, რომელთა შესახებ ზოგადად შეიძლება ითქვას: თუ ერთ შემთხვევაში ჯორჯიკა სწორ დასკვნას აკეთებს იმის თაობაზე, რომ პეტრაჟიციკის კვლევის ძირითადი საფუძველი ყოველგვარი აბსტრაქტული ემოციებია, რომლებსაც იგი უდავოდ არასწორ დასკვნამდე მიჰყავს, მეორე შემთხვევაში თვითონ ჯორჯიკა დგას მცდარ პოზიციაზე და ცდილობს ზნეობრივი და სამართლებრივი კატეგორიების ერთ შინაარსში მოქცევას, ამასთან აყენებს მოთხოვნას ამ ორი დამოუკიდებელი ცნების სინთეზურობის შესახებ.

მიუხედავად ბევრი სადავო საკითხისა, პეტრაჟიციკის როგორც ნანეიშვილისეული, ასევე ჯორჯიკისეული კრიტიკა დადებით შეფასებას იმსახურებს და იძლევა ბევრ მასალას მომავალში რიგი პრობლემების ფართო და ღრმა მეცნიერული გამოკვლევებისათვის.

პეტრაჟიციკის სამართლის თეორიით, მის სიცოცხლეშივე, გარდა გ. ნანეიშვილისა და ნ. ჯორჯიკისა, სხვა ქართველი მეცნიერებრივ და ინტერესებულან — განსაკუთრებით კიევის წმინდა ვლადიმერის სახელობის უნივერსიტეტისა და ის ქართველი სტუდენტები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ პეტრაჟიციკის სამეცნიერო წრეში და წაიკითხული აქვთ ბევრი მოხსენება და რეფერატი; საერთოდ, ქართული მეცნიერებს, რომლებიც იმ დროს პეტროგრადში მოღვაწეობდნენ პეტრაჟიციკისთან და მის სამეცნიერო საზოგადოე-

ბასთან ფართო კონტაქტები ჰქონდათ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საყურნალო სტატიის ფარგლებით შეზღუდულ ჩვენ მიერ წარმოდგენილ შრომაში არ შეგვეძლო პეტრაჟიციუს თეორიული კონცეფციებისა და მისი კრიტიკის სრულყოფილად გაანალიზება. მოკლე მიმოხილვით შევეცადეთ დაგვეყენებია საკითხი, რათა სამართლის ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემებით დაინტერესებულმა მეცნიერებმა მოპაეღისადმი ყურადღება გაამახვილონ ამ მეტად საინტერესო და მაღალი მეცნიერული ღირსების მქონე მემკვიდრეობისადმი.

წარმოდგინეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორმა
და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
პროფ. ვ. ჭრანგიშვილმა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გამოკვლევა თანამედროვე ოჯახის ფორმირების საკითხზე

ოჯახის ფორმირებისა და მისი ევოლუციის საკითხებისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკური პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიკოს პ. ბ. გუგუშვილის მონოგრაფია „ოჯახის ფორმირების საკითხები მოსახლეობის აღწარმოების ასპექტში“, რომელიც გამოცემულია „მეცნიერებაში“ მეორედ გამოსცა რუსულ ენაზე 1978 წელს.

მონოგრაფია ეხმარება სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელშიც მითითებულია ჩვენი საზოგადოების, მისი საწარმოო ძალების განვითარების გაღრმავებული კვლევის აუცილებლობაზე, ასეთებია, მაგალითად, განვითარებული სოციალიზმის პირობებში მოსახლეობის აღწარმოების, შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემები; აგრეთვე, შრომის ხასიათის და შინაარსის, სოციალური სტრუქტურის, სოციალისტური უფა-ცხოვრების ცვლილებანი და სხვ. ეს საკითხები უშუალოდაა დაკავშირებული თანამედროვე ოჯახის ფორმირების, მისი ევოლუციის და სხვა დემოგრაფიული პროცესების კვლევასთან.

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი აშ. ლ. ი. ბრენენვი X XV ყრილობაზე აღნიშნავდა: „საბჭოთა მეცნიერებს თვალთახედვის არედან არ უნდა გამოჩნდეთ გარემოსა და მოსახლეობის პრობლემები, რომლებიც ამ ბოლო დროს გამწვავდა. სოციალისტური ბუნებათსარგებლობის გაუმჯობესება, ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის დიდწილად განვითარება ამოცანაა“.

წინამდებარე მონოგრაფია საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასმული ეფექტიანი, კომპლექსური და მეცნიერულად დასაბუთებული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავების, აგრეთვე ჩვენი და მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის და შრომითი რესურსების აღწარმოება თვისებურებათა შესწავლისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ გამოკვლევას წარმოადგენს. იგი გაგრძელება მეცნიერის მიერ ხანგრძლივი კვლევის შედეგად დაწერილი მონოგრაფიისა: „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, რომელიც გამოცემულია „მეცნიერებაში“ დიდი ტირაჟით (20000) გამოსცა 1973 წელს ქართულ ენაზე.

საინტერესო მონოგრაფიის ძირითადი დებულებები ავტორის მიერ მოხსენიდა სკკ-ს სოციალურ-ეკონომიკური კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა თბილისში: „მოსახლეობის აღწარმოებისა და მდგრადი რეგიონალური თავისებურებანი“ 1976 წლის 12—14 ოქტომბერს ქ. თბილისში და რომელიც ერთობლივად მოაწვევს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, „ხალხთმოსახლეობის“ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სამეცნიერო საბჭომ“ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში.

მონოგრაფიაში, როგორც რეკლამითაც იხსენიებენ მონაცემების კრიტიკული და ღრმა ანალიზის საფუძველზე განხილულია თანამედროვე ოჯახის განვითარების პროცესები მოსახლეობის აღწარმოების ასპექტში, შესწავლილია, ოჯახის, როგორც წარმოებრივი და სამომხმარებლო უჭრედის ევოლუცია, მისი საშუალო სიდიდის და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპის შემცირება და რიგი დემოგრაფიული პროცესები. უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიაში განხილული ოჯახის ფორმირების და ევოლუციის საკითხებზე წარმოდებული მეცნიერული კვლევის გაფართოება ახალ მნიშვნელობას იძენს განვითარებული სოციალიზმის პირობებში, იგი წარმოადგენს არამარტო დემოგრაფიულ მეცნიერების, არამედ სოციალოგიის, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, ისტორიის და სხვა მეცნიერული დისციპლინის შესწავლის ერთ-ერთ აქტუალურ საკანს.

ოჯახი კაცობრიობის ცხოვრების უძველესი და ძირითადი ფორმაა, აქ იწყება ადამიანის, როგორც პიროვნების სოციალური ხაზის ჩამოყალიბება ისე მისი ზნეობრივი აღზრდა, ოჯახის გარეშე არ არსებობს საზოგადოება და, მასთანადე არც მოსახლეობის აღწარმოება, იგი წარმოადგენს ძირითად საზოგადოებრივ უჭრედს, რომლის ურთიერთობის ფორმები ისტორიულად

¹ П. В. Г у г у ш в и л и, Вопросы формирования семьи в аспекте воспроизводства населения, 1978, из-во „Медицина“.

² სკკ XXV ყრილობის მასალები, გვ. 99.

მარად ცვალებადობაშია, მაგრამ ძირითადად ყოველთვის ქალისა და ვაჟის ნებითი კავშირითაა გაპირობებული.

ავტორი ამ მონოგრაფიაში არ იფარგლება ოჯახის ფორმირების საკითხებითა და პირველსავე თავში განიხილავს თანამედროვე მსოფლიო დემოგრაფიის და დემოგრაფიული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მომენტებს და სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ „თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების და მეცნიერების პრობლემებს შორის, ერთ-ერთი პირველი ადგილი დემოგრაფიულ საკითხებს, დემოგრაფიულ პრობლემებს ეკუთვნის“.

იგი საინტერესო მასალას გვაწვდის საერთაშორისო დემოგრაფიული პოლიტიკის შესახებ და გვაცნობს იმ დონისძიებებს რომელიც ამ მიმართებით ტარდება. ავტორი, ეფუძვლება ნიშნებს რა მოსახლეობის ზრდის საშუალოწლიურ ტემპს, რომელიც უპროცენტს აღემატება, დააკვირის, რომ დაახლოებით შა წლის შემდეგ პლანეტის მოსახლეობის რიცხვი გაორჯუდება და მაღალწევს 8 მილიარდ კაცს. ამასთან მსოფლიოს მოსახლეობის მატების უდიდესი ნაწილი მოდის განვითარებად ქვეყნებზე, მოსახლეობის სწრაფ ზრდას, რომელსაც „დემოგრაფიულ აფეთქებას“ და ამ ბოლო დროს „დემოგრაფიულ რევოლუციასაც“ კი უწოდებენ. დღის წესრიგში აყენებს ისეთი დემოგრაფიული კატეგორიების, კანონების და პროცესების შექმნას და მათი კვლევის გადარჩევას, როგორცაა: ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო. საერთაშორისო ეკონომიკური და განსაკუთრებით პოლიტიკური ურთიერთობა, რესურსების გამოყენების და სურსათის ტექნოლოგია, ადამიანის შემოქმედება გარემო ბუნებაზე და სხვ.

ავტორის აზრით, თანამედროვე ოჯახის ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ კარდინალურ ძვრებს, რომელსაც ადგილი აქვს როგორც ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის ისე მისი პირადი სტატუსის შეცვლაში. შემდეგ მოცემულია სტატისტიკური მასალები საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების ჩაბმის დონის ცვლილების შესახებ. საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების ჩაბმის დონე განსაკუთრებით მაღალია გათხოვილებში და მათი რიცხვი 1950—1972 წლების პერიოდში 2-ჯერ გაიზარდა.

მატერიალური წარმოების სფეროში მომუშავე ქალების უმრავლესობა დასაქმებულია არაკვალიფიციური და ნახევარაკვალიფიციური შრომით, რაც გავლენას ახდენს თანამედროვე ოჯახის ფორმირებაზე. მის სიდიდეზე, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით მკვეთრი შემცირებით ხასიათდება. ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: „რა თქმა უნდა ქალის ემანსიპაცია, მათი ფართე ჩაბმა საზოგადოებრივ წარმოებაში, ახალგაზრდობის სოციალური მიზილების გაძლიერება, ცოლქმრის მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნები“ წააქეზებენ“ მათ შობადობის შეზღუდვაში. ამასთან რთულდება მოზარდი თაობის აღზრდა და სხვ. ყოველივე ეს ხელს უწყობს მცირეშვილიანი ოჯახების ფორმირებას, შობადობის დონის შემცირებას და სხვ.

მონოგრაფიის მეორე თავი მთლიანად ეძღვნება დემოგრაფიულ წყაროებს. მოსახლეობის აღწერების, ოჯახის არსის, კომლის სულობრივი შემადგენლობის, ქალთა მდგომარეობისა და რევოლუციამდელი ამიერკავკასიის მოსახლეობის აღწერების ტემპების გაცნობას.

საინტერესო მასალებს გვაწვდის ავტორი ამიერკავკასიის ადრინდელი პერიოდის მოსახლეობის აღწერების შესახებ. აქვე ვგებულობთ, რომ ადრინდელი პერიოდში ოჯახები იყო დიდი მცირე და დიდ ოჯახებდა, პირველი შესდგებოდა ცოლქმრული წყვილისა და შვილებისაგან. მეორე ერთი ან რამდენიმე ცოლქმრული წყვილისა და მათი ნათესავებისაგან. ცოლქმრული წყვილის საშუალებით ორგანიზებული შინამეურნეობა შემაკავშირებელ როლს ასრულებდა მათ ურთიერთობაში. არსებული სტატისტიკური მონაცემებით დადგინდა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონში კომლის სულადობის, რიცხვი, რომელიც ერთ ოჯახურ მეურნეობას წარმოადგენდა უმთავრესად მერყეობდა 2—3-დან 15-მდე და იცვლებოდა ეკონომიკური პირობების, ნაციონალური (ეთნიკური), სოციალური და სხვა წესჩვეულებების მიხედვით. როგორც ავტორი მიუთითებს, XIX საუკუნის და მისი წინა პერიოდის, მოსახლეობის საერთო რიცხვის, კომლის და მისი სულობრივი შემადგენლობის სტატისტიკური მონაცემები არ არის ზუსტი. ცნებები: „კომლი“, „ოჯახი“ ყოველთვის არ წარმოადგენენ იდენტურს, ამასთან დაკავშირებით ავტორი განმარტავს, რომ კომლი უშვებს მის შესაძლებლობას, რომ ორმა ან მეტმა ნათესაურმა ცოლქმრულმა წყვილმა შექმნას ერთი ოჯახური მეურნეობა, სადაც შეიძლება გაერთიანდნენ მსახურები და სხვებიც, რომლებიც ნათესაური კავშირში არ იმყოფებიან კომლის მეთაურთან.

შემდგომ განხილულია ამიერკავკასიის რესტრუბლიკებში ოჯახების თავისებურებანი, მათი გაუფის საკითხები და სხვ.

სხვადასხვა ბეგარა-გადასახადები, მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური, ნაციონალური



და სხვა პირობები გაეღწენას ახდენს ოქახის (კრწლის) სტრუქტურის ფორმირებაზე, საოჯახო მეურნეობის ფორმირებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მიგრაციები, ომები, სტაქური უბედურება, ეპიდემიები და სხვ.

ვაშუქებულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრეფორმირებული პერიოდის მოსახლეობის ზუნებრივი შატების ტენიები, დადგენილია, რომ ამ პერიოდისათვის მუსულმანურა მოსახლეობის გარდაცლება მნიშვნელოვანად ჩამორჩებოდა ქრისტიანული მოსახლეობის გამრავლების ტენებს, სიამაყრებოა სსრ კავშირის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის ზუნებრივი შატების ცხრილი, რომლებიც 1913—1978 წლების პერიოდს მოიცავს.

მონოგრაფიის მე-8 თავი ეხება სსრ კავშირის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის ზუნებრივი შატებს, ქალთა საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმის, თანამედროვე ოჯახის ფორმირების, საოჯახო მეურნეობის სტრუქტურის და სიდიდის, ოჯახების დაჯგუფების ოქახის წევრების, შვილების რიცხვის და მათი განათლების დონის მიხედვით.

მონოგრაფიის 21 გვერდზე ცხ. 2-ში წარმოდგენილია სსრ კავშირის და ზოგაერთ მკავშირე რესპუბლიკაში ზუნების და მოსახლსაზრებების საერთო რიცხვი, ქალების ზვედრი წონა. ამ მონაცემებით საქართველოს სსრ ქალთა საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმების დონით, ამიერკავკასიის მკავშირე რესპუბლიკებს შორის პირველ ადგილზე იმყოფება; ჩვენთან მუშა-მოსახლსაზრება საერთო რიცხვიანობაში ქალები - შეადგენდნენ: 1922 წელს—19%, 1940 წელს—35%, 1959 წელს—40%, 1978 წელს—43% და 1974 წელს—45%-ს.

მთელი რიგი სტატისტიკური მასალების საფუძველზე ავტორი დასკვნის, რომ სისტემატურად მცარებლად მრავალშვილიანი დიდების რიცხვი, ხოლო მათი რიცხვა სომხეთში, ორჭრე, აზერბაიჯანში კი ითქვამს შ-ჯრ ნეტია ვიდრე საქართველოში.

როგორც 1970 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებიდან ჩანს ადევებს, რაც უფრო მაღალი განათლების ტენი იქვთ მით ნაკლები შვილები ჰყავთ. მონოგრაფიის 24-ე გვერდზე ცხრილ 4-ის მიხედვით ოქახთა საერთო რიცხვიდან უმეილობის ყველაზე ნაკლები პროცენტით ხახათოდნა სომხეთის სსრ (9,82), ხოლო ყველაზე დადი ესტონეთის სსრ (27,14), და უქრანის სსრ (24,63), საქართველოს სსრ-ში უმეილობის პროცენტი შეადგინა 17,8 პროცენტს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ყოველ 100 დედაზე შვილების რიცხვით პირველი ადგილი უკავია აზერბაიჯანის სსრ, პირად დასმარე მეურნეობაში დასაქმებულ ყოველ 1000 დედიდან ყველაზე მეტი შვილები (4122), ყვთ აზერბაიჯანის სსრ-ში, შემდეგ მოდის სომხეთის სსრ (3701) და მოლოს საქართველოს სსრ (2443).

ცხრილ 5-ში მოცემულია ადევების განათლების სხვადასხვა დონის მიხედვით შვილების რიცხვის განაწილება, დადგენილია, რომ ადევებს, რომლებსაც განათლების დაბალი დონე აქვთ, შედარებით მეტი შვილები ჰყავთ.

ავტორი ამახთან დაკავშირებით ამბობს: „სოციალური მდგომარეობა (საზოგადოებრივი სტატუსი), არსებობის წყარო (დასაქმების სახე) და ადევების განათლების დონე გავლენას ახდენს და გარკვეული ნიშნით განსაზღვრავს კიდევ ცოლქმარული წყვილის შვილების რიცხვს...“

ზოგაერთი გამოანკადების გარდა უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში (1873—1970) საოჯახო მეურნეობის წერითა საშუალო სიდიდე სისტემატურად მცირდება, ეს პროცენტი საქართველოს სსრ-ში ასე გამოიყურება: 1926 წელს—5,0 1930 წელს—4,3, 1950 წელს—4,0, 1970 წელს—4,1 კაცია; ეს მონაცემები საკუთრივ ქართული ოქახებისათვის ასე გამოიყურება: 1926 წელს—4,6, 1939 წელს—4,1, 1959 წელს—3,9, 1970 წელს—4,0, 1985 წელს—3,2, 2000 წელს—2,3 კაცია.

ავტორი ამახლენებს რა ამ საყურადღებო მასალებს დასკვნის, რომ თანამედროვე ოქახის პრობლემების შესწავლის მიხედვით — როგორცია ისტორიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური კატეგორიები აუცილებელია ერთდროულად განვიხილოთ ოქახი, როგორც სამეურნეო (ეკონომიკური) ერთეული და როგორც წარმოებრივი და მომხმარებელი უჭრედი, იგი ოქახის ისტორიული განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე ამა თუ იმ ხარისხით კარავს თავის წარმოებრივ ხასიათს, მაგრამ რჩება მომხმარებელ უჭრედალ და წარმოადგენს მეორე სოციალურ ჯგუფს.

მონოგრაფიის IV თავში ვაშუქებულია ოქახის ევოლუციის, საოჯახო მეურნეობის, როგორც წარმოებრივი და მომხმარებლური უჭრედის, ქალის სოციალური სტატუსის, ოქახის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის და სხვ. საკითხები.

ამ სრულიად მართებულად არის აღნიშნული იმ სიამელებების შესახებ, რომელსაც ოქახის, ოქახური ცხოვრების და საერთოდ ოქახური მეურნეობის შესწავლისა და კვლევისას ვხვდ-

ბი. ოჯახი ვარტყე მეთვალყურე პირისათვის თითქმის შეუღწევადია, იმ მიზეზების გამო როგორცაა უაღრესი, მორალური (რელიგიური) კანონები, სიმორცხვა, გრძობა, ოჯახის ხელშეზღუდლობის ნიბიოვნები, ოჯახის თაემოყვარება და სხვა, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი ვარემოებებიათა ნაკარანხები.

აიღვმოკობი 3. გუგუშვადი მარტებულად შენიშნავს, რომ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური ბუნების სარტულემ გამოიწვია მთელი რიგი დეფინიციები: ფილოსოფოსები, ეკონომისტები, ფორსტიბი, ეთნოგრაფები, ისტორიკოსები, სტატისტიკოსები, სოციოლოგები, დემოგრაფები, ფსიქოლოგები ოჯახის, როგორც მცირე სოციალური ჯგუფის არსს სხვადასხვააირად განსაზღვრავენ.

სოციოლოგია ორიგინალურად არის აღწერილი საოჯახო მეურნეობის ბაზაზე მრეწველობის უველახე პრინციპული ფორმის, საოჯახო მრეწველობის განვითარების ისტორია. მრავალი ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალებს მეცნიერული განალიზებით გამოქმულია მისაზრება, რომ წარმოებრივი ოჯახებისათვის დამახასიათებელია მრავალშვილიანობა და, როგორც წესი, ოჯახის შემადგენლობის მრავალრიცხოვნობა, პირიქით მომხმარებელი ოჯახები კი ხასათებში მცირეშვილიანობით და ოჯახის მცირერიცხოვნებით, რაც ვარკვეულწილად განსაზღვრავს მოსახლეობის აღწარმოების ტემპებს.

ამიტომ რაც უფრო სწრაფად ჩამოსცილდება საოჯახო მეურნეობას თავისი წარმოებრივი ექსტრა და შესაბამისად მწრადე ტემპით გაიზრდება მოსახლებული ოჯახების ხვედრი წილი ოჯახების ადრახო რიცხვში, მით უფრო შემცირდება ოჯახის საშუალო სიდიდე და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი, ანატომაც მოსახლეობის გაფართოებელი აღწარმოება აღარ წარმოადგენს აუცილებლობას და ოჯახის საშუალო სიდიდე ფორმირდება მოზანშეწონილი ნორმების ფარგლებში.

ოჯახის ცვლილებების პროგნოზისათვის (2000 წლამდე) საქმარისი არ არის მხოლოდ მოსალოდნეო-ოგრაფიული ტენდენციების, ქორწინების და ოჯახის ევოლუციის, შილასად მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებების და კულტურულ-საეკონომიკური პარამეტრების განვითარების გზების ცოდნა, არამედ საქირა ეკონომიკური ზრდის ტემპების, საზოგადოებრივი და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ცოდნაც, რომ აღარაფერია ვსთქვათ საერთაშორისო ურთიერთობებზე, პოლიტიკურ და სხვა მთვლენებზე, რომლებსაც ძალუთი გაქაჩყულონ უოველგარი პროგნოზი ამ მიმართებით. ანის სიუბედავად დაასვენის ავტორი, ოჯახის სტრუქტურის შესწავლას პერსპექტივაში დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის დავკვების გზების განსაზღვრის, საერთო მოსახლეობის აღწარმოების, კერძოდ კი შრომითი რესურსების და რაციონალური სახინაო მშენებლობის მიზნით და ა. შ.

სოციოგრაფიის V თავში ვანხილდება ოჯახის კომპონენტები, რომელიც ასეთნაირადაა წარმოდგენილი:

I — ქმარი (ოჯახის მეთაური) და ცოლი წარმოადგენენ ოჯახის ფორმირებისათვის საქირო მუდმივ კომპონენტებს.

II — შვილები — რიცხოვრივად იცვლებიან, მცირდებიან და როგორც წესი არიან.

III — ნათესავები — რიცხოვრივად იცვლებიან, მცირდებიან და ზმირად არ არიან, ანამედროვე ოჯახის სტრუქტურის ვარიაციები (ოჯახის მოდლები) წარმოადგენილია შემდეგნაირად:

1. ქმარი — მანა (ოჯახის მეთაური) და ცოლი+შვილები+ნათესავები;
2. მანა (ოჯახის მეთაური)+შვილები+ნათესავები;
3. დედა (—, —)+შვილები+ნათესავები;
4. ქმარი (—, —)+ცოლი+შვილები;
5. მანა (—, —)+შვილები;
6. დედა (—, —)+შვილები;
7. ქმარი (—, —) და ცოლი.

მამრამს აქვს დანართი, რომელშიც მოცემულია 17 ცხრილი.

დენიშნული მონოგრაფია უაღრესად საუურადღესოა, როგორც მეცნიერული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. იგი დიდ დასმარებას გაუწევს დემოგრაფიის საკითხებით დაინტერესებულ კველა მეოთხედს, განსაკუთრებით კი იმთ ვინც უშუალოდ მონაწილეობდა მოსახლეობის 1970 წლის საკემირი აღწერაში.

წარმოადგინა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად მ/Х—79; შეკვ. № 1270; ანაწილის ზომა 7×11¹/₂;

ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 18,2; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 16,3; უე 06836;

ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

●

653/161



ფასი 1 მან.

Индекс 76 196